სკოლებში წყლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური(WaSH) მდგომარეობის შეფასება

საბოლოო ანგარიში

მომზადებულია
სიმონ გაბრიჭიძის მიერ
მაისი, 2019

მადლიერება

ანგარიშის ავტორს სურს, მადლიერება გამოხატოს ყველა იმ პირის თუ ორგანიზაციის მიმართ, რომლებმაც სხვადასხვა ფორმით შეიტანეს წვლილი შეფასების განხორციელებასა და ანგარიშის მომზადებაში. მადლობას ვუხდი CENN-ის პროექტის მენეჯერს, ვახტანგ ქოჩორაძეს, შეფასების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გაწეული მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის CENN-ის ინტერნს, გიორგი ორკოდაშვილს, ეფექტიანი კოორდინაციისა და კომუნიკაციისათვის. დასასრულს, მინდა, მადლიერება გამოვხატო ყველა იმ ინტერვიუერის მიმართ, რომლებიც საქართველოს რეგიონებში უშუალოდ მონაწილეობდნენ სკოლების შეფასების პროცესში.

შინაარსი

შეფასების მიზანი 11

განსაზღვრული ადგილმდებარეობა, შესრულებული სამუშაოს გეგმა-გრაფიკი და განხორციელების ვადები 12

შეფასების მეთოდოლოგია და დიზაინი 13

შეფასების შეზღუდვები 14

წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლებში: ზოგადი მოთხოვნები 15

სასმელი წყლის ხარისხის ჰიგიენური პარამეტრები 16

სკოლაში წყლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით დადგენილი ზოგადი მოთხოვნები: 17

შეფასების პროცესში აღნიშნული ძირითადი დასკვნები 22

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 22

ბათუმის მუნიციპალიტეტი 22

ბათუმის N22 საჯარო სკოლა 22

ბათუმის N23 საჯარო სკოლა 23

ბათუმის N25 საჯარო სკოლა 25

ბათუმის N29 საჯარო სკოლა 26

ბათუმის N31 საჯარო სკოლა 28

ქედის მუნიციპალიტეტი 29

გეგელიძეების საჯარო სკოლა 29

ვაიოს საჯარო სკოლა 30

მეძიბნის საჯარო სკოლა 32

ქობულეთის მუნიციპალიტეტი 35

ბუკნარის საჯარო სკოლა 35

კოხის საჯარო სკოლა 36

ნაკაიძეების საჯარო სკოლა 38

ოჩხამურის საჯარო სკოლა 40

სკურას საჯარო სკოლა 42

ცეცხლაურის N1 საჯარო სკოლა 43
ციხისძირის საჯარო სკოლა 45
შუახევის მუნიციპალიტეტი 47
გომარდულის საჯარო სკოლა 47
ნენიის საჯარო სკოლა 48
ხაბელაშვილების საჯარო სკოლა 50
ჯაბნიძეების საჯარო სკოლა 51
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი 53
ქედქედის საჯარო სკოლა 53
ჩიქუნეთის საჯარო სკოლა 54
ჩხუტუნეთის საჯარო სკოლა 56
ჭარნალის საჯარო სკოლა 57
ხულოს მუნიციპალიტეტი 59
ბეღლეთის საჯარო სკოლა 59
დანისპარაულის საჯარო სკოლა 60
დიდაჭარას საჯარო სკოლა 62
ქედლების საჯარო სკოლა 63
ძმაგულის საჯარო სკოლა 64
გურიის რეგიონი 66
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი 66
აკეთის საჯარო სკოლა 66
მამათის საჯარო სკოლა 68
სუფსის საჯარო სკოლა 69
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი 71
ლაითურის საჯარო სკოლა 71
ლიხაურის საჯარო სკოლა 71
მერიის საჯარო სკოლა 73
ნარუჯის საჯარო სკოლა 75
ნასაკირალის საჯარო სკოლა 76

ქვემო ნატანების საჯარო სკოლა 78
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი 79
ბუკნარის საჯარო სკოლა 79
ზოტის საჯარო სკოლა 80
კოხნარის საჯარო სკოლა 82
იმერეთის რეგიონი 83
ქუთაისის მუნიციპალიტეტი 83
ქუთაისის N2 საჯარო სკოლა 83
ქუთაისის N10 საჯარო სკოლა 85
ქუთაისის N19 საჯარო სკოლა 86
ქუთაისის N28 საჯარო სკოლა 88
ქუთაისის N35 საჯარო სკოლა 89
ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი 91
ბაღდათის მუნიციპალიტეტი 92
დიმის საჯარო სკოლა 92
საკრაულის საჯარო სკოლა 94
ფერსათის N2 საჯარო სკოლა 95
ვანის მუნიციპალიტეტი 97
ინაშაურის საჯარო სკოლა 97
სალხინოს საჯარო სკოლა 98
სულორის საჯარო სკოლა 100
ფერეთის საჯარო სკოლა 101
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი 103
ბოსლევის საჯარო სკოლა 103
პირველი სვირის საჯარო სკოლა 104
ფუთის საჯარო სკოლა 106
ცხრაწყაროს საჯარო სკოლა 107
ძირულის საჯარო სკოლა 108
თერჯოლის მუნიციპალიტეტი 110

ალისუბნის N1 საჯარო სკოლა 110
გოგნის საჯარო სკოლა 112
თერჯოლის N1 საჯარო სკოლა 113
სამტრედიის მუნიციპალიტეტი 114
ნოღის საჯარო სკოლა 114
საჯავახოს საჯარო სკოლა 116
კორმაღლის საჯარო სკოლა 118
ოფეთის საჯარო სკოლა 119
ქვაყუდის საჯარო სკოლა 121
საჩხერის მუნიციპალიტეტი 123
პერევის საჯარო სკოლა 123
სხვიტორის საჯარო სკოლა 124
ქორეთის საჯარო სკოლა 126
ტყიბულის მუნიციპალიტეტი 128
კურსების საჯარო სკოლა 128
ცუცხვათის საჯარო სკოლა 129
ხრესილის საჯარო სკოლა 130
ჭიათურის მუნიციპალიტეტი 132
კაცხის საჯარო სკოლა 132
მერევის საჯარო სკოლა 133
სვერის საჯარო სკოლა 135
ქვაციხის საჯარო სკოლა 136
ცხრუკვეთის საჯარო სკოლა 138
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი 140
გუბისწყლის საჯარო სკოლა 140
ოფშკვითის საჯარო სკოლა 141
რიონის საჯარო სკოლა 143
სორმონის საჯარო სკოლა 144
ქვიტირის საჯარო სკოლა 145

ხონის მუნიციპალიტეტი 146
ივანდიდის საჯარო სკოლა 146
მათხოჯის საჯარო სკოლა 148
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი 149
კიცხის საჯარო სკოლა 149
ლეღვანის საჯარო სკოლა 151
უბისის საჯარო სკოლა 152
კახეთის რეგიონი 154
გურჯაანის მუნიციპალიტეტი 154
ვაჩნაძიანის საჯარო სკოლა 154
ველისციხის საჯარო სკოლა 155
ჭანდარის საჯარო სკოლა 157
თელავის მუნიციპალიტეტი 158
ქვემო ხოდაშნის საჯარო სკოლა 158
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი 160
ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლა 160
ნინოგორის საჯარო სკოლა 161
სიღნაღის მუნიციპალიტეტი 163
საქობოს საჯარო სკოლა 163
ყვარლის მუნიციპალიტეტი 164
ჭიკაანის საჯარო სკოლა 164
მცხეთა-მთიანეთის რეგიონი 166
დუშეთის მუნიციპალიტეტი 166
არაგვისპირის საჯარო სკოლა 166
ბაზალეთის საჯარო სკოლა 167
ბარისახოს საჯარო სკოლა 168
ფასანაურის N2 საჯარო სკოლა 170
ხანდოს საჯარო სკოლა 171
თიანეთის მუნიციპალიტეტი 171

დაბა სიონის საჯარო სკოლა 171
სიმონიანთხევის საჯარო სკოლა 173
მცხეთის მუნიციპალიტეტი 174
ლისის საჯარო სკოლა 174
მსხალდიდის საჯაროსკოლა 176
ვაზიანის საჯარო სკოლა 178
პატარა ქანდის საჯარო სკოლა 180
მუხრანის N3 საჯარო სკოლა 181
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი 183
სნოს საჯარო სკოლა 183
რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი 184
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი 184
ბოსტანას საჯარო სკოლა 184
ნამანევის საჯარო სკოლა 186
პატარა ონის საჯარო სკოლა 186
ლენტეხის მუნიციპალიტეტი 188
მელეს საჯარო სკოლა 188
ონის მუნიციპალიტეტი 189
ღების საჯარო სკოლა 189
ცაგერის მუნიციპალიტეტი 190
ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლა 190
ქვედა ცაგერის საჯარო სკოლა 192
ჩხუტელას საჯარო სკოლა 193
სამეგრელოს რეგიონი 195
ფოთის მუნიციპალიტეტი 195
ქალაქ ფოთის N1 საჯარო სკოლა 195
აბაშის მუნიციპალიტეტი 196
სოფელ საგვაზავოს სკოლა 196
სოფელ ნაესაკოვოს სკოლა 198

სოფელ ქოლობანის სკოლა 199
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი 201
ქალაქ ზუგდიდის N7 სკოლა 201
ქალაქ ზუგდიდის N11 სკოლა 202
ქალაქ ზუგდიდის N12 სკოლა 204
სოფელ ახალკახათის სკოლა 205
სოფელ განმუხურის სკოლა 207
სოფელ ოდიშის N2 სკოლა 208
სოფელ ორსანტიას სკოლა 210
მარტვილის მუნიციპალიტეტი 211
სოფელ ბანძის საჯარო სკოლა 211
სოფელ დიდი ჭყონის N1 საჯარო სკოლა 213
სოფელ ლეხაინდრაოს საჯარო სკოლა 214
სოფელ სალხინოს საჯარო სკოლა 216
სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლა 217
სენაკის მუნიციპალიტეტი 219
ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა 219
სოფელ ეკის სკოლა 220
სოფელ ნოქალაქევის სკოლა 221
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი 223
სოფელ ახუთის სკოლა 223
სოფელ მუხურის სკოლა 224
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი 226
სოფელ მუჟავის სკოლა 226
სოფელ ფახულანის N2 სკოლა 227
ქალაქ ჯვარის N4 სკოლა 229
ხობის მუნიციპალიტეტი 230
სოფელ გურიფულის სკოლა 230
სოფელ ნოჯიხევის N1 საჯარო სკოლა 232

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი 233
ადიგენის მუნიციპალიტეტი 233
ბენარის საჯარო სკოლა 233
ბოლაჯურის საჯარო სკოლა 235
ლელოვანის საჯარო სკოლა 237
ასპინძის მუნიციპალიტეტი 238
აპინძის საჯარო სკოლა 238
ნაქალაქევის საჯარო სკოლა 240
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი 241
აზავრეთის საჯარო სკოლა 241
არაგვას საჯარო სკოლა 243
ბარალეთის N2 საჯარო სკოლა 244
კარტიკამის საჯარო სკოლა 246
კოთელიას საჯარო სკოლა 247
კორხის საჯარო სკოლა 249
მაჭატიას საჯარო სკოლა 250
მოდეგამის საჯარო სკოლა 252
ახალციხის მუნიციპალიტეტი 253
ვალეს N3 საჯარო სკოლა 253
ზიკილიის საჯარო სკოლა 255
საყუნეთის საჯარო სკოლა 256
ღრელის საჯარო სკოლა 257
წყალთბილას საჯარო სკოლა 259
ბორჯომის მუნიციპალიტეტი 260
დვირის საჯარო სკოლა 260
ყვიბისის საჯარო სკოლა 262
ციხისჯვარის საჯარო სკოლა 263
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი 265
გორელოვკას N1 საჯარო სკოლა 265

დიდი ხანჩალის საჯარო სკოლა 266
მამწვარას საჯარო სკოლა 268
ფოკის საჯარო სკოლა 270
ჯიგარაშენის საჯარო სკოლა 271
ქვემო ქართლის რეგიონი 273
მარნეულის მუნიციპალიტეტი 273
ბაითალოს საჯარო სკოლა 273
ცოფის საჯარო სკოლა 274
ხოჯორნის საჯარო სკოლა 275
ხულდარის საჯარო სკოლა 277
ბოლნისის მუნიციპალიტეტი 279
კიანეთის საჯარო სკოლა 279
მუხრანას საჯარო სკოლა 280
ფარიზის საჯარო სკოლა 282
ქვემო არქევანის საჯარო სკოლა 284
გარდაბნის მუნიციპალიტეტი 285
აღთაქლას საჯარო სკოლა 285
მუხროვანის საჯარო სკოლა 287
ნაზარლოს საჯარო სკოლა 288
ნორიოს საჯარო სკოლა 290
რუსთავის მუნიციპალიტეტი 291
რუსთავის N10 საჯარო სკოლა 291
რუსთავის N16 საჯარო სკოლა 293
რუსთავის კერძო სკოლა „ლაზარე“ 294
შიდა ქართლის რეგიონი 296
გორის მუნიციპალიტეტი 296
ატენის საჯარო სკოლა 296
ამვის საჯარო სკოლა 298
ბერშუეთის საჯარო სკოლა 300

ვარიანის საჯარო სკოლა 301
მეჯვრისხევის საჯარო სკოლა 303
სვენეთის საჯარო სკოლა 305
ქვემო ხვითის საჯარო სკოლა 307
სოფელ ძევერის საჯარო სკოლა 308
კასპის მუნიციპალიტეტი 310
კასპის N3 საჯარო სკოლა 310
ლამისყანის საჯარო სკოლა 312
სამთავისის საჯარო სკოლა 313
საქადაგიანოს საჯარო სკოლა 315
ქარელის მუნიციპალიტეტი 316
ახალსოფლის საჯარო სკოლა 316
ბებნისის საჯარო სკოლა 318
ტახტისძირის საჯარო სკოლა 319
ქვემო ხვედურეთის საჯარო სკოლა 320
ხაშურის მუნიციპალიტეტი 322
ალის საჯარო სკოლა 322
სურამის N4 საჯარო სკოლა 323
ქემფერის საჯარო სკოლა 325
ცხრამუხას საჯარო სკოლა 326
სკოლების საერთო შეფასება - წყალი, სანიტარია და ჰიგიენა 328
ზოგადი დასკვნები და რეკომენდაციები: 340
დანართები 345

შეფასების მიზანი

შეფასების ძირითად მიზანს წარმოადგენდა წყლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური (WASH) მდგომარეობის შეფასება საქართველოს 10 რეგიონის სკოლებში. შეფასება ჩატარდა CENN-ის

მიმდინარე პროექტის „WASH ინიციატივა საქართველოში სოფლად მცხოვრები სოციალურად დაუცველი ქალებისა და ბავშვებისათვის“ ფარგლებში. პროექტი მიზნად ისახავს წყლის მიწოდების, სანიტარიისა და ჰიგიენის პირობების გაუმჯობესებას საქართველოს რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სოციალურად დაუცველ მრავალეთნიკური თემების ოჯახებში. ამ მიზნის მისაღწევად აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს როგორც ინოვაციური სარეაბილიტაციო პროექტების განხორციელებას, ასევე ქალებისა და ახალგაზრდების WASH უნარების გაუმჯობესებას.

განსაზღვრული ადგილმდებარეობა, შესრულებული სამუშაოს გეგმა-გრაფიკი და განხორციელების ვადები

შეფასების მიზნით შერჩეული ადგილმდებარეობა მოიცავდა საქართველოს 10 რეგიონის (აჭარის, გურიის, სამეგრელოს, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის) საჯარო და კერძო სკოლებს. სამიზნე მუნიციპალიტეტებში წყლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესაფასებლად და ანგარიშის მოსამზადებლად 3 (სამი) კალენდარული თვე განისაზღვრა. აღნიშნული სამი თვე, კონკრეტული საქმიანობის შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით გადანაწილდა:

	სამუშაოს დასახელება	1 თვე	2 თვე	3 თვე
1	ტექნიკური შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და კითხვარების მომზადება			
2	ინტერვიუერთა ტრენინგი და ტესტირება			
3	ინტერვიუერთა მიერ მონაცემთა შეგროვება, საქართველოს 10 რეგიონის წინასწარ შერჩეულ სკოლებში			
4	ანგარიშის მომზადება			

ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების განხორციელება დაიწყო 2019 წლის 11 თებერვალს და დასრულდა 2019 წლის 15 მაისს.

შეფასების მეთოდოლოგია და დიზაინი

კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენეთ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ შემუშავებული, სკოლებში წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური პირობების გლობალური შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ორ ძირითად მეთოდს: ა) სკოლის დირექტორებთან და ადმინისტრატორებთან პირისპირ ინტერვიუს და ბ) ინფრასტრუქტურასა და მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე დაკვირვებას.

კვლევის გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდა 2019 წლისათვის საქართველოში მოქმედი საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები (2308), რომელთაგან შესაფასებლად 206 სკოლა შეირჩა. შერჩევის ჩარჩოდ განისაზღვრა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული სკოლების სია. გამოვიყენეთ აგრეთვე წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმები, რომელიც პროექტის მიზნებიდან გამომდინარეობდა. კერძოდ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, CENN–ი მიმდინარე პროექტის ფარგლებში აპირებს გარკვეული ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარებას იდენტიფიცირებულ სკოლებში.

ამგვარად, წყლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესაფასებლად სამიზნე ობიექტები შეირჩევა წინასწარ შემუშავებულ კრიტერიუმებზე ნაწილობრივ დაყრდნობის საფუძველზე. აღნიშნული კრიტერიუმები რამდენიმე ძირითად საკითხს მოიცავდა: შესაფასებელი საკითხის განმსაზღვრელი სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (სკოლაში) WaSH-ის საკითხების პრიორიტეტულობა, ბენეფიციარების (მაგ., მოსწავლეების) რაოდენობა და მათი დამოკიდებულება WaSH-ის საკითხებთან მიმართებაში, საკითხის მიმართ ზოგადი ინტერესი და მისი პრიორიტეტულობა, მუნიციპალიტეტის მზადყოფნა თანამშრომლობაზე და ა.შ. (დეტალური კრიტერიუმები იხილეთ დანართ 1-ში).

კითხვარი მოიცავდა ხუთ ძირითად საკითხს: წყალი, სანიტარია, ჰიგიენა, ნარჩენები და ოპერირება:

- **წყალი:** წყალმომარაგების წყაროები და წყლის უვნებლობა, წყლის ოდენობა, წყლის ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისათვის;
- **სანიტარია:** საპირფარეშოს (ჯიხურების) რაოდენობა და მდებარეობა, განაწილება და ხელმისაწვდომობა გენდერულ ჭრილში და ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისათვის;

- **ჰიგიენა:** ხელსაბანი ნიჟარების ოდენობა და განაწილება; საპონის/ქაღალდის ხელმისაწვდომობა; ჰიგიენის სწავლების პრაქტიკა სკოლაში;
- **ნარჩენები:** მყარი ნარჩენების გატანა, ჩამდინარე წყლის გადინება;
- **ოპერირება:** წყალმომარაგების და სანიტარიული ობიექტების გამართული ფუნქციონირება და სისუფთავე.

კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების თვალსაზრისით განსხვავებების იდენტიფიცირება სკოლის ადგილმდებარეობის, მოსწავლეთა კონტინგენტისა და რეგიონული თავისებურებების მიხედვით. აქცენტი გაკეთდა აგრეთვე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ მოსწავლეთათვის წყლისა და სანიტარიული საშუალებების ხელმისაწვდომობაზე. ცალკე პუნქტებად შეფასდა დაწყებითი კლასისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) მოსწავლეების ხელმისაწვდომობის საკითხები.
კვლევის შედეგების დამუშავების მიზნით განხორციელდა სტრუქტურული კითხვარების სათანადო კოდირება. მონაცემების დამუშავების შედეგად მომზადდა ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები საკვლევი ადგილმდებარეობის შემდგომი ინტერვენციების დასაგეგმად.

შეფასების შეზღუდვები

WaSH–ის შეფასების პროცესს თან ახლდა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეზღუდვა, რომელმაც გარკვეული ზეგავლენა მოახდინა მიღებულ მიგნებებზე:

1. ყველა სკოლის შერჩევა ვერ მოხერხდა ზემოთ აღწერილი მეთოდოლოგიის ზუსტი დაცვით, რადგან შეუძლებელი იყო შემუშავებული კრიტერიმების საფუძველზე ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტიდან სკოლების შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიღება. შესაბამისად, შეფასებაში სკოლების ჩართვა რანდომულად - შემთხვევითი შერჩევის პრინციპით განხორციელდა.
2. გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციის მიხედვით, მსგავსი ტიპის კვლევის ჩატარებისას, უმჯობესია, ერთ სკოლაში ორმა მკვლევარმა იმუშაოს – ერთი მკვლევარი კითხვარის საშუალებით მიიღებს ინფორმაციას სკოლის შესახებ, ხოლო მეორე მკვლევარი სკოლის ინფრასტრუქტურასა და მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევას დააკვირდება. ყოველივე ეს კი გაზრდის კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ობიექტურობას. თუმცა, ამ შემთხვევაში პროექტის ფინანსური და ლოჯისტიკური შეზღუდვებიდან გამოდინარე, ყოველ ობიექტზე თითო მკვლევარი განისაზღვრა.
3. წყლის ხარისხის შესახებ ინფორმაცია, ძირითადად, შეფასებული ობიექტების მენეჯერების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მივიღეთ. საგანმანათლებლო დაწესებულებების მხოლოდ მცირე ნაწილმა წარმოადგინა წყლის

ლაბორატორიული კვლევის შედეგები. შეფასების პროცესში არ მომხდარა წყლის სინჯების აღება და მათი ლაბორატორიულად გადამოწმება. ამგვარად, ანგარიშში დამოწმებული ინფორმაცია წყლის ხარისხის შესახებ, ძირითადად, მენეჯერების მიერ არის მოწოდებული.

4. ყველა შერჩეულ სკოლაში პირველივე ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა წყლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური (WaSH) მდგომარეობის შეფასება, რადგან რამდენიმე შემთხვევაში დირექციამ სხვადასხვა მიზეზის გამო, შემფასებლების სკოლაში დაშვებაზე უარი განაცხადა, თუმცა მოლაპარაკებებისა და სათანადო ახსნა-განმარტებების შემდეგ, შეფასება ყველა სკოლაში განხორციელდა.

წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლებში: ზოგადი მოთხოვნები

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სკოლის შენობები წყალ-საკანალიზაციო სისტემების მიხედვით იყოფა ორ პირობით – „ა“ და „ბ“ კატეგორიად. „ა“ კატეგორიას მიეკუთვნება ყველა ის სკოლა, რომელიც მდებარეობს ქალაქში, რაიონულ ცენტრში, დიდ სოფელში ან ნებისმიერ ისეთ ადგილას, სადაც ფუნქციონირებს ცენტრალური წყალ-საკანალიზაციო სისტემა. „ბ“ კატეგორიად მიიჩნევა ყველა ის სკოლა, რომელიც მდებარეობს მაღალმთიან რაიონში, პატარა სოფელში ან ნებისმიერ ისეთ ადგილას, სადაც არ არსებობს ცენტრალური წყალ-საკანალიზაციო სისტემა.

„ბ“ კატეგორიის სკოლები იყოფა ორ ჯგუფად:

I ჯგუფი - სკოლის შენობები, სადაც ეროვნული სტანდარტების მოთხოვნით შესაძლებელია შიდა სანიტარიული კვანძის მოწყობა.
II ჯგუფი - სკოლები, სადაც შიდა სანიტარიული კვანძის მოწყობა არსებული დაგეგმარებით მოუხერხებელია.

აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს, რომ ყველა „ბ“ კატეგორიის სკოლა უნდა მარაგდებოდეს სასმელი და ხელის დასაბანი წყლით. სასმელად გამოყენებული წყალი კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა იყოს შეფასებული შესაბამისი კომპეტენტური სამსახურების მიერ სასმელად ვარგისიანობაზე. აღნიშნული პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასმელად შესაძლებელია წყაროს ან არტეზიული ჭიდან მოპოვებული წყლის გამოყენება. ასეთის არქონის შემთხვევაში უნდა მოხდეს სასმელი წყლის მომარაგება და სათანადო შენახვა ჰიგიენური პირობების დაცვით.

არტეზიული ჭა გარედან უნდა იყოს ტექნოლოგიურად დაცული ნებისმიერი სახის დაბინძურებისაგან. შესაბამისი სამსახურების მიერ პერიოდულად უნდა მოხდეს წყლის შემოწმება სასმელად ვარგისიანობაზე (განსაკუთრებით, წყალდიდობებისა და ბუნების სხვა სტიქიური მოვლენების შემდეგ). ხოლო სანიტარიული კვანძის მომსახურებისათვის შესაძლებელია სამარაგე ავზში შეგროვილი ბუნებრივი ნალექების ან სხვა ტიპის ტექნიკური წყლის გამოყენება, თუმცა ასეთი წყალი არ გამოიყენება სასმელად და ხელის დასაბანად.

სასმელი წყლის ხარისხის ჰიგიენური პარამეტრები

სასმელად უვარგისი წყლის მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები შეიძლება იყოს მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი. გრძელვადიანი მიკრობული რისკი დაკავშირებულია მიკროორგანიზმებით დაბინძურებული წყლის რეგულარულ და ხანგრძლივ მოხმარებასთან, ხოლო ეპიდემიური რისკი - ძალიან ვირულენტური მიკროორგანიზმებით დაბინძურებული წყლის მოხმარებასთან.

სკოლაში სასმელად გამოყენებული წყალი უნდა იყოს უსაფრთხო ჯანმრთელობისათვის და მისი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს. „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N58 ბრძანებით განსაზღვრულია სასმელი წყლის ხარისხის შემდეგი მაჩვენებლები და მათი ნორმატიული სიდიდეები:

- ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები;
- მიკრობიოლოგიური, ვირუსოლოგიური და პარაზიტოლოგიური მაჩვენებლები;
- ქიმიური მაჩვენებლები (ზოგადი მაჩვენებლები, არაორგანული და ორგანული ნივთიერებები);
- რადიაციული უსაფრთხოების მაჩვენებლები;
- წყლის დამუშავების პროცესის შედეგად წარმოქმნილი მავნე ქიმიური ნივთიერებების ნორმატივები.

რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები სასმელი წყლის უსაფრთხოებისათვის:

- სასმელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო ეპიდემიური და რადიაციული თვალსაზრისით, ქიმიური შემადგენლობით – უვნებელი და ჰქონდეს კეთილსასურველი ორგანოლეპტიკური თვისებები;

- სასმელი წყლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ სანიტარიულ ნორმებს;
- სასმელ წყალში არ დაიშვება შეუიარაღებელი თვალით შესამჩნევი წყლის ორგანიზმებისა და ზედაპირული აპკის არსებობა;
- სასმელი წყლის ეპიდემიური უსაფრთხოება განისაზღვრება მიკრობიოლოგიური, ვირუსოლოგიური და პარაზიტოლოგიური მაჩვენებლების რეგლამენტით დადგენილ ნორმატივებთან შესაბამისობით.

სკოლაში წყლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით დადგენილი ზოგადი მოთხოვნები:

- სკოლას უნდა ჰქონდეს სასმელი და სამეურნეო დანიშნულების წყალმომარაგების სისტემა;
- სკოლის წყალმომარაგების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხო და საკმარისი რაოდენობით წყლის მიწოდებას სასმელი და სამეურნეო მიზნებისათვის (ხელის დაბანა, საკვების მომზადება, საპირფარეშოების ჩარეცხვა, სათავსების დასუფთავება);
- სკოლაში სასმელად გამოყენებული წყალი უნდა იყოს უსაფრთხო ჯანმრთელობისათვის და მისი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N58 ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს;
- სკოლისათვის მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი უნდა ხდებოდეს „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N58 ბრძანებით დადგენილი წესით;
- წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემის არარსებობის, ან წყლის შეფერხებებით მოწოდების შემთხვევაში, სკოლას აუცილებლად უნდა ჰქონდეს წყლის რეზერვუარი (ავზი);
- წყლის რეზერვუარი საკმარისი მოცულობის თავდახურულ ავზს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც პერიოდულად გაიწმინდება და ჩაუტარდება დეზინფექცია;
- წყლის რეზერვუარების დამუშავების პერიოდულობის კონტროლის მიზნით აუცილებელია ჩატარებული სამუშაოების სათანადოდ აღრიცხვა შესაბამის ჟურნალში;
- წყლის ავზები ყოველთვიურად უნდა დამუშავდეს, ხოლო სასმელი წყლის რეზერვუარში წყალი ყოველ 48 საათში ერთხელ უნდა გამოიცვალოს;
- წყლის რეზერვუარის დეზინფექციის ჩასატარებლად საჭიროა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალების გამოყენება;

- სასმელი წყლის წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს ჭა, ამიტომ საჭიროა განთავსების, მოვლისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ჰიგიენური ნორმების დაცვა – კერძოდ:

ა) ჭა უნდა განთავსდეს არანაკლებ 30 მეტრის დაშორებით დაბინძურების ნებისმიერი წყაროსგან (მაგალითად, გარე სანიტარიული კვანძისაგან);
ბ) დაუშვებელია პესტიციდების გამოყენება ჭიდან 100 მეტრის რადიუსში;
გ) ჭა მუდმივად უნდა შემოწმდეს სტრუქტურული მთლიანობის დასადგენად;
დ) ჭის გარშემო უნდა მოეწყოს ღობე ცხოველებისაგან დასაცავად;
ე) ჭის გარშემო უნდა მოეწყოს სადრენაჟო სისტემა ზედაპირული და დაღვრილი წყლით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად;
ვ) წყლის ამოსაღები ჭურჭელი სუფთად უნდა ინახებოდეს;
ზ) ჭა თავდახურული უნდა იყოს.

- სკოლას უნდა ჰქონდეს სათანადოდ აღჭურვილი სასმელი წყლის წერტილები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალისათვის, მათ შორის – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.
- სასმელი წყლით მოსწავლეთა უზრუნველყოფა დასაშვებია როგორც წყლის დისპენსერების ან წყლის შადრევნების, აგრეთვე წყლის კონტეინერების გამოყენებით, ამასთან:

ა) წყლის კონტეინერი ყოველდღიურად ან ყოველი დაცლისას უნდა გაირეცხოს;
ბ) წყლის კონტეინერს მჭიდრო თავსახური უნდა ჰქონდეს;
გ) წყლის კონტეინერი უნდა იდგეს მაგიდაზე ან თაროზე და არა იატაკზე.

- აუცილებელია წყლის დისპენსერების ერთჯერადი გამოყენების ჭიქებით უზრუნველყოფა, ხოლო წყლის დისპენსერის სინქრონულ რეჟიმში მომუშავე ავზის – პერიოდული გამორეცხვა და დეზინფექცია;
- სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლის ადმინისტრაციამ უნდა განახორციელოს იმ სასმელი წყლის გაუვნებელყოფა, რომელიც დაუცველი წყაროდან მიეწოდება სკოლას;
- სასმელი წყლის გაუვნებელყოფა სკოლაში უნდა ხორციელდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მეთოდებისა და წესების გამოყენებით;
- სკოლის ბიუჯეტი უნდა ითვალისწინებდეს ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და საკმარისი რაოდენობით სასმელი წყლით მომარაგებას.

სკოლაში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი ზოგადი მოთხოვნები

სკოლის საპირფარეშო უნდა იყოს: სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა, საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარების დონისათვის შესაფერისი, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის.
ყველა სკოლის შენობა სადაც განთავსებულია შიდა სანიტარიული კვანძი, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) სკოლის ყველა სართულზე უნდა იყოს მოწყობილი საპირფარეშოები გოგონებისა და ბიჭებისათვის;
ბ) შენობაში პედაგოგებისა და სხვა პერსონალისათვის უნდა არსებობდეს ცალკე საპირფარეშო ოთახი (სანიტარიული კვანძი) დამოუკიდებელი შესასვლელით;
გ) სანიტარიული კვანძი არ უნდა იყოს შენობის შესასვლელის პირდაპირ ან მასთან ახლოს;
დ) სანიტარიული კვანძის შესავლელის წინ უნდა იყოს მუდმივად განიავებადი დახურული ბაქანი / სათავსი ან გამომყოფი ფართი, რათა არ მოხდეს სპეციფიური სუნის გაფრქვევა დერეფნებსა თუ ფოიეში;
ე) სანიტარიულ კვანძებს უნდა ჰქონდეს როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათება და ვენტილაცია. შესაძლებელია აგრეთვე ხელოვნური ვენტილაციის სისტემების დამონტაჟება.

„ბ“ კატეგორიის I ჯგუფის სკოლების სანიტარიული კვანძის შიდა მოწყობაზე ვრცელდება იგივე მოთხოვნები, რაც „ა“ კატეგორიის სკოლებზე. რაც შეეხება საკანალიზაციო სისტემას, თხევადი ნარჩენებისა და გამოყენებული წყლების ჩადინება უნდა მოხდეს შენობის გარეთ მოწყობილ სეპტიკურ ავზში.

„ბ“ კატეგორიის II ჯგუფის სკოლებში გარე სანიტარიული კვანძის მიმართ წაყენებულია შემდეგი ძირითადი მოთხოვნები:

- „ბ“ კატეგორიის სკოლების II ჯგუფისათვის გარე სანიტარიული კვანძი უნდა მოეწყოს სეპტიკური ავზის თავზე ან ცალკე შენობაში, რომელიც მილგაყვანილობით იქნება დაკავშირებული სეპტიკურ ავზთან;
- გარე სანიტარიული კვანძი სკოლის შენობიდან, სათამაშო და დასასვენებული მოედნიდან დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ 20 და არაუმეტეს 100 მეტრით.

საპირფარეშოს დაშორება ჭებისა და წყალმომარაგების წყაროების "კაპტაჟებიდან[1]" უნდა შეადგენდეს 30-50 მ-ს;

გარე სანიტარიულ კვანძს აუცილებელად უნდა ჰქონდეს:

ა) საასენიზაციო სეპტიკი წყალგაუმტარი ფსკერით, კედლებითა და სახურავით;

ბ) მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადით აღჭურვილი სავენტილაციო მილი;

გ) ბუნებრივი და ხელოვნური განათება;

დ) ხელსაბანი;

ე) საპირფარეშოსთან მისასვლელი მოკირწყლული ბილიკი;

ვ) სკოლის საპირფარეშოებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს პრივატულობა და დაცულობა.

- იმ სკოლებში, სადაც არ არის უზრუნველყოფილი მუდმივი წყლის მიწოდება, უნდა დამონტაჟდეს სამარაგო ავზი სანიტარიული კვანძების წყალმომარაგების მიზნით;
- სოფლად და იმ ტერიტორიებზე, სადაც არ არის წყალ-საკანალიზაციო გაყვანილობა, ეზოს საპირფარეშოები სანიტარიული წესებისა და ჰიგიენური მოთხოვნების შესაბამისად მოეწყოს;
- აუცილებელია სკოლის საპირფარეშოების ინტენსიურად დასუფთავება და ტექნიკური გამართულობის შემოწმება, რათა მუდმივ რეჟიმში ვუზრუნველყოფთ სუფთა და ფუნქციონირებადი საპირფარეშოების ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალისათვის;
- სკოლის ადმინისტრაციამ უნდა დაადგინოს საპირფარეშოს დასუფთავების წესები და პერიოდულობა, უნდა განსაზღვროს დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა;
- სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის, აუცილებელია სპეციალურად ამ მიზნებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის გამოყენება, რომელიც განცალკევებით ინახება და ექვემდებარება დამუშავებას ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდეგ;
- სკოლის სათავსების დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები უნდა ინახებოდეს სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში თავდაპირველი შეფუთვით, რათა

[1] ფრანგული ტერმინი - ნიშნავს ნაგებობას წყაროს გამოსვლის ადგილზე, მიწისქვეშა წყაროს მოქცევას მილებში, ჭებში და ა.შ

შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირთათვის;

- სკოლის წლიურ ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იყოს სანიტარიული კვანძების დასუფთავების, საპნითა და ხელის გამშრალების საშუალებით უზრუნველყოფის ხარჯები.

დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის უზრუნველყოფისათვის დადგენილი ზოგადი მოთხოვნები

- სკოლის ტერიტორია ყოველდღიურად უნდა დასუფთავდეს, ხოლო ნაგავი მოგროვდეს და ჩაიყაროს ეზოში არსებულ თავსახურიან ნაგავშემკრებ კონტეინერებში, რომელიც სკოლის შენობიდან 25-30 მეტრის მოშორებით უნდა იყოს განთავსებული;
- სკოლაში აუცილებელია ყოველდღიურად მყარი ნარჩენების შეგროვება საკლასო ოთახებში, სამზარეულოში, ადმინისტრაციულ და სხვა სახის სათავსებში და, შემდგომ, სკოლის შენობიდან უსაფრთხოდ გატანა;
- ნაგვის კონტეინერების დაცლა, მათი 3/4-ით გავსებისთანავე უნდა ხდებოდეს, რომ არ გადაივსოს;
- ნაგვის ლპობისა და ხრწნის თავიდან აცილების მიზნით, ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს კონტეინერების გატანა სკოლის ტერიტორიიდან, განსაკუთრებით – წლის თბილ პერიოდში. კონტეინერები უნდა გაირეცხოს ყოველთვიურად და ჩაუტარდეს დეზინფექცია (10%-იანი ქლორიანი კირის ხსნარით, 60 წთ-ის განმავლობაში, ან სხვა ნებისმიერი შესაბამისი დეზინფექტანტით);
- სკოლაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს გამოყენებული წყლების მოცილება/არინება და სეპტიკური ავზების დაცლა დროულად და უსაფრთხოდ;
- სკოლის ადმინისტრაციის ორგანიზებით, სპეციალიზებული სამსახურის მეშვეობით, პერიოდულად, მწერებისა და მღრღნელების გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებებით (დეზინსექცია, დერატიზაცია) უნდა დამუშავდეს ნარჩენების კონტეინერების განთავსების ადგილი, ასევე საწყობები და სარდაფები.

შეფასების პროცესში აღნიშნული ძირითადი დასკვნები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ბათუმის მუნიციპალიტეტი

ბათუმის N22 საჯარო სკოლა

ქალაქ ბათუმის N22 საჯარო სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში ირიცხება 1517 მოსწავლე (701 გოგონა და 816 ვაჟი), მათგან 1 ვაჟი და 1 გოგონა არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ). პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 85–ს (4 მამაკაცი და 81 ქალი). სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო. მოსწავლეთა თვითმმართველობა არ ფუნქციონირებს. დირექციის განცხადებით, სკოლაში ყოველწლიურად ტარდება თვითშეფასება, რის საფუძველზეც ხდება მომავალი წლის განვითარების გეგმის შემუშავება. (წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები აღნიშნული გეგმის პრიორიტეტებს არ განეკუთვნება).

სკოლა სარგებლობს ჭაბურღილის წყლით, რომელიც სათანადოდ დახურულ და მოვლილ რეზერვუარში გროვდება. სკოლას წყალი ყოველდღიურად, თუმცა შეზღუდული რაოდენობით (საათობრივი გრაფიკით) მიეწოდება, მაგრამ არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად და სანიტარიული მიზნებისათვის). სკოლაში არსებული წყლის გაწმენდა ხდება პერიოდულად (ქლორაცია). შენობაში სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და უმცროსი ასაკის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით. ალტერნატიული წყლის მიწოდების წყარო სკოლას არ გააჩნია.

სკოლის შენობაში განთავსებულია ჩასარეცხი საპირფარეშოები (პისუარები არა აქვთ). სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 32 ერთეული: 15 – გოგონებისათვის, 15 – ვაჟებისა და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. ვიზიტის დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები სათანადოდ იყო დაცული. სკოლაში ფუნქციონირებს სულ 27 ხელსაბანი, რომელთაგან 22 მოწყობილია სანიტარიულ კვანძებთან. შეფასების მომენტში სველი წერტილების ნაწილი არ ფუნქციონირებდა, არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ თითქმის არცერთი მოსწავლე არ იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. სკოლას არ ჰყავს ჰიგიენის საკითხებში სპეციალურად გადამზადებული, მინიმუმ, ერთი მასწავლებელი მაინც, თუმცა დირექცია აცხადებს, რომ ჰიგიენის შესახებ საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები მათთვის ხელმისაწვდომია. სკოლას აქვს უფროსი კლასის გოგონებისათვის უსაფრთხო და პირადი მენსტრუალური ჰიგიენის ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული პროგრამა. მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს მედიკამენტები დაურიგდათ.

მყარი ნარჩენების (ნაგვის) შეგროვება და გატანა თითქმის ყოველდღიურად ხდება სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე. ვიზიტის დროს სანიტარიული ობიექტის უმეტესი ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არასრულად ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექცია წყლის მიწოდების სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად სკოლას მიიჩნევს, მაგრამ ამ მხრივ სკოლაში გარკვეული ხარვეზები აღინიშნა. სკოლა იღებს პასუხისმგებლობას სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. შეფასების მომენტში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ დარღვეული იყო (მაგ., საპირაფრეშო ოთახი არ იყო ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდებოდა). შეფასების მომენტში გამოვლენილი მოსწავლეთა ცნობიერების დაბალი დონე და არასათანადო ქცევა ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესების აუცილებლობას ადასტურებს.

ბათუმის N23 საჯარო სკოლა

ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში ირიცხება 194 მოსწავლე (94 გოგონა და 100 ვაჟი), მათ შორის 1 გოგონა არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 28-ს (2 მამაკაცი და 26 ქალი). სკოლაში მოქმედებს სამეურვეო საბჭო, მაგრამ არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა ან რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. დირექციის განცხადებით, სკოლაში ყოველწლიურად ახდენენ თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც სკოლის დირექცია ადგენს მომავალი წლის განვითარების გეგმას. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები აღნიშნული გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა სარგებლობს ჭაბურღილის წყლით, რომელიც რეზერვუარში გროვდება (რეზერვუარი არ არის სათანადოდ მოვლილი და დახურული). სკოლას წყალი ყოველდღიურად მიეწოდება და არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად და სანიტარიული მიზნებისათვის). სკოლაში არსებული წყლის გაწმენდა არ

ხდება, რადგან ზუსტად არავინ არ იცის, ეს როგორ უნდა გაკეთდეს. სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობებისა და უმცროსი ასაკის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს საზიარო ჭურჭლით სვამენ. ალტერნატიული წყლის მიწოდების წყარო სკოლაში არ არის.

სკოლის შენობაში განთავსებულია ჩასარეცხი საპირფარეშოები (პისუარები არა აქვთ). სკოლაში სულ არის 6 საპირფარეშო: 2–გოგონებისათვის, 2– ვაჟებისათვის, 1–პედაგოგებისათვის და ერთიც საერთო სარგებლობისაა. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. ვიზიტის დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დაცული. სკოლაში არსებობს სულ 4 ხელსაბანი, რომელთაგან 2 მოწყობილია სანიტარიულ კვანძთან. შეფასების მომენტში წყალი მხოლოდ ერთ ხელსაბანთან იყო ხელმისაწვდომი, ხოლო საპონი და ხელსახოცი არსად არ იყო. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ გარკვეული ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. დირექცია აცხადებს, რომ სკოლაში ჰყავთ სპეციალურად გადამზადებული მასწავლებლები, თუმცა ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები მათთვის ხელმისაწვდომი არ არის. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს (ნაგვის) რეგულარულად არ აგროვებენ და სათანადო გრაფიკის გარეშე იქვე, სკოლის ტერიტორიასთან ახლოს წვავენ. ვიზიტის დროს სანიტარიული ობიექტის უმეტესი ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული, ამგვარად, ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექცია წყლის მიწოდების სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად სკოლას ასახელებს. ამ მხრივ სკოლაში გარკვეული ხარვეზები აღინიშნა, რაც სისტემის ფუნქციონირებისათვის საჭირო ენერგომატარებლების დეფიციტს უკავშირდება. სკოლა პასუხისმგებლობას იღებს სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. შეფასების მომენტში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დარღვეული (მაგ., საპირფარეშოები არ იყო ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდებოდა). გასაუმჯობესებელია სკოლაში ჰიგიენის საკითხების სწავლება, რაზეც შეფასების მომენტში გამოვლენილი მოსწავლეთა ცნობიერების დაბალი დონე და არასათანადო ქცევა ადასტურებს.

ბათუმის N25 საჯარო სკოლა

ქალაქ ბათუმის N25 საჯარო სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში ირიცხება 843 მოსწავლე (412 გოგონა და 431 ვაჟი), მათგან 4 ვაჟი და 2 გოგონა არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 53–ს (4 მამაკაცი და 49 ქალი). სკოლაში მოქმედებს მშობელთა კომიტეტი და სხვადასხვა კლუბი (სამოქალაქო, თეატრალური და ა.შ.). მოსწავლეთა თვითმმართველობა არ ფუნქციონირებს. დირექციის განცხადებით, სკოლის ადმინისტრაცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც განსაზღვრავს მომავალი წლის განვითარების გეგმას. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები აღნიშნული გეგმის პრიორიტეტებს არ განეკუთვნება.

სკოლა სარგებლობს ჭაბურღილის წყლით, რომელიც სათანადოდ დახურულ და მოვლილ რეზერვუარში გროვდება. სკოლას წყალი ყოველდღიურად მიეწოდება, თუმცა შეზღუდული რაოდენობით (საათობრივი გრაფიკით), შესაბამისად, არსებული წყლის რესურსი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად და სანიტარიული მიზნებისათვის). სკოლაში არ ხდება არსებული წყლის გაწმენდა, რადგან პერსონალის აზრით, ის მიჩნეულია უსაფრთხოდ (აქვთ შესაბამისი ლაბორატორიული ანალიზის პასუხი). შენობაში სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და უმცროსი ასაკის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით. ალტერნატიული წყლის მიწოდების წყარო სკოლას არ გააჩნია.

სკოლის შენობაში განთავსებულია ჩასარეცხი საპირფარეშოები (პისუარები არა აქვთ). სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 27 ერთეული: 13–გოგონებისათვის, 12– ვაჟებისა და 2–პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და უმცროსი ასაკის მოსწავლეებზე. ვიზიტის დღეს მოსწავლეთა საპირფარეშო ნაწილობრივ სუფთა იყო, ხოლო პედაგოგთა საპირფარეშო სუფთად გამოიყურებოდა. სკოლაში ფუნქციონირებს სულ 10 ხელსაბანი, რომელთაგან 8 მოწყობილია სანიტარიულ კვანძში. შეფასების დღეს თითოეულ ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იდო საპონი, ხელსახოცი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ თითქმის არცერთი მოსწავლე არ იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. სკოლას არ ჰყავს ჰიგიენის საკითხებში სპეციალურად გადამზადებული, მინიმუმ, ერთი მასწავლებელი მაინც, თუმცა დირექცია აცხადებს, რომ ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები მათთვის ხელმისაწვდომია. სკოლას აქვს უფროსი კლასის

გოგონებისათვის უსაფრთხო და პირადი მენსტრუალური ჰიგიენის ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული პროგრამა. მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს საჭირო მედიკამენტები დაურიგდათ.

მყარი ნარჩენების (ნაგვის) შეგროვება და გატანა ხდება კვირაში დაახლოებით ერთხელ, შესაბამისი დასუფთავების სამსახურის სანაგვე ურნაში. ვიზიტის დროს სანიტარიული ობიექტის ნაწილი გადავსებული იყო, ამგვარად, ნარჩენების უტილიზაცია სრულიად უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა.

სკოლის დირექცია წყლის მიწოდების სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად თანაბრად ასახელებს სკოლას, ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ადგილობრივ მუნიციპალურ სამსახურს. ამ მხრივ სკოლაში გარკვეული ხარვეზები აღინიშნა. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. შეფასების მომენტში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ დარღვეული იყო. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება, რასაც შეფასების მომენტში გამოვლენილი მოსწავლეთა ცნობიერების დაბალი დონე და არასათანადო ქცევა ადასტურებს.

ბათუმის N29 საჯარო სკოლა

ქალაქ ბათუმის N29 საჯარო სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში ირიცხება 182 მოსწავლე (82 გოგონა და 100 ვაჟი), მათგან 1 ვაჟი არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 22–ს (4 მამაკაცი და 18 ქალი). სკოლაში არ მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა ან რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. დირექციის განცხადებით, სკოლაში ყოველწლიურად ტარდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც განსაზღვრავენ მომავალი წლის განვითარების გეგმას. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები აღნიშნული გეგმის პრიორიტეტებს არ განეკუთვნება.

სკოლის შენობას წყალი მილსადენის მეშვეობით ყოველდღიურად მიეწოდება, ამიტომ არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიული მიზნებისათვის). წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან ისედაც უსაფრთხოა სასმელად (ლაბორატორიულად დადასტურებულია). მოსწავლეებს არ მოაქვთ წყალი სახლიდან და სკოლაში არსებულ წყალს სვამენ საზიარო ჭურჭლით (ჭიქებით). წყლის

სასმელი მოწყობილობები ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) განთავსებულია „ორმოს“ და „ჩასარეცხი“ ტიპის საპირფარეშოები. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 6 ერთეული: 3 – გოგონებისათვის და 3 - ვაჟებისათვის. პედაგოგებს არა აქვთ ცალკე საპირფარეშო ოთახი. სანიტარიული კვანძი ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე, თუმცა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ადაპტირებული საპირფარეშო ოთახი დაკეტილია. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე ადაპტირებული საპირფარეშო ოთახით პედაგოგები სარგებლობენ და გასაღები სამასწავლებლოში ინახება. გოგონების საპირფარეშოს კარს შიდა საკეტები არა აქვს. ვიზიტის დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები მეტ-ნაკლებად იყო დარღვეული (განსაკუთრებით – ვაჟების საპირფარეშო ჯიხურში) – მათ სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს სულ 9 ხელსაბანი, რომელთაგან 7 მოწყობილია სანიტარიულ კვანძში. შეფასების დღეს თითოეულ ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იდო საპონი, ხელსახოცი კი – მხოლოდ ნახევარზე ნაკლებ ერთეულში. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ არცერთი მოსწავლე არ იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. სკოლას არ ჰყავს ჰიგიენის საკითხებში სპეციალურად გადამზადებული, მინიმუმ, ერთი მასწავლებელი მაინც, თუმცა დირექცია აცხადებს, რომ ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები მათთვის ხელმისაწვდომია. სკოლას აქვს უფროსი კლასის გოგონებისათვის უსაფრთხო და პირადი მენსტრუალური ჰიგიენის ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული პროგრამა. (საფენების დარიგების პროგრამა). მიმდინარე და გასულ სასწავლო წლებში მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე არ ჩატარებულა.

მყარი ნარჩენების (ნაგვის) შეგროვება და გატანა ხდება კვირაში დაახლოებით ერთხელ, სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე. ვიზიტის დროს სანიტარიული ობიექტის უმეტესი ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული, ამგვარად, ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექციამ ზუსტად არ იცის, ვინ არის პასუხისმგებელი სკოლაში წყლის მიწოდების სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე, რაც სისტემის ოპერირებისა და შენარჩუნების მწირ პრაქტიკასთან ერთად, მის გაუმართავობას განაპირობებს. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. შეფასების მომენტში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ დარღვეული იყო. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება, რასაც შეფასების მომენტში

გამოვლენილი მოსწავლეთა ცნობიერების დაბალი დონე და არასათანადო ქცევა ადასტურებს.

ბათუმის N31 საჯარო სკოლა

ქალაქ ბათუმის N31 საჯარო სკოლა წარმოადგენს დაწყებით საჯარო სკოლას. სკოლაში ირიცხება 85 მოსწავლე (32 გოგონა და 53 ვაჟი), მათგან 3 ვაჟი და 1 გოგონა არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 9-ს (ყველა ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა ან რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ნაკლებად პრიორიტეტულია სკოლისათვის.

სკოლას ეზოში წყალი მიეწოდება მილსადენის მეშვეობით, რომელიც ყოველღიურად არის ხელმისაწვდომი და საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიული მიზნებისათვის). მილსადენიდან წყალი რეზერვუარში გროვდება, რომელიც სათანადოდ არ არის დახურული და მოვლილი. წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან პერსონალის ინფორმაციით, ის უსაფრთხოა სასმელად (ლაბორატორიულად არის შემოწმებული). წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს წყაროს წყალი. მოსწავლეთა ნაწილს პლასტმასის ბოთლებით მოაქვს წყალი სახლიდან, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს პირდაპირ ონკანიდან სვამენ.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) მოწყობილია „ჩასარეცხი“ და „ორმოს“ ტიპის საპირფარეშოები (პისუარები არა აქვთ). სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 5 ერთეული: 2 – გოგონებისათვის, 1 – ვაჟებისა და ორიც – საერთო სარგებლობის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. ვიზიტის დღეს მოსწავლეთა საპირფარეშოები სუფთა იყო. სკოლაში ფუნქციონირებს სულ 2 ხელსაბანი, რომელიც მოწყობილია სანიტარიულ კვანძში. შეფასების დღეს თითოეულ ხელსაბანთან ხელმისაწვდომი იყო წყალი და საპონი, ხელსახოცი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეები ხელებს არ იბანენ საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. სკოლას არ ჰყავს ჰიგიენის საკითხებში სპეციალურად გადამზადებული, მინიმუმ, ერთი მასწავლებელი მაინც, თუმცა დირექცია აცხადებს, რომ ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები მათთვის ხელმისაწვდომია. მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს მედიკამენტები დაურიგდათ.

მყარი ნარჩენების (ნაგვის) შეგროვება და გატანა თითქმის ყოველდღიურად ხდება, სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე. ვიზიტის დროს სანიტარიული ობიექტის შეფასება ვერ მოხერხდა, ამგვარად, ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა.

სკოლის დირექცია წყლის მიწოდების სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. ამ მხრივ სკოლაში გარკვეული ხარვეზები აღინიშნა. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. შეფასების მომენტში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ დარღვეული იყო. არსებით გაუმჯობესებას მოითხოვს ჰიგიენის სწავლება, რასაც შეფასების მომენტში გამოვლენილი მოსწავლეთა ცნობიერების დაბალი დონე და არასათანადო ქცევა ადასტურებს.

ქედის მუნიციპალიტეტი

გეგელიძეების საჯარო სკოლა

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეებში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 246756238). შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 43 მოსწავლე (21 ვაჟი და 22 გოგონა), რომელთა შორის არავინ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 22–ს (13 ქალი და 9 მამაკაცი). სკოლაში არ არსებობს არც მშობელთა და არც პედაგოგთა ორგანიზაცია – არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. დირექტორის განცხადებით, სკოლის განვითარების გეგმა ნაკლებად ითვალისწინებს წყლისა და სანიტარიის საკითხებს, ზოგადად, ეს თემა ნაკლებად პრიორიტეტულია სკოლისათვის.

სკოლის შენობას წყალი მიეწოდება მილსადენის მეშვეობით, რომელიც ყოველღიურად არის ხელმისაწვდომი და საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიული მიზნებისათვის). მილსადენიდან წყალი რეზერვუარში გროვდება. წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში არსებული წყალი უსაფრთხოა სასმელად (თუმცა ლაბორატორიულად შემოწმებული არ არის). რეზერვუარი სათანადოდ არის დახურული და იწმინდება (ირეცხება) ყოველ 2 თვეში ერთხელ. ბავშვებს არ მოაქვთ ბოთლებით წყალი სახლიდან და სკოლაში არსებულ წყალს სვამენ საზიარო ჭურჭლით (ჭიქებით).

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) მოწყობილია „ორმოს“ სანიტარიული კვანძი. სკოლაში სულ არის 3 საპირფარეშო გოგონებისათვის და 4 – ვაჟებისათვის (სტანდარტის მიხედვით კი, პირიქით უნდა იყოს). პედაგოგებს არა აქვთ ცალკე საპირფარეშო ოთახი. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების მომენტში ყველა საპირფარეშოში მძიმე ანტისანიტარია იყო. მათ დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები. საპირფარეშოსთან არ არის მოწყობილი ხელსაბანი, შესაბამისად, ბავშვების უმეტესობა ხელებს არ იბანს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ. სანიტარიული კვანძის მოშორებით სკოლაში არის 2 ხელსაბანი. შეფასების მომენტში ორივე წერტილში ხელმისაწვდომი იყო წყალი, საპონი და ხელსახოცი.

სკოლაში გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო პროგრამა. სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ხელმისაწვდომია სანიტარია-ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, თუმცა არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში.

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლიდან ორგანიზებულად ხდება მყარი ნარჩენების გატანა, კერძოდ, ნარჩენებს ყოველდღიურად ცლიან მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნებში. აღნიშნულის მიუხედავად, შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით იყო გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა, რის გამოც ეზოს ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს პასუხისმგებელ უწყებად წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე. სისტემა მიმდინარე სასწავლო წელს განახლდა და არანაირი შეფერხება არ აღინიშნება. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ სკოლაში მძიმე ანტისანიტარიული მდგომარეობაა. სათანადოდ არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, რასაც შეფასების მომენტში სკოლაში არსებული მდგომარეობაც ადასტურებს.

ვაიოს საჯარო სკოლა

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაიოში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 24676086). შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 72 მოსწავლე (32 ვაჟი და 40 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 19–ს (11 ქალი და 8 მამაკაცი). სკოლაში არ არსებობს მშობელთა, პედაგოგთა ან რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, თუმცა

ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც მონაწილეობს WaSH–ის მხარდაჭერაში. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც მომავალი წლის განვითარების გეგმას განსაზღვრავენ. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყალი მილსადენის მეშვეობით შემოდის, რომელიც ყოველღიურად არის ხელმისაწვდომი და საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიული მიზნებისათვის). მილსადენიდან წყალი რეზერვუარში გროვდება. წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში მომდინარე წყალი გამოყენების მიზნით უსაფრთხოა (თუმცა ლაბორატორიულად შემოწმებული არ არის). რეზერვუარი სათანადოდ არის დახურული და პერიოდულად იწმინდება. ბავშვების ნაწილს ბოთლებით მოქვს წყალი სახლიდან, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს საზიარო ჭურჭლით (ჭიქებით) სვამენ.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) მოწყობილია გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის და 2 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების მომენტში ყველა საპირფარეშოში მძიმე ანტისანიტარია იყო. მათ დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები. სანიტარიულ კვანძთან მოწყობილია 3 ხელსაბანი, თუმცა ბავშვების უმეტესობა ხელებს არ იბანს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ. სანიტარიული კვანძის მოშორებით სკოლაში არის კიდევ ერთი ხელსაბანი, თუმცა, მხოლოდ პედაგოგებისათვის განკუთვნილი. შეფასების მომენტში ხელსაბანებთან ხელმისაწვდომი იყო წყალი და საპონი, ხელსახოცი - არა.

სკოლაში გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო პროგრამა. სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები სანიტარია-ჰიგიენის შესახებ.

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლიდან ორგანიზებულად ხდება მყარი ნარჩენების გატანა, კერძოდ, ნარჩენებს ყოველდღიურად ცლიან მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნებში. აღნიშნულის მიუხედავად, შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით იყო გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა, რის გამოც ეზოს ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს პასუხისმგებელ უწყებად წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე. აღსანიშნავია, რომ არანაირი შეფერხება არ აღინიშნება. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ სკოლაში არ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. სათანადოდ არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, რასაც შეფასების მომენტში სკოლაში არსებული მდგომარეობაც ადასტურებს.

მეძიბნის საჯარო სკოლა

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მეძიბნაში არსებული სკოლა წარმოადგენს არასრულ საჯარო სკოლას (ID: 246765111). შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა მხოლოდ 26 მოსწავლე (11 ვაჟი და 15 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 14–ს (4 ქალი და 10 მამაკაცი). სკოლაში არ არსებობს მშობელთა, პედაგოგთა ან რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია და არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. დირექტორის განცხადებით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც ადგენენ მომავალი წლის განვითარების გეგმას. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმაში საერთოდ არ არის ნახსენები.

სკოლის შენობაში მილსადენის მეშვეობით ყოველდღიურად შემოდის წყალი, რომელიც რეზერვუარში გროვდება. შესაბამისად, სკოლაში არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიული მიზნებისათვის). წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, წყაროს წყალი უსაფრთხოა სასმელად (ლაბორატორიულად შემოწმებული არ არის). რეზერვუარი სათანადოდ არის დახურული და პერიოდულად იწმინდება. მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და სკოლაში არსებულ წყალს სვამენ საზიარო ჭურჭლით (ჭიქებით).

სკოლის ეზოში(შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) მოწყობილია გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის და 2 – ვაჟებისათვის (მაშინ, როდესაც გოგონების რაოდენობა აღემატება ვაჟებისას). პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების მომენტში საპირფარეშოს ყველა ერთეული ანტისანიტარიულ იყო. მათ დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები. სანიტარიულ კვანძთან მოწყობილია 1 ხელსაბანი, მაგრამ მოსწავლეების უმეტესობა ხელებს არ იბანს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ. სანიტარიული კვანძის მოშორებით სკოლაში არის კიდევ ერთი ხელსაბანი. შეფასების მომენტში თითოეულ ხელსაბანთან იყო ხელმისაწვდომი წყალი და საპონი, ხელსახოცი - არა.

სკოლაში გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო პროგრამა. სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები სანიტარია-ჰიგიენის შესახებ.

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლიდან ორგანიზებულად ხდება მყარი ნარჩენების გატანა. კერძოდ, ნარჩენებს კვირაში ორჯერ ცლიან მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნებში, თუმცა შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა, რის გამოც ეზოს ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს პასუხისმგებელ უწყებად წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე. სისტემა ახალი გარემონტებულია და არანაირი შეფერხება არ აღინიშნება. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ სკოლაში არ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ამასთან, სათანადო ნოდეზე არ ხდება ჰიგიენის სწავლება, ამიტომ დაბალია ცნობიერების დონე WaSH–ის საკითხებთან მიმართებაში, რაზედაც შეფასების მომენტში მოსწავლეთა ქცევა და სკოლაში არსებული მდგომარეობაც მიუთითებს.

ჯალაბაშვილების საჯარო სკოლა

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯალაბაშვილებში არსებული სკოლა წარმოადგენს არასრულ საჯარო სკოლას (ID: 246760679). შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა მხოლოდ 17 მოსწავლე (9 ვაჟი და 8 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 14–ს (10 ქალი და 4 მამაკაცი). სკოლაში არ არსებობს მშობელთა, პედაგოგთა ან რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია და არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. დირექტორის განცხადებით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც ადგენენ მომავალი წლის განვითარების გეგმას. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმის პრიორიტეტებს მიეკუთვნება.

სკოლის შენობაში წყალი მილსადენის მეშვეობით შემოდის, რომელიც რეზერვუარში გროვდება. წყალი ყოველღიურად არის ხელმისაწვდომი. არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიული მიზნებისათვის). წყლის

გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, წყალი უსაფრთხოა სასმელად (ლაბორატორიულად შემოწმებული არ არის). რეზერვუარი სათანადოდ არის დახურული და პერიოდულად იწმინდება. მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და სკოლაში არსებულ წყალს სვამენ საზიარო ჭურჭლით (ჭიქებით).

სკოლის შენობაში მოწყობილია „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის და 1 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების მომენტში ყველა საპირფარეშოში მძიმე ანტისანიტარია იყო. მათ დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები. სანიტარიულ კვანძთან მოწყობილია 1 ხელსაბანი, თუმცა მოსწავლეების დაახლოებით მხოლოდ ნახევარი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ. სანიტარიული კვანძის მოშორებით სკოლაში არის კიდევ 2 ხელსაბანი. შეფასების მომენტში თითოეულ ხელსაბანთან იყო ხელმისაწვდომი წყალი და საპონი, ხელსახოცი - მხოლოდ ზოგიერთთან.

სკოლაში გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო პროგრამა. სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში არ არის საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები სანიტარია-ჰიგიენის შესახებ.

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლიდან ორგანიზებულად ხდება მყარი ნარჩენების გატანა. კერძოდ, ნარჩენებს ყოველდღიურად ცლიან მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნებში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული არ იყო. სკოლაში არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა, რის გამოც ეზოს ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს პასუხისმგებელ უწყებად წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე. სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ხელს უშლის მეწყრული მოვლენები, რომელიც წყლის მილებს ერთმანეთს აშორებს. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ სკოლაში მძიმე ანტისანიტარიაა. ამასთან, სათანადოდ არ ხდება ჰიგიენის სწავლება, ამიტომ დაბალია ცნობიერების დონე WaSH–ის საკითხებთან მიმართებაში, რაზედაც შეფასების მომენტში მოსწავლეთა ქცევა და სკოლაში არსებული მდგომარეობაც მეტყველებს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ბუკნარის საჯარო სკოლა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში არსებული სკოლა წარმოადგენს არასრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 57 მოსწავლე (35 ვაჟი და 22 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 13–ს (9 ქალი და 4 მამაკაცი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც პერიოდულად აწყობს დასუფთავების აქციებს. დირექტორის განცხადებით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება და აქვთ სკოლის განვითარების ხუთწლიანი გეგმა. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმის პრიორიტეტს წარმოადგენს, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ სკოლამ მაქსიმალურად შეამცირა ხარჯები სხვა საჭიროებებზე და მთელი ფინანსები შენობის შიგნით არსებული საპირფარეშო ოთახების კეთილმოწყობაზე მიმართა.

სკოლა აშენდა 1959-1960 სასწავლო წელს. მას შემდეგ შენობას კაპიტალური რემონტი არ ჩასტარებია. დღესდღეობით სკოლა სარემონტოა, რის გამოც გაძნელებულია სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების სათანადოდ დაცვა. აჭარის ა.რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსგან არის სიტყვიერი დაპირება იმის შესახებ, რომ სკოლას ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია, ან არსებული შენობა დაინგრევა და სხვა ტერიტორიაზე აშენდება ახალი ნაგებობა.

სკოლა ყოველდღიურად სარგებლობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით. სკოლაში არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ, რადგან მისი მიწოდება ხდება იმავე წყალმომარაგების კომპანიის მიერ, რომელიც ამარაგებს ქალაქ ბათუმს სასმელი წყლით. ამგვარად, არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და გამოიყენება სასმელად და სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის. წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას წყაროს წყალი წარმოადგენს. სკოლაში არსებული სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, თუმცა ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს მოსწავლეები საკუთარი ჭურჭლის გამოყენებით სვამენ.

სკოლის შენობაში განთავსებულია „ჩასარეცხი“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის და 2 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს მოსწავლეთა საპირფარეშოს 3 ერთეულში სანიტარიული ნორმები დაცული იყო, ხოლო დარჩენილ ნაწილში – ნაწილობრივ დარღვეული. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებლობა დამლაგებლებს აკისრიათ. სკოლაში

არის 4 ხელსაბანი, აქედან 3 მოწყობილია სანიტარიულ კვანძებთან. ვიზიტის მომენტში ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი და ბევრგან ხელმისაწვდომი იყო საპონი, თუმცა ხელსახოცი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ გარკვეული ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არა აქვთ სანიტარია-ჰიგიენის შესახებ. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში მოქმედებს უფროსი ასაკის გოგონებისათვის უსაფრთხო მენსტრუალური ჰიგიენის ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული პროგრამა (აქვთ საფენების მარაგი).

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში დაგროვილი მყარი ნარჩენების ნაწილს სკოლის ტერიტორიაზევე წვავენ, ნაწილი კი დასუფთავების მუნიციპალურ სამსახურს გააქვს, მათი თქმით, თითქმის ყოველდღიურად. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. სკოლაში გამართულად არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ხელს უშლის ცენტრალური წყალსადენი მილის დაზიანება. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ სკოლაში არსებული მდგომარეობა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია. ამასთან, არასათანადოდ ხდება ჰიგიენის სწავლება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და სკოლისათვის საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების მიწოდება.

კოხის საჯარო სკოლა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხში არსებული სკოლა წარმოადგენს არასრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 43 მოსწავლე (20 ვაჟი და 23 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 15–ს (14 ქალი და 1 მამაკაცი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა არ არის ჩართული WaSH-ის მხარდაჭერაში. დირექტორის განცხადებით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც დგება სკოლის განვითარების ერთწლიანი და ხუთწლიანი გეგმა. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს, რაზეც მეტყველებს

ის ფაქტი, რომ სკოლის სახსრებით განხორციელდა წყლის სისტემის ხელახალი შემოყვანა სკოლის ტერიტორიაზე.

სკოლა ყოველდღიურად სარგებლობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით, რომელიც სკოლის ეზოში შემოდის. სკოლაში არსებული წყალი, პერსონალის სუბიექტური აზრით, გამოყენების მიზნით უსაფრთხოა, (რადგან სოფლის მოსახლეობაც იმავე წყალს იყენებს სასმელად). ამგვარად, სკოლაში არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და გამოიყენება როგორც სასმელად, ასევე სანიტარიულ–ჰიგიენური მიზნებისათვის. წყლის მიწოდების ალტერნატიული საშუალება ან რეზერვუარი სკოლას არა აქვს. სკოლაში არსებული სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებზე, თუმცა ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს მოსწავლეები პირდაპირ ონკანიდან სვამენ (წყლის შადრევანი).

სკოლა აშენდა 1966 წელს და მას შემდეგ შენობას კაპიტალური რემონტი აღარ ჩასტარებია, თუმცა დირექტორის განცხადების მიხედვით, აჭარის ა.რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ დააფინანსა პროექტი და, ამდენად, მიმდინარე წლის ზაფხულში მოსალოდნელია სარემონტო სამუშაოების დაწყება. აღნიშნული პროექტით გათვალისწინებულია საპირფარეშო ოთახების მოწყობა სკოლის შენობაში. ამჟამად კი სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) განთავსებულია „ორმოს“ ტიპის საპირფარეშოს ჯიხური. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის და 2 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე (შშმ). ვიზიტის დღეს მოსწავლეთა საპირფარეშოს 2 ერთეულში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დარღვეული, ხოლო დარჩენილ ნაწილში მძიმე ანტისანიტარიული ვითარება აღინიშნა. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებლობას დამლაგებლები დირექციასთან ერთად ინაწილებენ. ზოგადად, საპირფარეშოები საკმაოდ შორს (დაახლოებით 150 მეტრში) არის განთავსებული სკოლის შენობიდან, იქამდე მისასვლელი გზა მოუწესრიგებელია და უხვი ნალექის შემთხვევაში – ძნელად მისადგომია. მოსწავლეებთან საუბრისას დადგინდა, რომ ისინი ნაკლებად სარგებლობენ საპირფარეშო ოთახით. სკოლაში არის მხოლოდ 1 ხელსაბანი, რომელიც სანიტარიულ კვანძს საკმარისი მანძილით არის დაშორებული. ვიზიტის მომენტში ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა ხელმისაწვდომი არ იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ (– ისიც საპნის გარეშე).

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს

გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ სანიტარია-ჰიგიენის შესახებ. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში მოქმედებს უფროსი კლასის გოგონებისათვის უსაფრთხო და პირადი მენსტრუალური ჰიგიენის ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული პროგრამა (მენსტრუალური განათლება).

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლიდან ორგანიზებულად ხდება მყარი ნარჩენების გატანა. კერძოდ, ნარჩენებს ყოველდღიურად ცლიან მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნებში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული არ იყო. სკოლაში სრულყოფილად არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა, რის გამოც ეზოს ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ხელს უშლის სათავე ნაგებობასთან დაკავშირებული პრობლემები. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ სკოლაში ამჟამად არსებული მდგომარეობა მეტად არადამაკმაყოფილებელია. ამასთან, სკოლაში ნაკლები ყურადღება ექცევა ჰიგიენის სწავლებას - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და სკოლისათვის საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების მიწოდება.

ნაკაიძეების საჯარო სკოლა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაკაიძეებში არსებული სკოლა წარმოადგენს არასრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 46 მოსწავლე (24 ვაჟი და 22 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 14–ს (13 ქალი და 1 მამაკაცი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც მონაწილეობას იღებდა ნიკო კეცხოველის სასკოლო კონკურსში (დააგროვა 35 000 ქულა). დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც დგება სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმის პრიორიტეტებს არ განეკუთვნება.

სკოლა ყოველდღიურად სარგებლობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით, რომელიც სკოლის ეზოში შემოდის. სკოლაში არსებული წყალი, პერსონალის სუბიექტური აზრით, გამოყენების მიზნით უსაფრთხოა, (რადგან სოფლის მოსახლეობაც იმავე წყალს იყენებს სასმელად). ამგვარად, სკოლაში არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის

საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და გამოიყენება როგორც სასმელად, ასევე სანიტარიულ–ჰიგიენური მიზნებისათვის. სკოლაში აქვთ რეზერვუარი, რომელიც არ არის სათანადოდ დახურული და მოვლილი. რეზერვუარის წყალს მხოლოდ საპირფარეშო ოთახების დასასუფთავებლად იყენებენ. სკოლაში არსებული სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე (შშმ), თუმცა ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, ხოლო სკოლაში არსებული წყალს მოსწავლეები საზიარო ჭურჭლის (ჭიქების) გამოყენებით სვამენ.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) განთავსებულია „ჩასარეცხი“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური, რომელიც 2011 წელს აშენდა. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის და 1 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს მოსწავლეთა საპირფარეშოს 1 ერთეულში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დარღვეული, ხოლო მეორე ნაწილში მძიმე ანტისანიტარიული ვითარება აღინიშნა. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებლობას დამლაგებლები დირექციასთან ერთად ინაწილებენ. ზოგადად, საპირფარეშოები უხვი ნალექის შემთხვევაში ძნელად მისადგომია. სკოლაში სულ არის 2 ხელსაბანი, რომელიც სანიტარიულ კვანძს საკმარისი მანძილით არის დაშორებული. ვიზიტის მომენტში თითოეულ ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა მხოლოდ ერთ წერტილში იყო ხელმისაწვდომი საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ გარკვეული ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ სანიტარია-ჰიგიენის შესახებ. მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ. დირექციის განცხადების მიხედვით, უფროსი კლასის გოგონებისათვის უსაფრთხო და პირადი მენსტრუალური ჰიგიენის ხელშეწყობის მიზნით, პედაგოგები საკუთარი ხარჯებით ყიდულობენ საფენებს და საჭიროების შემთხვევაში გოგონებს ურიგებენ.

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლიდან ორგანიზებულად ხდება მყარი ნარჩენების გატანა. კერძოდ, ნარჩენებს ყოველდღიურად ცლიან მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნებში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული არ იყო. სკოლაში ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ხელს უშლის წყალსადენი მილების დაზიანება და სათავე ნაგებობასთან დაკავშირებული პრობლემები. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ სკოლაში ამჟამად არსებული მდგომარეობა ნაწილობრივ არადამაკმაყოფილებელია. ამასთან, აღსანიშნავია, სკოლაში ნაკლები ყურადღება ექცევა ჰიგიენის სწავლებას - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და სკოლისათვის საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების მიწოდება.

ოჩხამურის საჯარო სკოლა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჩხამურში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 261 მოსწავლე (156 ვაჟი და 105 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 30–ს (25 ქალი და 5 მამაკაცი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და ეკოკლუბი, რომელიც აწყობს დასუფთავების აქციებს. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც დგება სკოლის განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმა. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმის პრიორიტეტებს არ განეკუთვნება.

სკოლას რემონტი 1006 წელს ჩაუტარდა, თუმცა უხარისხოდ: არ გამოიცვალა ძველი, კოროზირებული წყლის მილები, რომელიც მოგვიანებით დაზიანდა და დატბორა სკოლის შენობა. პრობლემის მოსაგვარებლად სკოლამ საკუთარი ხარჯებით ახალი მილები დაამონტაჟა. 2019-2020 წლებში სკოლაში კაპიტალური რემონტი იგეგმება, მათ შორის გათვალისწინებულია 2 ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობაც. სამუშაოებს ევროკავშირი და აჭარის ა.რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს.

ამჟამად სკოლა ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით სარგებლობს, რომელიც სკოლის შენობასა (გამოიყენება ხელების დასაბანად, უნიტაზის ჩასარეცხად) და ეზოში (გამოიყენება სასმელად) შემოდის. წყალი დღეგამოშვებით, შეზღუდული რაოდენობით არის ხელმისაწვდომი და სრულად ვერ აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს. სკოლაში არსებული წყალი, პერსონალის სუბიექტური აზრით, გამოყენების მიზნით უსაფრთხოა, (თუმცა აღნიშნული ფაქტი ლაბორატორიულად არ არის დადასტურებული). სკოლაში აქვთ აგრეთვე რეზერვუარი, რომელიც არ არის სათანადოდ დახურული და მოვლილი. რეზერვუარის წყალს ხელების დასაბანად და საპირფარეშო ოთახის დასასუფთავებლად იყენებენ. სკოლაში არსებული სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე პირებზე, თუმცა ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს მოსწავლეები საკუთარი ჭურჭლის (პლასტმასის ბოთლი PET) გამოყენებით სვამენ.

სკოლის შენობაში განთავსებულია „ჩასარეცხი“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 4 ერთეული გოგონებისათვის და 4 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს მოსწავლეთა საპირფარეშოს 2 ერთეულში სანიტარიული ნორმები დაცული იყო, 4 ერთეულში - ნაწილობრივ დარღვეული, ხოლო დანარჩენ ნაწილში მძიმე ანტისანიტარიული ვითარება აღინიშნებოდა. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებლობას დამლაგებლები ინაწილებენ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორთან ერთად. სკოლაში არის მხოლოდ 3 ხელსაბანი, რომელთაგან 2 სანიტარიულ კვანძთან მდებარეობს. ვიზიტის მომენტში თითოეულ ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა არსად არ იყო ხელმისაწვდომი საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ გარკვეული ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ (–ისიც საპნის გარეშე).

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. თუმცა, დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და სანიტარია-ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებიც ხელმისაწვდომია. მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში სხვა ორგანიზაციის დახმარებით ჩატარდა უფროსი ასაკის გოგონებისათვის უსაფრთხო მენსტრუალური ჰიგიენის ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული პროგრამა (დარიგდა საფენები).

სკოლის ადმინისტრაციის განცხადების მიხედვით, სკოლიდან ორგანიზებულად გააქვთ მყარი ნარჩენები. კერძოდ, ნარჩენებს ყოველდღიურად ცლიან მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნებში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული არ იყო. სკოლაში ფუნქციონირებს აგრეთვე დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ხელს უშლის სისტემის ხანდაზმულობა და ოპერირებისათვის საჭირო ენერგომატარებლების ნაკლებობა. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ

სკოლაში ამჟამად არსებული მდგომარეობა ნაწილობრივ არადამაკმაყოფილებელია. ამასთან, სკოლაში ნაკლები ყურადღება ექცევა ჰიგიენის სწავლებას, რაც უარყოფითად აისახება მოსწავლეთა ქცევაზე.

სკურას საჯარო სკოლა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სკურაში არსებული სკოლა წარმოადგენს არასრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 55 მოსწავლე (31 ვაჟი და 24 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 15–ს (13 ქალი და 2 მამაკაცი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც პერიოდულად აწყობს დასუფთავების აქციებს. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც მუშავდება სკოლის განვითარების ერთწლიანი და სამწლიანი გეგმა. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის მხრივ ძირითადი ყურადღება გამახვილებულია სადეზინფექციო საშუალებების შეძენაზე.

დირექციის ინფორმაციის თანახმად, 2019-2020 წლებში აჭარის ა.რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ იგეგმება სკოლის ახალი შენობის მშენებლობა. სამუშაოები გაწერილია 2 წელზე. ტენდერი გამოცხადდა წინა წელს, სამინისტრომ პროექტი შეისყიდა და შემდეგ გადასცა მუნიციპალიტეტს განსახორციელებლად. ახალ პროექტში გათვალისწინებულია სკოლის ყველა საჭიროება (პანდუსები, საპირფარეშოები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის), თუმცა დირექტორმა დანამდვილებით არ იცის, ჩატარდა თუ არა აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები.

სკოლა ყოველდღიურად სარგებლობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით, რომელიც შემოდის სკოლის ეზოში. სკოლაში არსებული წყალი, პერსონალის სუბიექტური აზრით, გამოყენების მიზნით უსაფრთხოა, (რადგან სოფლის მოსახლეობაც იმავე წყალს იყენებს სასმელად). ამგვარად, არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და გამოიყენება როგორც სასმელად, ასევე სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის. სკოლაში აქვთ აგრეთვე რეზერვუარი, რომელიც ამჟამად მწყობრიდან არის გამოსული. სკოლაში არსებული სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, თუმცა ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის. მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს მოსწავლეები საკუთარი ჭურჭლის (პლასტმასის ბოთლი PET) გამოყენებით სვამენ.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) განთავსებულია „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის და 2 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს

მოსწავლეთა საპირფარეშოს 1 ერთეულში სანიტარიული ნორმები დაცული იყო, 2 ერთეულში - ნაწილობრივ დარღვეული, ხოლო დანარჩენ ნაწილში მძიმე ანტისანიტარიული ვითარება აღინიშნებოდა. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებლობა დამლაგებლებს აკისრიათ. სკოლაში არის მხოლოდ 2 ხელსაბანი, რომელთაგან ერთი სანიტარიულ კვანძს საკმარისი მანძილით არის მოშორებული. ვიზიტის მომენტში ერთ ხელსაბანში მოდიოდა წყალი და ხელმისაწვდომი იყო საპონი, თუმცა ხელსახოცი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ გარკვეული ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში, თუმცა ხელმისაწვდომია შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში მოქმედებს უფროსი ასაკის გოგონებისათვის უსაფრთხო მენსტრუალური ჰიგიენის ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული პროგრამა (მენსტრუალური განათლება).

სკოლიდან ორგანიზებულად გააქვთ მყარი ნარჩენების გატანა. კერძოდ, ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნებში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული არ იყო. სკოლაში არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ხელს უშლის სათავე ნაგებობასთან დაკავშირებული პრობლემები. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ სკოლაში ამჟამად არსებული მდგომარეობა ნაწილობრივ არადამაკმაყოფილებელია. სკოლაში ნაკლები ყურადღება ექცევა ჰიგიენის სწავლებას, ამიტომ აუცილებელია პედაგოგთა გადამზადება.

ცეცხლაურის N1 საჯარო სკოლა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის N1 სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 236 მოსწავლე (109 ვაჟი და 127 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 26–ს (24 ქალი და 2 მამაკაცი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც მონაწილეობს WaSH-ის მხრდაჭერაში. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება,

რომლის საფუძველზეც დგება სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა. სკოლის განვითარების გეგმაში განსაკუთრებით პრიორიტეტულია წყალთან დაკავშირებული საკითხები. არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით სკოლაში გაკეთდა წყლის ჭაბურღილი. მოგვიანებით სკოლის ტერიტორიაზე მოეწყო წყლის მიწოდების ცენტრალიზებული სისტემა.

სკოლა სარგებლობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით, რომელიც შემოდის სკოლის შენობასა (გამოიყენება ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად) და ეზოში (გამოიყენება სასმელად). წყალი სკოლას ყოველდღიურად საათობრივი გრაფიკით მიეწოდება, ამდენად, არსებული წყლის რესურსი აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს. სკოლაში არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (ლაბორატორიულად დადასტურებულია). სკოლაში აქვთ აგრეთვე 10 ტონა ტევადობის რეზერვუარი, რომელიც არის სათანადოდ დახურული და მოვლილი. სკოლაში არსებული სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, თუმცა ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს მოსწავლეები პირდაპირ ონკანიდან (წყლის შადრევანი) სვამენ.

სკოლის შენობაში განთავსებულია „ჩასარეცხი“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 3 ერთეული გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 2 - პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). გოგონების საპირფარეშო ოთახში კარებს არა აქვს შიდა საკეტი, ამიტომ გოგონები პედაგოგი ქალების საპირფარეშო ოთახით სარგებლობენ, რომელშიც კარები შიგნიდან იკეტება. აღნიშნულიდან გამომდინარე კი, დიდ დასვენებებზე საპირფარეშოებთან რიგები დგება. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს მოსწავლეთა საპირფარეშოს 4 ერთეულში სანიტარიული ნორმები დაცული იყო, ხოლო 2 ერთეულში - ნაწილობრივ. პედაგოგთა საპირფარეშო ოთახში სანიტარიული ნორმები დარღვეული იყო. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებლობას დამლაგებლები მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორთან ერთად ინაწილებენ. აღსანიშნავია, რომ საპირფარეშოს ჩასარეცხი სისტემა გამართულად არ ფუნქციონირებს, ამიტომ ჩასარეცხად, ძირითადად, სათლი გამოიყენება. სკოლაში არის მხოლოდ 3 ხელსაბანი, რომელთაგან 2 სანიტარიულ კვანძთან მდებარეობს. ვიზიტის მომენტში ხელსაბანებში მოდიოდა წყალი, თუმცა არსად არ იყო ხელმისაწვდომი საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ გარკვეული ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ (– ისიც საპნის გარეშე).

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. პედაგოგებს არა აქვთ გავლილი

სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც სანიტარია-ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებია სკოლაში ხელმისაწვდომი. გასულ წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლაში არსებული ნაგვის ურნები დამტვრეულია, ამიტომ დაგროვილი მყარი ნარჩენები სკოლის ეზოში ერთ ადგილზე გროვდება და იწვება. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. ფეკალური მასები და გამოყენებული წყლები მთლიანად გადადის მიწისქვეშა ავზში. სკოლაში პერიოდულად მოდის სანიტარიული მანქანა, რომელიც ავზიდან მთლიან მასას ტუმბავს.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე დირექცია პასუხისმგებელ უწყებად მიიჩნევს შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს. სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ხელს უშლის სისტემის ოპერირებისათვის საჭირო ენერგომატარებლების ნაკლებობა, რის გამოც წყალი სკოლას გრაფიკით მიეწოდება. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ სკოლაში ამჟამად არსებული მდგომარეობა ნაწილობრივ არადამაკმაყოფილებელია. ამასთან, სკოლაში ნაკლები ყურადღება ექცევა ჰიგიენის სწავლებას, რაც უარყოფითად აისახება ჰიგიენის დაცვის თვალსაზრისით მოსწავლეთათვის საჭირო უნარ–ჩვევების განვითარებაზე.

ციხისძირის საჯარო სკოლა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 306 მოსწავლე (177 ვაჟი და 129 გოგონა), რომელთა შორის 1 ვაჟი იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 34–ს (28 ქალი და 6 მამაკაცი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვადასხვა სამოქალაქო კლუბები. მოსწავლეები აწყობენ ეკოლოგიური კვირეულებს, რომელთა ფარგლებშიც ხდება სკოლის ტერიტორიისა და სოფლის დასუფთავება. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც დგება სკოლის განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმა. სკოლის განვითარების გეგმებში ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია სკოლის დასუფთავების საკითხებზე და მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე.

სკოლა სარგებლობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით, რომელიც შემოდის სკოლის შენობასა (გამოიყენება ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად) და ეზოში (გამოიყენება სასმელად). სკოლას წყალი ყოველდღიურად უწყვეტი გრაფიკით მიეწოდება. არსებული წყლის რესურსი აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს, მაგრამ ზაფხულობით არც სოფელს და, მათ შორის, არც სკოლას არ მიეწოდება საკმარისი რაოდენობის წყალი. სკოლაში არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (რადგან ცენტრალიზებულად ხდება მიწოდება

მთელ სოფელში). სკოლაში აქვთ რეზერვუარი, რომელიც არ არის სათანადოდ დახურული და მოვლილი, თუმცა რეზერვუარის წყალი მხოლოდ საპირფარეშოების დასასუფთავებლად გამოიყენება. სკოლაში არსებული სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, თუმცა ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს მოსწავლეები ერთჯერადი მოხმარების ჭურჭლის გამოყენებით სვამენ.

სკოლის შენობაში განთავსებულია „ჩასარეცხი“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 3 ერთეული გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 2 - პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს მოსწავლეთა საპირფარეშოს 5 ერთეულში სანიტარიული ნორმები დაცული იყო, ხოლო 1 ერთეულში - ნაწილობრივ დაცული. ანალოგიურად, პედაგოგთა საპირფარეშოს 1 ერთეული სუფთა, ხოლო მეორე ერთეული ნაწილობრივ სუფთა იყო(სანიტარიული ნორმები დარღვეული იყო). საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებლობას დამლაგებლები ინაწილებენ სკოლის ექიმთან ერთად. სკოლაში არის 5 ხელსაბანი, რომელთაგან 4 სანიტარიულ კვანძთან მდებარეობს. ვიზიტის მომენტში თითოეულ ხელსაბანში მოდიოდა წყალი და ხელმისაწვდომი იყო საპონი, მაგრამ ხელსახოცი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დაწყებითი კლასის ერთ-ერთ პედაგოგს გავლილი აქვს სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში, თუმცა მოსწავლეებს ხელი არ მიუწვდებათ შესაბამის საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებზე. გასულ წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე. უფროსი ასაკის გოგონებისათვის უსაფრთხო მენსტრუალური ჰიგიენის ხელშეწყობის მიზნით სკოლაში ერთჯერადად დარიგდა საფენები, ხოლო მოწვეულმა ექიმმა ჩაატარა ტრენინგი უსაფრთხო მენსტრუაციის თემაზე.

სკოლიდან ორგანიზებულად გააქვთ მყარი ნარჩენები, კერძოდ, მყარ ნარჩენებს თითქმის ყოველდღიურად ცლიან მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნებში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული არ იყო. სკოლაში არასრულად ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა - მართალია, მოწყობილია საკანალიზაციო შამბოები, თუმცა მთელი ფეკალური მასა მაინც მიწაში ჩაიჟონება.

სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე სკოლის დირექცია პასუხისმგებელ უწყებად მიიჩნევს საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროს, აჭარის ა.რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად. სისტემა გამართულად ფუნქციონირებს და იშვიათად გამოდის მწყობრიდან. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ სკოლაში ამჟამად არსებული მდგომარეობა ნაწილობრივ არადამაკმაყოფილებელია. ამასთან, სკოლაში ნაკლები ყურადღება ექცევა ჰიგიენის სწავლებას - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და შეასაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

შუახევის მუნიციპალიტეტი

გომარდულის საჯარო სკოლა

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარდულში არსებული სკოლა წარმოადგენს არასრულ საჯარო სკოლას (ID: 247863842). შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა მხოლოდ 23 მოსწავლე (11 ვაჟი და 12 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 14–ს (8 ქალი და 6 მამაკაცი). სკოლაში არ არსებობს მშობელთა, პედაგოგთა ან რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც პერიოდულად ინტერესდება WaSH-ის თემით. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც ადგენენ მომავალი წლის განვითარების გეგმას. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის შენობაში წყალი შემოდის მილსადენის მეშვეობით, რომელიც რეზერვუარში გროვდება და შეზღუდული რაოდენობით არის ხელმისაწვდომი (კვირაში საშუალოდ 2-4 დღე). არსებული წყლის რესურსი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიული მიზნებისათვის). წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, წყალი გამოყენების მიზნით უსაფრთხოა, (თუმცა აღნიშნული ფაქტი ლაბორატორიულად არ არის შემოწმებული). რეზერვუარი სათანადოდ არის დახურული და პერიოდულად იწმინდება. მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და სკოლაში არსებულ წყალს სვამენ საზიარო ჭურჭლით (ჭიქებით). წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს წყაროს წყალი, რომელიც სკოლის ტერიტორიაზე გამოდის.

სკოლის შენობაში მოწყობილია გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის, 1 – ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა – პედაგოგებისათვის. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების მომენტში

ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. საპირფარეშო ოთახების დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები. სანიტარიულ კვანძთან მოწყობილია 2 ხელსაბანი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა დაახლოებით მხოლოდ ნახევარი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ. სანიტარიული კვანძის მოშორებით სკოლაში არის კიდევ ერთი ხელსაბანი. შეფასების მომენტში თითოეულ ხელსაბანთან ხელმისაწვდომი იყო წყალი, საპონი და ხელსახოცი.

სკოლაში გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო პროგრამა. სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც სანიტარია-ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ.

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში დაგროვილ მყარ ნარჩენებს სკოლის ტერიტორიაზევე წვავენ. ნარჩენები კვირაში დაახლოებით ერთხელ გააქვთ დასაწვავად. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული არ იყო. სკოლაში არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა, რის გამოც სკოლის ეზოს ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს პასუხისმგებელ უწყებად წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ხელს უშლის გვალვის პერიოდი, როდესაც წყლის მიწოდება წყდება, თუმცა შეფასების მომენტშიც (მარტის დასაწყისი) წყალი შეზღუდული რაოდენობით იყო ხელმისაწვდომი. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ სკოლაში მძიმე ანტისანიტარიაა. ამასთან, სათანადოდ არ ხდება ჰიგიენის სწავლება და დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH–ის საკითხებთან მიმართებაში, რაზედაც შეფასების მომენტში მოსწავლეთა ქცევა და სკოლაში არსებული მდგომარეობაც მიუთითებს.

ნენიის საჯარო სკოლა

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიაში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 247863913). შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა მხოლოდ 61 მოსწავლე (37 ვაჟი და 24 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, მხოლოდ 1 ვაჟი – სპეციალური საჭიროებების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 22–ს (15 ქალი და 7 მამაკაცი). სკოლაში არ არსებობს მშობელთა, პედაგოგთა ან რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც WaSH-ის თემით დაინტერესებული არ არის. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის

საფუძველზეც ადგენენ მომავალი წლის განვითარების გეგმას. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს (თუმცა კონკრეტულად რაში გამოიხატება WaSH-ის პრიორიტეტულობა, ახსნილი ან წარმოდგენილი არ იყო).

სკოლის შენობაში წყალი მილსადენის მეშვეობით ყოველდღიურად შემოდის და რეზერვუარში გროვდება. შესაბამისად, არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიული მიზნებისათვის). წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის აზრით, წყალი უსაფრთხოა სასმელად (თუმცა ლაბორატორიულად შემოწმებული არ არის). წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს სკოლიდან რამდენიმე ათეულ მეტრში მდებარე წყაროს წყალი. რეზერვუარის პერიოდულად გაწმენდა არ ხდება. მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და სკოლაში არსებულ წყალს სვამენ საზიარო ჭურჭლით (ჭიქებით).

სკოლის შენობაში მოწყობილია გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 3ერთეული გოგონებისათვის და 3 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების მომენტში ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. საპირფარეშო ოთახების დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები. სანიტარიულ კვანძთან მოწყობილია 2 ხელსაბანი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა დაახლოებით მხოლოდ ნახევარი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ. სანიტარიული კვანძის მოშორებით, სკოლაში არის კიდევ ერთი ხელსაბანი. შეფასების მომენტში თითოეულ ხელსაბანთან იყო ხელმისაწვდომი წყალი და საპონი, ხელსახოცი კი – მხოლოდ გარკვეულ ნაწილში.

სკოლაში გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო პროგრამა. სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც სანიტარია-ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ.

დირექციის განცხადების მიხედვით, დაგროვილ მყარ ნარჩენებს სკოლის ტერიტორიაზევე წვავენ – ნარჩენების გატანის ზუსტი გრაფიკი არ არსებობს და მათი გატანა საჭიროებების მიხედვით ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული არ იყო. სკოლაში ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა - შეფასების მომენტში არანაირი შეფერხება არ დაფიქსირებულა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს პასუხისმგებ უწყებად წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე – შეფასების მომენტში მნიშვნელოვანი პრობლემები არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ სკოლაში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა, მხოლოდ რეკომენდებულია პედაგოგებისათვის ცალკე საპირფარეშო ოთახის მოწყობა. სკოლაში არასათანადოდ ხდება ჰიგიენის სწავლება და შედარებით დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH–ის საკითხებთან მიმართებაში, რაზედაც შეფასების მომენტში მოსწავლეთა ქცევა და სკოლაში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობაც მეტყველებს.

ხაბელაშვილების საჯარო სკოლა

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილებში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 247861595). შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა მხოლოდ 38 მოსწავლე (23 ვაჟი და 15 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 16–ს (8 ქალი და 8 მამაკაცი). სკოლაში არ არსებობს მშობელთა, პედაგოგთა ან რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა WaSH-ის თემით დაინტერესებული არ არის. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც ადგენენ მომავალი წლის განვითარების გეგმას. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმის პრიორიტეტებს მიეკუთვნება (თუმცა კონკრეტულად რაში გამოიხატება WaSH–ის პრიორიტეტულობა, ახსნილი ან წარმოდგენილი არ იყო).

სკოლის შენობაში წყალი მილსადენის მეშვეობით ყოველდღიურად შემოდის. არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიული მიზნებისათვის). წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, წყალი უსაფრთხოა სასმელად (თუმცა ლაბორატორიულად შემოწმებული არ არის). სკოლას არა აქვს არც წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება და არც წყლის რეზერვუარი. მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და სკოლაში არსებულ წყალს სვამენ საზიარო ჭურჭლით (ჭიქებით).

სკოლის შენობაში მოწყობილია გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო (ფილებით). სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 2 - პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების მომენტში ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. საპირფარეშო ოთახების დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები. სანიტარიულ კვანძთან მოწყობილია 2 ხელსაბანი. დაკვირვების

შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა დაახლოებით მხოლოდ ნახევარი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ. სანიტარიული კვანძის მოშორებით, სკოლაში არის კიდევ ორი ხელსაბანი – შეფასების მომენტში თითოეულ ხელსაბანთან იყო ხელმისაწვდომი წყალი და საპონი, ხელსახოცი კი – მხოლოდ გარკვეულ ნაწილში.

სკოლაში გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო პროგრამა. სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც სანიტარია-ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ.

დირექციის განცხადების მიხედვით, დაგროვილი მყარი ნარჩენების უტილიზაცია სკოლის ტერიტორიაზე მოწყობილ ნაგავსაყრელზე ხდება – მყარი ნარჩენები თითქმის ყოველდღიურად გააქვთ სკოლიდან. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული არ იყო. სკოლაში არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა, რის გამოც სკოლის ეზოს ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს პასუხისმგებლ უწყებად წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. აღსანიშნავია, რომ შეფასების მომენტში მნიშვნელოვანი პრობლემები არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. თუმცა ამ მხრივ სკოლაში მძიმე ანტისანიტარიაა. ამასთან, სათანადოდ არ ხდება ჰიგიენის სწავლება და დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH–ის საკითხებთან მიმართებში, რაზედაც შეფასების მომენტში მოსწავლეთა ქცევა და სკოლაში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობაც მეტყველებს.

ჯაბნიძეების საჯარო სკოლა

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯაბნიძეებში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 247863806). შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა მხოლოდ 37 მოსწავლე (17 ვაჟი და 20 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 22–ს (11 ქალი და 11 მამაკაცი). სკოლაში არ არის არც მშობელთა და პედაგოგთა და არც რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, თუმცა ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც პერიოდულად ინტერესდება WaSH-ის საკითხებით. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც ადგენენ

მომავალი წლის განვითარების გეგმას. წყლის, სანიტარია-ჰიგიენისა და, ზოგადად, მოსწავლეთა უსაფრთხოების საკითხები ამ გეგმის პრიორიტეტებს მიეკუთვნება.

სკოლის შენობაში წყალი მილსადენის მეშვეობით ყოველდღიურად შემოდის და რეზერვუარში გროვდება. პერსონალის განცხადების მიხედვით, არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიული მიზნებისათვის), თუმცა ვიზიტის დღეს წყლის მიწოდების სისტემა გაყინული იყო და არ ფუნქციონირებდა. წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, წყალი უსაფრთხოა სასმელად (თუმცა აღნიშნული ფაქტი ლაბორატორიულად არ არის შემოწმებული). სკოლაში წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს მეზობლად მცხოვრები ოჯახების ეზოებში არსებული სასმელი წყალი. რეზერვუარი სათანადოდ არის დახურული და პერიოდულად იწმინდება. მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და სკოლაში არსებულ წყალს სვამენ საზიარო ჭურჭლით (ჭიქებით).

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) მოწყობილია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის და 2 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების მომენტში ყველა საპირფარეშოში მძიმე ანტისანიტარია იყო. საპირფარეშო ოთახების დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები. სანიტარიულ კვანძთან მოწყობილია 2 ხელსაბანი. სანიტარიული კვანძების მოშორებით, სკოლაში არის კიდევ ერთი ხელსაბანი. შეფასების მომენტში არცერთ ხელსაბანთან არ იყო ხელმისაწვდომი არც წყალი (გაყინული იყო), არც საპონი და არც ხელსახოცი. შესაბამისად, არცერთი მოსწავლე არ იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო პროგრამა. სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც სანიტარია-ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ.

დირექციის განცხადების მიხედვით, დაგროვილ მყარ ნარჩენებს წვავენ სკოლის ტერიტორიის გარეთ, დაახლოებით 150 მეტრში – ნარჩენები თითქმის ყოველდღიურად გააქვთ. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული არ იყო. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში მოქმედებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა, თუმცა შეფასების დღეს ობიექტურად დაკვირვება ვერ მოხერხდა, რადგან წყლის მიწოდების სისტემა არ ფუნქციონირებდა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს პასუხისმგებლ უწყებად წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. წყლის სისტემა უკვე საკმაოდ ხანდაზმულია და საჭიროებს განახლებას, რასაც სკოლის სახსრებით ვერ ახერხებენ. (განსაკუთრებით პრობლემებს ქმნის ზამთარის სეზონი, როდესაც სისტემა იყინება და აღარ ფუნქციონირებს). რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ სკოლაში მძიმე ანტისანიტარიაა. ამასთან, სათანადოდ არ ხდება ჰიგიენის სწავლება და დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH–ის საკითხებთან მიმართებაში, რაზედაც შეფასების მომენტში მოსწავლეთა ქცევა და სკოლაში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობაც მეტყველებს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

ქედქედის საჯარო სკოლა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 108 მოსწავლე (50 ვაჟი და 58 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 21–ს (18 ქალი და 3 მამაკაცი). სკოლაში არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და არც სხვა რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც ადგენენ მომავალი წლის განვითარების გეგმას. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმაში საერთოდ არ არის ნახსენები.

სკოლის ეზოში წყალი მილსადენის მეშვეობით შემოდის, რომელიც სკოლას ყოველღიურად, თუმცა შეზღუდულად, გარკვეული გრაფიკით მიეწოდება. მიუხედავად შეზღუდვისა, არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის). წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, წყალი უსაფრთხოა სასმელად (ლაბორატორიული კვლევა არ ჩატარებულა). მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და სკოლაში არსებულ წყალს სვამენ პირდაპირ ონკანიდან ან იყენებენ საზიარო ჭურჭელს. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ძირითადი წყაროს გარდა, სკოლას წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება არა აქვს.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 3 ერთეული გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 1 – პედაგოგებისათვის (საერთო – ქალებისა და მამაკაცებისათვის). გოგონების საპირფარეშოს არცერთი ერთეულის კარს არა აქვს შიდა საკეტი. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების

მქონე პირებზე. შეფასების მომენტში როგორც მოსწავლეთა, ასევე პედაგოგთა საპირფარეშოს ყველა ერთეულში მძიმე ანტისანიტარია იყო. საპირფარეშო ოთახების დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები. სანიტარიულ კვანძთან არის 1 ხელსაბანი, გარდა ამისა, სკოლაში კიდევ არის ორი ხელსაბანი. შეფასების მომენტში ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა ხელსაბანების მხოლოდ გარკვეულ ნაწილში იყო საპონი, მაგრამ არსად არ იყო ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში მიმდინარე და გასულ სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსაწავლეთა გამოკვლევა ნაწლავის ჭიებზე. ჰიგიენის სწავლება არ ხდება, ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც სანიტარია-ჰიგიენის შესახებ საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებია ხელმისაწვდომი.

დირექციის განცხადების მიხედვით, დაგროვილი მყარი ნარჩენები გააქვთ სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე, დაახლოებით 2 კვირაში ერთხელ. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების უმეტესი ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

სკოლის დირექცია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. თუმცა შეფასების მომენტში გარკვეული პრობლემები დაფიქსირდა. დირექცია მიიჩნევს, რომ წყლის სისტემის შენარჩუნებასა და შეკეთებაზე პასუხისმგებლობები არც გარკვეული არ არის და არც სწორად გადანაწილებული. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ სკოლაში საკმაოდ მძიმე ვითარებაა. WaSH–ის თვალსაზრისით კიდევ ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება წარმოადგენს - შესაბამისი კადრების მომზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალით სკოლის მომარაგება. საკმაოდ დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე სანიტარია-ჰიგიენის საკითხებთან მიმართებაში, რაზედაც შეფასების მომენტში მოსწავლეთა ქცევა და სკოლაში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობაც მეტყველებს.

ჩიქუნეთის საჯარო სკოლა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიქუნეთში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 62 მოსწავლე (33 ვაჟი და 29 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე.

პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 26–ს (19 ქალი და 7 მამაკაცი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და მოქმედებს „ნორჩ რეინჯერთა“ კლუბი. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც ადგენენ მომავალი წლის განვითარების გეგმას. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმის პრიორიტეტებს არ განეკუთვნება.

სკოლის ეზოში წყალი მილსადენის მეშვეობით შემოდის, რომელიც ყოველღიურად არის ხელმისაწვდომი. არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის). წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის განცხადების მიხედვით, სკოლაში მომდინარე წყალი უსაფრთხოა სასმელად (დადასტურებულია ლაბორატორიულად). მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და სკოლაში არსებულ წყალს სვამენ საზიარო ჭურჭლით. სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. სკოლას წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება არა აქვს.

როგორც სკოლის შენობაში, ასევე ეზოში განთავსებულია სანიტარიული კვანძები - „ჩასარეცხი“ (შენობაში) და „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო (ეზოში). სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 4 ერთეული გოგონებისათვის, 4 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). შენობაში მდებარე სანიტარიული კვანძი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების მომენტში როგორ მოსწავლეთა, ასევე პედაგოგთა ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. საპირფარეშო ოთახების დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები. სანიტარიულ კვანძთან მოწყობილია 14 ხელსაბანი. გარდა ამისა, სკოლაში კიდევ არის 6 ხელსაბანი. შეფასების მომენტში ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი, იყო საპონი და ნაწილში - ხელსახოციც. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ხელსაბანების საჭიროზე მეტი რაოდენობაა, დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ ნახევარი იბანს ხელებს საპირფარეშოთი სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო გამოკვლევა და ინფიცირებულ მოსწავლეებს საჭირო მედიკამენტები დაურიგდათ. ჰიგიენის სწავლება არ ხდება, ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ.

დირექციის განცხადების მიხედვით, დაგროვილი მყარი ნარჩენები გააქვთ სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე – თითქმის ყოველდღიურად. მიუხედვად ამისა, შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების უმეტესი ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა და სკოლის ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. შეფასების მომენტში მნიშვნელოვანი პრობლემები არ დაფიქსირებულა. ანალოგიურად, სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად ინაწილებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივაც სკოლაში, ძირითადად, დამაკმაყოფილებელი ვითარებაა. WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მთავარ გამოწვევას ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება წარმოადგენს - შესაბამისი კადრების მომზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალით სკოლის მომარაგება. შედარებით დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე სანიტარია-ჰიგიენის საკითხებთან მიმართებაში, რასაც შეფასების მომენტში მოსწავლეთა ქცევაც ადასტურებს.

ჩხუტუნეთის საჯარო სკოლა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტუნეთში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 92 მოსწავლე (45 ვაჟი და 47 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 26–ს (21 ქალი და 5 მამაკაცი). სკოლაში არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და არც სხვა რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც ადგენენ მომავალი წლის განვითარების გეგმას. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმაში საერთოდ არ არის ნახსენები.

სკოლის ეზოში წყალი მილსადენის მეშვეობით შემოდის, რომელიც ყოველღიურად არის ხელმისაწვდომი. არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის). წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის განცხადების მიხედვით, წყალი უსაფრთხოა სასმელად (დადასტურებულია ლაბორატორიულად). მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და სკოლაში არსებულ წყალს საზიარო ჭურჭლით სვამენ. სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. სკოლას წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება არა აქვს.

სკოლის შენობაში განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ჩასარეცხი“ და გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). გოგონების საპირფარეშოს კარს შიდა საკეტი არა აქვს. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების მომენტში როგორც მოსწავლეთა, ასევე პედაგოგთა ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. საპირფარეშო ოთახების დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან

დამლაგებლები. სანიტარიულ კვანძთან მოწყობილია 4 ხელსაბანი, გარდა ამისა, სკოლაში კიდევ არის 2 ხელსაბანი. შეფასების მომენტში ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი, იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი ხელებს იბანს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო გამოკვლევა და ინფიცირებულ მოსწავლეებს საჭირო მედიკამენტები დაურიგდათ. სკოლაში ჰიგიენა არ ისწავლება, ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ.

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში დაგროვილ მყარ ნარჩენებს სკოლის ტერიტორიაზევე წვავენ. მყარი ნარჩენები დაახლოებით კვირაში 2-ჯერ გააქვთ. ამგვარად, ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. შეფასების მომენტში ყველა სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით იყო გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა და სკოლის ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. შეფასების მომენტში მნიშვნელოვანი პრობლემები არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ინაწილებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივაც სკოლაში, ძირითადად, დამაკმაყოფილებელი ვითარებაა. WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მთავარ გამოწვევას ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება წარმოადგენს - შესაბამისი კადრების მომზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალით სკოლის მომარაგება.

ჭარნალის საჯარო სკოლა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭარნალში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 447 მოსწავლე (231 ვაჟი და 216 გოგონა), რომელთა შორის 8 ვაჟი და 2 გოგონა იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 48–ს (46 ქალი და 2 მამაკაცი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც გარკვეულწილად ჩართულია WaSH–ის მხარდაჭერაში. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც ადგენენ მომავალი წლის განვითარების გეგმას. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმაში საერთოდ არ არის ნახსენები.

სკოლის ეზოში წყალი მილსადენის გავლით შემოდის, რომელიც საერთო სარგებლობის ონკანის მეშვეობით სკოლას ყოველდღიურად მიეწოდება. არსებული წყლის რესურსი

საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად და სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის). წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, წყალი უსაფრთხოა სასმელად (თუმცა ლაბორატორიულად შემოწმებული არ არის). მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ, სკოლაში არსებულ წყალს ან პირდაპირ ონკანიდან სვამენ, ან ერთჯერადი მოხმარების ჭიქებს იყენებენ (არსებობის შემთხვევაში). სკოლას წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება არა აქვს.

სკოლის შენობაში განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ჩასარეცხი“ და გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 4 ერთეული გოგონებისათვის, 4 – ვაჟებისათვის და 2 პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). ვაჟების საპირფარეშო ოთახში მოწყობილია 2 პისუარი, (თუმცა მათში წყალი არ არის გაყვანილი). გოგონების საპირფარეშოს კარს შიდა საკეტი არა აქვს, ხოლო ვაჟებისას - საერთოდ კარიც კი არა აქვს. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების მომენტში როგორც მოსწავლეთა, ასევე პედაგოგთა ყველა საპირფარეშოში ანტისანიტარია იყო. საპირფარეშო ოთახების დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები. სანიტარიულ კვანძთან მოწყობილია 6 ხელსაბანი, გარდა ამისა, სკოლაში კიდევ არის სამი ხელსაბანი. შეფასების მომენტში ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი, ხოლო საპონი და ხელსახოცი არსად არ იყო. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი ხელებს არ იბანს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო გამოკვლევა და ინფიცირებულ მოსწავლეებს საჭირო მედიკამენტები დაურიგდათ. სკოლაში ჰიგიენას არ ასწავლიან (მხოლოდ ეპიზოდურად და სტიქიურად), ამასთანავე, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ.

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლიდან ორგანიზებულად გააქვთ მყარი ნარჩენები და ყოველდღიურად ცლიან მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნებში. შეფასების მომენტში ყველა სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით იყო გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, ინფრსატრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამნისტროსთან ერთად. შეფასების მომენტში არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი პრობლემები, მაგრამ სკოლას სჭირდება წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა შესაბამის პროფილურ სამინისტროსთან ერთად იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ სკოლაში ანტისანიტარიაა, რასაც

დირექცია სისტემის ხანდაზმულობით ხსნის. ამასთან, არ ხდება ჰიგიენის სწავლება და დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH–ის საკითხებთან მიმართებაში, რაზედაც შეფასების მომენტში მოსწავლეთა ქცევა და სკოლაში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობაც მეტყველებს.

ხულოს მუნიციპალიტეტი

ბეღლეთის საჯარო სკოლა

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბეღლეთში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 248053831). შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 111 მოსწავლე (73 ვაჟი და 38 გოგონა), რომელთა შორის ერთი ვაჟი იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 25–ს (13 ქალი და 12 მამაკაცი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არ არის ჩართული WaSH–ის მხარდაჭერაში. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც ადგენენ მომავალი წლის განვითარების გეგმას. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, თუმცა ობიექტურად ამის დადასტურება ვერ ხერხდება.

სკოლის შენობაში წყალი მილსადენის მეშვეობით შემოდის, რეზერვუარში გროვდება და ყოველღიურად არის ხელმისაწვდომი. არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის). წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, წყალი უსაფრთხოა სასმელად (თუმცა ლაბორატორიულად შემოწმებული არ არის) რეზერვუარი სათანადოდ არის დახურული და პერიოდულად იწმინდება (ირეცხება).მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და სკოლაში არსებულ წყალს სვამენ საზიარო ჭურჭლით (ჭიქებით). წყლის ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს სკოლის მეზობლად მცხოვრები ოჯახების ეზოში არსებული სასმელი წყლის წერტილები.

სკოლის შენობაში განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების მომენტში როგორც მოსწავლეთა, ასევე პედაგოგთა ყველა საპირფარეშოში მძიმე ანტისანიტარია იყო. საპირფარეშო ოთახების დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები. სანიტარიულ კვანძთან არის 2 ხელსაბანი, გარდა ამისა, სკოლაში კიდევ არის ერთი ხელსაბანი. შეფასების მომენტში მხოლოდ 1 ხელსაბანში მოდიოდა წყალი, ხოლო საპონი და ხელსახოცი არსად არ იყო.

დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი ხელებს არ იბანს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო პროგრამა. სკოლაში ჰიგიენას ეპიზოდურად და სტიქიურად ასწალიან, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ხელმისაწვდომია სანიტარია-ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები.

სკოლაში დაგროვილ მყარ ნარჩენებს სკოლის ტერიტორიაზევე წვავენ. დირექციის განცხადების მიხედვით, ნარჩენები თითქმის ყოველდღიურად გააქვთ დასაწვავად, თუმცა შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების უმეტესი ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა - შეფასების მომენტში დარღვევები არ დაფიქსირებულა.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას. შეფასების მომენტში არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი პრობლემები, თუმცა ხელსაბანების უმეტეს ნაწილში წყალი არ მოდიოდა. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ სკოლაში მძიმე ანტისანიტარიაა. ამასთან, სათანადოდ არ ხდება ჰიგიენის სწავლება და დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH–ის საკითხებთან მიმართებაში, რაზედაც შეფასების მომენტში მოსწავლეთა ქცევა და სკოლაში არსებული მდგომარეობაც მეტყველებს.

დანისპარაულის საჯარო სკოლა

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დანისპარაულში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 248058211). შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 91 მოსწავლე (46 ვაჟი და 45 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 20–ს (13 ქალი და 7 მამაკაცი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ჩართულია WaSH–ის მხარდაჭერაში. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც ადგენენ მომავალი წლის განვითარების გეგმას. სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყალი მილსადენის მეშვეობით შემოდის, რეზერვუარში გროვდება და ყოველღიურად არის ხელმისაწვდომი. არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიული მიზნებისათვის). წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, წყალი უსაფრთხოა სასმელად (თუმცა ეს ფაქტი

ლაბორატორიულად შემოწმებული არ არის). რეზერვუარი სათანადოდ არის დახურული და პერიოდულად იწმინდება (ირეცხება). მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და სკოლაში არსებულ წყალს სვამენ საზიარო ჭურჭლით (ჭიქებით).

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) მოწყობილია „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების მომენტში როგორც მოსწავლეთა, ასევე პედაგოგთა ყველა საპირფარეშოში მძიმე ანტისანიტარია იყო. საპირფარეშო ოთახების დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები. სანიტარიულ კვანძთან არ არის მოწყობილი ხელსაბანი, შესაბამისად, ბავშვების უმეტესი ნაწილი ხელებს არ იბანს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ. სანიტარიული კვანძის მოშორებით, სკოლაში კიდევ არის ერთი ხელსაბანი. შეფასების მომენტში ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონი, ხელსახოცი - არა.

სკოლაში გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო პროგრამა. სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში, თუმცა, დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ხელმისაწვდომია სანიტარია-ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები.

სკოლის ადმინისტრაციის განცხადების მიხედვით, სკოლაში დაგროვილი მყარი ნარჩენები დაახლოებით 2 კვირაში ერთხელ გააქვთ და იქვე, სკოლის ტერიტორიაზე წვავენ. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა - შეფასების მომენტში გარკვეული დარღვევები დაფიქსირდა. დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. შეფასების მომენტში არანაირი მნიშვნელოვანი შეფერხება არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ სკოლაში მძიმე ანტისანიტარიაა. ამასთან, სათანადოდ არ ხდება ჰიგიენის სწავლება და დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH–ის საკითხებთან მიმართებაში, რაზედაც შეფასების მომენტში მოსწავლეთა ქცევა და სკოლაში არსებული მდგომარეობაც მეტყველებს.

დიდაჭარას საჯარო სკოლა

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდაჭარაში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 248054000). შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 112 მოსწავლე (54 ვაჟი და 58 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 22–ს (7 ქალი და 15 მამაკაცი). სკოლაში მოქმედებს ეკოკლუბები და ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად არის ჩართული WaSH–ის მხარდაჭერაში. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც ადგენენ მომავალი წლის განვითარების გეგმას. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმის უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის შენობაში წყაროდან შემოდის წყალი მილსადენის მეშვეობით, რეზერვუარში გროვდება და ყოველღიურად არის ხელმისაწვდომი. არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიული მიზნებისათვის). წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, წყაროს წყალი უსაფრთხოა სასმელად (თუმცა ლაბორატორიულად შემოწმებული არ არის). რეზერვუარი სათანადოდ არის დახურული და 3 თვეში ერთხელ იწმინდება (ირეცხება). მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და სკოლაში არსებულ წყალს სვამენ საზიარო ჭურჭლით (ჭიქებით).

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) მოწყობილია გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 2 – საერთო სარგებლობისა პედაგოგებისათვის. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების მომენტში ყველა საპირაფრეშოში ანტისანიტარია იყო. საპირფარეშო ოთახების დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები. სანიტარიულ კვანძთან მოწყობილია 5 ხელსაბანი, მაგრამ, ამის მიუხედავად, მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი ხელებს არ იბანს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ. სანიტარიული კვანძის მოშორებით, სკოლაში კიდევ არის ერთი ხელსაბანი. შეფასების მომენტში ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონი, ხელსახოცი კი – მხოლოდ ნაწილში.

სკოლაში გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო პროგრამა. სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში, თუმცა, სკოლის ადმინისტრაციის განცხადების მიხედვით, სკოლაში სანიტარია-ჰიგიენის შესახებ არსებული ხელმისაწვდომია საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები.

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლიდან ორგანიზებულად გააქვთ მყარი ნარჩენები და ყოველდღიურად ცლიან მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნებში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული არ იყო. სკოლაში ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა - შეფასების მომენტში არანაირი მნიშვნელოვანი პრობლემა არ დაფიქსირებულა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. ამ მხრივ არანაირი შეფერხება არ აღინიშნება, თუმცა, ხანდაზმულობის გამო, სისტემას სჭირდება განახლება. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ სკოლაში არ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ამასთან, არასათანადოდ ხდება ჰიგიენის სწავლება და დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH–ის საკითხებთან მიმართებაში, რაზედაც შეფასების მომენტში მოსწავლეთა ქცევა და სკოლაში არსებული მდგომარეობაც მეტყველებს.

ქედლების საჯარო სკოლა

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლებში (დეკანაშვილების თემი) არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 248053751). შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 115 მოსწავლე (56 ვაჟი და 57 გოგონა), რომელთა შორის 2 ვაჟი იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 32–ს (26 ქალი და 6 მამაკაცი). სკოლაში არ არსებობს მშობელთა, პედაგოგთა ან რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია და არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. დირექტორის განცხადების მიხედვით, ყოველწლიურად ახდენენ თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენენ მომავალი წლის სკოლის განვითარების გეგმას. სკოლის დირექციის განცხადების მიხედვით, წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს (თუმცა შეფასების მომენტში ვერ მოხერხდა ამ განცხადების დამადასტურებელი მასალის წარმოდგენა).

სკოლის ეზოში წყალი მილსადენის მეშვეობით შემოდის, რეზერვუარში გროვდება და შეზღუდულად არის ხელმისაწვდომი (2-4 დღე კვირაში). არსებული წყლის რესურსი არასაკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიული მიზნებისათვის). შეფასების მომენტში წყლის მიწოდების სისტემა არ ფუნქციონირებდა. პერსონალის განცხადების მიხედვით, ანალოგიური მდგომარეობა უკვე კვირაზე მეტია, რაც გრძელდება, ამიტომ წყალს სკოლის მეზობლად მცხოვრები ოჯახებიდან ეზიდებიან. სკოლაში არსებული წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, არსებული წყალი უსაფრთხოა სასმელად (ლაბორატორიულად შემოწმებული არ არის), თუმცა რეზერვუარი სათანადოდ არ არის დახურული და რეგულარულად არ იწმინდება. მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და სკოლაში არსებულ წყალს სვამენ საზიარო ჭურჭლით (ჭიქებით).

სკოლის შენობასა და ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) მოწყობილია სანიტარიული კვანძები. კერძოდ, შენობაში ხელმისაწვდომია გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით, ხოლო ეზოში კი არ არის. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა – პედაგოგებისათვის. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების მომენტში ყველა საპირფარეშოში მძიმე ანტისანიტარია იყო (განსაკუთრებით – მოსწავლეთა საპირფარეშოში). საპირფარეშო ოთახების დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები. სანიტარიულ კვანძთან მოწყობილია მხოლოდ 1 ხელსაბანი, სკოლაში სხვა ხელსაბანი არ არის. შეფასების მომენტში ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონი, ხელსახოცი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა ძირითადი ნაწილი ხელებს არ იბანს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო პროგრამა. სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებია ხელმისაწვდომი.

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლიდან ორგანიზებულად გააქვთ მყარი ნარჩენები და ყოველდღიურად ცლიან მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნებში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული არ იყო. სკოლის ადმინისტრაციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა, თუმცა შეფასების მომენტში ამ ფაქტის ზუსტად დადგენა, წყლის სისტემის გაუმართაობის გამო ვერ მოხერხდა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. ამ მხრივ მნიშვნელოვანი შეფერხება აღინიშნება - ხანდაზმულობის გამო სისტემა დაუყონებლივ განახლებას საჭიროებს. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ სკოლაში მძიმე ანტისანიტარიაა. ამას ისიც ემატება, რომ სათანადოდ ხდება ჰიგიენის სწავლება და დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH–ის საკითხებთან მიმართებაში, რაზედაც შეფასების მომენტში მოსწავლეთა ქცევა და სკოლაში არსებული მდგომარეობაც მეტყველებს.

ძმაგულის საჯარო სკოლა

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძმაგულში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 248053902). შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 41 მოსწავლე (23

ვაჟი და 18 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 22–ს (8 ქალი და 14 მამაკაცი). სკოლაში მოქმედებს ეკოკლუბები და ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად არის WaSH–ის მხარდაჭერაში. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც ადგენენ მომავალი წლის განვითარების გეგმას, სკოლაში აქვთ 6 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაც. სკოლის ადმინისტრაციის განცხადების მიხედვით, აღნიშნული საკითხები სკოლის განვითარების გეგმების უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს, თუმცა ამ განცხადების დადასტურება ვერ მოხერხდა.

სკოლის შენობაში წყაროდან შემოდის წყალი მილსადენის მეშვეობით, რეზერვუარში გროვდება და ყოველღიურად არის ხელმისაწვდომი. არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიული მიზნებისათვის). წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, წყაროს წყალი უსაფრთხოა სასმელად, (თუმცა ლაბორატორიულად შემოწმებული არ არის). რეზერვუარი სათანადოდ არის დახურული და პერიოდულად იწმინდება. მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და სკოლაში არსებულ წყალს სვამენ საზიარო ჭურჭლით (ჭიქებით).

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) მოწყობილია „ორმოს“ ტიპისსაპირფარეშო. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის და 2 – ვაჟებისათვის. პედაგოგებისათვის ცალკე საპირფარეშო ოთახი არ არის. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების მომენტში ყველა საპირფარეშოში მძიმე ანტისანიტარია იყო. საპირფარეშო ოთახის დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები. სანიტარიულ კვანძთან მოწყობილია 1 ხელსაბანი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ ბავშვების ნაწილი ხელებს არ იბანს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ. სხვა ხელსაბანი სკოლაში არ ფუნქციონირებს. შეფასების მომენტში ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონი, ხელსახოცი - არა.

სკოლაში გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო პროგრამა. სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები სანიტარია-ჰიგიენის შესახებ.

დირექციის განცხადების მიხედვით, მყარი ნარჩენების უმეტეს ნაწილს სკოლის ტერიტორიაზევე წვავენ, მხოლოდ მცირე ნაწილს ცლიან მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული არ იყო.

სკოლაში არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ანგამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა - შეფასების მომენტში გარკვეული პრობლემები დაფიქსირდა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. ამ მხრივ შეფასების მომენტში არანაირი მნიშვნელოვანი შეფერხება არ აღინიშნა. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ სკოლაში არ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ამასთან, არასათანადოდ ხდება ჰიგიენის სწავლება და დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH–ის საკითხებთან მიმართებაში, რაზედაც შეფასების მომენტში მოსწავლეთა ქცევა და სკოლაში არსებული მდგომარეობაც მეტყველებს.

გურიის რეგიონი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

აკეთის საჯარო სკოლა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 233727768). შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 69 მოსწავლე (30 ვაჟი და 39 გოგონა), რომელთა შორის მხოლოდ ერთი გოგონა იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, კიდევ 2 გოგონა კი – სპეციალური საჭიროებების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 23–ს (15 ქალი და 8 მამაკაცი). სკოლასთან არ ფუნქციონირებს რაიმე სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მოსწავლეთა თვითმმართველობა. დირექტორის განცხადების მიხედვით, ისინი ყოველწლიურად ადგენენ სკოლის განვითარების გეგმას, რომელიც ზოგადად ითვალისწინებს ცხოვრების ჯანსაღ წესთან დაკავშირებულ საკითხებს.

სკოლის ეზოში წყალი მიეწოდება მილსადენის მეშვეობით, რომელიც ყოველღიურად არის ხელმისაწვდომი და საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელის დასაბანად, სანიტარიული მიზნებისათვის). წყალი ვარგისიანობაზე ლაბორატორიულად შემოწმებული არ არის, თუმცა პერსონალი დარწმუნებულია მის უსაფრთხოებაში („ამ წყლით ჯერ არავინ მომკვდარა“). მილსადენიდან წყალი რეზერვუარში გროვდება, რომელიც სათანადოდ არის დახურული და პერიოდულად იწმინდება. მოსწავლეებს არ უწევთ წყლის სახლიდან მოტანა და სასმელად მრავალჯერადი გამოყენების საკუთარ ჭურჭელს იყენებენ. წყლის სასმელი მოწყობილობები ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე და ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის.

სკოლაში რამდენიმე სანიტარიული კვანძი ფუნქციონირებს - როგორც სკოლის შენობაში, ასევე – მის გარეთ (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში). ყველა სანიტარიული კვანძი გაუმჯობესებულ „ორმოს“ ტიპის, ფილებით მოპირკეთებულ საპირფარეშოს წარმოადგენს. სკოლაში სულ არის 9 საპირფარეშო: 3 – გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). საპირფარეშოს კიდევ ერთი ერთეული ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. სკოლაში 7 ხელსაბანია, მათ შორის ექვსი სანიტარიულ კვანძებთან არის მოწყობილი. შეფასების მომენტში ხელსაბანების მხოლოდ გარკვეულ ნაწილში იყო წყალი, საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ. საპირფარეშოებს პერიოდულად ქიმიურად ამუშავებენ, მათ დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები.

სკოლაში ჰიგიენის სწავლებას სათანადო ყურადღება ექცევა და ის ცალკე (ჰიგიენის) მოდულად ისწავლება. აგრეთვე ხდება უფროსი ასაკის გოგონების განათლება მენსტრუაციის საკითხებზე. ამავე დროს, სკოლის პედაგოგებს გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და სანიტარია-ჰიგიენის შესახებ საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებიც ხელმისაწვდომია. ბოლო წლებში რეგულარულად ტარდება მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს საჭირო მედიკამენტები ურიგდებათ.

დირექციის განცხადების მიხედვით, მყარ ნარჩენებს სკოლის ტერიტორიაზევე სპეციალურად გამოყოფილ თხრილში მარხავენ. შესაბამისად, მათი უტილიზაცია სავსებით უსაფრთხოდ არ ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული არ იყო. სკოლაში ნაწილობრივ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა - შეფასების მომენტში დაფიქსირდა გარკვეული პრობლემები (მაგ., ზოგი ონკანიდან წყალი პირდაპირ მიწაზე მიედინება და ტერიტორიას ტბორავს).

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. შეფასების მომენტში არანაირი მნიშვნელოვანი შეფერხება არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ სკოლაში, ზოგადად, დამაკმაყოფილებელი სიტუაციაა. მოსაგვარებელია ყველა ხელსაბანის წყლით, საპნითა და ხელსახოცით უზრუნველყოფის საკითხი. გასაუმჯობესებელია აგრეთვე მყარი ნარჩენების უტილიზაცია და გამოყენებული წყლის სათანადო დრენირება. სკოლაში საკმარისი ყურადღება ექცევა ჰიგიენის სწავლებას, შესაბამისად, შედარებით მაღალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH–ის საკითხებთან მიმართებაში, რასაც შეფასების მომენტში მოსწავლეთა ქცევაზე დაკვირვებაც ადასტურებს.

მამათის საჯარო სკოლა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამათში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 233727759). შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 77 მოსწავლე (35 ვაჟი და 42 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. მხოლოდ ერთი გოგონა არის სპეციალური საჭიროებების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 26–ს (21 ქალი და 5 მამაკაცი). სკოლასთან არ ფუნქციონირებს რაიმე სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მოსწავლეთა თვითმმართველობა. დირექტორის განცხადების მიხედვით, მათ არ გააჩნიათ სკოლის განვითარების გეგმა.

სკოლის ეზოში წყალი მიეწოდება მილსადენის მეშვეობით, რომელიც ყოველღიურად არის ხელმისაწვდომი და საკმარისია სკოლის ტექნიკური საჭიროებებისათვის (ხელის დასაბანად და უნიტაზის ჩასარეცხად). პერსონალის ინფორმაციის თანახმად, სკოლაში შემომავალი წყალი სასმელად უვარგისია, რადგან არ ხდება მისი გაწმენდა (ქიმიურად დამუშავება). სასმელად გამოიყენება სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე დაცული წყაროს წყალი. მოსწავლეების ნაწილს კი წყალი სახლიდან მოაქვს და სასმელად მრავალჯერადი გამოყენების საკუთარ ჭურჭელს იყენებს. დირექციის განცხადების მიხედვით, ყოველ საკლასო ოთახში შუშის ჭურჭლით დგას სასმელი წყალი, რომელიც ყოველთვის ხელმისაწვდომია (მათ შორის – უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის).

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) მოწყობილია გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 2-იც – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების მომენტში ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. მათ დასუფთავებაზე ძირითადად პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები, თუმცა მათთან ერთად მოსწავლე გოგონებიც მონაწილეობენ საპირფარეშო ოთახის დასუფთავებაში. სანიტარიულ კვანძთან მოწყობილია 1 ხელსაბანი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ. სკოლაში ფუნქციონირებს კიდევ ერთი ხელსაბანი. შეფასების მომენტში ორივე ხელსაბანებთან იყო წყალი და საპონი, ხელსახოცი კი - მხოლოდ ერთში.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. წინა წლებისაგან განსხვავებით, სკოლაში აღარ არის ხელმისაწვდომი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები სანიტარია-ჰიგიენის შესახებ, თუმცა გრძელდება უფროსი ასაკის გოგონების განათლება მენსტრუაციის საკითხებზე. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან ინახება ჰიგიენური საფენების მარაგი, რაზედაც ინფორმირებულები

არიან გოგონები და საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ მას.ბოლო წლებში რეგულარულად ტარდება მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს საჭირო მედიკამენტები ურიგდებათ.

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლიდან ორგანიზებულად გააქვთ მყარი ნარჩენები და ყოველდღიურად ცლიან მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნებში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული არ იყო. ნაწილობრივ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა - შეფასების მომენტში დაფიქსირდა გარკვეული პრობლემები (მაგ.,ზოგი ონკანიდან წყალი პირდაპირ მიწის ზედაპირზე მიედინება და ტერიტორიას ტბორავს).

დირექცია რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიიჩნევს წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანების აღდგენაზე პასუხისმგებელ უწყებად. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, გასაუმჯობესებელია წყლის მიწოდების სისტემა, რათა სასმელად ვარგისი წყალი სკოლაშივე იყოს ხელმისაწვდომი. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ სკოლაში ზოგადად დამაკმაყოფილებელი სიტუაციაა. მოსაგვარებელია ყველა ხელსაბანის საპნითა და ხელსახოცით უზრუნველყოფის საკითხი, გასაუმჯობესებელია გამოყენებული წყლების დრენირება. გასაუმჯობესებელია აგრეთვე ჰიგიენის სწავლება - საჭიროა მასწავლებელთა გადამზადება და ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების დარიგება.

სუფსის საჯარო სკოლა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსაში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 233727857). შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 304 მოსწავლე (150 ვაჟი და 154 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 41–ს (36 ქალი და 5 მამაკაცი). სკოლაში მოქმედებს ბუნების დამცველთა და სამოქალაქო განათლების ორგანიზაცია. ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად არის ჩართული WaSH–ის მხარდაჭერაში - კერძოდ, ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემიის ფარგლებში მოსწავლეები იკვლევენ წყლის ხარისხს თავიანთ თემში. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც ადგენენ მომავალი წლის ოპერატიულ გეგმას. სკოლაში არის 6 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაც, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები, სკოლის ადმინისტრაციის განცხადების მიხედვით, სკოლის განვითარების გეგმების უპირველეს პრიორიტეტს არ წარმოადგენს.

სკოლის ეზოში ჭაბურღილიდან წყალი მიეწოდება მილსადენის მეშვეობით, რომელიც ყოველღიურად არის ხელმისაწვდომი და საკმარისია სკოლის ტექნიკური საჭიროებებისათვის (ხელის დასაბანად და საპირფარეშოს ჩასარეცხად). პერსონალის აზრით, სკოლაში შემომავალი წყალი სასმელად უვარგისია და, შესაბამისად, მისი რაიმე ხერხით გაწმენდა (ქიმიურად დამუშავება) არ ხდება. სასმელად გამოიყენება სკოლის ტერიტორიის მეზობლად მცხოვრებთა ჭის წყალი. მოსწავლეების ნაწილს წყალი პლასტამასის ბოთლებით მოაქვს სახლიდან. სკოლაში სასმელად მოსწავლეები ერთჯერადი გამოყენების ჭურჭლით სარგებლობენ.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) მოწყობილია გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 4 ერთეული გოგონებისათვის, 4 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების პირებზე. შეფასების მომენტში ყველა საპირფარეშო სუფთა იყო, ნაწილში კი – ანტისანიტარია დაფიქსირდა. საპირფარეშო ოთახების დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირები არიან: დამლაგებლები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი და სკოლის ექიმი. სანიტარიულ კვანძთან მოწყობილია 6 ხელსაბანი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა დაახლოებით ნახევარი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ. სკოლაში კიდევ ერთი ხელსაბანი ფუნქციონირებს. შეფასების მომენტში ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი, საპონი ნახევარზე ნაკლებ წერტილებში იყო (მიუხედავად იმისა, რომ სკოლას საპნის საკმარისი მარაგი აქვს), ხოლო ხელსახოცი - არცერთში.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები უმთავრესად ეპიზოდურად, სტიქიურად ისწავლება. არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. სკოლაში არ არის შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. წინა და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლიდან ორგანიზებულად გააქვთ მყარი ნარჩენები და ყოველდღიურად ცლიან მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნებში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული არ იყო. სკოლაში ნაწილობრივ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა - შეფასების მომენტში დაფიქსირდა გარკვეული პრობლემები (მაგ.,ზოგი ონკანიდან წყალი პირდაპირ მიწის ზედაპირზე მიედინება და ტერიტორიას ტბორავს).

დირექცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიიჩნევს წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანების შემთხვევაში – სისტემის აღდგენაზე პასუხისმგებელ უწყებად. გასაუმჯობესებელია წყლის მიწოდების სისტემა, რათა სასმელად ვარგისი წყალი სკოლაშივე იყოს ხელმისაწვდომი. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ

ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ სკოლაში, ზოგადად, არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. საპირფარეშოების ნაწილში ანტისანიტარიაა, მოსაგვარებელია ყველა ხელსაბანის საპნითა და ხელსახოცით უზრუნველყოფის საკითხი, გასაუმჯობესებელია გამოყენებული წყლების დრენირება. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სკოლაში ჰიგიენის სწავლება - საჭიროა მასწავლებელთა გადამზადება და ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების დარიგება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

ლაითურის საჯარო სკოლა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლა ჩართულია მილენიუმის პროგრამაში და ამჟამად მიმდინარეობს მისი სრული რეაბილიტაცია. მოსწავლეები და პერსონალი დროებით გადაყვანილია დაბა ნარუჯის საჯარო სკოლაში, შესაბამისად, სკოლის შეფასება ვერ მოხერხდა.

ლიხაურის საჯარო სკოლა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 217 მოსწავლე (117 ვაჟი და 100 გოგონა), რომელთა შორის 5 ვაჟი და 3 გოგონა იყო სპეციალური საჭიროებების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 33–ს (28 ქალი და 5 მამაკაცი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა ორივე საფეხურზე, ხელოვნების, ინგლისური და რუსული ენის კლუბები, ლიტერატურის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ფეხბურთისა და ჭიდაობის წრეები, სამოქალაქო კლუბი. მოსწავლეთა თვითმმართველობა დაინტერესებულია WaSH-ის საკითხებით. სკოლაში არსებობს ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. რაც შეეხება წლიურ თვითშეფასებას, ის, ძირითადად, აკადემიურ მოსწრებას ასახავს. სკოლის განვითარების გეგმაში WaSH–ის საკითხები პრიორიტეტულია და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა როგორც სახელმწიფო უწყებების (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო), ასევე საერთაშორისო დონორების (გერმანიის საელჩო) დახმარებით.

სკოლის შენობაში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც 10 ტონის ტევადობის მქონე რეზერვუარში გროვდება და ყოველდღიურად, უწყვეტად არის ხელმისაწვდომი. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, უნიტაზის ჩასარეცხად და ა.შ.). თუმცა სკოლაში შემომავალი წყალი სასმელად უვარგისია და მას, ძირითადად, ტექნიკური მიზნებისათვის იყენებენ. სკოლას ის წყალი მიეწოდება, რაც

მთლიანად სოფელს. მართალია, წყალი უხარისხოა, მაგრამ მოსწავლეებს სხვა ალტერნატივა არა აქვთ. არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, წყალში აღმოჩენილია ნაწლავური ჩხირები. წყალი სასმელად ვარგისიანი რომ გახადონ, სკოლაში არსებულ წყალს ფილტრავენ. წყლის სასმელ მოწყობილობათა ნაწილი ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, სკოლაში არსებულ წყალს კი – ერთჯერადი მოხმარების ჭურჭლის გამოყენებით სვამენ. სკოლაში არსებობს აგრეთვე ბუნებრივი აირის მიწოდების პრობლემა. მართალია, შენობაში შეყვანილია ბუნებრივი აირი და დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, მაგრამ მოსწავლეები ისევ ღუმლის საშუალებით თბებიან. ეს იმიტომ ხდება, რომ გაზიფიცირების სამუშაოები არასწორად არის შესრულებული, რის გამოც სისტემამ 1 დღეც კი ვერ იმუშავა.

სკოლის ეზოში განთავსებულია ამორტიზებული საპირფარეშოს 8 ერთეული (3 - ვაჟებისათვის, 3 - გოგოებისათვის, 2 - მასწავლებლებისათვის). სანიტარიული კვანძი ავარიულ მდგომარეობაშია და დირექტორი ელოდება შესაბამის ნებართვას განათლების სამინისტროდან, რათა მოხდეს მისი დემონტაჟი. აღსანიშნავია, რომ სკოლის გარემონტებული შენობა, (მათ შორის, საპირფარეშოები) ჩაიბარეს 2017 წელს (დაფინანსდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ), მაგრამ შესრულებული სამუშაოები უხარისხო გამოდგა. სკოლა სამსართულიანია და სამივე სართულზე მოეწყო საპირფარეშო ოთახი, მაგრამ, ვინაიდან საპირფარეშოს ფუნქციონირება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, მათი ნაწილი დახურეს. სკოლაში მოქმედებს მხოლოდ პირველ სართულზე განთავსებული სანიტარიული კვანძი. საპირფარეშოს ჩარეცხვა გარკვეულ შეფერხებებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ჩამრეცხ მოწყობილობაში წყალი ნელა და ძნელად ივსება (რაც, სავარაუდოდ, გაყვანილობის პრობლემას უკავშირდება). შეფასების მომენტში საპირფარეშო ოთახების გარკვეულ ნაწილში სანიტარიული ნორმები დაცული არ იყო. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებლობას ინაწილებენ პედაგოგები, მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი და დამლაგებლები. ამავე დროს, თითოეულ საპირფარეშოში 2 ონკანიდან 1 გათიშულია ქსელიდან და არ ფუნქციონირებს. სკოლაში სულ არის 6 ხელსაბანი, მათგან 5 მოწყობილია სანიტარიულ კვანძთან. შეფასების მომენტში ხელსაბანის უმეტეს ნაწილში წყალი მოდიოდა, ადგილზე იყო საპონიც და ხელსახოციც. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ არის ხელმისაწვდომი. ბოლო წლებში ტარდება მოსწავლეთა

შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს საჭირო მედიკამენტები ურიგდებათ.

მყარ ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან იქვე, სკოლის ტერიტორიასთან არსებულ დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნებში. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული არ იყო, ამგვარად, სკოლაში მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში გამართულად ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების შემთხვევაში – სისტემის აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ხელს უშლის მისი არასათანადო მოწყობა. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ სკოლაში გარკვეული პრობლემები აღინიშნება. WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება - პედაგოგების გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალით სკოლის მომარაგება.

მერიის საჯარო სკოლა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 326 მოსწავლე (185 ვაჟი და 141 გოგონა), რომელთა შორის 1 გოგონა და 8 ვაჟი იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 41–ს (37 ქალი და 4 მამაკაცი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და მოსწავლეთა კლუბი „ჩემი სკოლის ეზო“. დირექტორის განცხადების მიხედვით, ისინი ყოველწლიურად ადგენენ სკოლის განვითარების გეგმას, რომელიც WaSH-თან დაკავშირებულ საკითხებს ითვალისწინებს. (სკოლის განვითარების გეგმაში ყურადღება გამახვილებულია კანალიზაციის სისტემის მოწყობის აუცილებლობაზე).

სკოლა ყოველდღიურად მარაგდება დაცული ჭის წყლით, რომელიც სკოლას შეზღუდული რაოდენობით მიეწოდება, შესაბამისად, არსებული წყლის რესურსი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის). წყალი ვარგისიანობაზე ლაბორატორიულად არის შემოწმებული, ხოლო ყოველ ზაფხულს წარმოებს ჭის ამორეცხვა და ქლორით დამუშავება. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. წყლის სასმელი მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. დირექციის განცხადების მიხედვით, მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს მოსწავლეები პირდაპირ ონკანიდან სვამენ.

სკოლის ეზოში მოწყობილია „ორმოს“ ტიპის, ხოლო შენობაში განთავსებულია „ჩასარეცხი“ ტიპის საპირფარეშოები. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 7 ერთეული გოგონებისათვის, 7 – ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა – პედაგოგებისათვის. სანიტარიული კვანძი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე არ არის ადაპტირებული. ვიზიტის დღეს შენობაში განთავსებულ საპირფარეშოში სანიტარიული ნორმები დაცული იყო, ხოლო ეზოს ერთულებში – დარღვეული. საპირაფრეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებლობა დამლაგებლებს აკისრიათ. გოგონების საპირფარეშო ოთახი განცალკევებულია ბიჭების საპირფარეშო ოთახისგან და საპირფარეშოების ნაწილს აქვს კარების შიდა საკეტები (შენობაში). სკოლაში არის 4 ხელსაბანი, მათგან 3 მოწყობილია სანიტარიულ კვანძებთან. ვიზიტის მომენტში ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა მხოლოდ ერთგან იყო ხელმისაწვდომი საპონი, ხელსახოცი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ისწავლება, როგორც სკოლის მიერ დაფინანსებული ექსტრაკურიკულური პროგრამა (ეკოკლუბის ფარგლებში), თუმცა დირექციამ ზუსტად არ იცის, აქვთ თუ არა პედაგოგებს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები სანიტარია-ჰიგიენის შესახებ. ბოლო წლებში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე, თუმცა არ არის ცნობილი დაურიგდათ თუ არა ინფიცირებულ მოსწავლეებს საჭირო მედიკამენტები.

მყარ ნარჩენებს თითქმის ყოველდღიურად ცლიან დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნებში. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული არ იყო, ამგვარად, სკოლაში მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლას არა აქვს კანალიზაციის სისტემა, შესაბამისად, მთელი ფეკალური მასები ნიადაგში იჟონება, ხოლო ეზოში არსებული ონკანის გამოყენებული წყალი ღია არხში მიედინება.

დირექცია წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების გამოსწორებაზე პასუხისმგებელ უწყებად მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ხელს უშლის მისი ოპერირებისათვის საჭირო ენერგომატარებლების ნაკლებობა (საწვავი, ელექტროენერგია). რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ სკოლაში გარკვეული პრობლემები აღინიშნება. WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება - პედაგოგების გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალით სკოლის მომარაგება.

ნარუჯის საჯარო სკოლა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნარუჯში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 349 მოსწავლე (138 ვაჟი და 211 გოგონა), რომელთა შორის 1 გოგონა და 5 ვაჟი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე იყო. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 35–ს (27 ქალი და 8 მამაკაცი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამოქალაქო განათლების კლუბი „ტოლერანტურა“ და ეკოკლუბი „ბუნება“. შესაბამისად, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული წყალთან და სანიტარია-ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში. დირექტორის განცხადების მიხედვით, ისინი ახდენენ როგორც სემესტრულ, ასევე წლიურ თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც დგება სკოლის განვითარების გეგმა. WaSH-ის საკითხები აღნიშნული გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა საჭიროებს რემონტს. სკოლის შენობა დღემდე შეშის ღუმლით თბება. ყოველივე ამის ფონზე, გაძნელებულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების სათანადო დონეზე შენარჩუნება. სკოლის შენობაში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც ყოველდღიურად უწყვეტად არის ხელმისაწვდომი. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას დაცული ჭის წყალი წარმოადგენს. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან სასმელად უსაფრთხოდ არის მიჩნეული (ლაბორატორიულად დადასტურებულია). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე, თუმცა არცერთ მოსწავლეს არ მოაქვს წყალი სახლიდან და სკოლაში არსებულ წყალს პირდაპირ ონკანიდან სვამს.

სკოლის ეზოში მოწყობილია „ორმოს“ ტიპის, ხოლო შენობაში განთავსებულია „ჩასარეცხი“ ტიპის საპირფარეშოები. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 5 ერთეული გოგონებისათვის და 5 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. ვიზიტის დღეს მოსწავლეთა საპირფარეშოს 8 ერთეულში სანიტარიული ნორმები დაცული იყო, ხოლო დანარჩენ ნაწილში – ნაწილობრივ დარღვეული. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებლობას პედაგოგები, მოსწავლეები და დამლაგებლები ინაწილებენ. გოგონების საპირაფრეშო ოთახი განცალკევებულია ბიჭების საპირფარეშო ოთახისგან, თუმცა საპირფარეშოების კარებს შიდა საკეტები არა აქვს. სკოლაში არის 5 ხელსაბანი, რომელიც მოწყობილია სანიტარიულ კვანძებთან. ვიზიტის მომენტში ხუთივე ხელსაბანში მოდიოდა წყალი და ხელმისაწვდომი იყო საპონი, მაგრამ ხელსახოცი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ ნაწილი იბანს ხელებს საპირაფრეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ არის ხელმისაწვდომი. ბოლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს თითქმის ყოველდღიურად ცლიან დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნებში. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული არ იყო, ამგვარად, სკოლაში მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს აგრეთვე დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექცია წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების გამოსწორებაზე პასუხისმგებელ უწყებად მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ხელს უშლის ცენტრალური მილსადენის, რეზერვუარის დაზიანება. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ სკოლაში გარკვეული პრობლემები აღინიშნება. WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალით სკოლის მომარაგება.

ნასაკირალის საჯარო სკოლა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 395 მოსწავლე (207 ვაჟი და 188 გოგონა), რომელთა შორის 1 გოგონა და 1 ვაჟი იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 36–ს (28 ქალი და 8 მამაკაცი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არ მონაწილეობს WaSH-ის მხარდაჭერაში. სკოლაში არსებობს განვითარების სამწლიანი გეგმა, ტარდება წლიური თვითშეფასება. WaSH-ის საკითხები აღნიშნული გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას კვირაში 2-4 დღე, არარეგულარული გრაფიკით, საათობრივად მიეწოდება. წყალი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). წყალი რეზერვუარში გროვდება, რომელიც სათანადოდ არის დახურული და წელიწადში 3-ჯერ ირეცხება. წყლის გაწმენდა სკოლაში არ ხდება, რადგან, ზოგადად, სოფელში არსებული წყალი მიჩნეულია უხარისხოდ და სკოლას არ შეუძლია მისი სათანადოდ დამუშავება. თითქმის ყველა მოსწავლეს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით (PET).

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) მოწყობილია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშოს ჯიხური, რომელსაც გააჩნია 1 ერთეული გოგონებისათვის და 1 - ვაჟებისათვის. მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე, სკოლაში არსებული საპირფარეშო ჯიხურები არ არის საკმარისი. ამავე დროს, პედაგოგებს არა აქვთ ცალკე საპირფარეშო ოთახი. შეფასების დღეს სანიტარიული კვანძის ყველა ერთეულში უხეშად იყო დარღვეული სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებლობა დამლაგებლებს აკისრიათ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. სკოლაში არის 4 ხელსაბანი, მათგან მხოლოდ 1–ია მოწყობილი სანიტარიულ კვანძთან. შეფასების მომენტში ხელსაბანის მხოლოდ მცირე ნაწილში მოდიოდა წყალი, მაგრამ არსად არ იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ თითქმის არცერთი მოსწავლე არ იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ არის ხელმისაწვდომი. ბოლო წლებში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს მედიკამენტები დაურიგდათ.

მყარი ნარჩენების შეგროვება ხდება ყოველდღიურად, მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ სკოლიდან დაახლოებით 100 მეტრში დგას ნაგვის ურნა, შეგროვილ ნარჩენებს მაინც პირდაპირ სკოლასთან ახლოს, მიწაზე, ღია ცის ქვეშ ყრიან. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან „დამდგარი“ წყლების სადრენაჟო სისტემა).

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების გამოსწორებაზე დირექცია პასუხისმგებელ უწყებად მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. წყლის სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა ვერ ხერხდება, ამიტომ სკოლაში ხარისხიანი სასმელი წყლის სერიოზული დეფიციტია. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ სკოლაში მნიშვნელოვანი დარღვევები აღინიშნება, სისტემა არსებით ცვლილებებს საჭიროებს. WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალით სკოლის მომარაგება.

ქვემო ნატანების საჯარო სკოლა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ნატანებში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 366 მოსწავლე (203 ვაჟი და 166 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 45–ს (37 ქალი და 8 მამაკაცი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არ მონაწილეობს WaSH-ის მხარდაჭერაში. სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც ადგენენ მომავალი წლის განვითარების გეგმას. სკოლის განვითარების გეგმაში აქცენტი გაკეთებულია წყლის ხარისხის ლაბორატორიული კვლევის აუცილებლობაზე.

სკოლა მარაგდება ჭაბურღილის წყლით, რომელიც ყოველღიურად არის ხელმისაწვდომი და საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის). წყალი ვარგისიანობაზე ლაბორატორიულად არის შემოწმებული. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. წყლის სასმელ მოწყობილობათა ნაწილი ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. დირექციის განცხადების მიხედვით, არცერთ მოსწავლეს წყალი სახლიდან არ მოაქვს, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს მოსწავლეები ერთჯერადი მოხმარების ჭურჭლის გამოყენებით სვამენ.

სკოლის ეზოში მოწყობილია „ორმოს“ ტიპის, ხოლო შენობაში განთავსებულია „ჩასარეცხი“ ტიპის საპირფარეშოები. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 4 ერთეული გოგონებისათვის, 4 – ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა – პედაგოგებისათვის. სანიტარიული კვანძის კიდევ ერთი ერთეული ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მოსწავლეებზე. ვიზიტის დღეს მოსწავლეთა საპირფარეშოს 5 ერთეულში დაცული იყო სანიტარიული ნორმები, ხოლო დანარჩენ ნაწილში – ნაწილობრივ დარღვეული. პედაგოგთა საპირფარეშო ოთახში სანიტარიული ნორმები დაცული იყო. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებლობა დამლაგებლებს აკისრიათ. ვაჟების საპირფარეშოში არის პისუარები (4 ერთეული). სკოლაში არის 15 ხელსაბანი, აქედან 13 მოწყობილია სანიტარიულ კვანძებთან. ვიზიტის მომენტში ხელსაბანების უმეტეს ნაწილში მოდიოდა წყალი და ხელმისაწვდომი იყო საპონი, მაგრამ ხელსახოცი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში, თუმცა შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები ხელმისაწვდომია. ბოლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ყოველდღიურად ცლიან მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე ურნებში. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული არ იყო, ამგვარად, სკოლაში მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების გამოსწორებაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლა, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. დაკვირვების მომენტში ამ მხრივ გარკვეული პრობლემები აღინიშნა, რასაც სკოლის დირექცია სისტემის ოპერირებისათვის საჭირო ენერგომატარებლების ნაკლებობას უკავშირებს. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – არსებული მდგომარეობა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია. სკოლაში გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლების ხარისხი, რისთვისაც საჭიროა პედაგოგთა სათანადო მომზადება.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

ბუკნარის საჯარო სკოლა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 123 მოსწავლე (61 ვაჟი და 62 გოგონა), რომელთა შორის 2 ვაჟი და 1 გოგონა იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 21–ს (19 ქალი და 2 მამაკაცი). სკოლაში არ არსებობს მშობელთა, პედაგოგთა ან რაიმე სხვა სახი საზოგადოებრივი ორგანიზაცია და არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც ადგენენ მომავალი წლის განვითარების გეგმას. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა მარაგდება ჭაბურღილის წყლით, რომელიც შეზღუდული რაოდენობით არის ხელმისაწვდომი და არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის). წყალი ვარგისიანობაზე ლაბორატორიულად არ არის შემოწმებული და მხოლოდ საპირფარეშოს დასასუფთავებლად გამოიყენება. წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს დაუცველი ჭის წყალი, რომელიც ასევე არ არის უსაფრთხო, ამიტომ თითქმის ყველა მოსწავლეს წყალი სახლიდან მოაქვს.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) მოწყობილია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით, რომელსაც გააჩნია 3 ერთეული გოგონებისათვის, 3 - ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა -

პედაგოგებისათვის. შეფასების დღეს გოგონებისა და პედაგოგების საპირფარეშოებში დაცული იყო სანიტარიული ნორმები, ვაჟების საპირფარეშოში კი – არა. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებლობას პედაგოგები, მოსწავლეები და დამლაგებლები თანაბრად ინაწილებენ. სანიტარიული კვანძი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. სკოლაში არის 4 ხელსაბანი, მათგან 3 მოწყობილია სანიტარიულ კვანძთან. შეფასების მომენტში ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი და ხელმისაწვდომი იყო საპონი, ხელსახოცი - მხოლოდ ნაწილში. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ თითქმის ყველა მოსწავლე იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ამავე დროს, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არს შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ არის ხელმისაწვდომი. სკოლაში ბოლო წლებში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე, თუმცა დირექციამ ზუსტად არ იცის, თუ რამდენად ახერხებენ ინფიცირებული მოსწავლეები საჭირო მედიკამენტების მიღებას.

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში დაგროვილ მყარ ნარჩენებს სკოლის ტერიტორიაზევე ყრიან ან წვავენ. მათი თქმით, ნარჩენები კვირაში დაახლოებით ერთხელ გააქვთ ნაგავსაყრელზე. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების უმეტესი ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა, რის გამოც ეზოს ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

დირექცია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. სკოლაში ვერ ხერხდება წყლის სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ამიტომ ხარისხიანი სასმელი წყლის მწვავე დეფიციტია. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ სკოლაში გარკვეული დარღვევები აღინიშნა. WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება - პედაგოგების მომზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალით სკოლის მომარაგება.

ზოტის საჯარო სკოლა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 140 მოსწავლე (81 ვაჟი და 59 გოგონა), რომელთა შორის 1 გოგონა და 1 ვაჟი იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე.

პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 22–ს (11 ქალი და 11 მამაკაცი). სკოლაში არ ფუნქციონირებს არც არანაირი საზოგადოებრივი ორგანიზაცია და არც მოსწავლეთა თვითმმართველობა. დირექტორის განცხადების მიხედვით, ისინი ყოველწლიურად ადგენენ სკოლის განვითარების გეგმას, რომელიც ითვალისწინებს WaSH-თან დაკავშირებულ საკითხებს.

სკოლა მარაგდება ყოველდღიურად მარაგდება ჭაბურღილის წყლით, რომელიც საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის). წყალი ვარგისიანობაზე ლაბორატორიულად არის შემოწმებული. წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს წყაროს წყალი. წყლის სასმელ მოწყობილობათა ნაწილი ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. დირექციის განცხადების მიხედვით, მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს საზიარო ჭურჭლის გამოყენებით სვამენ.

სკოლის შენობაში განთავსებულია „ჩასარეცხი“ ტიპის საპირფარეშოს 14 ერთეული: 6 ერთეული გოგონებისათვის, 6 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს ყველა საპირფარეშო ოთახში ნაწილობრივ იყო დაცული სანიტარიული ნორმები. გოგონების საპირფარეშო ოთახი განცალკევებულია ბიჭების საპირფარეშო ოთახისგან და საპირფარეშოებს აქვს კარების შიდა საკეტები. სანიტარიულ კვანძებში მოწყობილია ხელსაბანები (15 ერთეული). ვიზიტის მომენტში არცერთ ხელსაბანთან არ იყო საპონი და ქაღალდი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. სკოლაში არ არის შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. ბოლო წლებში სკოლაში ტარდება მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს მედიკამენტები ურიგდებათ.

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში დაგროვილ მყარ ნარჩენებს სკოლის ტერიტორიაზევე წვავენ და ნარჩენები თითქმის ყოველდღიურად გააქვთ, თუმცა შეფასების დღეს სანიტარიული ობიექტების ნაწილი გადავსებული იყო. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში ნაწილობრივ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა და სკოლის ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად. შეფასების მომენტში

გარკვეული პრობლემები აღინიშნა, რაც სათადარიგო ნაწილების დეფიციტს უკავშირდება. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. მიუხედავად იმისა, რომ საპირფარეშო ოთახები ახალი გარემონტებულია, მაინც არ არის სანიტარიული ნორმები სათანადოდ დაცული. WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება და ამ თემაზე მოსწავლეთა ცნობირების ამაღლება - პედაგოგების მომზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალით სკოლის მომარაგება.

კოხნარის საჯარო სკოლა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 90 მოსწავლე (38 ვაჟი და 52 გოგონა), რომელთა შორის 3 გოგონა და 4 ვაჟი იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 19–ს (15 ქალი და 4 მამაკაცი). სკოლაში არ ფუნქციონირებს არც რაიმე სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია და არც მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა მოქმედებს ეკოკლუბი. დირექტორის განცხადების მიხედვით, ისინი ყოველწლიურად ადგენენ სკოლის განვითარების გეგმას, რომელიც მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს WaSH-თან დაკავშირებულ საკითხებს.

სკოლის შენობაში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც ყოველდღიურად უწყვეტად არის ხელმისაწვდომი. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს სკოლის მეზობლად მცხოვრები მოსახლეობის ეზოებში არსებული წყალი. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან არსებული წყალი სასმელად უსაფრთხოდ არის მიჩნეული (ლაბორატორიულად დადასტურებულია). სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, თუმცა მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, სკოლაში არსებულ წყალს კი მოსწავლეები პირდაპირ ონკანიდან სვამენ.

სკოლის შენობაში განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 1 ერთეული გოგონებისათვის, 1 – ვაჟებისათვის და 1 საერთო გამოყენების – პედაგოგებისათვის. სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს მოსწავლეთა საპირფარეშოში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დაცული, ხოლო პედაგოგთა საპირფარეშო სუფთა იყო. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 4 ხელსაბანი, მათგან 2 მოწყობილია სანიტარიულ კვანძში. ვიზიტის დღეს მხოლოდ ხელსაბანთა უმეტეს ნაწილში მოდიოდა წყალი, იქვე იყო საპონი და ხელსახოცი.

დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ისწავლება, როგორც ჯანსაღი ცხოვრების სწავლების სპეციალური მოდულის შემადგენელი ნაწილი და ხელმისაწვდომია ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. ბოლო წლებში ჩატარდა მოსწავლეთა ნაწლავის ჭიებზე შემოწმება და გამოვლენილ შემთხვევებში მოსწავლეებს საჭირო მედიკამენტები დაურიგდათ.

მყარი ნარჩენები გააქვთ იქვე სკოლის ტერიტორიაზე მოწყობილ ნაგავსაყრელზე. ვიზიტის მომენტში ყველა სანიტარიული ობიექტი ნარჩენებით იყო გადავსებული, ამგვარად, სკოლაში მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სადრენაჟო სისტემა ნაწილობრივ ფუნქციონირებს, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი გამოყენებული წყლით იტბორება.

სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების გამოსწორებაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. (ამ მხრივ მნიშვნელოვანი შეფერხება სკოლაში არ აღინიშნა). სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად სკოლას მიიჩნევენ – სკოლაში არსებული მდგომარეობა არ არის ბოლომდე დამაკმაყოფილებელი: აუცილებელია მოსწავლეთა საპირფარეშო ოთახებში სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება და სადრენაჟო სისტემის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება, რადგან მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH-ის საკითხებთან მიმართებაში შედარებით დაბალია.

იმერეთის რეგიონი

ქუთაისის მუნიციპალიტეტი

ქუთაისის N2 საჯარო სკოლა

ქალაქ ქუთაისის N2 სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID 212850155). სკოლაში ირიცხება 1546 მოსწავლე (745 გოგონა და 801 ვაჟი), მათგან 3 ვაჟი და 1 გოგონა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 92-ს (7 მამაკაცი და 85 ქალი). მოსწავლეთა დიდი რაოდენობის გამო სკოლაში სწავლა ორცვლად მიმდინარეობს. ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც პერიოდულად ახორციელებს WASH-თან დაკავშირებულ საქმიანობებს. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში

ყოველწლიურად ტარდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც სკოლის ადმინისტრაცია მომავალი წლის განვითარების გეგმას ადგენს. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები აღნიშნული გეგმის უპირველეს პრიორიტეტებს განეკუთვნება (მაგ., წინა წლის სკოლის ბიუჯეტიდან საკმარისი რაოდენობის თანხა სწორედ ამ საკითხების მოგვარებაზე დაიხარჯა).

სკოლა სარგებლობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით, წყალი რეზერვუარებში გროვდება და ყოველდღიურად მიეწოდება სკოლას. წყალსადენი მილები შენობის შიგნით არის შეყვანილი. სკოლაში არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (ლაბორატორიულად შემოწმებულია) და გამოიყენება როგოც სასმელად და საკვების მოსამზადებლად, ასევე ხელების დასაბანად და ტექნიკური მოხმარებისათვის. რეზერვუარები სათანადოდ არის დახურული და მოვლილი. სკოლაში არსებული სასმელი წყლის მოწყობილობები ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთათვის, მათ ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს ერთჯერადი მოხმარების ჭურჭლის გამოყენებით სვამენ.

სკოლის შენობაში განთავსებულია ჩასარეცხი საპირფარეშოებო. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 43 ერთეული (21 – გოგონებისათვის, 20 – ბიჭებისათვის, 1 ქალი პედაგოგებისა და სკოლის თანამშრომლებისათვის და კიდევ 1 – მამაკაცი პედაგოგებისა და სკოლის თანამშრომლებისათვის). ბიჭების საპირფარეშო ოთახში მოწყობილია აგრეთვე პისუარები (2). საპირფარეშოები ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. ვიზიტის დღეს სანიტარიული კვანძის ყველა ერთეული იყო სუფთა და ყოველმხრივ მოწესრიგებული. ხელის დასაბან ყველა წერტილში (სულ 31: აქედან 30 საპირფარეშოებშია და 1 – სასადილო ოთახში) მოდიოდა წყალი და ფუნქციონირებდა ხელსაშრობები, ხელსაბანების უმრავლესობაში იყო საპონი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ისწავლება, როგორც სკოლის მიერ დაფინანსებული ექსტრაკურიკულური პროგრამა. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ჰყავთ ექთანი, რომელიც უძღვება ჰიგიენის სწავლებას. რაც შეეხება პედაგოგებს, მათ არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. სკოლაში ხელმისაწვდომია ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო - საგანმანათლებლო მასალები, თუმცა უფროსი კლასის გოგონებისათვის უსაფრთხო და პირადი მენსტრუალური ჰიგიენის ხელშეწყობის მიზნით არანაირი პროგრამა არ მოქმედებს. ბოლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარი ნარჩენების (ნაგვის) შეგროვება და გატანა ხდება ორგანიზებულად, (კვირაში, სულ მცირე, ორჯერ) შესაბამისი დასუფთავების სამსახურის მიერ. სკოლის ტერიტორიასთან ახლოს დგას სანაგვე ურნა, შესაბამისად, ნარჩენების გატანა ხდება უსაფრთხოდ. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ვიზიტის დროს სანიტარიული ობიექტის მცირე ნაწილი

ნარჩენებით იყო გადავსებული. სკოლაში გამართულად ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა.

წყლის მიწოდების სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. (ამ მხრივ სისტემა სათანადო დონეზე არის უზრუნველყოფილი). რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. შეფასების მომენტში სანიტარიული ნორმების დარღვევა არ დაფიქსირებულა. გასაუმჯობესებელია სკოლაში ჰიგიენის საკითხების სწავლება - აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება, გასარკვევია, თუ რამდენად კვალიფიციურია სკოლაში ჰიგიენის სასწავლებლად მიწვეული ექთანი, რომელმაც ჰიგიენის საკითხები 1500–ზე მეტ მოსწავლეს უნდა ასწავლოს.

ქუთაისის N10 საჯარო სკოლა

ქალაქ ქუთაისის N10 სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში ირიცხება 848 მოსწავლე (424 გოგონა და 424 ვაჟი), მათგან 7 ვაჟი და 4 გოგონა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 60-ს (5 მამაკაცი და 55 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც WASH-ის მხარდაჭერაში არ მონაწილეობს. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლა ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც სკოლის ადმინისტრაცია მომავალი წლის განვითარების გეგმას ადგენს. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები აღნიშნული გეგმის პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს.

სკოლა სარგებლობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით, რეზერვუარში გროვდება და ყოველდღიურად მიეწოდება სკოლას. წყალსადენი მილები შენობის შიგნით არის შეყვანილი. სკოლაში არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (ლაბორატორიულად შემოწმებულია) და ის გამოიყენება სასმელად, ხელების დასაბანად და ტექნიკური მოხმარებისათვის. რეზერვუარი სათანადოდ არის დახურული და მოვლილი. სკოლაში არსებული სასმელი წყლის მოწყობილობები ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკისა და შესზღულული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთათვის, მათ ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს მოსწავლეები ერთჯერადი მოხმარების ჭურჭლის გამოყენებით სვამენ.

სკოლის შენობაში განთავსებულია ჩასარეცხი საპირფარეშოები. სულ არის 28 საპირფარეშო (12 – გოგონებისათვის, 12 – ბიჭებისათვის, 4 საერთო სარგებლობისა – პედაგოგებისა და სკოლის თანამშრომლებისათვის). საპირფარეშოები ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. ვიზიტის დღეს სანიტარიული კვანძის ყველა ერთეული იყო სუფთა და ყოველმხრივ მოწესრიგებული. ხელის დასაბან

ყველა წერტილში (სულ 24–ია და ყველა საპირფარეშებთან მდებარეობს) მოდიოდა წყალი და ფუნქციონირებდა ხელსაშრობები, ყველა ხელსაბანთან იყო საპონი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. რაც შეეხება პედაგოგებს, მათ არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის შესახებ. უფროსი კლასის გოგონებისათვის უსაფრთხო და პირადი მენსტრუალური ჰიგიენის ხელშეწყობის მიზნით სკოლაში არანაირი პროგრამა არ მოქმედებს. ბოლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარი ნარჩენების (ნაგვის) შეგროვება და გატანა ხდება ორგანიზებულად (თითქმის ყოველდღიურად) შესაბამისი დასუფთავების სამსახურის მიერ. სკოლის ტერიტორიასთან ახლოს დგას სანაგვე ურნა, ამდენად, ნარჩენების გატანა ხდება უსაფრთხოდ. ვიზიტის დროს სანიტარიული ობიექტები არ იყო მყარი ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში გამართულად ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა.

წყლის მიწოდების სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს. ამ მხრივ სისტემა სათანადო დონეზე არის უზრუნველყოფილი. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. შეფასების მომენტში სანიტარიული ნორმების დარღვევა არ დაფიქსირებულა. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება - აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება და სკოლისთვის საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების მიწოდება.

ქუთაისის N19 საჯარო სკოლა

ქალაქ ქუთაისის N19 სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში ირიცხება 545 მოსწავლე (282 გოგონა და 263 ვაჟი), მათგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 45-ს (2 მამაკაცი და 43 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც WASH-ის მხარდაჭერაში არ მონაწილეობს. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ტარდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც სკოლის ადმინისტრაცია მომავალი წლის განვითარების გეგმას ადგენს. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები აღნიშნული გეგმის პრიორიტეტებს განეკუთვნება.

სკოლა ყოველდღიურად სარგებლობს ცენტრალური წყალმომარაგების. წყალსადენი მილები შენობის შიგნით არის შეყვანილი. სკოლაში არსებული წყალი, პერსონალის სუბიექტური აზრით, სრულიად უსაფრთხოა (თუმცა ეს ფაქტი არ არის ლაბორატორიულად

დადასტურებული) და ის გამოიყენება სასმელად, ხელების დასაბანად და ტექნიკური მიზნებისათვის. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. სკოლაში არსებული სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს მოსწავლეები საკუთარი მრვალჯერადი მოხმარების ჭურჭლის გამოყენებით სვამენ.

სკოლის შენობაში მოწყობილია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სულ 7 საპირფარეშოა: 3 – გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის, 1 საერთო სარგებლობისა – პედაგოგებისა და სკოლის თანამშრომლებისათვის). მოსწავლეთა და პედაგოგთა არსებული რაოდენობიდან გამომდინარე სკოლაში არ არის საკმარისი რაოდენობის საპირფარეშო. ამავე დროს, გოგონების რაოდენობა აღემატება ვაჟებისას, ამიტომ მათთვის საპირფარეშოს მეტი ერთეული უნდა იყოს გათვალისწინებული. საპირფარეშოები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს სანიტარიული კვანძის იმ ერთეულებში, რომელიც მოსწავლეთათვის არის გათვალისწინებული, სანიტარიული ნორმები დარღვეული იყო, ხოლო პედაგოგთა საპირფარეშო ოთახი სუფთა იყო. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში მოწყობილია 4 ხელსაბანი - მათგან 3 ფუნქციონირებს სანიტარიულ კვანძში. ვიზიტის დღეს ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა მხოლოდ ორში იყო საპონი, ხელსახოცი კი - არსად. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. რაც შეეხება პედაგოგებს, მათ არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის შესახებ. უფროსი კლასის გოგონებისათვის უსაფრთხო და პირადი მენსტრუალური ჰიგიენის ხელშეწყობის მიზნით სკოლაში არანაირი პროგრამა არ მოქმედებს. ბოლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარი ნარჩენების (ნაგვის) შეგროვება და გატანა ხდება ორგანიზებულად, (თითქმის ყოველდღიურად) შესაბამისი დასუფთავების სამსახურის მიერ. სკოლის ტერიტორიასთან ახლოს დგას სანაგვე ურნა, შესაბამისად, ნარჩენების გატანა ხდება უსაფრთხოდ. ვიზიტის დროს სანიტარიული ობიექტები არ იყო მყარი ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა.

წყლის მიწოდების სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს. (ამ მხრივ სისტემის ფუნქციონირებაში გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა). რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. შეფასების მომენტში

სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დარღვეული. სკოლაში გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება - აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება და სკოლისათვის საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების მიწოდება.

ქუთაისის N28 საჯარო სკოლა

ქალაქ ქუთაისის N28 სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID 212808808). სკოლაში ირიცხება 170 მოსწავლე (87 გოგონა და 83 ვაჟი), მათგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 25-ს (2 მამაკაცი და 23 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ნაკლებად ინტერესდება WASH-თან დაკავშირებული საკითხებით. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ახდენენ თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც სკოლის ადმინისტრაცია მომავალი წლის განვითარების გეგმას ადგენს. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები აღნიშნული გეგმის პრიორიტეტს წარმოადგენს, თუმცა სკოლის ადმინისტრაციას ძალზე შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში უწევს მუშაობა.

სკოლა სარგებლობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით, რომელიც ყოველდღიურად, შეზღუდული რაოდენობით (საათობრივი გრაფიკით) არის ხელმისაწვდომი. წყალსადენი მილები შენობის შიგნით არის შეყვანილი. სკოლაში არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (თუმცა ეს დასკვნა არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული) და ის გამოიყენება სასმელად, საკვების მოსამზადებლად, ხელების დასაბანად და ტექნიკური მოხმარებისათვის. არსებული წყლის რესურსი ვერ აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება ან რეზერვუარი. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს პირდაპირ ონკანიდან სვამენ.

სკოლის შენობაში მოწყობილია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სულ არის საპირფარეშოს 16 ერთეული (10 – გოგონებისათვის და 6 – ვაჟებისათვის). პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო არა აქვთ. საპირფარეშოები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს სანიტარიული კვანძის ერთეულებში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში მოწყობილია 17 ხელსაბანი - მათგან 10 ფუნქციონირებს სანიტარიულ კვანძში. ვიზიტის დღეს ხელსაბანების უმეტეს ნაწილში მოდიოდა წყალი, თუმცა არსად არ იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ (– ისიც საპნის გარეშე).

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. რაც შეეხება პედაგოგებს, მათ ნაწილს გავლილი აქვს სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში, თუმცა ამ თემასთან დაკავშირებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ არის ხელმისაწვდომი. უფროსი კლასის გოგონებისათვის უსაფრთხო და პირადი მენსტრუალური ჰიგიენის ხელშეწყობის მიზნით სკოლაში არანაირი პროგრამა არ მოქმედებს. ბოლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარი ნარჩენების (ნაგვის) შეგროვება და გატანა ხდება ორგანიზებულად, (კვირაში ერთხელ) შესაბამისი დასუფთავების სამსახურის მიერ. სკოლის ტერიტორიასთან ახლოს დგას სანაგვე ურნა, შესაბამისად, ნარჩენების გატანა ხდება უსაფრთხოდ. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ვიზიტის დროს სანიტარიული ობიექტის ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა.

წყლის მიწოდების სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად სკოლის დირექცია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს. ამ მხრივ სისტემა არ არის სათანადო დონეზე გამართული. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. შეფასების მომენტში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დარღვეული. სკოლაში გასაუმჯობესებელია ჰიგიენის საკითხების სწავლება და ასამაღლებელია მოსწავლეთა ცნობიერების დონე აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით.

ქუთაისის N35 საჯარო სკოლა

ქალაქ ქუთაისის N35 სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID 212702798). სკოლაში ირიცხება 322 მოსწავლე (147 გოგონა და 175 ვაჟი), მათგან 1 ვაჟი და 4 გოგონა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 36-ს (3 მამაკაცი და 34 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არ არის დაინტერესებული WASH-თან დაკავშირებული საკითხებით. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ახდენენ თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც სკოლის ადმინისტრაცია მომავალი წლის განვითარების გეგმას ადგენს. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები აღნიშნული სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა სარგებლობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით, რომელიც ყოველდღიურად, შეზღუდული რაოდენობით (საათობრივი გრაფიკით) არის ხელმისაწვდომი. წყალსადენი მილები შენობის შიგნით არის შეყვანილი. სკოლაში არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (ლაბორატორიულად დადასტურებულია) და ის გამოიყენება სასმელად,

ხელების დასაბანად და ტექნიკური მიზნებისათვის. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. არსებობს წყლის რეზერვუარი, რომელიც სათანადოდ არის დახურული და მოვლილი. სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს მოსწავლეები ერთჯერადი მოხმარების ჭურჭლის გამოყენებით სვამენ.

სკოლის ეზოში მოწყობილია სანიტარიული კვანძი - „ჩასარეცხი“ ტიპის საპირფარეშო. საპირაფეშო სკოლის შენობაშიც არის განთავსებული, თუმცა ამორტიზებულია და ამჟამად არ ფუნქციონირებს. სულ არის საპირფარეშოს 4 ერთეული (1 – გოგონებისათვის, 1 – ბიჭებისათვის, 1 – ქალი პედაგოგებისა და სკოლის თანამშრომლებისათვის და 1 –მამაკაცი პედაგოგებისა და სკოლის თანამშრომლებისათვის). საპირფარეშოები ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძებლობების მქონე მოსწავლეებზე. ვიზიტის დღეს სანიტარიული კვანძის ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დაცული. სკოლაში არის 4 ხელსაბანი, რომელთაგან 2 საპირფარეშოსთან არის მოწყობილი. მხოლოდ ერთ ხელსაბანში მოდიოდა წყალი, იქვე ოყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. რაც შეეხება პედაგოგებს, მათ არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. სკოლაში არ არის არც ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც უფროსი კლასის გოგონებისათვის უსაფრთხო და პირადი მენსტრუალური ჰიგიენის ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული პროგრამა. ბოლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარი ნარჩენების (ნაგვის) შეგროვება და გატანა ხდება ორგანიზებულად (კვირაში ერთხელ), შესაბამისი დასუფთავების სამსახურის მიერ. სკოლის ტერიტორიასთან ახლოს დგას სანაგვე ურნა, შესაბამისად, ნარჩენების გატანა ხდება უსაფრთხოდ. აღნიშნულის მიუხედავად, ვიზიტის დროს სანიტარიული ობიექტის მცირე ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. სკოლაში გამართულად არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექცია წყლის მიწოდების სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს. ამ მხრივ სისტემა არ არის სათანადო დონეზე გამართული. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. შეფასების მომენტში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ დარღვეული იყო. გასაუმჯობესებელია სკოლაში ჰიგიენის სწავლება და ასამაღლებელია მოსწავლეთა ცნობიერების დონე აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში.

ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი

ქალაქ ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი წარმოადგენს სრულ კერძო სკოლას. სკოლაში ირიცხება 367 მოსწავლე (187 გოგონა და 180 ვაჟი), მათგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 44-ს (8 მამაკაცი და 36 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ჩართულია WASH-ის მხარდაჭერაში. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ახდენენ თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც სკოლის ადმინისტრაცია მომავალი წლის განვითარების გეგმას ადგენს. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა სარგებლობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით, რეზერვუარებში გროვდება და ყოველდღიურად მიეწოდება სკოლას. წყალსადენი მილები შენობის შიგნით არის შეყვანილი. სკოლაში არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (თუმცა გამოყენებამდე წყალს ფილტრავენ) და ის გამოიყენება სასმელად, საკვების მოსამზადებლად, ხელების დასაბანად და ტექნიკური მოხმარებისათვის. რეზერვუარები სათანადოდ არის დახურული და მოვლილი. სკოლაში არსებული სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეებს წყალი სახლიდან მოაქვთ, სკოლაში არსებულ წყალს კი, ძირითადად, ერთჯერადი მოხმარების ჭურჭლის გამოყენებით სვამენ.

სკოლის შენობაში განთავსებულია ჩასარეცხი საპირფარეშოები. სულ არის საპირფარეშოს 16 ერთეული (6 – გოგონებისათვის, 6 – ბიჭებისათვის, 2 – ქალი პედაგოგებისა და სკოლის თანამშრომლებისთვის და 2 – მამაკაცი პედაგოგებისა და სკოლის თანამშრომლებისათვის). საპირფარეშოების ნაწილი ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს სანიტარიული კვანძის ყველა ერთეული იყო სუფთა და ყოველმხრივ მოწესრიგებული. ხელის დასაბან ყველა წერტილში (სულ 20: აქედან 16 საპირფარეშოებშია, 4 – მათგან მოშორებით) მოდიოდა წყალი და იყო საპონი, ხელსაბანის უმრავლესობაში იდო ხელსახოცები. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ისწავლება, როგორც სკოლის მიერ დაფინანსებული ექსტრაკურიკულური პროგრამა. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ჰყავთ ჰიგიენის საკითხებში მომზადებული პედაგოგები, აქვთ ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო - საგანმანათლებლო მასალები. უფროსი კლასის გოგონებისათვის უსაფრთხო და პირადი მენსტრუალური ჰიგიენის ხელშეწყობის მიზნით სკოლაში არანაირი პროგრამა არ მუშაობს. ბოლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარი ნარჩენების (ნაგვის) შეგროვება და გატანა ხდება ორგანიზებულად (ყოველდღიურად) შესაბამისი დასუფთავების სამსახურის მიერ. სკოლის ტერიტორიასთან ახლოს დგას სანაგვე ურნა, შესაბამისად, ნარჩენების გატანა ხდება უსაფრთხოდ. აღნიშნულის მიუხედავად, ვიზიტის დროს სანიტარიული ობიექტის მცირე ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. სკოლაში გამართულად ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექცია წყლის მიწოდების სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს. (ამ მხრივ სისტემა სათანადო დონეზეა უზრუნველყოფილი). რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. შეფასების მომენტში სანიტარიული ნორმების დარღვევა არ დაფიქსირებულა. სკოლაში სათანადო დონეზე ისწავლება ჰიგიენის საკითხები.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

დიმის საჯარო სკოლა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID 225065381). სკოლაში არის 265 მოსწავლე (130 გოგონა და 135 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 29–ს (5 მამაკაცი და 24 ქალი). სკოლაში მოქმედებს სპეცსაბჭო და სამეურვეო საბჭო. ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად არის ჩართულია WaSH-ის საკითხების მოგვარებაში (მაგ., მონაწილეობენ „World Vision“ პროექტში). სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლაში წყლის მიწოდების ძირითადი საშუალება ჭაბურღილის წყალია, რომელიც რეზერვუარში გროვდება და ყოველდღიურად მიეწოდება სკოლას. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიულ წყარო. სკოლაში ყოველთვის ხდება წყლის გაწმენდა (ქლორაცია). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის ბავშვებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ წყლის მიღება. სასმელად მოსწავლეები საზიარო ან ერთჯერადი მოხმარების ჭურჭელს იყენებენ, მათ ნაწილს კი წყალი სახლიდან მოაქვთ.

სკოლის ეზოში (შენობიდან დაშორება 20 მეტრზე ნაკლებია) მოწყობილია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 2 - პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს პედაგოგთა საპირფარეშო სუფთა იყო, მოსწავლეთა საპირფარეშოები კი - ნაწილობრივ. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში მოწყობილია 4 ხელსაბანი - მათგან 2 ფუნქციონირებს სანიტარიულ კვანძში. ვიზიტის დღეს ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა მხოლოდ სკოლის შენობაში არსებულ ხელსაბანებთან იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ. სკოლის პერსონალის გადმოცემის თანახმად, სკოლაში საქმიანობენ ამერიკელი მასწავლებლები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მოსწავლეებში ხელის დაბანის კულტურის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

სკოლაში ჰიგიენა ისწავლება, როგორც ჯანსაღი ცხოვრების სწავლების სპეციალური მოდულის შემადგენელი ნაწილი. სკოლაში ხელმისაწვდომია აღნიშნულ თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, თუმცა არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლაში არსებულ მყარ ნარჩენებს რეგულარულად აგროვებენ (თითქმის ყოველდღიურად) და სკოლის ახლო მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე ყუთში ცლიან. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით არ იყო გადავსებული. სადრენაჟო სისტემა ნაწილობრივ ფუნქციონირებს, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი გამოყენებული წყლით იტბორება.

სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექციას სკოლა მიაჩნია. ამ მხრივ მნიშვნელოვანი შეფერხება სკოლაში არ აღინიშნა. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად მიიჩნევენ სკოლას – ამ მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა გასაუმჯობესებელია მოსწავლეთა საპირფარეშოებში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა. ჰიგიენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა მასწავლებელთა გადამზადება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა ცნობიერების დონის ამაღლებას WaSH-ის საკითხებთან მიმართებაში.

საკრაულის საჯარო სკოლა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID 225065247). სკოლაში ირიცხება მხოლოდ 17 მოსწავლე (6 გოგონა და 11 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 16–ს (4 მამაკაცი და 12 ქალი), ანუ თითო მოსწავლეზე განსაზღვრულია დაახლოებით ერთი პედაგოგი. სკოლაში მოქმედებს სამეურვეო საბჭო. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

სკოლის ეზოში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის წყალი, რომელიც საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). წყლის მიწოდების ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს სკოლის ეზოში შემოყვანილი მეორე სათადარიგო მილის წყალი. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, სკოლის ადმინისტრაციის აზრით, სკოლაში მომდინარე წყალი გამოყენების მიზნით უსაფრთხოა (არსებობს ამ დასკვნის დამადასტურებელი ლაბორატორიული ანალიზის პასუხები). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის ბავშვებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ წყლის მიღება. სასმელად მოსწავლეები მრვალჯერადი მოხმარების ჭურჭელს იყენებენ. სკოლაში არსებული წყლის მარაგის მიუხედავად, მოსწავლეთა უმეტესობას წყალი მაინც სახლიდან მოაქვს.

სკოლის ეზოში მოწყობილია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 2 ერთეული გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 4 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – 2 ქალებისა და 2 მამაკაცებისათვის). ანუ, საშუალოდ 4 მოსწავლეზე და პერსონალზე საპირფარეშოს ერთი ერთეულია განსაზღვრული. სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეული სუფთა იყო. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი მოსწავლეებთან ერთად (რაც იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს). სკოლაში მოწყობილია 2 ხელსაბანი, რომელთაგან ერთი ფუნქციონირებს სანიტარიულ კვანძში. ვიზიტის დღეს ხელსაბანებში მოდიოდა წყალი, თუმცა საპონი მხოლოდ ერთ წერტილში იყო.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამავე დროს, სკოლას არა აქვს ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლაში მყარი ნარჩენების შეგროვება და გატანა ხდება თვეში ორჯერ, სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით არ იყო გადავსებული. სადრენაჟო სისტემა არ ფუნქციონირებს, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი გამოყენებული წყლით იტბორება.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექციას მიაჩნია სკოლა, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. (ამ მხრივ მნიშვნელოვანი შეფერხება სკოლაში არ აღინიშნა). სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. სისტემა სათანადო დონეზეა შენარჩუნებლი და სამაგალითოა მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა სკოლის დასუფთავების საქმეში, თუმცა მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ჰიგიენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

ფერსათის N2 საჯარო სკოლა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათის N2 სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID 225065309). სკოლაში არის 102 მოსწავლე (55 გოგონა და 47 ვაჟი), მათ შორის 2 გოგონა და 2 ვაჟი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 26–ს (3 მამაკაცი და 23 ქალი). სკოლაში არ მოქმედებს არც მშობელთა და არც რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი გაერთიანება. ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც გარკვეულწილად ჩართულია WaSH-ის საკითხების მოგვარებაში (მაგ., მონაწილეობენ World Vision პროექტში). სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რეზერვუარში გროვდება და ყოველდღიურად, თუმცა გარკვეული შეზღუდვებით მიეწოდებათ. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). წყლის მიწოდების ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს სკოლაში არსებული ჭის წყალი. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, სკოლის ადმინისტრაციის აზრით, სკოლაში მომდინარე წყალი გამოყენების მიზნით უსაფრთხოა (დადასტურებულია ლაბორატორიული ანალიზებით). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის ბავშვებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ წყლის მიღება. სასმელად მოსწავლეები საზიარო ან ერთჯერადი მოხმარების ჭურჭელს იყენებენ, მათ ნაწილს კი წყალი სახლიდან მოაქვთ.

სკოლის შენობაში განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 2 ერთეული გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 4 - პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – 2 ქალებისა და 2 - მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს პედაგოგთა საპირფარეშო ნაწილობრივ სუფთა იყო, მოსწავლეთა საპირფარეშოებში კი მძიმე ანტისანიტარია დაგვხვდა. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში მოწყობილია 2 ხელსაბანი, რომელიც ფუნქციონირებს სანიტარიულ კვანძში. ვიზიტის დღეს ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა არ იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. ამავე დროს, სკოლას არა აქვს ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლაში არსებულ მყარ ნაგავს რეგულარულად აგროვებენ (სულ მცირე, კვირაში ერთხელ მაინც) და ახლო მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე ყუთში ცლიან. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტების უმეტესი ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. სადრენაჟო სისტემა ნაწილობრივ ფუნქციონირებს, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი გამოყენებული წყლით იტბორება.

სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად სკოლის დირექციას შესაბამის მუნიციპალური სამსახური მიაჩნია. ამ მხრივ მნიშვნელოვანი შეფერხება სკოლაში არ აღინიშნა, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებმა დამოუკიდებლად შეძლონ სასმელი წყლის მიღება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე შესაბამისი მუნიციპალური სამსახური იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ არსებული მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან სკოლაში ვერ ხერხდება სანიტარიული ნორმების დაცვა. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება და WaSH-ის საკითხებთან მიმართებაში მოსწავლეთა ცნობიერების დონის ამაღლება.

ვანის მუნიციპალიტეტი

ინაშაურის საჯარო სკოლა

ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის სკოლა წარმოადგენს არასრულ საჯარო სკოლას (ID 229729032). სკოლაში სწავლობს მხოლოდ 37 მოსწავლე (16 გოგონა და 21 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 16–ს (4 მამაკაცი და 12 ქალი). სკოლაში არ მოქმედებს მშობელთა ან რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი გაერთიანება. ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც მხოლოდ გარკვეულწილად არის ჩართული WaSH-ის საკითხების მოგვარებაში. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას ყოველდღიურად მიეწოდება. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოების ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიულ წყარო. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, სკოლის ადმინისტრაციის აზრით, სკოლაში მომდინარე წყალი გამოყენების თვალსაზრისით უსაფრთხოა (დადასტურებულია ლაბორატორიული ანალიზების შედეგად). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის ბავშვებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ წყლის მიღება. არცერთ მოსწავლეს წყალი სახლიდან არ მოაქვს, ამიტომ სკოლაში არსებულ წყალს მოსწავლეები პირდაპირ ონკანიდან სვამს.

სკოლის ეზოში მოწყობილია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სულ არის საპირაფრეშოების 2 ერთეული გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვაჟების საპირფარეშოში მოწყობილია 2 მეტრის სიგრძის მქონე პისუარი. შეფასების დღეს პედაგოგთა საპირფარეშო იყო სუფთა, ხოლო მოსწავლეთა - ნაწილობრივ. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში მოწყობილია 2 ხელსაბანი, რომელიც ფუნქციონირებს სანიტარიულ კვანძში. ვიზიტის დღეს ხელსაბანებში მოდიოდა წყალი, თუმცა საპონი და ხელსახოცი მხოლოდ ერთ წერტილში იყო. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშოთი სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. ამავე დროს, სკოლას არა აქვს ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლაში არსებულ მყარ ნაგავს რეგულარულად აგროვებენ (სულ მცირე, კვირაში ერთხელ მაინც) და ახლო მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე ყუთში ცლიან. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. სადრენაჟო სისტემა არ ფუნქციონირებს, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი გამოყენებული წყლით იტბორება.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. ამავე დროს, სკოლას არა აქვს ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლის თანამშრომლები სკოლაში არსებულ მყარ ნაგავს რეგულარულად აგროვებენ (სულ მცირე, კვირაში ერთხელ მაინც) და ახლო მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე ყუთში ყრიან. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტების უმეტესი ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. სადრენაჟო სისტემა ნაწილობრივ ფუნქციონირებს, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი გამოყენებული წყლით იტბორება.

სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. ამ მხრივ მნიშვნელოვანი შეფერხება სკოლაში არ აღინიშნა. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ არსებული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ მოსწავლეთა საპირფარეშოები და სადრენაჟო სისტემა მოსაწესრიგებელია. ყველაზე მეტად გასაუმჯობესებელია სკოლაში ჰიგიენის საკითხების სწავლება და აუცილებელია მოსწავლეთა ცნობიერების დონის ამაღლება.

სალხინოს საჯარო სკოლა

ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID 229725802). სკოლაში არის 100 მოსწავლე (53 გოგონა და 47 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 27–ს (4 მამაკაცი და 23 ქალი). სკოლაში არ მოქმედებს არც მშობელთა და არც რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი გაერთიანება. ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც მხოლოდ გარკვეულწილად არის ჩართული WaSH-ის საკითხების მოგვარებაში. სკოლის

დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლაში წყლის მიწოდების ძირითადი საშუალება დაცული ჭის წყალია, რომელიც ყოველდღიურად მიეწოდება სკოლას. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის აზრით, ჭის წყალი გამოყენების თვალსაზრისით უსაფრთხოა (რასაც შესაბამისი ლაბორატორიული კვლევის შედეგიც ადასტურებს). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე და არც უმცროსი ასაკის მოსწავლეებს არ შეუძლიათ სასმელი წყლის დამოუკიდებლად მიიღება. წყლის დასალევად მოსწავლეები არანაირ ჭურჭელს არ იყენებენ და პირდაპირ სათლით სვამენ, მოსწავლეთა ნაწილს კი წყალი სახლიდან მოაქვს. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება, თუმცა იგეგმება მილსადენით წყლის შემოყვანა.

სკოლის შენობაში განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 3 საპირფარეშო გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს სანიტარიული კვანძის ყველა ერთეული სუფთა იყო. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში მოწყობილია 4 ხელსაბანი, რომელიც სანიტარიულ კვანძში ფუნქციონირებს. ვიზიტის დღეს სამ ხელსაბანში მოდიოდა წყალი, იქვე იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. მართალია, სკოლაში ხელმისაწვდომია ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, მაგრამ არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლის თანამშრომლები სკოლაში არსებულ მყარ ნაგავს რეგულარულად აგროვებენ (სულ მცირე, კვირაში ერთხელ მაინც) და ახლო მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე ყუთში ყრიან. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სადრენაჟო სისტემა ნაწილობრივ ფუნქციონირებს, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი გამოყენებული წყლით იტბორება.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად სკოლის დირექციას შესაბამის მუნიციპალური სამსახური მიაჩნია. ამ მხრივ მნიშვნელოვანი შეფერხება სკოლაში არ აღინიშნა, თუმცა, იმასთვის, რომ უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებმა დამოუკიდებლად შეძლონ წყლის დალევა და არ დასჭირდეთ სათლის გამოყენება, სკოლაში აუცილებლად უნდა არსებობდეს წყლის მიწოდების ალტერნატიული საშუალება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – არსებული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა მოსაწესრიგებელია სადრენაჟო სისტემა, გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება და აუცილებელია WaSH-ის საკითხებთან მიმართებაში მოსწავლეთა ცნობიერების დონის ამაღლება.

სულორის საჯარო სკოლა

ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სულორის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID 229728818). სკოლაში არის 42 მოსწავლე (22 გოგონა და 20 ვაჟი), მათ შორის მხოლოდ ერთი ვაჟია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 22–ს (6 მამაკაცი და 16 ქალი). სკოლაში არ მოქმედებს არც მშობელთა და არც რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი გაერთიანება. ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც პედაგოგებთან ერთად ჩართულია WaSH-ის საკითხების მოგვარებაში. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც ყოველდღიურად, უწყვეტად არის ხელმისაწვდომი. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოების ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან პერსონალის აზრით, მომდინარე წყალი გამოყენების თვალსაზრისით უსაფრთხოა (არსებობს შესაბამისი ლაბორატორიული დასკვნა). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის ბავშვებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ სასმელი წყლის მიღება. წყლის დასალევად მოსწავლეები ერთჯერადი მოხმარების ჭურჭელს იყენებენ, ამიტომ არცერთ მოსწავლეს არ უწევს წყლის სახლიდან მოტანა.

სკოლის ეზოში (თუმცა არა 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის და 1 – ვაჟებისათის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს ყველა საპირფარეშოში მძიმე ანტისანიტარია იყო. საპირფარეშო

ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 3 ხელსაბანი, მათგან 2 მოწყობილია სანიტარიულ კვანძში (მცირე ზომის წყლის ავზი, რომელსაც სათლით ავსებენ). მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტის დღეს ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონიც, დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეები ხელებს მაინც არ იბანენ საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში, თუმცა დირექციის განცხადების მიხედვით, ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები სკოლაში ხელმისაწვდომია. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლაში არსებულ მყარ ნაგავს რეგულარულად აგროვებენ და ახლო მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე ყუთში ყრიან. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო. სადრენაჟო სისტემა არ ფუნქციონირებს, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი გამოყენებული წყლით იტბორება.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად სკოლის დირექციას შესაბამის მუნიციპალური სამსახური მიაჩნია. ამ მხრივ მნიშვნელოვანი შეფერხება ვიზიტის დღეს არ დაფიქსირებულა. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე მუნიციპალური სამსახურია პასუხისმგებელი, თუმცა ამ მხრივ არსებული მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან სანიტარიული კვანძი ანტისანიტარიულ მდგომარეობაშია და არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა. დირექციის განცხადების მიხედვით, ახალი სანიტარიული კვანძის აშენება იგეგმება. გასაუმჯობესებელია აგრეთვე ჰიგიენის სწავლება, რადგან მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH-ის საკითხებთან მიმართებაში საკმაოდ დაბალია, რასაც მათი ქცევა ნათლად ადასტურებს.

ფერეთის საჯარო სკოლა

ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერეთის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID 229729121). სკოლაში არის 41 მოსწავლე (14 გოგონა და 27 ვაჟი), მათ შორის მხოლოდ ერთი ვაჟია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 19–ს (4 მამაკაცი და 15 ქალი). სკოლაში არ მოქმედებს არც მშობელთა და არც რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი გაერთიანება. ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც მხოლოდ გარკვეულწილად არის ჩართული WaSH-ის საკითხების მოგვარებაში. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის

განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში მრავალი პრობლემა არსებობს და WaSH-ის საკითხები ერთ-ერთია მათ შორის.

სკოლის შენობაში წყალი შემოდის ყოველდღიურად და უწყვეტად წყლის მილის მეშვეობით. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში მომდინარე წყალი უსაფრთხოა გამოყენების თვალსაზრისით (თუმცა ლაბორატორიულად შემოწმებული არ არის). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის ბავშვებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ სასმელი წყლის მიღება. წყლის დასალევად მოსწავლეები არანაირ ჭურჭელს არ იყენებენ და პირდაპირ ონკანიდან სვამენ. მოსწავლეთა ნაწილს კი წყალი სახლიდან მოაქვს.

სკოლის ეზოში (თუმცა არა 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სულ არის საპირფარეშების 1 ერთეული გოგონებისათვის, 1 – ვაჟებისათვის და 1 საერთო – პედაგოგებისათვის. სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს ყველა საპირფარეშო ნაწილობრივ სუფთა იყო. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 4 ხელსაბანი, მათგან 3 მოწყობილია სანიტარიულ კვანძში. ვიზიტის დღეს მხოლოდ 1 ხელსაბანში მოდიოდა წყალი, მაგრამ არსად არ იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ხელებს არ იბანს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო -საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ჭიებზე შემოწმება.

სკოლაში არსებულ მყარ ნაგავს რეგულარულად აგროვებენ და ახლო მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე ყუთში ყრიან. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო. სადრენაჟო სისტემა არ ფუნქციონირებს, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი გამოყენებული წყლით იტბორება.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად სკოლის დირექციას შესაბამის მუნიციპალური სამსახური მიაჩნია.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი შეფერხება ვიზიტის დღეს არ დაფიქსირებულა, თუმცა ხელსაბანების გარკვეული ნაწილი მოსაწესრიგებელია. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე მუნიციპალური სამსახურია პასუხისმგები, თუმცა ამ მხრივ არსებული მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან სანიტარიული კვანძი ანტისანიტარიულ მდგომარეობაშია და არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა. გასაუმჯობესებელია აგრეთვე ჰიგიენის სწავლება, რადგან მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH-ის საკითხებთან მიმართებაში საკმაოდ დაბალია.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი

ბოსლევის საჯარო სკოლა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლევის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში ირიცხება 62 მოსწავლე (26 გოგონა და 36 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 19–ს (2 მამაკაცი და 17 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არ მონაწილეობს WaSH-ის მხრადაჭერაში. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლაში ყოველდღიურად მიედინება შეზღუდული რაოდენობით დაცული წყაროს წყალი. არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). წყაროს წყალი გროვდება რეზერვუარში, რომელიც სათანადოდ არის დახურული და მოვლილი. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან წყაროს წყალს უსაფრთხოდ მიიჩნევენ (თუმცა ეს დასკვნა არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და პირდაპირ ონკანიდან სვამენ.

სკოლის ეზოში (თუმცა სკოლის შენობიდან 20 მეტრზე ახლოს) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს" ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის (საპირფარეშოს კარს შიდა საკეტი არა აქვს), 2 – ვაჟებისათვის და 2 პედაგოგებისათვის (საერთო სარგებლობისა – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში იყო დარღვეული სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე

პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 7 ხელსაბანი, მათგან 3 არის მოწყობილი საპირფარეშოსთან ახლოს. ვიზიტის დღეს ყველა სველ წერტილში მოდიოდა წყალი, თუმცა მხოლოდ მცირე ნაწილში იყო საპონი, ხოლო ხელსახოცი - არსად. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო -საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლაში მყარი ნარჩენების შეგროვება და გატანა რეგულარულად არ ხდება (კვირაზე ნაკლები სიხშირით), მყარ ნარჩენებს იქვე, სკოლის ტერიტორიაზე წვავენ. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული, თუმცა სკოლის უკანა მხარეს დაფიქსირდა წყლის ღია არხი, რომლის ნაპირები ძლიერ იყო დაბინძურებული საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. სკოლაში გამართულად არ ფუნქციონირებს გამოყენებული (დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას. (ამ მხრივ მნიშვნელოვანი შეფერხება სკოლაში არ აღინიშნა). სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ არსებული მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან სანიტარიულ კვანძში დარღვეულია სანიტარიული ნორმები და მყარი ნარჩენების უტილიზაცია არ ხდება უსაფრთხოდ. მნიშვნელოვან გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება.

პირველი სვირის საჯარო სკოლა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში ირიცხება 101 მოსწავლე (48 გოგონა და 53 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 22–ს (2 მამაკაცი და 20 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არ მონაწილეობს WaSH-ის მხრადაჭერაში. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, კერძოდ, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დირექციის ინიციატივით ხდება წყლის ლაბორატორიულად შემოწმება.

სკოლაში ყოველდღიურად მიედინება შეზღუდული რაოდენობით დაცული ჭის წყალი. არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). წყაროს წყალი გროვდება რეზერვუარში, რომელიც სათანადოდ არის დახურული და მოვლილი. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან ჭის წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (ლაბორატორიულად დადასტურებულია). წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს სკოლის ეზოში არსებული მეორე ჭა, თუმცა მისი გამოყენების საჭიროება არ არსებობს. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც ისინი სკოლაში არსებული წყლის დასალევადაც იყენებენ.

სკოლის ეზოში (თუმცა სკოლის შენობიდან 20 მეტრზე ახლოს) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის (საპირფარეშოს კარს შიდა საკეტი არა აქვს), 2 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 3 ხელსაბანი, მათგან 2 მოწყობილია საპირფარეშოსთან ახლოს. ვიზიტის დღეს ყველა სველ წერტილში მოდიოდა წყალი, თუმცა მხოლოდ ერთ წერტილში იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო -საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლაში მყარი ნარჩენების შეგროვება და გატანა ხდება რეგულარულად და ნარჩენები დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ყუთში გროვდება. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში გამართულად არ ფუნქციონირებს გამოყენებული (დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად (ამ მხრივ მნიშვნელოვანი შეფერხება სკოლაში არ აღინიშნა). სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – შეფასების პროცესში

გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა. სკოლაში WaSH–ის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლება.

ფუთის საჯარო სკოლა

ზესტაფონის მუნიციპალიტრეტის სოფელ ფუთის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში ირიცხება 149 მოსწავლე (75 გოგონა და 74 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 26–ს (1 მამაკაცი და 25 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არ მონაწილეობს WaSH-ის მხრადაჭერაში. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლაში ყოველდღიურად მიედინება შეზღუდული რაოდენობით დაცული ჭის წყალი. არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). წყაროს წყალი გროვდება რეზერვუარში, რომელიც სათანადოდ არის დახურული და მოვლილი. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, ჭის წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (თუმცა ეს დასკვნა არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). წყლის სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც ისინი სკოლაში არსებული წყლის დასალევადაც იყენებენ.

სკოლის ეზოში (თუმცა სკოლის შენობიდან 20 მეტრზე ახლოს) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 4 ერთეული გოგონებისათვის (საპირფარეშოს კარს შიდა საკეტი არა აქვს), 2 – ვაჟებისათვის და 1 – პედაგოგებისათვის (საერთო – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში იყო დაცული სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 8 ხელსაბანი, მათგან 5 არის მოწყობილი საპირფარეშოებთან ახლოს. ვიზიტის დღეს სველი წერტილების უმეტეს ნაწილში მოდიოდა წყალი, თუმცა არსად არ იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ (– ისიც საპნის გარეშე).

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო -საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლაში მყარი ნარჩენების შეგროვება და გატანა ხდება რეგულარულად და ნარჩენები დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ყუთში გროვდება. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში გამართულად არ ფუნქციონირებს გამოყენებული (დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექციამ ზუსტად არ იცის, ვინ არის პასუხისმგებელი სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე, თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანი შეფერხება სკოლაში არ აღინიშნა. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას და ახერხებს კიდეც სანიტარიული ნორმების სათანადო დონეზე შენარჩუნებას. სკოლაში WaSH–ის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლება, რისი უგუვებელყოფაც საკმაოდ უარყოფითად აისახება მოსწავლეთა ქცევაზე.

ცხრაწყაროს საჯარო სკოლა

ზესტაფონის მუნიციპალიტრეტის სოფელ ცხრაწყაროს სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში ირიცხება 59 მოსწავლე (29 გოგონა და 30 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 20–ს (1 მამაკაცი და 19 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არ მონაწილეობს WaSH-ის მხრადაჭერაში. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლაში ყოველდღიურად მიედინება შეზღუდული რაოდენობით დაცული ჭის წყალი. არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, ჭის წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (ეს ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება – არც რეზერვუარი. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც ისინი სკოლაში არსებული წყლის დასაკევადაც იყენებენ.

სკოლის ეზოში (სკოლის შენობიდან 20 მეტრზე ახლოს) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის (საპირფარეშოს კარს შიდა საკეტი არა აქვს), 2 – ვაჟებისათვის და 1 – პედაგოგებისათვის (საერთო – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში ნაწილობრივ იყო დარღვეული სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 3 ხელსაბანი, რომელიც სანიტარიულ კვანძთან არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ყველა სველ წერტილში მოდიოდა წყალი, თუმცა მხოლოდ ორ ხელსაბანთან იყო საპონი, ხოლო ხელსახოცი - არსად. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო -საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლაში მყარი ნარჩენების შეგროვება და გატანა ხდება რეგულარულად და ნარჩენები დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ყუთში გროვდება. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში გამართულად არ ფუნქციონირებს გამოყენებული (დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექციას სკოლა მიაჩნია წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა შეფასების პროცესში გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა. სანიტარიული სისტემის გამართული ფუნქციონირების პასუხისმგებლობას სკოლის დირექცია იღებს თავის თავზე. შეფასებისას დადგინდა, რომ სკოლაში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დარღვეული. WaSH–ის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სკოლაში ჰიგიენის სწავლება, რისი უგუვებელყოფაც საკმაოდ უარყოფითად აისახება მოსწავლეთა ქცევაზე.

ძირულის საჯარო სკოლა

ზესტაფონის მუნიციპალიტრეტის სოფელ ძირულის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში ირიცხება მხოლოდ 45 მოსწავლე (17 გოგონა და 28 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 20–ს (2 მამაკაცი და 18 ქალი). სკოლაში ფორმალურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არ მონაწილეობს WaSH-ის მხრადაჭერაში. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის

განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლაში ყოველდღიურად მიედინება შეზღუდული რაოდენობით დაცული წყაროს წყალი. შეფასების მომენტში წყლის მიწოდების წყარო არ ფუნქციონირებდა. წყაროდან წყალი რეზერვუარში გროვდება, რომელიც სათანადოდ არის მოვლილი და დახურული. არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან წყაროს წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (ეს დასკვნა ლაბორატორიულად არის დადასტურებულია). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების პირებზე. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც ისინი სკოლაში არსებული წყლის დასალევადაც იყენებენ.

სკოლის ეზოში (სკოლის შენობიდან 20 მეტრზე ახლოს) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის და 1 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი ხელსაბანი, რომელიც მოწყობილია სანიტარიულ კვანძთან. ვიზიტის დღეს სველ წერტილში არ მოდიოდა წყალი, არც საპონი არ იყო და არც ხელსახოცი, შესაბამისად, მოსწავლეები ვერ ახერხებდენ ხელების დაბანას.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო -საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლაში ორ დღეში ერთხელ აგროვებენ მყარ ნარჩენებს და იქვე, სკოლის ტერიტორიაზე წვავენ. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში გამართულად არ ფუნქციონირებს გამოყენებული (დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექციას სკოლა მიაჩნია წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად – შეფასების პროცესში ხარვეზები დაფიქსირდა. სანიტარიული სისტემის გამართულად მუშაობის პასუხისმგებლობას დირექცია თავის თავზე იღებს. შეფასებისას დადგინდა, რომ სკოლაში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დარღვეული. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას

წარმოადგენს სკოლაში ჰიგიენის სწავლება, რისი უგუვებელყოფაც საკმაოდ უარყოფითად აისახება მოსწავლეთა ქცევაზე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

ალისუბნის N1 საჯარო სკოლა

თერჯოლის მუნიციპალიტრეტის სოფელ ალისუბნის N1 სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში ირიცხება 142 მოსწავლე (80 გოგონა და 62 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 26–ს (5 მამაკაცი და 21 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო და მწვანეთა კლუბი. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც კვირაში საშუალოდ 2-4 დღეა ხელმისაწვდომი. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). წყლის მიწოდების ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს დაუცველი ჭის წყალი. თუმცა, ორი ალტერნატიული საშუალების მიუხედავად, სკოლაში არსებული წყალი სასმელად უვარგისია, რასაც შესაბამისი ლაბორატორიული კვლევა ადასტურებს. დირექცია ამ ფაქტის შესახებ სკოლის პერსონალასა და მოსწავლეებს წერილობით, შესასავლელ კარზე გამოკრული განცხადებით აფრთხილებს, რაც საქართველოს რეალობაში იშვიათი გამონაკლისია. შესაბამისად, მოსწავლეების უმეტესობას წყალი სახლიდან მოაქვს. წყლის დასალევად მოსწავლეები საზიარო ან საკუთარ, მრავალჯერადი მოხმარების ჭურჭელს იყენებენ.



ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა

სსიპ თერჯოს მუნიციპალიტეტის ალისუბნის თემის #1 საჯარო სკოლის დირექცია გაფრთხილებთ:

ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა,რომ სკოლაში არსებული წყალი სასმელად უვარგისია.

გთხოვთ გაითვალისწინოთ.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). თუმცა, გოგონების რაოდენობიდან გამომდინარე, მათთვის განკუთვნილი საპირფარეშოები რაოდენობრივად უნდა აღემატებოდეს ბიჭებისას. სანიტარიული კვანძი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დაცული. სკოლაში ფუნქციონირებს 7 ხელსაბანი, მათგან 4 არის მოწყობილი საპირფარეშოსთან ახლოს. ვიზიტის დღეს ხელსაბანების უმეტეს ნაწილში ხელმისაწვდომი იყო წყალი, საპონი და ხელსახოცი.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. ბოლო პერიოდში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ.

სკოლიდან მყარი ნარჩენები დაახლოებით კვირაში ორჯერ გააქვთ იქვე, სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე, შესაბამისად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა.

წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. ვერ ხერხდება წყლის სისტემის სათანადო დონეზე უზრუნველყოფა, ამიტომ სკოლაში არსებული წყალი სასმელად უვარგისია. სანიტარიული სისტემების სრულყოფილ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ სანიტარიული ნორმები სათანადოდ არ

არის დაცული. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება, ვინაიდან მოსწავლეთა ცნობიერების დონე საკმაოდ დაბალია.

გოგნის საჯარო სკოლა

თერჯოლის მუნიციპალიტრეტის სოფელ გოგნის სკოლა წარმოადგენს არასრულ საჯარო სკოლას. სკოლაში ირიცხება 50 მოსწავლე (30 გოგონა და 20 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 20–ს (6 მამაკაცი და 14 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა WaSH-ის საკითხები მათთვის უცნობია. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, მათთვის პრიორიტეტულია ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც ყოველდღიურად, უწყვეტად არის ხელმისაწვდომი. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში მომდინარე წყალი გამოყენების თვალსაზრისით უსაფრთხოა (აღნიშნული ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). წყლის დასალევად მოსწავლეები საზიარო მოხმარების ჭურჭელს იყენებენ, მათ ნაწილს კი წყალი სახლიდან მოაქვს. წყლის მიწოდების ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს რეზერვუარი, რომელიც სათანადოდ არის დახურული და მოვლილი.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის, 1 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, რომლითაც პედაგოგებიც სარგებლობენ. შეფასების დღეს მოსწავლეთა საპირფარეშოებში მძიმე ანტისანიტარია დაფიქსირდა, პედაგოგების საპირფარეშოების ნაწილი კი სუფთა იყო. სკოლაში ფუნქციონირებს 6 ხელსაბანი, რომელთაგან ოთხი საპირფარეშოებთან ახლოს არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ხელსაბანთან იყო მხოლოდ საპონი, ხელსახოცი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა დაახლოებით ნახევარი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწალო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან მყარი ნარჩენები დაახლოებით თვეში ორჯერ გააქვთ იქვე, სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი იყო გადავსებული, შესაბამისად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. წყლის სისტემის სათანადო დონეზეა უზრუნველყოფილი, ამიტომ სკოლაში სასმელ წყალთან დაკავშირებული პრობლემები მინიმალურია. სანიტარიული სისტემების სრულყოფილ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ სანიტარიული ნორმები სათანადოდ არ არის დაცული და მოსწავლეთა საპირფარეშოებში მძიმე ანტისანიტარიაა. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება, რადგან მოსწავლეთა ცნობიერების დონე საკმაოდ დაბალია.

თერჯოლის N1 საჯარო სკოლა

თერჯოლის მუნიციპალიტრეტის ქალაქ თერჯოლის N1 სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში ირიცხება 640 მოსწავლე (80 გოგონა და 62 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. სწავლის პროცესი ორ ცვლაში მიმდინარეობს. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 45–ს (6 მამაკაცი და 39 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები, რომელიც სხვადასხვა აქტუალური საკითხის შესწავლა–გაანალიზების მიზნითაა შექმნილი. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა სარგებლობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით, რომელიც ყოველდღიურად, საკმარისი რაოდენობით არის ხელმისაწვდომი. წყალსადენი მილები შენობის შიგნით არის შეყვანილი. სკოლაში არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (ლაბორატორიულად დადასტურებულია) და ის გამოიყენება დასალევად და ტექნიკური მოხმარებისათვის. სკოლას არა აქვს სხვა სახის ალტერნატიული წყალი ან რეზერვუარი. სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთათვის. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს პირდაპირ ონკანიდან სვამენ.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშო 4 ერთეული გოგონებისათვის, 4 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი ადაპტირებულია

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დაცული. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების საპირფარეშო დაკეტილი იყო და, პერსონალის ინფორმაციის თანახმად, ამ საპირფარეშო ოთახით პედაგოგებიც სარგებლობენ. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 4 ხელსაბანი, მათგან 2 საპირფარეშოსთან ახლოს არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი, მხოლოდ ერთ ადგილას იდო საპონი, ხოლო ხელსახოცი არსად არ იყო. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში არ არის ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლაში არსებულ მყარ ნარჩენებს რეგულარულად აგროვებენ და სკოლის ახლოს მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე ყუთში ცლიან. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. სადრენაჟო სისტემა ფუნქციონირებს, ამიტომ გამოყენებული წყლები სკოლის ტერიტორიიდან გაედინება.

დირექციას წყალმომარაგების კომპანია მიაჩნია სკოლაში წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. წყლის სისტემა სათანადოდ ფუნქციონირებს და ამ მხრივ პრობლემები არ აღინიშნება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ვიზიტის დღეს ამ მხრივ გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა: საჭიროა საპირფარეშოებში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება, ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება - პედაგოგთა გადამზადება და სკოლის საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით მომარაგება.

სამტრედიის მუნიციპალიტეტი

ნოღის საჯარო სკოლა

სამტრედიის მუნიციპალიტრეტის სოფელ ნოღის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში არის 60 მოსწავლე (40 გოგონა და 20 ვაჟი), მათ შორის მხოლოდ ერთი ვაჟია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 27–ს (7 მამაკაცი და 20 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო და მოქმედებს მოსწავლეთა თვითმართველობა, რომელიც ინტერესდება WaSH-ის საკითხებით. სკოლის დირექცია

ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც ყოველდღიურად, უწყვეტად არის ხელმისაწვდომი. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშს ჩასარეცხად და ა.შ.). წყლის მიწოდების ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს წყაროს წყალი. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან ის უსაფრთხოდ არის მიჩნეული (დამტკიცებულია ლაბორატორიული ანალიზების შედეგად). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის ბავშვებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ სასმელი წყლის მიღება. წყლის დასალევად მოსწავლეები საზიარო ან ერთჯერადი მოხმარების ჭურჭელს იყენებენ, მოსწავლეთა ნაწილს კი წყალი სახლიდან მოაქვს.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 3 საპირფარეშო გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 1 საერთო – პედაგოგებისათვის. გოგონების რაოდენობიდან გამომდინარე, მათთვის საპირფარეშოების მეტი რაოდენობა უნდა იყოს განკუთვნილი (სკოლაში 2-ჯერ მეტი გოგონაა, ვიდრე ვაჟი). სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს მოსწავლეთა საპირფარეშოები ნაწილობრივ სუფთა იყო, პედაგოგების საპირფარეშო ოთახში კი მძიმე ანტისანიტარია დაგვხვდა. სკოლაში ფუნქციონირებს 2 ხელსაბანი, რომელთაგან არცერთი არ არის მოწყობილი საპირფარეშოსთან ახლოს. ვიზიტის დღეს ხელსაბანთან არც საპონი არ იყო და არც ხელსახოცი.

ჰიგიენის სწავლება სკოლაში არ მიმდინარეობს, არც ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ არის ხელმისაწვდომი და არც პედაგოგებს

არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარი ნარჩენების ნაწილს პირდაპირ სკოლის ტერიტორიაზე წვავენ, ნაწილს კი მუნიციპალური სამსხურის სანაგვე ურნებში ცლიან. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია ნაწილობრივ უსაფრთხოდ ხორციელდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა.

სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექციას მიაჩნია სკოლა, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ არსებული მდგომარეობა კრიტიკულია - სკოლაში ფუნქციონირებს საკმაოდ დიდი ხნის წინ მოწყობილი საპირფარეშოები, რომელიც მძიმე ანტისანიტარიულ მდგომარეობაშია. სკოლაში საერთოდ არ ხდება ჰიგიენის სწავლება და, ზოგადად, WaSH-ის საკითხებთან მიმართებაში მოსწავლეთა ცნობიერების დონე საკმაოდ დაბალია.

საჯავახოს საჯარო სკოლა

სამტრედიის მუნიციპალიტრეტის სოფელ საჯავახოს სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში არის 64 მოსწავლე (26 გოგონა და 38 ვაჟი), მათ შორის არცერთი მოსწალე არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 19–ს (3 მამაკაცი და 16 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო და მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც დაინტერესებულია WaSH-ის საკითხებით. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, რადგან სკოლის ადმინისტრაციას მუდმივად უწევს სასმელი წყლისა და სანიტარიის პრობლემებთან გამკლავება.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც ყოველდღიურად, თუმცა შეზღუდულად არის ხელმისაწვდომი. მომდინარე წყალი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.) და არც მისი ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი, ამიტომ მოსწავლეებს უხდებათ სახლიდან უხდებათ წყლის ბოთლებით (პლასტამასი პეტი) მოტანა. მართალია, სკოლას აქვს წყლის მიწოდების ალტერნატიული საშუალება (ჭაბურღილი), მაგრამ ისიც ხარვეზებით მუშაობს და შესაკეთებელია. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან არა აქვთ სათანადო ფილტრები და გამწმენდი საშუალებები. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებულია

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის მოსწავლეები კი, ძირითადად, ბოთლის წყალს სვამენ.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის და 2 – ვაჟებისათვის. პედაგოგების საპირფარეშოს ჯიხური ნახევრად დანგრეული და ამორტიზებულია, მაგრამ ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, პედაგოგები პერიოდულად მაინც იყენებენ აღნიშნულ საპირფარეშოს. სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს მოსწავლეთა საპირფარეშოები ნაწილობრივ სუფთა იყო, პედაგოგების საპირფარეშო ოთახში კი მძიმე ანტისანიტარია დაგვხვდა. სკოლაში სულ ფუნქციონირებს 5 ხელსაბანი, რომელთაგან 4 საპირფარეშოსთან ახლოს არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს მხოლოდ ერთ ხელსაბანთან იყო საპონი, ხოლო ხელსახოცი არსად არ იყო. საპირფარეშოების მსგავსად არც ხელსაბანები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

სკოლაში ჰიგიენა ისწავლება, როგორც ჯანსაღი ცხოვრების სწავლების სპეციალური მოდულის შემადგენელი ნაწილი, თუმცა სკოლაში არც ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ არის ხელმისაწვდომი და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარი ნარჩენების ნაწილს პირდაპირ წვავენ ან მარხავენ სკოლის ტერიტორიაზე, ნაწილი კი სკოლის ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე გააქვთ. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიაზე გამოყენებული წყლები არ გროვდება (არ ხდება წყლის დაგუბება).

სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად სკოლის დირექცია სკოლას მიიჩნევს, შესაბამის მუნიციპალურ

სამსახურთან ერთად. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა მუნიციპალურ სამსახურთან ერთად არის პასუხისმგებელი, თუმცა ამ მხრივ არსებული მდგომარეობა კრიტიკულია - სკოლას არ მიეწოდება საჭირო რაოდენობით ხარისხიანი სასმელი წყალი. სკოლაში ფუნქციონირებს ამორტიზებული საპირფარეშო პედაგოგებისათვის, რომელიც მძიმე ანტისანიტარიულ მდგომარეობაშია და საფრთხეს წარმოადგენს ჯანმრთელობისათვის. სკოლაში არ ხდება ჰიგიენის საკითხების სათანადოდ სწავლება, ამიტომ მოსწავლეთა ცნობიერების დონე საკმაოდ დაბალია.

კორმაღლის საჯარო სკოლა

სამტრედიის მუნიციპალიტრეტის სოფელ კორმაღლის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში სწავლობს 82 მოსწავლე (37 გოგონა და 45 ვაჟი). მოსწავლეთა შორის მხოლოდ ორი არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 21–ს (1 მამაკაცი და 20 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს ნორჩ ეკოლოგთა კლუბი და მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად არის დაინტერესებული WaSH-ის საკითხებით. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც ყოველდღიურად გარკვეულ საათებში არის ხელმისაწვდომი. მომდინარე წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლას აქვს წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალება - სკოლის მეზობლად მდებარე დაცული წყაროს წყალი, თუმცა მოსწავლეების ნაწილს მაინც მოაქვს წყალი სახლიდან. სკოლაში ხდება წყლის გაწმენდა (ქლორაცია). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის მოსწავლეებს კი სხვისი დახმარების გარეშე შეუძლიათ წყლის დალევა, რისთვისაც ისინი ერთჯერად ჭურჭელს იყენებენ.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სულ არის საპირფარეშოს 3 ერთეული გოგონებისათვის და 3 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს მოსწავლეთა საპირფარეშოებში მძიმე ანტისანიტარია იყო, პედაგოგების საპირფარეშოს ჯიხურში კი სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დარღვეული. სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ 1 ხელსაბანი, რომელიც მოწყობილია საპირფარეშოსთან ახლოს. ვიზიტის დღეს ხელსაბანთან

არც საპონი არ იყო და არც ხელსახოცი. საპირფარეშოების მსგავსად არც ხელსაბანებ არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ხელმისაწვდომია შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, თუმცა არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლაში არსებულ მყარ ნარჩენებს რეგულარულად აგროვებენ და სკოლის ახლოს მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე ყუთში ყრიან. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სადრენაჟო სისტემა ფუნქციონირებს, ამიტომ გამოყენებული წყლები სკოლის ტერიტორიიდან გაედინება. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი.

დირექციას სკოლა მიაჩნია წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. ამ პასუხისმგებლობის შესრულებას სკოლა, ძირითადად, დამოუკიდებლად ახერხებს, თუმცა სისტემის ხანდაზმულობა გარკვეულ პრობლემებს მაინც ქმნის. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ხარვეზები დაფიქსირდა ვიზიტის დღეს - აუცილებელია საპირფარეშოებში არსებული სანიტარიულ–ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება, სკოლაში ჰიგიენის საკითხების სათანადოდ სწავლება და მოსწავლეთა ცნობიერების დონის მნიშვნელოვნად ამაღლება.

ოფეთის საჯარო სკოლა

სამტრედიის მუნიციპალიტრეტის სოფელ ოფეთის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას, თუმცა მასში მხოლოდ 25 მოსწავლე (15 გოგონა და 10 ვაჟი) სწავლობს. მოსწავლეთა შორის მხოლოდ ერთი მოსწავლეა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 15–ს (4 მამაკაცი და 11 ქალი). სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც დაინტერესებულია WaSH-ის საკითხებით. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, რადგან სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად ცდილობს, რომ სასმელი წყლისა და სანიტარიის თვალსაზრისით სკოლაში არსებული მდგომარეობა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს.

სკოლის ეზოში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის წყალი. მომდინარე წყალი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლას აქვს წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალება - დაცული

წყაროს წყალი, შესაბამისად, მოსწავლეებს არ უწევთ სახლიდან წყლის მოტანა. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის აზრით, სკოლაში მომდინარე წყალი გამოყენების თვალსაზრისით უსაფრთხოა (ეს ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის მოსწავლეებს კი სხვისი დახმარების გარეშე შეუძლიათ წყლის დალევა.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის და 1 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ იყო სუფთა. სკოლაში ფუნქციონირებს 2 ხელსაბანი, თუმცა არ არის მოწყობილი საპირფარეშოსთან ახლოს. ვიზიტის დღეს არცერთ ხელსაბანთან არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი. საპირფარეშოების მსგავსად არც ხელსაბანები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ხელმისაწვდომია საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, თუმცა არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს აგროვებენ და პირდაპირ სკოლის ტერიტორიაზე წვავენ. დირექცია მიიჩნევს, რომ ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული

ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიაზე გამოყენებული წყლები არ გროვდება (არ ხდება წყლის დაგუბება).

დირექციას სკოლა მიაჩნია წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. ამ პასუხისმგებლობის შესრულებას სკოლა, ძირითადად, დამოუკიდებლად ახერხებს, თუმცა სისტემის ხანდაზმულობა გარკვეულ პრობლემებს მაინც ქმნის. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ვიზიტის დღეს ამ მხრივ გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა: აუცილებელია სანიტარიულ–ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება, სკოლაში ჰიგიენის საკითხების სათანადოდ სწავლება და მოსწავლეთა ცნობიერების დონის მნიშვნელოვნად ამაღლება.

ქვაყუდის საჯარო სკოლა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაყუდის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას, თუმცა მასში მხოლოდ 22 მოსწავლე (9 გოგონა და 13 ვაჟი) სწავლობს. მოსწავლეთა შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 14–ს (3 მამაკაცი და 11 ქალი). სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც დაინტერესებულია WaSH-ის საკითხებით. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, რადგან სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად ცდილობს, რომ სასმელი წყლისა და სანიტარიის თვალსაზრისით სათანადო პირობები შეუქმნას მოსწავლეებს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც ყოველდღიურად, გარკვეულ საათებში არის ხელმისაწვდომი. მომდინარე წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლას აქვს წყლის მიწოდების ალტერნატიული საშუალება - დაცული წყაროს წყალი, შესაბამისად, მოსწავლეებს სახლიდან წყლის მოტანა აღარ უწევთ. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალს აზრით, სკოლაში მომდინარე წყალი გამოყენების მიზნით უსაფრთხოა (ეს ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის მოსწავლეებს კი სხვისი დახმარების გარეშე შეუძლიათ წყლის დალევა.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სულ არის 1 ერთეული გოგონებისათვის და 1 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის).

სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს სანიტარიული კვანძის ყველა ერთეული ნაწილობრივ სუფთა იყო. სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ 1 ხელსაბანი, რომელიც არ არის მოწყობილი საპირფარეშოსთან ახლოს. ვიზიტის დღეს ხელსაბანთან იყო როგორც საპონი, ასევე ხელსახოცი. საპირფარეშოების მსგავსად არც ხელსაბანი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძებლობების მქონე პირებზე.

სკოლაში არ მიმდინარეობს ჰიგიენის სწავლება, არც ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ არის ხელმისაწვდომი და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH-ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს პირდაპირ სკოლის ტერიტორიაზე წვავენ, რადგან მყარი ნარჩენების გატანის არანაირი გეგმა არა აქვთ. აღნიშნული ფაქტის მიუხედავად, სკოლის დირექცია მიიჩნევს, რომ ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა.

სკოლის დირექციას შესაბამისი მუნიციპალური სამსახური მიაჩნია წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. აღნიშნული მოვალეობის შესრულებას მუნიციპალური სამსახური მხოლოდ ნაწილობრივ ახერხებს, რაც უპირველესად სისტემის ხანდაზმულობით არის განპირობებული. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ვიზიტის დღეს ამ მხრივ გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა - საჭიროა საპირფარეშოებში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება, სკოლაში ჰიგიენის საკითხების სათანადოდ სწავლება და მოსწავლეთა ცნობიერების დონის მნიშვნელოვნად ამაღლება.

საჩხერის მუნიციპალიტეტი

პერევის საჯარო სკოლა

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში არის 93 მოსწავლე (43 გოგონა და 50 ვაჟი), მათ შორის არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 33–ს (8 მამაკაცი და 25 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, ეკო და სამოქალაქო კლუბები, რომლებიც ჩართული არიან სხვადასხვა სახის პროექტებში. ასევე აქტიურია მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც WaSH-ის საკითხებზეც მუშაობს. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოსა და შენობაში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც ყოველდღიურად, თუმცა გრაფიკით, მხოლოდ გარკვეულ საათებში არის ხელმისაწვდომი. აღნიშნული შეზღუდვის მიუხედავად, სკოლის დირექცია მიიჩნევს, რომ არსებული წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). წყალს რეზერვუარშიც აგროვებენ, თუმცა მისი გამოყენება არ ხდება და მას მხოლოდ ხანძრის საწინააღმდეგო ცეცხლმაქრის დანიშნულება აქვს. დირექციის განცხადების მიხედვით, **მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მიაქვთ და, საერთოდ, წყალს სკოლაში თითქმის არ სვამენ(?!), რაც დამაფიქრებელი ფაქტია, რადგან არსებული რეკომენდაციების მიხედვით, მოსწავლეებმა სითხეზე დღიური მოთხოვნილების ნახევარი სკოლაში უნდა მიიღონ.** სასმელი წყლის მოწყობილობა ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

საპირფარეშოებში არსებული სანიტარიულ–ჰიგიენური მდგომარეობის თვალსაზრისით სკოლაში მოწესრიგებული მდგომარეობაა. სკოლის შენობაში ფუნქციონირებს ჩასარეცხი ტიპის საპირფარეშო - 3 განყოფილება ბიჭებისათვის და 3 – გოგონებისათვის. პედაგოგებისათვის ცალკე არის გამოყოფილი საპირფარეშოს 2 ერთეული (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). ვიზიტის დღეს ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. დირექციის განცხადების მიხედვით, საპირფარეშოებს კვირაში ერთხელ ასუფთავებენ სადეზინფექციო ხსნარით. ხელის დაბანა შესაძლებელია სკოლის შენობაში არსებულ ყველა საპირფარეშოსთან. სულ მოწყობილია 7 ხელსაბანი. ვიზიტის დღეს ხელსაბანი ნიჟარების მხოლოდ ნაწილში იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ხელმისაწვდომია საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, თუმცა არცერთ პედაგოგს არ გაუვლია სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ყოველ ორ დღეში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში, ამდენად მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ამ მხრივ პრობლემები ვიზიტის მომენტში არ დაფიქსირებულა.

სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. საყურადღებოა დირექციის ზერელე დამოკიდებულება მოსწავლეების მიერ სკოლაში წყლის მიღების მნიშვნელობის შეფასების თვალსაზრისით. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე კი სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ხარვეზები ვიზიტის დღეს არ დაფიქსირებულა. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ჰიგიენის სათანადოდ სწავლებას და პედაგოგების გადამზადება.

სხვიტორის საჯარო სკოლა

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში არის 152 მოსწავლე (80 გოგონა და 72 ვაჟი), მათ შორის 3 მოსწავლე სპეციალური საჭიროებების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 26–ს (2 მამაკაცი და 24 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი „მომავლის თაობა“. ასევე აქტიურია მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად WaSH-ის თემითაც ხშირად ინტერესდება. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების მოკლევადიან და

გრძელვადიან გეგმებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, რადგან სკოლის ადმინისტრაცია საკმაოდ აქტიურად მუშაობს არსებული მდგომარეობის შენარჩენებასა და შემდგომ გაუმჯობესებაზე.

სკოლის ეზოსა და შენობაში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც ყოველდღიურად, უწყვეტად არის ხელმისაწვდომი. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების ალტერნატიული წყარო (მათი აზრით, ზედმეტია). წყალს რეგულარულად წმინდავენ (ხდება ქლორაცია) იმ მიზნით, რომ სასმელად კიდევ უფრო უსაფრთხო გახდეს. სასმელი წყლის მოწყობილობათა ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. უმცროსი ასაკის მოსწავლეებს კი დამოუკიდებლად შეუძლიოათ სასმელი წყლის მიღება. მოსწავლეები წყალს საკუთარ პლასტმასის ბოთლებიდან სვამენ.

საპირფარეშოებში არსებული სანიტარიულ–ჰიგიენური მდგომარეობის თვალსაზრისით სკოლაში მოწესრიგებული მდგომარეობაა. სკოლის შენობაში ფუნქციონირებს ჩასარეცხი ტიპის საპირფარეშოები - 2 განყოფილება ბიჭებისათვის და 2 გოგონებისათვის. პედაგოგებისათვის ცალკე არის გამოყოფილი 2 საპირფარეშო (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. ხელების დაბანა შესაძლებელია სკოლის შენობაში არსებულ ყველა საპირფარეშოსთან. სულ მოწყობილია 9 ხელსაბანი (6საპირფარეშოსთან, ხოლო დანარჩენი 3 – სკოლის ტერიტორიაზე). ვიზიტის დღეს ხელსაბანი ნიჟარების მხოლოდ ნაწილში იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ თითქმის ყველა ბავშვი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ხელმისაწვდომია საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, თუმცა

არცერთ პედაგოგს არ გაუვლია სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. მიმდინარე წელს ჩატარდა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს შესაბამისი მკურნალობაც დაენიშნათ.

მყარ ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიაზე მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში, ამგვარად მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ამ მხრივ ვიზიტის მომენტში პრობლემები არ დაფიქსირებულა.

სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა მუნიციპალურ სამსახურთან ერთად იღებს პასუხისმგებლობას – ამ მხრივ მნიშვნელოვანი ხარვეზები ვიზიტის დღეს არ დაფიქსირებულა. აუცილებელია ჰიგიენის სათანადოდ სწავლება და მასწავლებლების მომზადება.

ქორეთის საჯარო სკოლა

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორეთში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში არის 129 მოსწავლე (80 გოგონა და 49 ვაჟი), მათ შორის მხოლოდ 2 მოსაწავლეა სპეციალური საჭიროებების მქონე (1 გოგონა და 1 ვაჟი). პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 26–ს (7 მამაკაცი და 19 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი „ტოლერანტები“ და ეკო კლუბი. ასევე აქტიურია მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად WaSH-ის თემითაც ხშირად ინტერესდება. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, რადგან სკოლის ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობს სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებას.

სკოლის ეზოსა და აგრეთვე შენობაში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც ყოველდღიურად, უწყვეტად არის ხელმისაწვდომი. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლას აქვს წყლის მიწოდების ალტერნატიული საშუალებებიც - დაცული წყაროს, ჭაბურღილის და ბოთლებით შენახული წყალი. სკოლაში არსებული წყალი რეგულარულად იწმინდება (ხდება ქლორაცია), რათა სასმელად კიდევ უფრო უსაფრთხო გახდეს. სასმელი წყლის მოწყობილობები ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. წყლის დასალევად მოსწავლეები ერთჯერადი მოხმარების ან საზიარო ჭურჭელს იყენებენ.

სკოლაში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა საკმაოდ დადებითია. სკოლის შენობაში ფუნქციონირებს ჩასარეცხი ტიპის საპირფარეშები - 2 განყოფილება ბიჭებისათვის და 2 გოგონებისათვის. პედაგოგებისათვის ცალკე არის გამოყოფილი 2 საპირფარეშო (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. ხელების დაბანა შესაძლებელია სკოლის შენობაში არსებულ ყველა საპირფარეშოსთან. სულ მოწყობილია 8 ხელსაბანი (6საპირფარეშოებთან, ხოლო დანარჩენი 2 – სკოლის ტერიტორიაზე). ვიზიტის დღეს ხელსაბანი ნიჟარების მხოლოდ ნაწილში იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ თითქმის ყველა ბავშვი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ისწავლება, როგორც ჯანსაღი ცხოვრების სწავლების სპეციალური მოდულის შემადგენელი ნაწილი. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ხელმისაწვდომია ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, თუმცა არცერთ პედაგოგს არ გაუვლია სპეციალური მომზადება ამ ჰიგიენის საკითხებში. მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მედიკამენტები დაურიგდათ.

მყარ ნარჩენებს ყოველ ორ დღეში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ამ მხრივ ვიზიტის მომენტში პრობლემები არ დაფიქსირებულა.

სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექციას მიაჩნია სკოლა, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – ვიზიტის დღეს არანაირი მნიშვნელოვანი ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

აუცილებელია ჰიგიენის სათანადოდ სწავლება და აღნიშნულ საკითებში მასწავლებლების უკეთ მომზადება.

ტყიბულის მუნიციპალიტეტი

კურსების საჯარო სკოლა

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსებში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში არის 115 მოსწავლე (80 გოგონა და 35 ვაჟი), მათ შორის 3 ვაჟი და 2 გოგონა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 23–ს (3 მამაკაცი და 20 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც WaSH–ის საკითხებით არ არის დაინტერესებული. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას და ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც ყოველდღიურად, უწყვეტად არის ხელმისაწვდომი. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან დირექციის განცხადების მიხედვით სკოლის წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (ლაბორატორიულად დადასტურებულია) და პერიოდულად ხდება წყლის სათავე ნაგებობის გასუფთავება. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის ბავშვებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ მიიღონ სასმელი წყალი. წყლის დასალევად კი ბავშვები საზიარო მოხმარების ჭურჭელს იყენებენ. ამავე დროს, მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს. სკოლას არ გააჩნია რეზერვუარი ან წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოების 3 ერთეული გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – მამაკაცებისა და ქალებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები მხოლოდ ნაწილობრივ იყო დაცული. სკოლაში ფუნქციონირებს 4 ხელსაბანი, მათ შორის 2 საპირფარეშოსთან არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა საპონი მხოლოდ ერთ წეტილში იდო, ხოლო ხელსახოცი არსად არ იყო. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეები ხელებს არ იბანენ საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-

საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არ გაუვლიათ სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლას აქვს მყარი ნარჩენების უტილიზაციის პრობლემა - დაგროვილი ნარჩენები კვირაში ორჯერ გააქვთ სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე, სადაც ისინი იმარხება ან იწვება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული (ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება). სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად – ვიზიტის დღეს ამ მხრივ რაიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი არ დაფიქსირებულა. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა სანიტარიული ნორმების სათანადო დონეზე უზრუნველყოფა ვერ ხერხდება. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

ცუცხვათის საჯარო სკოლა

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ცუცხვათში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში ირიცხება 55 მოსწავლე (27 გოგონა და 28 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 20–ს (6 მამაკაცი და 14 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს არც მოსწავლეთა თვითმმართველობა და არც რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას და ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც ყოველდღიურად, უწყვეტად არის ხელმისაწვდომი. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშების ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში მომდინარე წყალი გამოყენების თვალსაზრისით უსაფრთხოა (აღნიშნული ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ, ხოლო სკოლაში წყლის დასალევად საზიარო მოხმარების ჭურჭელს იყენებენ. სკოლას არა აქვს რეზერვუარი ან წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 3 საპირფარეშო გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – მამაკაცებისა და ქალებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ 1 ხელსაბანი, რომელიც საპირფარეშოსთან არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონი, ხოლო ხელსახოცი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა დაახლოებით ნახევარი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არ გაუვლიათ სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში. ბოლო პერიოდში ჩატარდა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნლობა დაენიშნათ.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში არსებული მყარი ნარჩენები იშვიათად გააქვთ სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამდენად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება და ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

სკოლაში წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. წყლის სისტემის ხანდაზმულობის გამო მისი სათანადო დონეზე ფუნქციონირების უზრუნველყოფა ვერ ხერხდება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ვიზიტის დღეს ამ მხრივაც სხვადასხვა ტიპის ხარვეზები დაფიქსირდა. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

ხრესილის საჯარო სკოლა

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრესილში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში არის 55 მოსწავლე (20 გოგონა და 35 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 22–ს (3 მამაკაცი და 19 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა ან რაიმე ტიპის სხვა

საზოგადოებრივი ორგანიზაცია. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას და ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც ყოველდღიურად, უწყვეტად არის ხელმისაწვდომი. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, გამოყენების თვალსაზრისით წყალი ისაფრთხოა (აღნიშნული ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სასმელი წყლის მოწყობილობათა ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის მოსწავლეებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ სასმელი წყლის მიღება. წყლის დასალევად მოსწავლეები საზიარო მოხმარების ჭურჭელს იყენებენ ან პირდაპირ ონკანიდან სვამენ წყალს. სკოლას არა აქვს რეზერვუარი ან წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით და ჩასარეცხი საპირფარეშო. სკოლაში სულ არის 3 საპირფარეშო გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – მამაკაცებისა და ქალებისათვის). სანიტარიული კვანძი ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. სკოლაში ფუნქციონირებს 3 ხელსაბანი, მათ შორის 2 საპირფარეშოსთან არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ყველა ხელსაბანთან იყო როგორც წყალი და საპონი, ასევე ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არ გაუვლიათ სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში. ბოლო პერიოდში ჩატარდა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნლობა დაენიშნათ.

მყარი ნარჩენები კვირაში ერთხელ გააქვთ სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. მყარი ნარჩენების უტილიზაცია ბოლომდე უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში გამართულად არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. სკოლის პერსონალი ამ საქმეს მეტ-ნაკლები

წარმატებით ართმევს თავს. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – ვიზიტის დღეს ამ მხრივ მნიშვნელოვანი ხარვეზები არ დაფიქსირებულა. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება, აუცილებელია პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

ჭიათურის მუნიციპალიტეტი

კაცხის საჯარო სკოლა

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში არის 108 მოსწავლე (54 გოგონა და 54 ვაჟი), მათ შორის 4 მოსწავლე შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა (1 გოგონა და 3 ვაჟი). პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 23–ს (2 მამაკაცი და 21 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი „მომავლის თაობა“ და მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად არის ჩართული WASH-ის ძირითადი პრობლემების გადაწყვეტაში. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას და ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც ყოველდღიურად, უწყვეტად არის ხელმისაწვდომი. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). წყლის მიწოდების ალტერნატიულ წყაროს წყლის რეზერვუარი წარმოადგენს, რომელიც სათანადოდ არ არის დახურული და მისი გამოყენება მხოლოდ ტექნიკური მიზნებისათვის ხდება. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რასაც სკოლის დირექცია ფილტრებისა და გამწმენდი ქიმიური საშუალებების ნაკლებობით ხსნის. სასმელი წყლის მოწყობილობათა ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის მოსწავლეებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ სასმელი წყლის მიღება. წყლის დასალევად მოსწავლეები საზიარო ან ერთჯერადი მოხმარების ჭურჭელს იყენებენ.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოეგებისათვის (ცალ-ცალკე – მამაკაცებისა და ქალებისათვის). გოგონების რაოდენობიდან გამომდინარე მათთვის უფრო მეტი საპირფარეშო უნდა იყოს გათვალისწინებული. სანიტარიული კვანძი ადაპტირებული შეზღუდული შესაძებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დაცული. სკოლაში ფუნქციონირებს 5 ხელსაბანი, მათ შორის 3 საპირფარეშოსთან არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ხელსაბანების მხოლოდ ნაწილში იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების

შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახებით სარგებლობის შემდეგ.





ჰიგიენის სწავლება სკოლაში ხდება, როგორც ჯანსაღი ცხოვრების სწავლების სპეციალური მოდულის შემადგენელი ნაწილი. სკოლაში ხელმისაწვდომია ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, თუმცა არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ამ ჰიგიენის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიაზე მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში ამ მხრივ პრობლემები არ დაფიქსირებულა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა ზუსტად არ იცის, კონკრეტულად ვის ფუნქციას წარმოადგენს სკოლაში წყლის მიწოდების სისტემაზე ზედამხედველობა. შედეგად, სისტემის ფუნქციონირება არ არის სათანადო დონეზე უზრუნველყოფილი. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – ვიზიტის დღეს ამ მხრივ მნიშვნელოვანი ხარვეზები არ დაფიქსირებულა, თუმცა გასაუმჯობესებელია სკოლის საპირფარეშოებში არსებული სანიტარიული მდგომარეობა. საჭიროა ჰიგიენის სათანადოდ სწავლება და პედაგოგების გადამზადება.

მერევის საჯარო სკოლა

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მერევში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში სწავლობს 40 მოსწავლე (18 გოგონა და 22 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 24–ს (4 მამაკაცი და 20 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ჩართულია WASH-თან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას და ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლაში ეზოში ან შენობაში გამდინარე წყალი არ შედის, ამიტომ სასმელად იყენებენ ბოთლებით შენახულ წყალს, რომელიც მოსწავლეებს სახლიდან მოაქვთ. ალტერნატიულ საშუალებას წრამოადგენს ტრანსპორტით მოზიდული წყალი, რომლითაც რეზერვუარს ავსებენ. თუმცა რეზერვუარში წყლის გაფილტვრა ან გაწმენდა არ ხდება, ამიტომ მას სასმელად არ გამოიყენებენ. რეზერვუარის წყალს იყენებენ როგორც საპირფარეშოების დასასუფთავებლად, ასევე ხელების დასაბანად – ამავე მიზნებისათვის იყენებენ წვიმის წყალსაც. დირექცია ფილტრებისა და გამწმენდი ქიმიური საშუალებების ნაკლებობას სკოლაში წყლის გაწმენდის შეუძლებლობას უკავშირებს. ამგვარად, წყლის დასალევად მოსწავლეები პლასტმასის (PET) ბოთლებს იყენებენ.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის და 1 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს არა აქვთ ცალკე საპირფარეშო, ამიტომ მოსწავლეების საპირფარეშო ოთახით უწევთ სარგებლობა. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეული იყო ნაწილობრივ სუფთა მდგომარეობაში. სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ 1 ხელსაბანი, რომელიც საპირფარეშოსთან არის მოწყობილი. ხელსაბანს წყალი მიეწოდება მცირე ზომის წყლის რეზერვუარიდან, რომელსაც წყლით ავსებენ. ვიზიტის დღეს ხელსაბანთან არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. თუმცა, დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ხელმისაწვდომია საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და პედაგოგებსაც გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარი ნარჩენები ყოველდღიურად გააქვთ სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული.

სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად, თუმცა ამ მხრივ სკოლაში არ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეება. დირექციის განცხადების მიხედვით, აქტიური თანამშრომლობისა და კომუნიკაციის მიუხედავად, სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს, რადგან სკოლაში არ ფუნქციონირებს წყალგაყვანილობის სისტემა. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა მუნიციპალურ სამსახურთან ერთად ინაწილებს პასუხისმგებლობას. ვიზიტის დღეს ამ მხრივ გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა: გასაუმჯობესებელია სკოლაში არსებული სანიტარიულ–ჰიგიენური მდგომარეობა და, ზოგადად, აუცილებელია ჰიგიენის საკითხების სათანადო დონეზე სწავლება.

სვერის საჯარო სკოლა

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ სვერში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში სწავლობს 75 მოსწავლე (31 გოგონა და 44 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (მხოლოდ ერთი მოსწავლეა სპეციალური საჭიროებების მქონე). პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 19–ს (4 მამაკაცი და 15 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ჩართულია WASH-თან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას და ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის წყალი, რომელიც საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს რეზერვუარი, რომელსაც წყლით ავსებენ და ძირითადი წყაროს არარსებობის შემთხვევაში იყენებენ. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა ფილტრებისა და გამწმენდი საშუალებების დეფიციტის გამო. თუმცა, პერსონალის აზრით, სკოლაში შემომავალი წყალი უსაფრთხოა, ამიტომ დამატებითი გაწმენდა აღარ სჭირდება. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის მოსწავლეებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ წყლის დალევა. ამ მიზნით მოსწავლეები საზიარო ან

ერთჯერად ჭურჭელს იყენებენ, მათ ნაწილს კი წყალი სახლიდან მოაქვს პლასტამასის ბოთლებით.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 3 საპირფარეშო გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს არცერთი ერთეული არ იყო სუფთა. სკოლაში ფუნქციონირებს 3 ხელსაბანი, თუმცა საპირფარეშოსთან არცერთი არ არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ხელსაბანების მხოლოდ გარკვეულ ნაწილში იყო საპონი, ხოლო ხელსახოცი – არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ უმეტესად მოსწავლეები იბანენ ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. გასულ და მიმდინარე წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიაზე მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში ამ მხრივ პრობლემები არ დაფიქსირებულა.

სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად, თუმცა ამ მხრივ სკოლაში არსებული მდგომარება არ არის დამაკმაყოფილებელი. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში წყალგაყვანილობის სისტემა თავიდანვე ცუდად იყო დაგეგმილი. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას და ამ ფუნქციას ნაწილობრივ ართმევს თავს. ვიზიტის დღეს ამ მხრივ გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა: გასაუმჯობესებელია სკოლაში არსებული სანიტარიულ–ჰიგიენური მდგომარეობა და, ზოგადად, აუცილებელია ჰიგიენის საკითხების სათანადო დონეზე სწავლება.

ქვაციხის საჯარო სკოლა

ჭიათურის მუნიციპალიტეტში სოფელ ქვაციხეში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში არის 72 მოსწავლე (40 გოგონა და 32 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 19–ს (4 მამაკაცი და 15 ქალი).

სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი „ვექტორი“ და მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც მონაწილეობს WASH–ის მხარდაჭერაში და აქტიურად უძღვება სხვადასხვა სახის აქტივობებს. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას და ადგენს შესაბამის გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც ყოველდღიურად, უწყვეტად არის ხელმისაწვდომი. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს დაცული წყაროს წყალი. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში მომდინარე წყალი გამოყენების მიზნით უსაფრთხოა. სასმელი წყლის მოწყობილობათა ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის მოსწავლეებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ წყლის დალევა. ამ მიზნით მოსწავლეები საზიარო ან ერთჯერადი მოხმარების ჭურჭელს იყენებენ.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირაფრეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 2 –პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დაცული. სკოლაში ფუნქციონირებს 4 ხელსაბანი, მათგან 3 საპირფარეშოსთან ახლოს არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ხელსაბანების ნაწილში იყო საპონი, მაგრამ ხელსახოცი – არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

ჰიგიენის სწავლება სკოლაში ხდება, როგორც ჯანსაღი ცხოვრების სწავლების სპეციალური მოდულის შემადგენელი ნაწილი. სკოლაში ხელმისაწვდომია ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, თუმცა არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი

სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. გასულ და მიმდინარე წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიაზე მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის დღეს ამ მხრივ პრობლემები არ დაფიქსირებულა.

სკოლაში წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. სკოლა მუნიციპალურ სამსახურთან ერთად იღებს პასუხისმგებლობას სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. ვიზიტის დღეს ამ მხრივ მნიშვნელოვანი ხარვეზები არ დაფიქსირებულა, თუმცა სკოლის საპირფარეშოებში არსებული სანიტარიული მდგომარეობა გასაუმჯობესებელია. მნიშვნელოვანია ჰიგიენის სათანადოდ სწავლება და მასწავლებლების გადამზადება.

ცხრუკვეთის საჯარო სკოლა

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრუკვეთში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა, სადაც სწავლობს მხოლოდ 19 მოსწავლე (12 გოგონა და 7 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 12–ს (8 მამაკაცი და 4 ქალი). მოსწავლეთა მცირე რაოდენობის გამო, სკოლაში არანაირი ტიპის საზოგადოებრივი ორგანიზაცია არ ფუნქციონირებს. ფორმალურად მოქმედებს მხოლოდ მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ნაკლებად აქტიურობს სკოლის წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისით. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას და ადგენს შესაბამის გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის წყალი, რომელიც საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული წყარო არ არსებობს. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა ფილტრებისა და გამწმენდი საშუალებების დეფიციტის გამო. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის მოსწავლეებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ წყლის მიღება. ამ მიზნით ისინი საზიარო ჭურჭელს იყენებენ ან წყალს პირდაპირ ონკანიდან სვამენ. მოსწავლეებს არ უწევთ წყლის სახლიდან მოტანა.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. სკოლაში ფუნქციონირებს 2 ხელსაბანი, რომელთაგან არცერთი არ არის მოწყობილი საპირფარეშოსთან ახლოს და არც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე არ არის ადაპტირებული. ვიზიტის დღეს ხელსაბანებთან არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი.

დირექციის განცხადების მიხედვით, ჰიგიენის საკითხები სკოლაში ისწავლება, როგორც ჯანსაღი ცხოვრების სწავლების სპეციალური მოდულის შემადგენელი ნაწილი. თუმცა არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არცერთ პედაგოგებს არ გაუვლია სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიაზე მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის დღეს ამ მხრივ პრობლემები არ დაფიქსირებულა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ვიზიტის დღეს ამ მხრივ მნიშვნელოვანი ხარვეზები არ დაფიქსირებულა, თუმცა გასაუმჯობესებელია სკოლაში არსებული სანიტარიულ–ჰიგიენური მდგომარეობა - აუცილებელია სწავლების ხარისხისა და ცნობიერების დონის ამაღლება. ხელსაბანები უნდა იყოს მოწყობილი საპირფარეშოებთან ახლოს, იქვე უნდა იყოს საპონი და ხელსახოცი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

გუბისწყლის საჯარო სკოლა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუბისწყალში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში არის 52 მოსწავლე (30 გოგონა და 22 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 15–ს (4 მამაკაცი და 11 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო და მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებით არ არის დაინტერესებული. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას და ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების თანადმად, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლაში წყლის მიწოდების უმთავრესი საშუალებაა დაცული ჭის წყალი, რომელიც ყოველდღიურად, თუმცა შეზღუდული რაოდენობით არის ხელმისაწვდომი, შესაბამისად, არსებული წყალი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლას წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიულ წყარო არა აქვს. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის განცხადების მიხედვით, სკოლაში არსებული ჭის წყალი გამოყენების მიზნით უსაფრთხოა (ლაბორატორიულად დადასტურებულია). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. სკოლაში არსებული წყლის დეფიციტის გამო მოსწავლეთა ნაწილს სასმელი წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით, სკოლაში კი წყლის დასალევად მოსწავლეები საზიარო ჭურჭელს (ჭიქას) იყენებენ.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის, 1 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს ყველა საპირფარეშოში ანტისანიტარიული მდგომარეობა იყო. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 5 ხელსაბანი - მათგან 4 საპირფარეშოსთან არის მოწყობილი (ეს არის კედელზე დაკიდებული მცირე ზომის ავზი). ვიზიტის დღეს ყველა ხელსაბანთან იყო როგორც წყალი, ასევე საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა დაახლოებით ნახევარი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

ჰიგიენა სკოლაში ისწავლება, როგორც ჯანსაღი ცხოვრების სწავლების სპეციალური მოდულის შემადგენელი ნაწილი. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ხელმისაწვდომია ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და ჰყავთ სპეციალურად მომზადებული პედაგოგები. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარი ნარჩენები თითქმის ყოველდღიურად გააქვთ სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამდენად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია სავსებით უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

დირექციამ ზუსტად არ იცის, თუ ვინ არის პასუხისმგებელი სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე. შესაბამისად, სკოლაში არსებობს სასმელი წყლის პრობლემა, რომელიც ჭის წყლის უხვი ნალექის შედეგად დაბინძურების გამო, სეზონურად მძაფრდება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ სკოლაში არსებობს გარკვეული პრობლემები - შეფასების დღეს ნაწილობრივ დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. სკოლაში WaSH-ის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის საკითხებთან მიმართებაში მოსწავლეთა ცნობიერების შედარებით დაბალი დონე - ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ კიდევ უფრო ინტენსიური გახდეს აღნიშნული დისციპლინის სწავლება.

ოფშკვითის საჯარო სკოლა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფშკვითში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 230 მოსწავლე (110 ვაჟი და 120 გოგონა), რომელთაგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 26–ს (5 მამაკაცი და 21 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს არც მშობელთა და პედაგოგთა და არც რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ასევე არ არის აქტიური მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის დირექცია სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, თუმცა სკოლის ადმინისტრაცია შეზღუდული ბიუჯეტის გამო გარკვეულ საკითხებს ვერ ითვალისწინებს.

სკოლა მარაგდება ჭაბურღილის წყლით, რომელიც ყოველღიურად არის ხელმისაწვდომი და სრულიად საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან ჭაბურღილის წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (აქვთ შესაბამისი ლაბორატორიული ანალიზის პასუხი). სასმელი

წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. მოსწავლეებს არ უწევთ წყლის სახლიდან მოტანა. სკოლაში არსებულ წყალს კი საზიარო ჭურჭლის გამოყენებით ან პირდაპირ ონკანიდან სვამენ. ჭაბურღილიდან წყალი რეზერვუარში გროვდება, რეზერვუარი წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს, თუმცა არ არის სათანადოდ მოვლილი და დახურული, ამიტომ რეზერვუარის წყალს მხოლოდ ტექნიკური მიზნებისათვის იყენებენ.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 3 საპირფარეშო გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დაცული. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ 2 ხელსაბანი, 1 – საპირფარეშოსთან, გარე პერიმეტრზეა მოწყობილი. ვიზიტის დღეს ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონი, ხელსახოცი კი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მცირე მხოლოდ ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. ამავე დროს, სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არ გაუვლიათ სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან დაახლოებით კვირაში ორჯერ გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე ყრიან. შესაბამისად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. სწორედ სკოლის ინიციატივით და ხარჯებით მოხერხდა წყლის სისტემის გამართვა და მისი მიწოდების სტაბილურობის უზრუნველყოფა. სანიტარიული სისტემების სრულყოფილ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ სანიტარიული ნორმები არ არის სათანადოდ დაცული. აუცილებელია ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება - ამ მხრივ სკოლაში ცნობიერების დონე საკმაოდ დაბალია.

რიონის საჯარო სკოლა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიონში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 78 მოსწავლე (38 ვაჟი და 40 გოგონა), რომელთაგან 2 ვაჟი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 23–ს (3 მამაკაცი და 20 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს არც მშობელთა და პედაგოგთა და არც სხვა ტიპის რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ასევე არ არის აქტიური მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის დირექცია წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების გეგმას, რომელიც უმთავრესად ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ეხება. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც ყოველდღიურად, შეზღუდული რაოდენობით არის ხელმისაწვდომი. სეზონის მიხედვით წყალის მიწოდების სტაბილურობა განსხვავებულია (დამოკიდებულია მოსული ნალექის რაოდენობაზე), ამიტომ აგროვებენ წვიმის წყალს, რომელსაც ტექნიკური მიზნებისათვის იყენებენ. სკოლაში არ ხდება სასმელი წყლის გაუვნებლება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში არსებული წყალი გამოყენების მიზნით უსაფრთხოა (აღნიშნული ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). წყლის არასტაბილური მიწოდებისა და გაურკვეველი ხარისხის გამო, მოსწავლეთა უმეტესობას წყალი სახლიდან მოაქვს. სასმელი წყლის მოწყობილობა არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, ხოლო უმცროსი ასაკის მოსწავლეებს დამოუკიდებლად (სხვისი დახმარების გარეშე) შეუძლიათ წყლის მიღება. მოსწავლეები წყლის დასალევად საზიარო ჭურჭელს იყენებენ.

სკოლის ეზოში ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის 4 საპირფარეშო: 2 – გოგონებისათვის და 2 –ვაჟებისათვის. ორივე საპირფარეშოში თითო-თითო ერთეული ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო არა აქვთ. შეფასების მომენტში საპირფარეშოს არცერთი ერთეული არ იყო სუფთა მდგომარეობაში. საპირფარეშოსთან მოწყობილია ორი ხელსაბანი. კიდევ ერთი ხელსაბანი მოწყობილია სანიტარიული კვანძიდან მოშორებით. შეფასების მომენტში არცერთ ხელსაბანთან არ იყო არც საპონი და არც ქაღალდი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების მხოლოდ მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არ გაუვლიათ სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში.

სკოლიდან დაახლოებით კვირაში ორჯერ გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც სკოლის ტერიტორიაზე წვავენ ან ახლომდებარე ხევში ყრიან. შესაბამისად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა ამ ფუნქციის შესრულება სკოლას დამოუკიდებლად არ შეუძლია.სანიტარიული სისტემების სრულყოფილ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას და ამ მხრივაც გარკვეული ხარვეზები ფიქსირდება. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის საკითხების სწავლება, რადგან ამ საკითხებთან მიმართებაში მოსწავლეთა ცნობიერების დონე საკმაოდ დაბალია.

სორმონის საჯარო სკოლა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 41 მოსწავლე (19 ვაჟი და 22 გოგონა), რომელთაგან 2 გოგონა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 16–ს (2 მამაკაცი და 14 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს მშობელთა ან ნებისმიერი სხვა ტიპის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ასევე არ არის აქტიური მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის დირექცია წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რეზერვუარში გროვდება და ყოველდღიურად, საკმარისი რაოდენობით არის ხელმისაწვდომი. სკოლაში არ ხდება სასმელი წყლის გაუვნებლება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (აღნიშნული ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). დირექციის განცხადების მიხედვით, **მათ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ წყალი უსაფრთხო არ არის სასმელად**. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, მაინც ხდება წყლის გამოყენება ალტერნატივის არარსებობის გამო. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით. სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, ხოლო უმცროსი ასაკის მოსწავლეებს დამოუკიდებლად (სხვისი დახმარების გარეშე) შეუძლიათ წყლის მიღება. სკოლაში მოსწავლეები საზიარო ჭურჭელს იყენებენ.

სკოლის ეზოში ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - ჩასარეცხი ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის 3 საპირფარეშოს: 1 – გოგონებისათვის, 1 – ვაჟებისათვის და ერთიც – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე ადაპტირებული, რომლითაც პედაგოგებიც სარგებლობენ. შეფასების მომენტში ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. საპირფარეშოსთან

მოწყობილია 3 ხელსაბანი. კიდევ ერთი ხელსაბანი მოწყობილია სანიტარიული კვანძიდან მოშორებით. შეფასების მომენტში ყველა ხელსაბანთან იყო საპონი და ქაღალდი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების უმეტესი ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამავე დროს, სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არ გაუვლიათ სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში.

სკოლიდან დაახლოებით კვირაში ორჯერ გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე ყრიან. შესაბამისად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა.

წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. თუმცა წყლის სისტემის სათანადო დონეზე ფუნქციონირების უზრუნველყოფა მაინც ვერ ხერხდება, ამიტომ სერიოზული პრობლემა არსებობს წყლის ხარისხთან დაკავშირებით. სანიტარიული სისტემების სრულყოფილ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას და ამ მხრივაც გარკვეული ხარვეზები ფიქსირდება (უმთავრესად მყარი ნარჩენების უტილიზაციის კუთხით). გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება - აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება და სკოლისათვის საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების მიწოდება.

ქვიტირის საჯარო სკოლა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 160 მოსწავლე (70 ვაჟი და 90 გოგონა), რომელთაგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 27–ს (5 მამაკაცი და 22 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, ასევე აქტიურია მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ჩართულია WaSH–ის საკითხების მოგვარებაში. სკოლის დირექცია სასწავლო წლის ბოლოს ახდენს თვითშეფასებას და ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, ამიტომ სისტემა ამ მხრივ გამართულად ფუნქციონირებს.

სკოლის შენობაში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც გამოიყენება სასმელად, ხელების დასაბანად და საპირფარეშოს ჩასარეცხად. სკოლას წყალი ყოველდღიურად საკმარისი რაოდენობით მიეწოდება. წყლის გაწმენდა სკოლაში არ ხდება, რადგან შემომავალი წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (აქვთ შესაბამისი ლაბორატორიული კვლევის პასუხები). სკოლაში შემომავალი წყალი გროვდება მცირე ზომის რეზერვუარებში, რომელსაც სანიტარიული

მიზნებისათვის იყენებენ. სასმელი წყლის წერტილები ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის. არცერთ მოსწავლეს არ მოაქვს წყალი სახლიდან და სასმელად საკუთარ ჭურჭელს (პლასტმასის ბოთლებს) იყენებენ.

სკოლის შენობაში ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - ჩასარეცხი ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის 12 საპირფარეშო: 3 – გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 6 – პედაგოგებისათვის – 3 მამაკაცებისა და 3 ქალებისათვის. სანიტარიული კვანძი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების მომენტში საპირფარეშოს ყველა ერთეული სუფთა იყო. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი.საპირფარეშოსთან მოწყობილია 6 ხელსაბანი. შეფასების მომენტში ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი, იქვე იყო საპონი და ქაღალდი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან თითქმის ყოველდღიურად გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე ცლიან. შესაბამისად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ამ მხრივ ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. წყლის სისტემის ფუნქციონირება სათანადო დონეზე არის უზრუნველყოფილი. სანიტარიული სისტემების სრულყოფილ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას და არც ამ მხრივ არ ფიქსირდება პრობლემები. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება - აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება და სკოლისათვის საინფორმაციო - საგანმანათლებლო მასალების მიწოდება.

ხონის მუნიციპალიტეტი

ივანდიდის საჯარო სკოლა

ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში არის 124 მოსწავლე (53 გოგონა და 71 ვაჟი), მათ შორის 3 ვაჟი და 1 გოგონა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 25–ს (4 მამაკაცი

და 21 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო და მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად არის დაინტერესებული წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებით. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას და ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის უმთვარეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის შენობაში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც გამოიყენება სასმელად, ხელების დასაბანად და საპირფარეშოს ჩასარეცხად. სკოლას წყალი ყოველდღიურად საკმარისი რაოდენობით მიეწოდება. წყლის გაწმენდა სკოლაში არ ხდება, რადგან შემომავალი წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (არსებობს შესაბამისი ლაბორატორიული კვლევის პასუხები). სკოლაში შემომავალი წყალი გროვდება რეზერვუარში, რომელიც სათანადოდ არის დახურული და მოვლილი. სასმელი წყლის წერტილები ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის. არცერთ მოსწავლეს არ მოაქვს წყალი სახლიდან და სასმელად საზიარო ჭურჭელს იყენებენ.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 3 ერთეული გოგონებისათვის, 4 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს ყველა საპირფარეშოში ანტისანიტარია იყო. სკოლაში ფუნქციონირებს 3 ხელსაბანი, რომელთაგან მხოლოდ ერთია მოწყობილი საპირფარეშოსთან. ვიზიტის დღეს მხოლოდ ერთ ხელსაბანთან იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მხოლოდ მოსწავლეთა მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

ჰიგიენის სწავლება სკოლაში ეპიზოდურად ხდება და არა აქვს სისტემატური ხასიათი. ამავე დროს, სკოლაში არ არის სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე, თუმცა სკოლაში ვერ იხსენებენ ინფიცირებულ მოსწავლეებს დაურიგდათ თუ არა საჭირო მედიკამენტები.

მყარი ნარჩენები თითქმის ყოველდღიურად ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ყუთში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია ბოლომდე უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანების დროულ აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. ამჟამად წყლის სისტემა გამართულად

ფუნქციონირებს - სკოლას ხარისხიანი სასმელი წყალი ყოველდღიურად საკმარისი რაოდენობით მიეწოდება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ სკოლაში არსებობს გარკვეული პრობლემები - შეფასების დღეს სანიტარიული ნორმები უხეშად იყო დარღვეული. სკოლაში WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მოსწავლეთა ცნობიერების დაბალი დონე ჰიგიენის საკითხებთან მიმართებაში - ამდენად, მნიშვნელოვანია, სწავლების გაძლიერება, პედაგოგების გადამზადება და სკოლის შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით მომარაგება.

მათხოჯის საჯარო სკოლა

ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ მათხოჯში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში არის 129 მოსწავლე (49 გოგონა და 70 ვაჟი), მათ შორის 2 ვაჟი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 25–ს (3 მამაკაცი და 22 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო და მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად არის ჩართული ახალგაზრდული ბანაკების პროექტებში. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას და ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლაში წყლის მიწოდების უმთავრესი საშუალებაა დაუცველი ჭის წყალი, რომელიც სკოლას ყოველდღიურად, თუმცა შეზღუდული რაოდენობით მიეწოდება. შესაბამისად, წყალი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, არსებული ჭის წყალი გამოყენების მიზნით უსაფრთხოა (ეს ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). თუმცა სკოლაში არსებულ წყალს უსაფრთხოდ რომც არ თვლიდნენ, მაინც შეუძებელი იქნებოდა წყლის გაწმენდა, რადგან სკოლის პერსონალი არ ფლობს შესაბამის უნარებს და არც სათანადო ფილტრები და გამწმენდი ქიმიური საშუალებები არა აქვთ. სასმელი წყლის მოწყობილობათა ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის მოსწავლეებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ სასმელი წყლის მიღება. წყლის არსებული დეფიციტის გამო, მოსწავლეების უმეტეს ნაწილს სასმელი წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის და 2 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირაფეშო

ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს ყველა საპირფარეშოში ანტისანიტარია იყო. სკოლაში ფუნქციონირებს 4 ხელსაბანი, რომელიც საპირფარეშოებთან არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს მხოლოდ ერთ ხელსაბანთან იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა დაახლოებით ნახევარი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. გასულ და მიმდინარე წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარი ნარჩენები თითქმის ყოველდღიურად ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ყუთში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია ბოლომდე უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანების დროულ აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. წყლის სისტემის სათანადო დონეზე ფუნქციონირება ვერ ხერხდება, რაც მისი ოპერირებისათვის საჭირო ენერგომატარებლების ნაკლებობას (საწვავი, ელექტროენერგია) უკავშირდება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ სკოლაში გარკვეული პრობლემებია - შეფასების დღეს არ იყო დაცული სანიტარიული ნორმები. სკოლაში WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მოსწავლეთა ცნობიერების დაბალი დონე ჰიგიენის საკითხებთან მიმართებაში - ამდენად, მნიშვნელოვანია, სწავლების გაძლიერება, პედაგოგების გადამზადება და სკოლის სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით მომარაგება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი

კიცხის საჯარო სკოლა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში ირიცხება 90 მოსწავლე (52 გოგონა და 38 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 29–ს (3 მამაკაცი და 26 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და არც

ნებისმიერი სხვა ტიპის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, თუმცა არსებობს „მწვანეთა კლუბი“. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას და ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას ყოველდღიურად, უწყვეტად მიეწოდება. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში მომდინარე წყალი უსაფრთხოა (ეს ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, ხოლო სკოლაში სასმელად საზიარო მოხმარების ჭურჭელს იყენებენ, ან წყალს პირდაპირ ონკანიდან სვამენ. სკოლას არა აქვს არც რეზერვუარი და არც წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 3 ერთეული გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – მამაკაცებისა და ქალებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში იყო მძიმე ანტისანიტარია. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ 2 ხელსაბანი, რომელთაგან ერთი საპირფარეშოსთან არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონი, მაგრამ ხელსახოცი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო პერიოდში ჩატარდა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნლობა დაენიშნათ.

მყარი ნარჩენები კვირაში ერთხელ გააქვთ სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამდენად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება და ეს ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. თუმცა პასუხისმგებლობების გადანაწილების საკითხი ზუსტად არ არის გარკვეული, რის გამოც სისტემის სათანადო დონეზე ფუნქციონირების უზრუნველყოფა ვერ ხერხდება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ვიზიტის დღეს ამ მხრივაც სხვადასხვა ტიპის მნიშვნელოვანი დარღვევები დაფიქსირდა. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

ლეღვანის საჯარო სკოლა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვანში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში ირიცხება 30 მოსწავლე (17 გოგონა და 13 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 23–ს (2 მამაკაცი და 21 ქალი), რაც ოდნავ ჩამორჩება მოსწავლეთა საერთო რიცხვს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც დაინტერესებულია წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებით. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას და ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას ყოველდღიურად და უწყვეტად მიეწოდება. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოების ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში მომდინარე წყალი გამოყენების მიზნით უსაფრთხოა (ეს ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, ხოლო სკოლაში სასმელად საზიარო მოხმარების ჭურჭელს იყენებენ, ან წყალს პირდაპირ ონკანიდან სვამენ. სკოლას არა აქვს არც რეზერვუარი და არც წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - საერთო სარგებლობის „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო, რომლითაც მოსწავლეებთან ერთად პედაგოგებიც სარგებლობენ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ 2 ხელსაბანი, რომელიც საპირფარეშოდან მოშორებით მდებარეობს. ვიზიტის დღეს ხელსაბანთან იყო როგორც წყალი, ასევე საპონი და ხელსახოცი.

დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშოთი სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო პერიოდში ჩატარდა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნლობა დაენიშნათ.

მყარი ნარჩენები ერთ კვირაზე ნაკლები სიხშირით გააქვთ და იქვე, სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მარხავენ. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამდენად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება და ეს ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ ხდება სკოლის ტერიტორიის ნაწილის დატბორვა.

წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. წყლის სისტემა სათანადო დონეზე ფუნქციონირებს და ამ მხრივ მნიშვნელოვანი ხარვეზები არ შეინიშნება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ სხვადასხვა ტიპის მნიშვნელოვანი დარღვევები ფიქსირდება: სანიტარიული კვანძი ამორტიზებულია და არსებობს მყარი ნარჩენების უტილიზაციის პრობლემა. მნიშვნელოვნად გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

უბისის საჯარო სკოლა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ უბისაში ფუნქციონირებს არასრული საჯარო სკოლა. სკოლაში ირიცხება მხოლოდ 23 მოსწავლე (13 გოგონა და 10 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 13–ს (1 მამაკაცი და 12 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებით არასდროს არ დაინტერესებულა. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას და ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას ყოველდღიურად და უწყვეტად მიეწოდება. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოების ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა,

რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში მომდინარე წყალი გამოყენების მიზნით უსაფრთხოა (ეს ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, ხოლო სკოლაში სასმელად ერთჯერადი მოხმარების ან საკუთარ ჭურჭელს იყენებენ. სკოლას არა აქვს არც რეზერვუარი და არც წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 3 ერთეული გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 1 – პედაგოგებისათვის (ქალებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ 2 ხელსაბანი, რომელთაგან ერთი საპირფარეშოსთან არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონი, ხელსახოცი კი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო პერიოდში ჩატარდა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნლობა დაენიშნათ.

მყარი ნარჩენები კვირაში ერთხელ გააქვთ სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამდენად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება და ეს ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ ხდება სკოლის ტერიტორიის ნაწილის დატბორვა.

სკოლაში წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის პროფილურ სამინისტროსთან ერთად. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, სისტემის სათანადო დონეზე ფუნქციონირების უზრუნველყოფა სრულად ვერ ხერხდება და ამ მხრივ გარკვეული ხარვეზები შეინიშნება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივაც სხვადასხვა ტიპის დარღვევები დაფიქსირდა (მაგალითად, საპირფარეშოებში დარღვეულია სანიტარიული ნორმები და არსებობს მყარი ნარჩენების უტილიზაციის პრობლემა). გასაუმჯობესებელია აგრეთვე ჰიგიენის სწავლება -

საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

კახეთის რეგიონი

გურჯაანის მუნიციპალიტეტი

ვაჩნაძიანის საჯარო სკოლა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაჩნაძიანის საჯარო სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში სწავლობს 257 მოსწავლე (დირექციამ არ იცის გოგონებისა და ვაჟების ზუსტი რაოდენობა), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 34–ს (3 მამაკაცი და 31 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებით არ არის დაინტერესებული. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს – განსაკუთრებით აქტუალურია ძველი ინფრასტრუქტურის განახლება.

სკოლას ჭაბურღილის წყალი ამარაგებს, რომელიც კვირაში, საშუალოდ, მხოლოდ 2-4 დღით მიეწოდება და არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად და სანიტარიული მიზნებისათვის). სკოლაში ხდება წყლის გაწმენდა, რადგან ჭაბურღილის წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ. სკოლას აქვს რეზერვუარი, რომელიც არ არის სათანადოდ მოვლილი და დახურული. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით.

სკოლას აქვს რამდენიმე სანიტარიული კვანძი: სკოლის შენობაში მოწყობილია გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 3 საპირფარეშო, რომლითაც პედაგოგები და გოგონები სარგებლობენ. სკოლის ეზოში, შენობიდან 10 მეტრის დაშორებით მდებარეობს საერთო სარგებლობის „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური (1 ერთეული). კიდევ ერთი საპირფარეშოს ამორტიზებული ჯიხური სკოლის უკანა ეზოშია მოწყობილი. დირექციის განცხადების მიხედვით, აღნიშნული საოირფარეშო არ ფუნქციონირებს, თუმცა, როგორც სკოლის მოსწავლეები ამბობენ, მას უფროსი ასაკის ვაჟები იყენებენ. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სკოლის შენობაში მოწყობილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ადაპტირებული

საპირფარეშო (თუმცა დაკეტილია და არავინ არ იყენებს). შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში უხეშად იყო დარღვეული სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებლობას დამლაგებლები მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორთან ერთად ინაწილებენ. სკოლაში ფუნქციონირებს 5 ხელსაბანი, რომელთაგან 4 საპირფარეშოებთან არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს არცერთ ხელსაბანში არ მოდიოდა წყალი, არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი, შესაბამისად, მოსწავლეები ვერ ახერხებენ ხელების დაბანას.

სკოლაში ჰიგიენა არ ისწავლება. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში. ბოლო პერიოდში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე კონტეინერში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების უმეტესი ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაციას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს - სკოლაში სასურველია სანიტარიული ობიექტების დაცლის მკაფიოდ გაწერილი გრაფიკის არსებობა. სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, სისტემის სათანადო დონეზე ფუნქციონირების უზრუნველყოფა სრულად ვერ ხერხდება, რაც მის საწყის ცუდ პროექტირებასა და სათადარიგო მასალების დეფიციტს უკავშირდება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე დირექცია იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა შეფასების პროცესში სხვადასხვა ტიპის უხეში დარღვევები გამოვლინდა. სკოლაში საერთოდ არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, ამიტომ საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

ველისციხის საჯარო სკოლა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხის საჯარო სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში სწავლობს 524 მოსწავლე (235 გოგონა და 289 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 55–ს (2 მამაკაცი და 53 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებით არ არის დაინტერესებული. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის

განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს – ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული.

სკოლას ჭაბურღილის წყალი ამარაგებს, რომელიც კვირაში საშუალოდ 2-4 დღით მიეწოდება და არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად და სანიტარიული მიზნებისათვის). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან ჭაბურღილის წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ. გარდა ამისა, ამ პროცესის ჩასატარებლად სკოლას არა აქვს არც ფილტრები, არც გამწმენდი ქიმიური საშუალებები და, რაც მთავარია, არც სათანადო უნარები. სკოლას აქვს რეზერვუარი, რომელიც სათანადოდ არის მოვლილი და დახურული. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით (სკოლაში არსებულ წყალს ამავე ბოთლების გამოყენებით სვამენ).

სკოლის შენობაში მოწყობილია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 5 ერთეული გოგონებისათვის და 5 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ, თუმცა მიმდინარეობს მათთვის ცალკე საპირფარეშოს მოწყობა. სანიტარიული კვანძი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მოსწავლეებზე ადაპტირებული, ხოლო გოგონების საპირფარეშოს კარს შიდა საკეტი არა აქვს. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 3 ხელსაბანი, რომელთაგან 2 საპირფარეშოებთან არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა საპონი მხოლოდ ერთ წერტილში იყო, ხელსახოცი კი - არსად (თუმცა ხელსაბანებთან მოწყობილია ელექტრონული საშრობები). მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მათი უმეტესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ. დირექციის განცხადების მიხედვით - „სასაპნე მუდმივად იმტვრევა“ - რაც სკოლისათვის დამატებით დანახარჯს წარმოადგენს.

სკოლაში ჰიგიენა არ ისწავლება. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში. მიმიდნარე სასწავლო წელს ჩატარდა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ.

მყარი ნარჩენები ორ დღეში ერთხელ გააქვთ სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექციამ ზუსტად არ იცის, თუ ვის აკისრია პასუხისმგებლობა სკოლაში წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე, თუმცა წყლის სისტემის სათანადო დონეზე ფუნქციონირება მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე დირექცია იღებს პასუხისმგებლობას, მაგრამ შეფასების პროცესში სხვადასხვა ტიპის დარღვევები გამოვლინდა. სკოლაში საერთოდ არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

ჭანდარის საჯარო სკოლა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანდარის საჯარო სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში სწავლობს 171 მოსწავლე (83 გოგონა და 88 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 27–ს (2 მამაკაცი და 25 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებით არ დაინტერესებული. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა მარაგდება ჭაბურღილის წყლით, რომელიც სკოლას ყოველდღიურად მიეწოდება და სრულიად საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად და სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან ჭაბურღილის წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ. გარდა ამისა, ამ პროცესის ჩასატარებლად სკოლას არა აქვს არც ფილტრები, არც გამწმენდი ქიმიური საშუალებები და, რაც მთავარია, არც სათანადო უნარები. სკოლას არა აქვს არც წყლის მიწოდების ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით (სკოლაში არსებულ წყალს ამავე ბოთლების გამოყენებით სვამენ).

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) მოწყობილია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 4 ერთეული გოგონებისათვის, 4 – ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა - პედაგოგებისათვის. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე, ხოლო გოგონების საპირფარეშოს კარს შიდა საკეტი არა აქვს. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებლობას დირექტორი და დამლაგებლები ინაწილებენ. სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ 1 ხელსაბანი, რომელიც სანიტარიული კვანძიდან

მოშორებით არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ხელსაბანში მოდიოდა წყალი, იქვე იყო საპონი და ხელსახოცი. მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მათი უმეტესობა ხელებს არ იბანს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა არ ისწავლება. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში. მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ.

მყარ ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის სანაგვე კონტეინერში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით არ იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

სკოლაში წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. წყლის სისტემის სათანადო დონეზე ფუნქციონირება მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე დირექცია იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა შეფასების პროცესში სხვადასხვა ტიპის დარღვევები გამოვლინდა. სკოლაში საერთოდ არ ისწავლება ჰიგიენა - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

თელავის მუნიციპალიტეტი

ქვემო ხოდაშნის საჯარო სკოლა

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხოდაშნის საჯარო სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში სწავლობს 158 მოსწავლე (გოგონებისა და ვაჟების რაოდენობის დაზუსტება ვერ მოხერხდა), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 29–ს (1 მამაკაცი და 28 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებით არ არის დაინტერესებული. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა მარაგდება ჭაბურღილის წყლით, რომელიც სკოლას ყოველდღიურად მიეწოდება და სრულიად საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად და სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან ჭაბურღილის წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ. სკოლას არა აქვს არც წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი, თუმცა სამასწავლებლოში მოწყობილია დისპანსერი, რომლითაც პედაგოგები სარგებლობენ. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით(სკოლაში არსებულ წყალს ამავე ბოთლების გამოყენებით ან პირდაპირ ონკანიდან სვამენ).

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 4 ერთეული გოგონებისათვის, 4 – ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა - პედაგოგებისათვის. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 2 ხელსაბანი, რომელთაგან ერთი საპირფარეშოსთან არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იყო საპონი, ხელსახოცი - არა. მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების მხოლოდ მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშოს ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნლობა დაენიშნათ.

მყარ ნარჩენებს სამ დღეში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე კონტეინერში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით არ იყო გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექციამ ზუსტად არ იცის, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა სკოლაში წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე. სისტემის სათანადო დონეზე ფუნქციონირება მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია. დირექცია ვერც სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებას ვერ ასახელებს. შეფასების პროცესში ამ მხრივ სხვადასხვა ტიპის დარღვევები გამოვლინდა. სკოლაში WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს

ჰიგიენის საკითხების სწავლება (საერთოდ არ ისწავლება) - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში სწავლობს 400 მოსწავლე (გოგონებისა და ვაჟების რაოდენობის დაზუსტება ვერ მოხერხდა), მათ შორის 1 ვაჟი არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 36–ს (3 მამაკაცი და 33 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებით არ არის დაინტერესებული. სკოლის დირექცია პერიოდულად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის პრიორიტეტებს არ განეკუთვნება.

სკოლის ეზოსა და შენობაში ქალაქის ცენტრალური წყალგაყვანილობის სისტემიდან წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას ოთხშაბათის გარდა ყოველდღე მიეწოდება. წყალს ქიმიურად არ ამუშავებენ, რადგან დარწმუნებული არიან მის უსაფრთხოებაში. სკოლას არა აქვს სასმელი წყლის არც სხვა ალტერნატიული მიწოდების საშუალება და არც რეზერვუარი. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელიც მხოლოდ ერთჯერადი მოხმარებისათვის არის რეკომენდებული. სასმელი წყლის მოწყობილობა არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეები წყლის დასალევად საკუთარ ჭურჭელს (პლასტმასის ბოთლებს) იყენებენ.

სკოლას აქვს რამდენიმე სანიტარიული კვანძი: სკოლის შენობაში მოწყობილია გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით, სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) კი მდებარეობს „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 4 ერთეული გოგონებისათვის და 3 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე, ხოლო გოგონების საპირფარეშოს კარს შიდა საკეტი არა აქვს. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებლობა დამლაგებლებს აკისრიათ. სკოლაში ფუნქციონირებს 3 ხელსაბანი, რომელთაგან 2 საპირფარეშოსთან არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს 2 ხელსაბანში მოდიოდა

წყალი, თუმცა არსად არ იყო საპონი და ხელსახოცი, შესაბამისად, მოსწავლეები ვერ ახერხებენ ხელების დაბანას.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო პერიოდში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე კონტეინერში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია მეტ ყურადღებას მოითხოვს - სასურველია სანიტარიული ობიექტების დაცლის მკაფიოდ გაწერილი გრაფიკის არსებობა. სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექციას შესაბამისი მუნიციპალური სამსახური მიაჩნია სკოლაში წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. სისტემის სათანადო დონეზე ფუნქციონირება მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე დირექცია იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა შეფასების პროცესში სხვადასხვა ტიპის დარღვევები გამოვლინდა. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

ნინოგორის საჯარო სკოლა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში სწავლობს 210 მოსწავლე (გოგონებისა და ვაჟების რაოდენობის დაზუსტება ვერ მოხერხდა), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 27–ს (1 მამაკაცი და 26 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებით არ არის დაინტერესებულა. სკოლის დირექცია პერიოდულად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების სტრატეგიულ გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. სკოლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სველი წერტილების შენობის შიგნით მოწყობა.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას ყოველდღიურად და უწყვეტად მიეწოდება. არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის

(სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოების ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან სკოლას არა აქვს არც ფილტრები და გამწმენდი საშუალებები და არც არავინ იცის, თუ როგორ უნდა გაიწმინდოს წყლის. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით. მოსწავლეები ამავე ბოთლებს იყენებენ სკოლაში არსებული წყლის დასალევად. სკოლას არა აქვს არც წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა – პედაგოგებისათვის. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში უხეშად იყო დარღვეული სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 3 ხელსაბანი, რომელთაგან 2 საპირფარეშოსთან არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს მხოლოდ ერთ ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონი, მაგრამ ხელსახოცი - არა. მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთაგან არავინ არ იბანს ხელებს საპირფარეშოთი სარგებლობის შემდეგ.

ჰიგიენა სკოლაში არ ისწავლება. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო–საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში. მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ.

მყარ ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე კონტეინერში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების უმეტესი ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია მეტ ყურადღებას მოითხოვს - სასურველია სანიტარიული ობიექტების დაცლის მკაფიოდ გაწერილი გრაფიკის არსებობა. სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

სკოლაში წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. სისტემის სათანადო დონეზე ფუნქციონირების უზრუნველყოფა სრულად ვერ ხერხდება, რაც მის ამორტიზაციასა და სათადარიგო ნაწილების დეფიციტს უკავშირდება. სანიტარიული სისტემის გამართულად ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას დირექცია თავის თავზე იღებს, თუმცა შეფასების პროცესში სხვადასხვა ტიპის მნიშვნელოვანი

დარღვევები გამოვლინდა. გასაუმჯობესებელია აგრეთვე ჰიგიენის საკითხების სწავლება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

სიღნაღის მუნიციპალიტეტი

საქობოს საჯარო სკოლა

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოს სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში სწავლობს 208 მოსწავლე (106 გოგონა და 102 ვაჟი), მათ შორის 4 გოგონა და 9 ვაჟი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 44–ს (2 მამაკაცი და 42 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებით არ არის დაინტერესებული. სკოლის დირექცია პერიოდულად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების სემესტრულ და წლიურ გეგმებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმების მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც ყოველდღიურად, უწყვეტად არის ხელმისაწვდომი. არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, წყალი უსაფრთხოა სასმელად (ლაბორატორიულად არ არის დადასტურებული). სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც სკოლაში არსებული წყლის ასავსებადაც იყენებენ. სკოლას არ გააჩნია წყლის მიწოდების ალტერნატიული საშუალება ან რეზერვუარი.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის, 1 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – მამაკაცებისა და ქალებისათვის). სკოლის შენობაში მოწყობილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე ადაპტირებული საპირფარეშო. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 3 ხელსაბანი, რომელთაგან ერთი საპირფარეშოსთან არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი,

თუმცა საპონი და ხელსახოცი მხოლოდ ერთ წერტილში იყო. მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მათგან მხოლოდ მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე კონტეინერში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია მეტი ყურადღებით უნდა მოხდეს - სასურველია სანიტარიული ობიექტების დაცლის მკაფიოდ გაწერილი გრაფიკის არსებობა. სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექციას შესაბამისი მუნიციპალური სამსახური მიაჩნია სკოლაში წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. ვერ ხერხდება სისტემის სათანადო დონეზე ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რაც მის საწყის ცუდ პროექტირებას უკავშირდება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე დირექცია მუნიციპალურ სამსახურს აკისრებს პასუხისმგებლობას – შეფასების პროცესში სხვადასხვა ტიპის დარღვევები გამოვლინდა. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

ყვარლის მუნიციპალიტეტი

ჭიკაანის საჯარო სკოლა

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში სწავლობს 252 მოსწავლე (გოგონებისა და ვაჟების რაოდენობის დაზუსტება ვერ მოხერხდა), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 35–ს (1 მამაკაცი და 34 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებით არ არის დაინტერესებული. სკოლის დირექცია პერიოდულად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები აღნიშნული გეგმების მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა ყოველდღიურად მარაგდება ჭაბურღილის წყლით, რომელიც სრულიად საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად და სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის). სკოლაში არსებული წყალი სასმელად გამოყენებამდე ჯერ იწმინდება. სკოლას არა აქვს არც წყლის მიწოდების ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი. სასმელი წყლის მოწყობილობები ადაპტირებულია შეზღუდული შესაძებლობების მქონე მოსწავლეებზე. ბავშვების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით. სკოლაში არსებულ წყალსაც ამავე ბოთლების გამოყენებით სვამენ.

სკოლას აქვს რამდენიმე სანიტარიული კვანძი: სკოლის შენობაში მოწყობილია ჩასარეცხი ტიპის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე ადაპტირებული საპირფარეშო (სულ 2 ერთეული გოგონებისათვის და ბიჭებისათვის). სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) კი მდებარეობს „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. ეზოში არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის, 1 – ვაჟებისათვის და 1 - პედაგოგებისათვის. ეზოში მდებარე გოგონების საპირფარეშოს კარს შიდა საკეტი არა აქვს. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებლობა დამლაგებლებს აკისრიათ. სკოლაში ფუნქციონირებს 3 ხელსაბანი, რომელთაგან 2 საპირფარეშოსთან არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა მხოლოდ ერთ ხელსაბანთან იყო საპონი და არსად არ იყო ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

ჰიგიენა სკოლაში არ ისწავლება. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის შესახებ არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში. ბოლო პერიოდში არ ჩატარებულა მოსწავლეების ნაწლავის ჭიებზე შემოწმება.

მყარ ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე კონტეინერში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით არ იყო გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

სკოლაში წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. სისტემა მოწესრიგებულია და ამ მხრივ არსებითი პრობლემა არ ფიქსირდება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე დირექცია იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა აშეფასების პროცესში გარკვეული ხარვეზები გამოვლინდა. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლებას, რადგან ჰიგიენის საკითხები საერთოდ არ ისწავლება სკოლაში, ამიტომ საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი

დუშეთის მუნიციპალიტეტი

არაგვისპირის საჯარო სკოლა

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ არაგვისპირში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში სწავლობს 139 მოსწავლე (67 გოგონა და 72 ვაჟი), მათ შორის 3 ვაჟი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 26–ს (1 მამაკაცი და 25 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არ არის დაინტერესებული WaSH-ის საკითხებით. დირექტორის განცხადების მიხედვით, თვითშეფასება ხდება როგორც სემესტრულად, ასევე წლიურად, რის საფუძველზეც სკოლის ადმინისტრაცია ადგენს შესაბამისი განვითარების გეგმებს, რომელშიც წყლისა და სანიტარიის საკითხებს უპირატესი პრიორიტეტი ენიჭება.

სკოლას წყალი მილსადენის მეშვეობით ყოველღიურად მიეწოდება, შესაბამისად, წყლის არსებული რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელის დასაბანად და საპირფარეშოს ჩასარეცხად). სკოლაში შემომავალი წყალი არ იწმინდება, რადგან ამის შესახებ არავის არაფერი არ სმენია, არც ფილტრები და გამწმენდი ქიმიური საშუალებები არ არის. სკოლას არა აქვს არც წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, სკოლაში არსებულ წყალს კი პირდაპირ ონკანიდან სვამს. წყლის სასმელი მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) მოწყობილია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური, რომელსაც აქვს 2 ერთეული გოგონებისათვის, 2 - ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა - პედაგოგებისათვის. შეფასების დღეს სანიტარიული კვანძის ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. განსაკუთრებით მძიმე ანტისანიტარია მოსწავლეთა საპირფარეშოში დაფიქსირდა. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. ხელსაბანები და საპირფარეშო არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. სანიტარიული კვანძიდან მოშორებით სკოლის ტერიტორიაზე მოწყობილია 2 ხელსაბანი. შეფასების მომენტში ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონი, ხელსახოცი კი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსაწავლეთა მხოლოდ ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. სკოლაში ბოლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან იქვე, სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე სანაგვე ურნებში. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, სკოლაში მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექციას შესაბამისი მუნიციპალური სამსახური მიაჩნია სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად – შეფასების პროცესში გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა, რასაც სკოლის დირექცია სისტემის ცუდ საწყის პროექტირებას უკავშირებს. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ არსებული მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი - სანიტარიულ კვანძებში შეინიშნება ანტისანიტარია და არც ნარჩენების უტილიზაცია არ ხდება უსაფრთხოდ. მნიშვნელოვანია ჰიგიენის საკითხების სათანადოდ სწავლება, რადგან მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH-ის საკითხებთან მიმართებაში საკმაოდ დაბალია.

ბაზალეთის საჯარო სკოლა

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაზალეთში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში სწავლობს 74 მოსწავლე (30 გოგონა და 44 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 19–ს (3 მამაკაცი და 16 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არ არის დაინტერესებული WaSH-ის საკითხებით. დირექციის განცხადების მიხედვით, ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება და მომდევნო წლის სკოლის განვითარების გეგმის შემუშავება, რომელშიც წყლისა და სანიტარიის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

სკოლა ჭაბურღილის წყლით ყოველღიურად მარაგდება, თუმცა შეფასების მომენტში ჭაბურღილი არ მუშაობდა და წყლის მიწოდება არ ხდებოდა. შესაბამისად, წყლის არსებული რესურსი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელის დასაბანად და საპირფარეშოს ჩასარეცხად). სკოლაში არსებული წყალი არ იწმინდება, რადგან ამის შესახებ არავის არაფერი არ სმენია. სკოლას არა აქვს არც წყლის მიწოდების ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი, ამიტომ იძულებული არიან წყალი სახლიდან მოიტანონ

პლასტმასის (PET) ბოთლებით. სკოლაში არსებული სასმელი მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლის შენობაში მოწყობილია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, რომელსაც აქვს 3 ერთეული გოგონებისათვის, 3 - ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა - პედაგოგებისათვის. შეფასების დღეს სანიტარიული კვანძის ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. ხელსაბანები და საპირფარეშო არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. სანიტარიული კვანძიდან მოშორებით სკლის ტერიტორიაზე მოწყობილია 2 ხელსაბანი (არაგამდინარე, მცირე ზომის წყლის ავზი). შეფასების მომენტში ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონი, ხელსახოცი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსაწავლეები ხელებს არ იბანენ საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. სკოლაში ბოლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან იქვე, სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე სანაგვე ურნებში. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, სკოლაში მყარი ნარჩენების უტილიზაცია არ ხდება უსაფრთხოდ. სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექციას შესაბამისი მუნიციპალური სამსახური მიაჩნია წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. ამ მხრივ გარკვეული შეფერხებები აღინიშნა, რასაც დირექცია სოფელში არსებულ წყლის მიწოდების ზოგად პრობლემას უკავშირებს. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ არსებული მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი - სანიტარიულ კვანძებში დარღვეულია სანიტარიული ნორმები და არც ნარჩენების უტილიზაცია არ ხდება უსაფრთხოდ. გასაუმჯობესებელია სკოლაში ჰიგიენის სწავლება, რადგან მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH-ის საკითხებთან მიმართებაში საკმაოდ დაბალია.

ბარისახოს საჯარო სკოლა

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში სწავლობს 52 მოსწავლე (24 გოგონა და 28 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 19–ს (3 მამაკაცი და 16 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა, თუმცა არ არის დაინტერესებული WaSH-ის საკითხებით. დირექტორის განცხადებით, ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება და შესაბამისი განვითარების გეგმის შემუშავება, რომელშიც წყლისა და სანიტარიის საკითხებს უპირატესი პრიორიტეტი ენიჭებათ.

სკოლის შენობაში წყალი მიეწოდება მილსადენის მეშვეობით, რომელიც ყოველღიურად თუმცა შეზღუდული რაოდენობით არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, წყლის არსებული რესურსი არასაკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელის დასაბანად და საპირფარეშოს ჩასარეცხად). პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში შემომავალი წყალი სასმელად უსაფრთხოა (ლაბორატორიულად დადასტურებული არ არის). წყლის მიწოდების ალტერნატიული საშუალება ან რეზერვუარი სკოლას არ გააჩნია. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, სკოლაში არსებულ წყალს კი ისინი პირდაპირ ონკანიდან სვამს. სასმელი მოწყობილობები ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

სკოლის შენობაში მოწყობილია სანიტარიული კვანძი - „ჩასარეცხი“ ტიპის საპირფარეშო, რომელსაც გააჩნია 1 ერთეული გოგონებისათვის, 1 - ვაჟებისა და 1 საერთო სარგებლობისა - პედაგოგებისათვის. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეული სუფთა იყო. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. ხელსაბანები და საპირფარეშო არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. სანიტარიული კვანძთან არის 1 ხელსაბანი. შეფასების მომენტში, ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იდო საპონი, ხელსახოცი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსაწავლეთა მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. სკოლაში ბოლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან იქვე, სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე სანაგვე ურნებში. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, სკოლაში მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში გამართულად ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექციას შესაბამისი მუნიციპალური სამსახური მიაჩნია სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. შეფასების მომენტში ამ მხრივ გარკვეული ხარვეზები გამოვლინდა, რასაც სკოლის დირექცია

სისტემის სიძველეს უკავშირებს. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – არსებული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სკოლაში მნიშვნელოვან გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება - ზოგადად მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH-ის საკითხებთან მიმართებაში საკმაოდ დაბალია.

ფასანაურის N2 საჯარო სკოლა

დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის N2 სკოლა წარმოადგენს არასრულ საჯარო სკოლას. სკოლაში შეფასების მომენტში ირიცხებოდა მხოლოდ 21 მოსწავლე (7 გოგონა და 14 ვაჟი), მათ შორის არცერთი მოსწავლე არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 13–ს (2 მამაკაცი და 11 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლაში ხდება როგორც წლიური, ასევე სემესტრული გეგმების შემუშავება და შეფასება, ხოლო წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები არსებული გეგმების უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში მილსადენის მეშვეობით ყოველდღიურად შემოდის წყალი, რომელიც რეზერვუარში გროვდება. შესაბამისად, წყლის არსებული რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელის დასაბანად და საპირფარეშოს ჩასარეცხად). სკოლაში შემომავალ წყალს პერიოდულად ქიმიურად (დაქლორვა) ამუშავებენ. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, სკოლაში არსებულ წყალს კი ისინი ერთჯერადი ჭურჭლის გამოყენებით სვამენ. სასმელი მოწყობილობები ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლის შენობაში მოწყობილია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, რომელსაც აქვს 1 ერთეული გოგონებისათვის და ერთიც - ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. შეფასების დღეს სანიტარიული კვანძის ორივე ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. ხელსაბანები და საპირფარეშო არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოსთან მოწყობილია 1 ხელსაბანი, ხოლო სანიტარიული კვანძიდან მოშორებით სკოლის ტერიტორიაზე არის კიდევ 1 ხელსაბანი. შეფასების მომენტში ხელსაბანებთან იყო წყალი და საპონი, ხელსახოცი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსაწავლეთა ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ჰიგიენა ისწავლება, როგორც ერთ-ერთი საგანი, რაც იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს არა მარტო ამ რეგიონის, არამედ მთელი

ქვეყნის მასშტაბით. თუმცა არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში, რაც სწავლების დაბალ ხარისხზე აისახება. სკოლაში ხელმისაწვდომია სანიტარია-ჰიგიენის შესახებ არსებული საგანმანათლებლო მასალები. ბოლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან იქვე, სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე სანაგვე ურნებში. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, სკოლაში მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება, თუმცა სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექციას შესაბამისი მუნიციპალური სამსახური მიაჩნია სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. შეფასების პროცესში ამ მხრივ გარკვეული პრობლემები აღინიშნა, რასაც სკოლის დირექცია პასუხისმგებლობების გარკვევისა და სწორად გადანაწილების შეუძლებლობას უკავშირებს. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა არსებული მდგომარეობა მაინც საჭიროებს გაუმჯობესებას. მართალია, სხვა სკოლებთან შედარებით აქ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ჰიგიენის საკითხების სწავლებას, თუმცა საჭიროა სკოლის პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება.

ხანდოს საჯარო სკოლა

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანდოში არსებული სკოლა ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს. მთიდან მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციის გამო, 2013 წლიდან მოყოლებული სკოლაში მოსწავლე აღარ დარჩა. თუმცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სასწავლო დაწესებულების სტატუსის შეჩერება ჯერჯერობით არ მომხდარა. ამჟამად სკოლას მხოლოდ დირექტორი და დარაჯი ჰყავს. სკოლის შენობა ამორტიზებულია და, სავარაუდოდ, ამ შენობაში სასწავლო პროცესი აღარ განახლდება.

თიანეთის მუნიციპალიტეტი

დაბა სიონის საჯარო სკოლა

თიანეთის მუნიციპალიტეტის დაბა სიონში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში სწავლობს 66 მოსწავლე (30 გოგონა და 36 ვაჟი), მათ შორის არცერთი მოსწავლე არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 21–ს (4 მამაკაცი და 17 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად არის ჩართული WaSH-ის საკითხების მოგვარებაში. დირექტორის განცხადების

მიხედვით, სკოლის ადმინისტრაცია ყოველწლიურად ადგენს სამოქმედო გეგმას, რომელშიც წყლისა და სანიტარიის საკითხები ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა ყოველდღიურად სარგებლობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით. სკოლაში არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ, რადგან მისი მიმწოდებელი საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაა. ამდენად, წყალს იყენებენ როგორც სასმელად, ასევე სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების არც სხვა ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი. სკოლაში არსებული სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, თუმცა ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს ისინი პირდაპირ ონკანიდან სვამენ.

სკოლის შენობაში მოწყობილია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური, რომელსაც აქვს 3 ერთეული გოგონებისათვის, 3 - ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა - პედაგოგებისათვის. გოგონების საპირფარეშოს კარს აქვს შიდა საკეტები. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების დასუფთავებაზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. ხელსაბანები და საპირფარეშო არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. სანიტარიული კვანძიდან მოშორებით სკოლის ტერიტორიაზე მოწყობილია მხოლოდ 1 ხელსაბანი. მართალია, ხელსაბანში წყალი მოდის, თუმცა არ არის საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსაწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ (– ისიც საპნის გარეშე).

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. სკოლაში ბოლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან იქვე, სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე სანაგვე ურნებში. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, სკოლაში მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი გამოყენებული წყლით იტბორება.

დირექციას საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია მიაჩნია სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად (ამ მხრივ მნიშვნელოვანი შეფერხება სკოლაში არ გამოვლინდა). სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას,

თუმცა ამ მხრივ არსებული მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი - აუცილებელია საპირფარეშო ოთახებში არსებული სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება და სადრენაჟო სისტემის ამუშავება. მნიშვნელოვანია ჰიგიენის საკითხების სათანადო დონეზე სწავლება, რადგან WaSH-ის საკითხებთან მიმართებაში მოსწავლეთა ცნობიერების დონე საკმაოდ დაბალია.

სიმონიანთხევის საჯარო სკოლა

თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში სწავლობს 89 მოსწავლე (55 გოგონა და 34 ვაჟი), მათ შორის არცერთი მოსწავლე არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 26–ს (3 მამაკაცი და 23 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არ არის დაინტერესებული WaSH-ის საკითხებით. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლის ადმინისტრაცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას და ადგენს შესაბამისი განვითარების გეგმას, რომელშიც წყლისა და სანიტარიის საკითხები ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლას მილსადენის მეშვეობით ყოველდღიურად მიეწოდება წყალი, თუმცა შეზღუდული რაოდენობით. შესაბამისად, სკოლაში არსებული წყლის რესურსი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელის დასაბანად და საპირფარეშოს ჩასარეცხად). პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში შემომავალი წყალი სასმელად უსაფრთხოა (ეს ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების არც სხვა ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, სკოლაში არსებულ წყალს კი ისინი პირდაპირ ონკანიდან სვამენ. სასმელი მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლის შენობაში მოწყობილია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური, რომელსაც აქვს 4 ერთეული გოგონებისათვის, 4 - ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა - პედაგოგებისათვის. გოგონების საპირფარეშოს კარს შიდა საკეტები არა აქვს. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. საპირფარეშო არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. სანიტარიული კვანძიდან მოშორებით სკოლის ტერიტორიასა და საკლასო ოთახში მოწყობილია 2 ხელსაბანი. ხელსაბანებში არის წყალი და საპონი, მაგრამ ხელსახოცი კი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მცირე მხოლოდ ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. სკოლაში ბოლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან იქვე, სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე სანაგვე ურნებში. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, სკოლაში მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი გამოყენებული წყლით იტბორება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. შეფასების მომენტში ამ მხრივ გარკვეული ხარვეზები აღინიშნა. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა სკოლაში არსებული მდგომარეობა არ არის სრულად დამაკმაყოფილებელი - აუცილებელია საპირფარეშო ოთახებში არსებული სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება და სადრენაჟო სისტემის ამუშავება. მნიშვნელოვანია ჰიგიენის საკითხების სათანადო დონეზე სწავლება, რადგან WaSH-ის საკითხებთან მიმართებაში მოსწავლეთა ცნობიერების დონე საკმაოდ დაბალია.

მცხეთის მუნიციპალიტეტი

ლისის საჯარო სკოლა

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 236087523). შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 64 მოსწავლე (33 ვაჟი და 31 გოგონა), რომელთა შორის არცერთი მოსწავლე არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 19–ს (18 ქალი და 1 მამაკაცი). სკოლაში არსებობს პედაგოგთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და მშობელთა კომიტეტი. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლის განვითარების გეგმა არათუ ითვალისწინებს წყლისა და სანიტარიის საკითხებს, არამედ ისინი პირველი რიგის პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის შენობაში მილსადენის მეშვეობით ყოველღიურად მიწოდებული წყალი სრულიად საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად და სანიტარიული მიზნებისათვის). მილსადენიდან წყალი გროვდება სკოლის შენობის სხვენზე განთავსებულ 300 ლიტრი

ტევადობის მქონე რეზერვუარში, თუმცა სკოლაში მომდინარე წყალი ვარგისიანობაზე არ არის შემოწმებული. რეზერვუარში წყლის ქიმიურად დამუშავება (დაქლორვა) სისტემატურ ხასიათს არ ატარებს, რადგან სკოლაში ფილტრებისა და გამწმენდი ქიმიური საშუალებების დეფიციტია. მოსწავლეებს არ უწევთ წყლის სახლიდან მოტანა, ამდენად ისინი წყალს პირდაპირ ონკანიდან სვამენ.

სკოლის შენობის შიგნით არის სანიტარიული კვანძი – „ორმოს“ ტიპის საპირფარეშოს თითო–თითო ერთეული გოგონებისათვის და ვაჟებისათვის. მასწავლებლებისა და სკოლის სხვა თანამშრომლებისათვის ცალკე საპირფარეშო ოთახია მოწყობილი. გოგონების საპირფარეშოს კარი შიგნიდან იკეტება. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოსთან მოწყობილია საერთო ხელსაბანი, უზრუნველყოფილი საპნით და ხელსახოცით. ვიზიტის დღეს სანიტარიული კვანძის ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. შენობაში სულ განთავსებულია 2 ხელსაბანი - სანიტარიულ კვანძთან და სამასწავლებლოში (სადაც იყო საპონი). საპირფარეშოებს პერიოდულად ქიმიურად ამუშავებენ. საპირფარეშო ოთახების დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი სანიტარია–ჰიგიენის შესახებ არსებული საგანმანათლებლო მასალები და, ამასთანავე, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. სკოლაში ბოლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარი ნარჩენები ყოველდღიურად გააქვთ სკოლიდან და ცენტრალურ გზაზე არსებულ ურნებში ცლიან. ურნების რეგულარულად დაცლას უზრუნველყოფს დასუფთავების მუნიციპალური სამსახური. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული.

სკოლის დირექცია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. ამ მხრივ არსებული მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას სკოლა თავის თავზე იღებს, თუმცა მაინც ვერ ახერხებს სანიტარიული ნორმების სრულყოფილად დაცვას. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ჰიგიენის საკითხების სათანადო დონეზე სწავლება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და სკოლის საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით მომარაგება.

მსხალდიდის საჯაროსკოლა

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მსხალდიდის არასრულ საჯარო სკოლაში (ID: 236088041) შეფასების მომენტში ირიცხებოდა 43 მოსწავლე (15 ვაჟი და 23 გოგონა), რომელთა შორის არცერთი არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 14–ს (8 ქალი და 6 მამაკაცი). სკოლაში არსებობს მოსწავლეთა თვითმმართველობა და მშობლეთა კომიტეტი, თუმცა სანიტარია-ჰიგიენის მიმართულებით რაიმე კონკრეტული საქმიანობა არ განხორციელებულა.

სკოლა ყოველღიურად მარაგდება ჭაბურღილის წყლით, რომელიც სრულიად საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად და სანიტარიული მიზნებისათვის). წყალი არ არის ვარგისიანობაზე ლაბორატორიულად შემოწმებული. სკოლაში არსებული წყალი არასდროს არ დამუშავებულა ქიმიურად (არ მომხდარა მისი დაქლორვა). წყალს პირდაპირ პლასტმასის (PET) ბოთლების გამოყენებით სვამენ. წყლის მოწყობილობა არ არის ადაპტირებული უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. დირექციის განცხადების მიხედვით, მოსწავლეებს არ უწევთ წყლის სახლიდან მოტანა.

სკოლის ეზოში, შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში მდებარეობს „ორმოს“ ტიპის საერთო სარგებლობის 2 საპირფარეშო ჯიხური (სულ 3 ერთეულია). მოსწავლეთა საპირფარეშო დიფერენცირებული არ არის ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ჯიხური აქვთ. მოსწავლეთა საპირფარეშოს კარი დაზიანებულია (დაჩვრეტილია) და შიგნიდან არ იკეტება. ვიზიტის დღეს დაფიქსირდა ანტისანიტარიული მდგომარეობა (განსაკუთრებით მძიმე ანტისანიტარია იყო მოსწავლეთა საპირფარეშოში). ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ საპირფარეშო ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე - ამაზე არავის არ უფიქრია. სანიტარიულ კვანძთან არ არის ფუნქციონირებადი ხელსაბანი.

ხელის დაბანის შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ სკოლის სამასწავლებლოში – ნიჟარასთან ახლოს კუსტარულად არის მოწყობილი მცირე ზომის წყლის ბაკი. თუმცა ამ შემთხვევაში მოსწავლეებს შეზღუდული აქვთ ხელების დაბანის შესაძლებლობა - ფაქტობრივად ვერ/არ იბანენ ხელებს და საპონსაც უმეტეს შემთხვევებში არ იყენებენ. სკოლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული ისეთი პუნქტი, რომლის ფარგლებშიც სკოლა შეძლებდა ჰიგიენური საშუალებების შეძენას.

დაკვირვების ფარგლებში პერსონალთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები. მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში არის შესაძლებელი, რომ დამრიგებელი ბავშვებს აღნიშნულ საკითხებზე გაესაუბროს. პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური ტრენინგი ჰიგიენის საკითხებში და არც საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არა აქვთ ამ თემასთან დაკავშირებით. თუმცა დირექცია აღნიშნული ფაქტის საწინააღმდეგოს ამტკიცებს. სკოლაში მოქმედებს ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო პროგრამა და ინფიცირებულ მოსწავლეებს ენიშნებათ სათანადო მკურნალობა.

მყარი ნარჩენები (ნაგვის) რეგულარულად გააქვთ და სკოლის ეზოს შესასვლელთან ახლოს მდებარე ურნაში ცლიან. ამ საკითხზე პასუხისმგებელია სკოლის დამლაგებელი. ურნის დაცლა – გატანას რეგულარულად უზრუნველყოფს დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის. სკოლაში არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა, რის გამოც ეზოს ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლისა და სანიტარიული სისტემების გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე საპუხისმგებელ უწყებად. ამჟამად აღნიშნული სისტემები ნაწილობრივ გამართულად მუშაობს, თუმცა შესასწავლია სასმელი წყლის ხარისხის საკითხი, მოსაწესრიგებელია წყლის ონკანი, სანიტარიული კვანძები და გამოყენებული წყლების სადრენაჟო სისტემა. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად არის დარღვეული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და სკოლის საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით მომარაგება.

ვაზიანის საჯარო სკოლა

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაზიანის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 236087729). სკოლაში არის 80 მოსწავლე (35 გოგონა და 45 ვაჟი), მათ შორის არცერთი მოსწავლე არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 19–ს (2 მამაკაცი და 17 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და სამოქალაქო განათლების კლუბი, თუმცა ისინი ნაკლებად არიან დაინტერესებული წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებით. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს მომავალი წლის გეგმას. აღნიშნული გეგმა სანიტარია–ჰიგიენასთან დაკავშირებულ საკითხებსაც მოიცავს, რაც სკოლის ბიუჯეტშიც შესაბამისად აისახება.

სკოლის ეზოში მოწყობილია საერთო სარგებლობის წყლის ონკანი. სკოლას წყალი გრაფიკით (საათობრივად) მიეწოდება, რაც არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის. შეფასების მომენტში სკოლაში არ იყო სასმელი წყალი. წყალი ქიმიურად არ მუშავდება (არ ხდება მისი გაფილტვრა), რადგან სკოლაში არა აქვთ ინფორმაცია ამის შესახებ და, ამავე დროს, ფილტრებისა და გამწმენდი ქიმიური საშუალებების დეფიციტს განიცდიან. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, რისთვისაც პლასტმასის (PET) ბოთლებს იყენებს. სკოლაში

არსებული წყლის დალევა დაწყებითი კლასების მოსწავლეებსაც დამოუკიდებლად (სხვისი დახმარების გარეშე) შეუძლიათ.

სანიტარიული კვანძი მდებარეობს სკოლის ეზოში. ის წარმოადგენს „ორმოს“ ტიპის ჯიხურს, რომელიც შედგება საერთო სარგებლობის 2 ერთეულისაგან. ნაგებობა მოძველებული და ამორტიზებულია - არ არის ადაპტირებული უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძებლობების მქონე მოსწავლეებზე. შეფასების მომენტში საპირფარეშო მძიმე ანტისანიტარია იყო. საპირფარეშოს არ მიეწოდება წყალი და არა აქვს ხელსაბანები. სკოლის შენობაში კუსტარულად არის მოწყობილი „ავზის“ ტიპის 2 ხელსაბანი, რომელსაც წყლით პერიოდულად ავსებენ. ხელსაბანი შორსაა საპირფარეშოსგან, რის გამოც მოსწავლეებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ არა აქვთ ხელების დაბანის შესაძლებლობა. შეფასების მომენტში ხელსაბანის არცერთ ერთეულში არ იყო საპონი.

სასწავლო პროგრამის ფარგლებში ჰიგიენის საკითხები ისწავლება, როგორც ჯანსაღი ცხოვრების სწავლების სპეციალური მოდულის შემადგენელი ნაწილი, თუმცა სკოლას არ მოეპოვება სანიტარია-ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არ გაუვლიათ სპეციალური გადამზადება ჰიგიენის საკითხებში. ბოლო წლების განმავლობაში სკოლაში არ ჩატარებულა ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო პროგრამა.

მყარი ნარჩენების შეგროვება და სკოლიდან გატანა ხდება რეგულარულად. სკოლის შენობასა და ეზოში დგას სანაგვე ურნები, საიდანაც ერთად მოგროვილ ნაგავს დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის სანაგვე კონტეინერში (სკოლის შესასვლელთან ახლოს) ცლიან. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლის ტერიტორიის სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი.

სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად სკოლის დირექციას შესაბამისი მუნიციპალური სამსახური მიაჩნია. ამჟამად სისტემა ნაწილობრივ არის გამართული, რაც გამოწვეულია სათადარიგო ნაწილების დეფიციტით. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივაც გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა (რაზეც ვიზიტის დღეს არსებული მდგომარეობაც მიუთითებს). აუცილებელია ჰიგიენის სათანადო დონეზე სწავლება, რადგან ამ საკითხებთან მიმართებაში საკმაოდ დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე, რაც უარყოფითად აისახება მათ ქცევაზე. აუცილებელია პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

პატარა ქანდის საჯარო სკოლა

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდაში ფუნქციონირებს არასრული საჯარო სკოლა (ID: 236088292). სკოლაში არის 103 მოსწავლე (48 გოგონა და 55 ვაჟი), მათ შორის 1 გოგონა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 17–ს (1 მამაკაცი და 16 ქალი). დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა ჰიგიენის საკითხებზე არ მუშაობს. სკოლის ადმინისტრაცია ადგენს განვითარების სტრატეგიულ და ყოველწლიურ გეგმებს, რომელიც სანიტარია–ჰიგიენის საკითხებსაც მოიცავს.

სკოლის ეზოში წყლის მილით მუდმივად შემოდის საკმარისი რაოდენობის წყალი. წყლის ხარისხი და მისი უსაფრთხოება ლაბორატორიულად არის დადასტურებული, ამიტომ წყალი გამოიყენება როგორც სასმელად, ასევე სკოლის სხვა საჭიროებებისათვის. სასმელი წყლის ონკანი სკოლის ეზოშია მოწყობილი და არ არის შეზღუდული შესაძებლობების მქონე პირებზე ადაპტირებული, თუმცა მისი გამოყენება შეუძლიათ უმცროსი ასაკის მოსწავლეებს. შეფასების მომენტში ონკანთან იდგა ჭიქა, მაგრამ მოსწავლეთა უმეტესობა წყალს მაინც პირდაპირ ონკანიდან სვამდა. დირექციის განცხადების მიხედვით, არცერთ მოსწავლეს არ უწევს წყლის სახლიდან მოტანა.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური, მოპირკეთებული ფილებით, სულ 5 ერთეულით: 2 – გოგონებისათვის, 2 – ბიჭებისათვის და ერთიც – მასწავლებლებისათვის. შეფასების დღეს საპირფარეშოში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. აღსანიშნავია, რომ გოგონების საპირფარეშოს კარს საკეტი საერთოდ არა აქვს. საპირფარეშოსთან არ არის ხელსაბანი. სკოლაში ისედაც მხოლოდ ერთი ხელსაბანია. ვიზიტის დღეს ხელსაბანთან იყო საპონი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლას არ ჰყავს ექიმი, სკოლაში არ არის სასადილო ოთახი. 1 წლის წინ ჩატარდა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ. პერსონალის განცხადების მიხედვით, სკოლაში ჰიგიენა ისწავლება, როგორც ჯანსაღი ცხოვრების სწავლების სპეციალური მოდულის შემადგენელი ნაწილი. ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ არის ხელმისაწვდომი და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ამ ჰიგიენის საკითხებში.

მყარი ნარჩენები ყოველდღიურად გააქვთ ეზოს გარეთ არსებულ ურნებთან, რომელსაც მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახური ცლის. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში ამ მხრივ პრობლემები არ დაფიქსირებულა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლისა და სანიტარიული სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. დირექტორის გადმოცემის მიხედვით, აღნიშნული სისტემები გამართულად ფუნქციონირებს და ამ მხრივ მნიშვნელოვანი ხარვეზები არ ფიქსირდება. რეალურად, სანიტარიული სისტემა საჭიროებს გაუმჯობესებას, რაზეც სკოლის ადმინისტრაციაც თანხმდება. სკოლის ადმინისტრაციის განცხადების მიხედვით, დაგეგმილია ახალი საპირფარეშოს მოწყობა, რომლის მშენებლობასაც კერძო პირი დააფინანსებს. ვიზიტის მომენტში ამავე პირის დახმარებით მიმდინარეობდა სკოლის ღობისა და სტადიონის მშენებლობა. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და სკოლის საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით მომარაგება.

მუხრანის N3 საჯარო სკოლა

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N3 საჯარო სკოლა წარმოადგენს არასრულ საჯარო სკოლას (ID: 236087916). სადაც სწავლობს 53 მოსწავლე (13 გოგონა და 40 ვაჟი), მათ შორის 1 გოგონა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 18–ს (ყველა მდედრობითი სქესის წარმომადგენელია). დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა ჰიგიენის საკითხებით ნაკლებად ინტერესდება. მუშაობს. სკოლის ადმინისტრაცია ადგენს განვითარების სტრატეგიულ და ყოველწლიურ გეგმებს, რომელიც სანიტარია–ჰიგიენის საკითხებსაც მოიცავს.

სკოლის ეზოში წყლის მილით მუდმივად შემოდის საკმარისი რაოდენობის წყალი. წყლის ხარისხი და მისი უსაფრთხოება ლაბორატორიულად არის დადასტურებული, ამიტომ წყალი გამოიყენება როგორც სასმელად, ასევე სკოლის სხვა საჭიროებებისათვის. სასმელი წყლის ონკანი სკოლის ეზოშია მოწყობილი და არ არის შეზღუდული შესაძებლობების მქონე

პირებზე ადაპტირებული, თუმცა მისი გამოყენება შეუძლიათ უმცროსი ასაკის მოსწავლეებს. შეფასების მომენტში ბავშვები წყალს პირდაპირ ონკანიდან სვამდნენ. დირექციის განცხადების მიხედვით, არცერთ მოსწავლეს არ უწევს წყლის სახლიდან მოტანა.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური, მოპირკეთებული ფილებით, საერთო სარგებლობის მხოლოდ 2 ერთეულით. შეფასების დღეს საპირფარეშოში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. გოგონების საპირფარეშო არ არის განცალკევებული ბიჭების საპირფარეშოსგან და არც შიდა საკეტი არა აქვს. საპირფარეშოსთან მოწყობილია ერთი ხელსაბანი. ვიზიტის დღეს ხელსაბანთან იყო საპონი და ხელსახოცი. სკოლას აქვს აგრეთვე ჰიგიენური საშუალებების გარკვეული მარაგი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლას არ ჰყავს ექიმი, სკოლაში არ არის სასადილო ოთახი. ბოლო წლების განმავლობაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე. პერსონალის განცხადების მიხედვით, სკოლაში ჰიგიენა ისწავლება, როგორც ჯანსაღი ცხოვრების სწავლების სპეციალური მოდულის შემადგენელი ნაწილი. სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები სკოლაში მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით არის ხელმისაწვდომი, თუმცა პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში.

მყარი ნარჩენები ყოველდღიურად გააქვთ ეზოს გარეთ არსებულ ურნებთან, რომელსაც მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახური ცლის. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში ამ მხრივ პრობლემები არ დაფიქსირებულა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლისა და სანიტარიული სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. დირექტორის გადმოცემის თანახმად, აღნიშნული სისტემები გამართულად ფუნქციონირებს და ამ მხრივ მნიშვნელოვანი

ხარვეზები არ ფიქსირდება. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სანიტარიული ნორმების დაცვა სრულყოფილად ვერ ხერხდება. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და სკოლის საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით მომარაგება.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

სნოს საჯარო სკოლა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ სნოს სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სრული სტატუსის მიუხედავად სკოლაში სწავლობს 29 მოსწავლე (12 გოგონა და 17 ვაჟი), მათ შორის არცერთი მოსწავლე არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 14–ს (2 მამაკაცი და 14 ქალი). სკოლაში ფორმალურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არ არის დაინტერესებული წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებით. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს მომდევნო წლის გეგმას. აღნიშნული გეგმა მოიცავს წყალსა და სანიტარიასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სკოლის ეზოში მოწყობილია საერთო სარგებლობის წყლის ონკანი, საიდანაც უწყვეტად მიწოდებული წყალი სრულიად საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის. სკოლაში მომდინარე წყალი ქიმიურად არ მუშავდება (არ ხდება ფილტრაცია), რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში არსებული წყალი გამოყენების მიზნით უსაფრთხოა. თუმცა, აღსანიშნია, რომ წყალს ისედაც ვერ გაწმენდნენ, რადგან არ იციან, თუ როგორ უნდა განახორციელონ ეს პროცესი და, ამავე დროს, ფილტრებისა და გამწმენდი ქიმიური საშუალებების დეფიციტს განიცდიან. არცერთ მოსწავლეს არ უწევს წყლის სახლიდან მოტანა, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს მოსწავლეები ხელებით სვამენ.

სანიტარიული კვანძი მდებარეობს სკოლის ეზოში. ის წარმოადგენს „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხურს, რომელიც შედგება 4 ერთეულისაგან: ორი – გოგონებისათვის და ორიც – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. ნაგებობა მოძველებული და ამორტიზებულია - არ არის ადაპტირებული მცირე ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. შეფასების მომენტში საპირფარეშოს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. სკოლაში დამლაგებელი არ ჰყავთ, სისუფთავეზე პასუხისმგებელია დირექტორი. საპირფარეშოსთან მოწყობილია ერთი ხელსაბანი, ხოლო კიდევ ერთი – სკოლის ტერიტორიაზე. შეფასების მომენტში ხელისაბანის არცერთ ერთეულში არ იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ

მოსწავლეთა ძალზე მცირე ნაწილი თუ იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ (– ისიც საპნის გარეშე).

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა. არ არის ხელმისაწვდომი სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. ბოლო წლების განმავლობაში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან ნაგვის შეგროვება და გატანა ხდება რეგულარულად. სკოლის შენობასა და ეზოში დგას სანაგვე ურნები, საიდანაც ერთად მოგროვილ ნაგავს დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის სანაგვე კონტეინერში ცლიან. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში არასრულად ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექციამ ზუსტად არ იცის, თუ ვინ არის პასუხისმგებელი სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე. სისტემის სათანადო დონეზე ფუნქციონირების უზრუნველყოფა ვერ ხერხდება, რაც უკავშირდება მის ცუდ საწყის პროექტირებას. სკოლის ხელმძღვანელობისათვის უცნობია, თუ ვინ აგებს პასუხს სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. ამ მხრივაც მნიშვნელოვანი პრობლემებია (რაზეც ვიზიტის დღეს არსებული მდგომარეობაც მიუთითებს). ამავე დროს, სკოლაში საერთოდ არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, შესაბამისად, ცნობიერების დონე საკმაოდ დაბალია, რაც უარყოფითად აისახება მოსწავლეთა ქცევაზე - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

ბოსტანას საჯარო სკოლა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსტანას საჯარო სკოლა წარმოადგენს არასრულ საჯარო სკოლას. სკოლაში სწავლობს მხოლოდ 7 მოსწავლე (3 გოგონა და 4 ვაჟი), მათ შორის არცერთი მოსწავლე არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა ორჯერ აღემატება მოსწავლეთა რიცხვს. სკოლაში სულ 14 პედაგოგია (3 მამაკაცი და 11 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს არც თვითმმართველობა და არც ნებისმიერი სხვა

ტიპის საზოგადოებრივი გაერთიანება. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს მომავალი წლის სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოსული წყალი, სკოლას ყოველდღიურად და უწყვეტად მიეწოდება. არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან სკოლას არც ფილტრები არა აქვს, არც გამწმენდი ქიმიური საშუალებები და არც ამ პროცესის განსახორციელებლად საჭირო ცოდნა. სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. არცერთ მოსწავლეს არ მოაქვს წყალი სახლიდან, ხოლო სკოლაში სასმელად საზიარო ჭურჭელს იყენებენ. სკოლაში დამონტაჟებულია წყლის რეზერვუარი, რომელიც სათანადოდ არის დახურული და მოვლილი.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო – გოგონებისათვის და 2 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები სათანადოდ იყო დაცული. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში 5 ხელსაბანია, რომელთაგან ოთხი საპირფარეშოებთან არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ხელსაბანების უმეტეს ნაწილში მოდიოდა წყალი, იქვე იყო საპონი და ხელსახოცი. მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე დაკვირვება ვერ მოხერხდა.

სკოლაში ჰიგიენის სწვალებას შემთხვევითი, ეპიზოდური ხასიათი აქვს. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში. ბოლო წლების განმავლობაში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

დირექციის განცხადების მიხედვით, მყარ ნარჩენებს კვირაში ორჯერ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე ურნაში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით არ იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია ძირთადად უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

სკოლაში წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. ვერ ხერხდება სისტემის სათანადო დონეზე ფუნქციონირების უზრუნველყოფა. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას - შეფასების პროცესში არსებითი ხარვეზი არ გამოვლენილა. თუმცა მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს ჰიგიენის საკითხების სათანადო ხარისხით სწავლებას - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

ნამანევის საჯარო სკოლა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამანევის საჯარო სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას, თუმცა სრული სტატუსის მიუხედავად, სკოლა ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს - სწავლობს მხოლოდ 1 მოსწავლე (გოგონა?!). პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 5–ს (2 მამაკაცი და 3 ქალი). ამგვარად, სკოლა ფაქტობრივად უმოქმედოა და, შესაბამისად, წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები აქტუალური არ არის.

პატარა ონის საჯარო სკოლა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ონის საჯარო სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას, თუმცა სრული სტატუსის მიუხედვად, სკოლაში სწავლობს მხოლოდ 14 მოსწავლე (10 გოგონა და 4 ვაჟი), მათ შორის არცერთი მოსწავლე არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა ერთით ჩამორჩება მოსწავლეთა რიცხვს და შეადგენს 13–ს (6 მამაკაცი და 7 ქალი). სკოლაში ფორმალურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებზე არ მუშაობს. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს მომავალი წლის სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას შეზღუდულად, კვირაში 2-3 დღის განმავლობაში მიეწოდება. თუმცა, შეზღუდვის მიუხედავად, სკოლის პერსონალს მიაჩნია, რომ არსებული წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების

დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან სკოლას არა აქვს არც ფილტრები, არც გამწმენდი ქიმიური საშუალებები და არც ამ პროცესის განსახორციელებლად საჭირო ცოდნა. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. არცერთ მოსწავლეს არ მოაქვს წყალი სახლიდან, ხოლო სკოლაში სასმელად საზიარო ჭურჭელს იყენებენ. სკოლას არა აქვს არც წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი.

სკოლის ეზოში (თუმცა შენობიდან არ არის დაშორებული 20-100 მეტრის რადიუსით) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმო“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის და 1 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ორივე ერთეულში უხეშად იყო დარღვეული სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში 3 ხელსაბანია, რომელთაგან ორი საპირფარეშოსთან არის მოწყობილი (თუმცა არცერთი ხელსაბანი არ ფუნქციონირებს). ვიზიტის დღეს მხოლოდ საპირფარეშოებიდან მოშორებულ ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა არ იყო საპონი და ხელსახოცი. ამდენად, მოსწავლეები ვერ ახერხებენ ხელების დაბანას საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენის სწავლებას შემთხვევითი, ეპიზოდური ხასიათი აქვს. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში. ბოლო წლების განმავლობაში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

დირექციის განცხადების მიხედვით, მყარ ნარჩენებს კვირაში ორჯერ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე ურნაში. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, შეფასების მომენტში ყველა სანიტარიული ობიექტი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

სკოლაში წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. ვერ ხერხდება სისტემის სათანადო დონეზე ფუნქციონირების უზრუნველყოფა. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას - შეფასების პროცესში მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა. მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს ჰიგიენის სწავლებას - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

ლენტეხის მუნიციპალიტეტი

მელეს საჯარო სკოლა

ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ მელეს საჯარო სკოლა წარმოადგენს არასრულ საჯარო სკოლას. სკოლაში სწავლობს მხოლოდ 19 მოსწავლე (12 გოგონა და 7 ვაჟი), მათ შორის არავინ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 16–ს (3 მამაკაცი და 13 ქალი). სკოლაში ფორმალურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებზე არ მუშაობს. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას ყოველდღიურად და უწყვეტად მიეწოდება. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, წყალი სასმელად უსაფრთხოა (ეს ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. არცერთ მოსწავლეს არ უწევს წყლის სახლიდან მოტანა, ხოლო სკოლაში სასმელად საკუთარ პლასტმასის ბოთლებს იყენებენ. სკოლას არა აქვს არც რეზერვუარი და არც წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სულ არის საპირფარეშოს 5 ერთეული გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა – პედაგოგებისათვის. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 3 ხელსაბანი, რომელთაგან ორი საპირფარეშოსთან არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა არსად არ იყო საპონი. მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე დაკვირვება ვერ მოხერხდა.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც

სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო პერიოდში სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ (წელიწადში ერთხელ).

მყარ ნარჩენებს თითქმის ყოველდღიურად ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის ურნაში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია, ძირითადად, უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

სკოლაში წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ვერ ხერხდება სისტემის სათანადო დონეზე ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ამ მხრივ გარკვეული ხარვეზები ფიქსირდება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – შეფასების პროცესში გარკვეული ხარვეზები გამოვლინდა. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

ონის მუნიციპალიტეტი

ღების საჯარო სკოლა

ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღების საჯარო სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში სწავლობს მხოლოდ 31 მოსწავლე (13 გოგონა და 18 ვაჟი), მათ შორის არავინ არის არ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 17–ს (5 მამაკაცი და 12 ქალი). სკოლაში ფორმალურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებზე არ მუშაობს. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას ყოველდღიურად და უწყვეტად მიეწოდება. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლას გარკვეული პრობლემები ზამთრის პერიოდში ექმნება, როდესაც დაბალი ტემპერატურის გამო წყალი იყინება და წყლის მიწოდების სისტემა ვეღარ ფუნქციონირებს. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, წყალი სასმელად უსაფრთხოა (ეს ვარაუდი არ არის

ლაბორატორიულად დადასტურებული). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. არცერთ მოსწავლეს არ მოაქვს წყალი სახლიდან, ხოლო სკოლაში სასმელად საზიარო ჭურჭელს იყენებენ. სკოლას არა აქვს რეზერვუარი, რომელშიც წვიმის წყალს შეაგროვებდნენ და ტექნიკური მიზნებისათვის გამოიყენებდნენ.

სკოლის ეზოში (თუმცა შენობიდან 20 მეტრზე ახლოს) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ჩასარეცხი“ ტიპის საპირფარეშო. სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის და 2 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძებლობების მქონე მოსწავლეებზე, თუმცა გოგონების საპირფარეშოს კარს შიდა საკეტი არა აქვს. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დაცული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 6 ხელსაბანი, რომელთაგან ოთხი საპირფარეშოებთან არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს მხოლოდ 2 ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონი. მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე დაკვირვება ვერ მოხერხდა.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში. ბოლო წლების განმავლობაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს აგროვებენ და კვირაში ერთხელ სოფლის ნაგავსაყრელზე ცლიან. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. მყარი ნარჩენების უტილიზაცია მხოლოდ ნაწილობრივ ხდება უსაფრთხოდ. სკოლაში სრულფასოვნად არ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ვერ ხერხდება სისტემის სათანადო დონეზე ფუნქციონირების სრულად უზრუნველყოფა (განსაკუთრებით, წლის ცივ პერიოდში). სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას - შეფასების პროცესში არანაირი მნიშვნელოვანი ხარვეზი არ დაფიქსირებულა. მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს ჰიგიენის სწავლებას - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

ცაგერის მუნიციპალიტეტი

ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლა

ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში სწავლობს 180 მოსწავლე (78 გოგონა და 102 ვაჟი), მათ შორის არცერთი მოსწავლე არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 29–ს (4 მამაკაცი და 25 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებზე არ მუშაობს. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას ყოველდღიურად და უწყვეტად მიეწოდება. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, არსებული წყალი სასმელად უსაფრთხოა (ეს ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, ხოლო სკოლაში სასმელად საზიარო ჭურჭელს იყენებენ. სკოლას არ არა აქვს არც რეზერვუარი და არც წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება.

სკოლის შენობაში განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 4 ერთეული გოგონებისათვის, 4 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – მამაკაცებისა და ქალებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე, თუმცა გოგონების საპირფარეშოს კარს არა აქვს შიდა საკეტი. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ 1 ხელსაბანი, რომელიც საპირფარეშოსთან ახლოს არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონი, მაგრამ ხელსახოცი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ (– ისიც საპნის გარეშე).

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო პერიოდში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს თითქმის ყოველდღიურად ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის ურნაში. შეფასების მომენტში სანიტარიული

ობიექტები ნარჩენებით არ იყო გადავსებული. მყარი ნარჩენების უტილიზაცია, ძირითადად, უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ვერ ხერხდება სისტემის სათანადო დონეზე ფუნქციონირების სრულად უზრუნველყოფა (განსაკუთრებით, წლის ცივ პერიოდში). სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას - შეფასების პროცესში სხვადასხვა ტიპის ხარვეზი დაფიქსირდა. მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს ჰიგიენის სწავლებას - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

ქვედა ცაგერის საჯარო სკოლა

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში სწავლობს 94 მოსწავლე (40 გოგონა და 54 ვაჟი), მათ შორის არავინ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 35–ს (5 მამაკაცი და 30 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებზე არ მუშაობს. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას ყოველდღიურად და უწყვეტად მიეწოდება. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში არსებული წყალი უსაფრთხოა (ეს ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით. სკოლას აქვს ორი ტონა ტევადობის წყლის რეზერვუარი, რომელიც სათანადოდ არის მოვლილი და დახურული.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რედიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშოს ჯიხური. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 2 ერთეული გოგონებისათვის და 2 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს არა აქვთ ცალკე საპირფარეშო

ოთახი. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, ხოლო გოგონების საპირფარეშოს კარს შიდა საკეტი არა აქვს. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 6 ხელსაბანი, რომელთაგან ოთხი საპირფარეშოსთან არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი, ხოლო საპონი და ხელსახოცი ხელსაბანების უმეტეს ნაწილთან იყო. საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ, მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე დაკვირვება შეუძლებელი იყო. სკოლაში ფუნქციონირებს სასადილო, სადაც ასევე შეუძლიათ მოსწავლეებს ჭამის წინ ხელების დაბანა.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო წლების განმავლობაში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე ურნაში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. მყარი ნარჩენების უტილიზაცია, ძირითადად, უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

სკოლაში წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. სისტემის სათანადო დონეზე ფუნქციონირება მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია და ამ მხრივ მხოლოდ უმნიშვნელო ხარვეზები ფიქსირდება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა შეფასების პროცესში ამ მხრივ გარკვეული ხარვეზები გამოვლინდა. გასაუმჯობესებელია სკოლაში ჰიგიენის სწავლება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

ჩხუტელას საჯარო სკოლა

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტელას საჯარო სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. თუმცა სკოლაში სწავლობს მხოლოდ 32 მოსწავლე (21 გოგონა და 11 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 23–ს (2 მამაკაცი და 21 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებზე არ მუშაობს.

სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლაში წყლის მიწოდების ძირითად საშუალებას წარმოადგენს დაცული ჭის წყალი, რომელიც სკოლას ყოველდღიურად და უწყვეტად მიეწოდება. წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში არსებული წყალი უსაფრთხოა (ეს ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეთა უმეტეს ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით. სკოლას აქვს 1 ტონის ტევადობის წყლის რეზერვუარი, თუმცა შეფასების შედეგად დადგინდა, რომ რეზერვიარი არ იყო სათანადოდ მოვლილი და დახურული.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რედიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო (მოსწავლეებისათვის) და „ორმოს“ ტიპის - პედაგოგებისათვის. სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის, 1 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – მამაკაცებისა და ქალებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. განსაკუთრებით მძიმე ანტისანიტარია პედაგოგთა საპირფარეშო ოთახში დაფიქსირდა. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 5 ხელსაბანი, რომელიც საპირფარეშოებთან არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს მხოლოდ 2 ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა საპონი არსად არ იყო. ამდენად, მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე დაკვირვება ვერ მოხერხდა.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო პერიოდში სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ (წელიწადში ერთხელ).

მყარ ნარჩენებს ორ დღეში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის ურნაში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. მყარი ნარჩენების უტილიზაცია, ძირითადად, უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, სკოლა ვერ ახერხებს სისტემის სათანადო დონეზე ფუნქციონირების უზრუნველყოფას და ამ მხრივ გარკვეული ხარვეზები ფიქსირდება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა შეფასების პროცესში სხვადასხვა ტიპის დარღვევები გამოვლინდა - განსაკუთრებით მძიმე ანტისანიტარია იყო პედაგოგთა საპირფარეშო ოთახში. მნიშვნელოვნად გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

სამეგრელოს რეგიონი

ფოთის მუნიციპალიტეტი

ქალაქ ფოთის N1 საჯარო სკოლა

ქალაქ ფოთის თეოფანე დავითაიას სახელობის N1 საჯარო სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 215108309). სკოლაში არის 712 მოსწავლე (340 გოგონა და 372 ვაჟი), მათ შორის ერთი ვაჟია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 54–ს (4 მამაკაცი და 50 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებზე არ მუშაობს. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების ერთწლიან და სტრატეგიულ გეგმებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს და სკოლა ყველაფერს აკეთებს არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას ქალაქის ცენტრალური წყალგაყვანილობის სისტემიდან თითქმის ყოველდღიურად მიეწოდება. სკოლაში არსებულ წყალს ქიმიურად არ ამუშავებენ, რადგან დარწმუნებული არიან მის უსაფრთხოებაში. სკოლას არა აქვს სასმელი წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელიც მხოლოდ ერთჯერადი მოხმარებისათვის არის რეკომენდებული. სასმელი წყლის მოწყობილობა ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 7 ერთეული გოგონებისათვის, 6 – ვაჟებისათვის, 1 - პედაგოგებისათვის. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე მხოლოდ ერთი საპირფარეშოა ადაპტირებული. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეული სუფთა იყო. სკოლაში ფუნქციონირებს 10 ხელსაბანი, მათ შორის 4 მდებარეობს საპირფარეშოსთან ახლოს, ხოლო დანარჩენი საპირფარეშოები საკლასო ოთახებშია მოწყობილი. საპირფარეშოების მსგავსად ხელსაბანებიც ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს ხელსაბანთან უმეტეს შემთხვევებში იყო საპონი, ხოლო ხელსახოცი - მხოლოდ მცირე ნაწილში (50%-ზე ნაკლებში). დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების უმეტესობა ხელებს არ იბანს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. გასულ და მიმდინარე წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარი ნარჩენები ყოველდღიურად გააქვთ სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე, ან სკოლის ტერიტორიაზე წვავენ, ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში ამ მხრივ პრობლემები არ დაფიქსირებულა.

სკოლის დირექციას შესაბამისი მუნიციპალური სამსახური მიაჩნია სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – ვიზიტის დღეს ამ მხრივ მნიშვნელოვანი ხარვეზები არ დაფიქსირებულა. სკოლაში WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მოსწავლეთა ცნობიერების დაბალი დონე, ამიტომ უნდა გაძლიერდეს ჰიგიენის საკითხების სწავლება და სკოლა სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით მომარაგდეს.

აბაშის მუნიციპალიტეტი

სოფელ საგვაზავოს სკოლა

აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ საგვაზავოში ფუნქციონირებს არასრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 52 მოსწავლე (25 გოგონა და 27 ვაჟი), რომელთაგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების

რაოდენობა შეადგენდა 18–ს (3 მამაკაცი და 15 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა (თუმცა წყალსა და სანიტარია-ჰიგიენასთან დაკავშირებული არავითარი საქმიანობა არ განუხორციელებიათ). სკოლის დირექცია წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმას, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს აჯამებს და აფასებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა ყოველდღიურად მარაგდება ჭაბურღილის წყლით, რომელიც საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიული მიზნებისათვის). სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან ჭაბურღილის წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (ლაბორატორიულად დადასტურებულია). სკოლაში აქვთ რეზერვუარი, რომელიც არ არის სათანადოდ მოვლილი და დახურული. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით. სკოლაში არსებულ წყალს მოსწავლეები ამავე ბოთლების გამოყენებით სვამენ.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ არის 6 საპირფარეშო: 2 – გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 2 - მასწავლებლებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). შეფასების მომენტში მოსწავლეთა საპირფარეშოში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დაცული, ხოლო პედაგოგთა საპირფარეშოები სუფთა იყო. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე დირექცია დამლაგებლებთან ერთად ინაწილებს პასუხისმგებლობას. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოსთან მოწყობილია 4 ხელსაბანი და კიდევ ორი – საკლასო ოთახებში. შეფასების მომენტში ხელსაბანთა მხოლოდ მცირე ნაწილში იყო წყალი და საპონი, ხელსახოცი კი - არსად. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების მხოლოდ მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენის საკითხები ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამავე დროს, არ არის ხელმისაწვდომი სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არცერთ პედაგოგს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. ბოლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ერთ კვირაზე ნაკლები სიხშირით ცლიან შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია ნაწილობრივ უსაფრთხოდ ხორციელდება. სკოლაში სრულფასოვნად არ ფუნქციონირებს გამოყენებული

(ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის დღეს ამ მხრივ გარკვეული პრობლემები დაფიქსირდა.

სკოლის პერსონალს სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. სისტემა გამართულ მუშაობს და სკოლას უწყვეტად მიეწოდება უსაფრთხო სასმელი წყალი. სანიტარიული სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – ვიზიტის დღეს ამ მხრივ გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება - ამჟამად სკოლაში ნაკლები ყურადღება ეთმობა ამ საკითხს, რაც უარყოფითად აისახება მოსწავლეთა ქცევაზე.

სოფელ ნაესაკოვოს სკოლა

აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაესაკოვოში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 102 მოსწავლე (50 გოგონა და 52 ვაჟი), რომელთაგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 22–ს (6 მამაკაცი და 16 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა (თუმცა წყალსა და სანიტარია-ჰიგიენასთან დაკავშირებული რაიმე საქმიანობა არ განუხორციელებიათ). სკოლის დირექცია წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმას, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს აჯამებს და აფასებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა ყოველდღიურად საკმარისი რაოდენობის დაცული ჭის წყლით მარაგდება, რომელიც გამოიყენება როგორც სასმელად და ხელების დასაბანად, ასევე საპირფარეშოს ჩასარეცხად. წყალი გამოყენების მიზნით მიჩნეულია უსაფრთხოდ (პერიოდულად ლაბორატორიულად ამოწმებენ). მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც მოსწავლეები სკოლაში არსებული წყლის სასმელადაც იყენებენ. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. სასმელი მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ არის 5 საპირფარეშო: 2 – გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა - მასწავლებლებისათვის. შეფასების მომენტში საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დაცული. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოსთან მოწყობილია ორი ხელსაბანი და კიდევ ორი – სკოლის ტერიტორიაზე. შეფასების მომენტში ყველა ხელსაბანში მოდიოდა

წყალი, თუმცა არსად არ იყო არც საპონი და არც ქაღალდი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ ბავშვების მხოლოდ მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა. ამ საკითხებზე მოსწავლეებს მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში შეიძლება ესაუბროს კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი. სკოლაში ხელმისაწვდომია შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, თუმცა არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური გადამზადება ჰიგიენის საკითხებში. ბოლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან დაახლოებით კვირაში ერთხელ გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელიც მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში გროვდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს გამოყენებული (დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის დღეს ამ მხრივ პრობლემები არ დაფიქსირებულა.

სკოლის პერსონალს სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. სისტემა გამართულ მუშაობს და სკოლას უწყვეტად მიეწოდება უსაფრთხო სასმელი წყალი. სანიტარიული სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – ვიზიტის დღეს ამ მხრივ გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება - ამჟამად სკოლაში ნაკლები ყურადღება ეთმობა ამ საკითხს, რაც უარყოფითად აისახება მოსწავლეთა ქცევაზე.

სოფელ ქოლობანის სკოლა

აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ქოლობანში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 112 მოსწავლე (63 გოგონა და 49 ვაჟი), რომელთაგან არცერთი მოსწავლე არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 24–ს (4 მამაკაცი და 20 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა (თუმცა სანიტარია-ჰიგიენასთან დაკავშირებული არავითარი საქმიანობა არ განუხორციელებიათ). სკოლის დირექცია წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმას, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს აჯამებს და აფასებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა ყოველდღიურად საკმარისი რაოდენობის დაცული ჭის წყლით მარაგდება, რომელიც გამოიყენება როგორც სასმელად და ხელების დასაბანად, ასევე საპირფარეშოს ჩასარეცხად.

წყალი გამოყენების მიზნით მიჩნეულია უსაფრთხოდ (დადასტურებულია ლაბორატორიულად). მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც მოსწავლეები სკოლაში არსებული წყლის სასმელადაც იყენებენ. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. სასმელი მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ არის 8 საპირფარეშო: 3 – გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 2 - მასწავლებლებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). შეფასების მომენტში საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები უხეშად იყო დარღვეული. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოსთან მოწყობილია 1 ხელსაბანი და კიდევ ორი – საკლასო ოთახებში. შეფასების მომენტში ორ ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონი, მაგრამ ხელსახოცი არცერთ ხელსაბანთან არ იდო. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების მხოლოდ ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ისწავლება, როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესის სპეციალური მოდელის შემადგენელი ნაწილი. დირექციის განცხადების მიხედვით, მათთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, თუმცა არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. ბოლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან დაახლოებით კვირაში ერთხელ გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელიც გროვდება მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში სრულფასოვნად არ ფუნქციონირებს გამოყენებული (დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის დღეს ამ მხრივ გარკვეული პრობლემები დაფიქსირდა.

სკოლის პერსონალს სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. სისტემა გამართულ მუშაობს და სკოლას უწყვეტად მიეწოდება უსაფრთხო სასმელი წყალი. სანიტარიული სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – ვიზიტის დღეს ამ მხრივ გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება - ამჟამად სკოლაში ნაკლები ყურადღება ეთმობა ამ საკითხს, რაც უარყოფითად აისახება მოსწავლეთა ქცევაზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

ქალაქ ზუგდიდის N7 სკოლა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის N7 სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 315 მოსწავლე (166 გოგონა და 149 ვაჟი), რომელთაგან მხოლოდ ერთი გოგონაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 25–ს (1 მამაკაცი და 24 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენასთან დაკავშირებულ საკითხებზე აქტიურობით არ გამოირჩევა. დირექციას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გეგმა. დირექციის განცხადების მიხედვით,WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა მარაგდება დაცული ჭის წყლით, რომელიც სკოლის ეზოში მდებარეობს. ჭიდან წყალი გროვდება რეზერვუარში, რომელიც სათანადოდ არის დახურული და მოვლილი. შესაბამისად, სკოლას ყოველდღიურად, საკმარისი რაოდენობის წყალი მიეწოდება, რომელიც გამოიყენება როგორც სასმელად და ხელების დასაბანად, ასევე სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის. სკოლაში არსებული წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან გამოყენების მიზნით მიჩნეულია უსაფრთხოდ (ლაბორატორიულად დადასტურებულია). მოსწავლეების უმეტეს ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება.

სკოლის ეზოში (თუმცა შენობიდან არ არის დაშორებული 20-100 მეტრის რადიუსით) ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 6 ერთეული: 3 – გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა – პედაგოგებისთვის. შეფასების მომენტში საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები უხეშად იყო დარღვეული. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებლობა დამლაგებლებს აკისრიათ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოსთან მოწყობილი 2 ხელსაბანი და კიდევ ერთი ხელსაბანი – სკოლის ტერიტორიაზე. შეფასების მომენტში სველი წერტილების უმეტეს ნაწილში მოდიოდა წყალი, თუმცა არსად არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეები ხელებს არ იბანენ საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო წლებში სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ.

სკოლიდან ყოველ ორ დღეში ერთხელ გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელიც მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში გროვდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში გამართულად არ ფუნქციონირებს გამოყენებული (დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. სისტემა გამართულად არ ფუნქციონირებს, რაც მის საწყის ცუდ პროექტირებას უკავშირდება. დირექცია სკოლას აკისრებს სანიტარიული სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას, თუმცა შეფასების პროცესში სერიოზული დარღვევები გამოვლინდა. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების არსებითად გაუმჯობესება - ამჟამად სკოლაში ნაკლები ყურადღება ეთმობა ამ საკითხს, რაც უარყოფითად აისახება მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე.

ქალაქ ზუგდიდის N11 სკოლა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის N11 სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 222 მოსწავლე (103 გოგონა და 119 ვაჟი), რომელთაგან ერთი გოგონა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 25–ს (3 მამაკაცი და 22 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენასთან დაკავშირებულ საკითხებზე აქტიურობით არ გამოირჩევა. დირექციას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების 6 წლიანი სამოქმედო გეგემა, რომელსაც ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში აფასებს. დირექციის განცხადების მიხედვით,WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა მარაგდება დაცული ჭის წყლით, რომელიც სკოლის ეზოში მდებარეობს. ჭიდან წყალი რეზერვუარში გროვდება, რომელიც სათანადოდ არის დახურული და მოვლილი. შესაბამისად, სკოლას ყოველდღიურად, საკმარისი რაოდენობის წყალი მიეწოდება, რომელიც გამოიყენება როგორც სასმელად და ხელების დასაბანად, ასევე სანიტარიულ-ჰიგიენური

მიზნებისათვის. სკოლაში არსებული წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან ამის შესახებ სკოლის პერსონალს არა აქვს სათანადო ინფორმაცია. მოსწავლეების უმეტეს ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს მოსწავლეები პირდაპირ ონკანიდან სვამენ. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

სკოლის ეზოში (თუმცა შენობიდან არ არის დაშორებული 20-100 მეტრის რადიუსით) ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - „ჩასარეცხი“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სულ არის საპირფარეშოს 6 ერთეული: 3 – გოგონებისათვის და 3 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო არა აქვთ. შეფასების მომენტში საპირფარეშოს ყველა ერთეულში უხეშად იყო დარღვეული სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებლობა დამლაგებლებს აკისრიათ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოსთან მოწყობილია 2 ხელსაბანი და კიდევ ოთხი – საკლასო ოთხებსა და სკოლის სასადილოში. შეფასების მომენტში ყველა სველ წერტილში მოდიოდა წყალი, თუმცა არსად არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ (– ისიც საპნის გარეშე).

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან ყოველ ორ დღეში ერთხელ გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელიც მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში გროვდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში გამართულად არ ფუნქციონირებს გამოყენებული (დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა სისტემა გამართულად არ ფუნქციონირებს. დირექცია სკოლას აკისრებს სანიტარიული სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას, თუმცა შეფასების პროცესში სერიოზული დარღვევები გამოვლინდა. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების არსებითად გაუმჯობესება - ამჟამად სკოლაში ნაკლები ყურადღება ეთმობა ამ საკითხს, რაც უარყოფითად აისახება მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე.

ქალაქ ზუგდიდის N12 სკოლა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის N12 სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 112 მოსწავლე (64 გოგონა და 48 ვაჟი), რომელთაგან ერთი გოგონა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 25–ს (1 მამაკაცი და 24 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენასთან დაკავშირებულ საკითხებზე აქტიურობით არ გამოირჩევა. სკოლის დირექცია სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების გეგმას, რომელსაც წლის ბოლოს აჯამებს და აფასებს. დირექციის განცხადების მიხედვით,WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა მარაგდება ელექტრო და მექანიკური ჭაბურღილების წყლით, რომელიც სკოლის ეზოში მდებარეობს. ჭაბურღიულებიდან წყალი სათანადოდ დახურულ და მოვლილ რეზერვუარში გროვდება. შესაბამისად, სკოლას ყოველდღიურად მიეწოდება საკმარისი რაოდენობის წყალი, რომელიც გამოიყენება როგორც სასმელად და ხელების დასაბანად, ასევე სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის. პერსონალის სუბიექტური აზრით, წყალი გამოყენები მიზნით უსაფრთხოა (ეს ვარაუდკი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც სკოლაში არსებული წყლის ასავსებადაც იყენებენ. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან არ არის დაშორებული 20-100 მეტრის რადიუსით) ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის ამორტიზებული საპირფარეშო ჯიხური. სულ არის საპირფარეშოს 5 ერთეული: 2 – გოგონებისათვის (თუმცა არ არის გამიჯნული ბიჭების საპირფარეშოსგან და არა აქვს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი), 2 – ვაჟებისათვის და 1 – მასწავლებლებისათვის (საერთო სარგებლობისა – ქალებისა და მამაკაცებისათვის). შეფასების მომენტში საპირფარეშოს ყველა ერთეულში უხეშად იყო დარღვეული სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებლობა დამლაგებლებს აკისრიათ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოსთან არ არის მოწყობილი ხელსაბანი. სკოლის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი ხელსაბანია და ისიც სანიტარიული კვანძიდან მოშორებით. შეფასების მომენტში არც აღნიშნულ წერტილში არ მოდიოდა წყალი და არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი, ამიტომ მოსწავლეები ვერ ახერხებენ ხელების დაბანას.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო წლებში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ.

სკოლიდან ყოველდღიურად გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელიც მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში გროვდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული, თუმცა დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ტერიტორიაზე, საპირფარეშოს გვერდით არის ამორტიზებული შენობა, რომელიც დაბინძურებულია მყარი ნარჩენებით (მათ შორის შპრიცებით). სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. სისტემა გამართულად არ ფუნქციონირებს, რაც მის საწყის ცუდ პროექტირებას უკავშირდება. დირექცია სკოლას აკისრებს სანიტარიული სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას, თუმცა შეფასების პროცესში სერიოზული დარღვევები გამოვლინდა. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების არსებითად გაუმჯობესება - ამჟამად სკოლაში ნაკლები ყურადღება ეთმობა ამ საკითხს, რაც უარყოფითად აისახება მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე.

სოფელ ახალკახათის სკოლა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალკახათის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 123 მოსწავლე (52 გოგონა და 71 ვაჟი), რომელთაგან ერთი ვაჟი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 23–ს (3 მამაკაცი და 20 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც დაინტერესებულია წყლისა და სანიტარია-ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხებით. სკოლის დირექცია სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების გეგმას, რომელსაც წლის ბოლოს აჯამებს და აფასებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა მარაგდება ჭის წყლით, რომელიც მდებარეობს სკოლის ეზოში. სკოლაში მომდინარე წყალი სათანადოდ დახურულ და მოვლილ რეზერვუარში ინახება. შესაბამისად, სკოლას ყოველდღიურად მიეწოდება საკმარისი რაოდენობის წყალი, რომელიც გამოიყენება როგორ

სასმელად, ხელების დასაბანად და საკვების მოსამზადებლად, ასევე სანიტარიულ - ჰიგიენური მიზნებისათვის. წყალი მიჩნეული სასმელად უსაფრთხოდ (დადასტურებულია ლაბორატორიულად). მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს მოსწავლეები საზიარო ჭურჭლის გამოყენებით სვამენ. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ შეფასების მომენტში ჭა არ იყო სათანადოდ დახურული და დაცული.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ არის 10 საპირფარეშო: 4 – გოგონებისათვის, 4 – ვაჟებისათვის და 2 - მასწავლებლებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). შეფასების მომენტში საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დარღვეული. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებლობა დამლაგებლებს აკისრიათ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოსთან არის მხოლოდ ერთი ხელსაბანი, ხოლო კიდევ ორი მოწყობილია სანიტარიული კვანძიდან მოშორებით, სკოლის შენობაში. შეფასების მომენტში სამივე ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი. მოსწავლეების ჰიგიენურ ქცევაზე დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ ისინი ხელებს არ იბანენ საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო წლებში სკოლაში ჩატარდა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ.

სკოლიდან ყოველდღიურად გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელიც მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში გროვდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში გამართულად ფუნქციონირებს გამოყენებული (დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა შეფასების მომენტში გარკვეული ხარვეზები გამოვლინდა. სანიტარიული სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივაც არ არის ყველაფერი მოწესრიგებული. საჭიროა ჰიგიენის სწავლების არსებითად გაუმჯობესება - ამჟამად სკოლაში ნაკლები ყურადღება ეთმობა ამ საკითხს, რაც უარყოფითად აისახება მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე.

სოფელ განმუხურის სკოლა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურის სკოლა მდებარეობს საოკუპაციო ხაზთან ახლოს და წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 184 მოსწავლე (გოგონებისა და ვაჟების რაოდენობის დაზუსტება ვერ მოხერხდა), რომელთაგან ერთი ვაჟი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 29–ს (4 მამაკაცი და 25 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და სამოქალაქო კლუბი, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენასთან დაკავშირებულ საკითხებზე აქტიურობით არცერთი არ გამოირჩევა. სკოლის დირექცია სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების გეგმას, რომელსაც წლის ბოლოს აჯამებს და აფასებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა მარაგდება ჭაბურღილის წყლით, რომელიც სკოლის ეზოში მდებარეობს. ჭაბურღიულიდან წყალი სათანადოდ დახურულ და მოვლილ რეზერვუარში გროვდება. შესაბამისად, სკოლას ყოველდღიურად მიეწოდება საკმარისი რაოდენობის წყალი, რომელიც გამოიყენება როგორც სასმელად, ხელების დასაბანად და საკვების მოსამზადებლად, ასევე სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის. სკოლაში არსებული წყალი გამოყენების მიზნით მიჩნეულია უსაფრთხოდ (დადასტურებულია ლაბორატორიულად). მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც სკოლაში არსებული წყლის ასავსებადაც იყენებენ. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ შეფასების დღეს წყალი წითლად იყო შეფერილი, რასაც სკოლის დირექცია წითელი ფერის მიწისქვეშა ქანების არსებობით ხსნის (თუმცა ეს საკითხი დამატებით შესწავლასა და შემოწმებას საჭიროებს - სასმელი წყალი უფერო უნდა იყოს).

სკოლის ეზოში (თუმცა შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსის გარეთ) ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სულ არის საპირფარეშოს 7 ერთეული: 3 – გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 1 - მასწავლებლებისათვის (საერთო სარგებლობისა – ქალებისა და მამაკაცებისათვის). შეფასების მომენტში საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დარღვეული. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებლობა დამლაგებლებს აკისრიათ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოსთან არის ორი ხელსაბანის. შეფასების მომენტში ორივე ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი. შეფასების დღეს

მოსწავლეების ჰიგიენურ ქცევაზე დაკვირვება ვერ მოხერხდა. თუმცა, ცხადია, რომ მოსწავლეები სურვილის შემთხვევაშიც კი ვერ მოახერხებენ ხელების სათანადოდ დაბანას.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო წლებში სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ.

სკოლიდან ყოველდღიურად გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელიც მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში გროვდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში გამართულად ფუნქციონირებს გამოყენებული (დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სასმსახურთან ერთად – შეფასების მომენტში გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა. დირექცია შესაბამის პროფილურ სამინისტროს აკისრებს სანიტარიული სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას – ამ მხრივაც გარკვეული დარღვევები დაფიქსირდა. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების არსებითად გაუმჯობესება - ამჟამად სკოლაში ნაკლები ყურადღება ეთმობა ამ საკითხს, რაც უარყოფითად აისახება მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე.

სოფელ ოდიშის N2 სკოლა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის N2 სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 102 მოსწავლე (49 გოგონა და 53 ვაჟი), რომელთაგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 19–ს (1 მამაკაცი და 18 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგთა რამდენიმე პროფკავშირი და ჯანდაცვის კავშირი, აქტიურია აგრეთვე მოსწავლეთა თვითმმართველობა – მათ შორის წყალსა და სანიტარია-ჰიგიენასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში. სკოლის დირექცია წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმას, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს აჯამებს და აფასებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის პრიორიტეტებში, მეორე ადგილს იკავებს ინტერიერის მოწესრიგების შემდეგ.

სკოლა მარაგდება დაცული ჭის წყლით, რომელიც სათანადოდო დახურულ და მოვლილ რეზერვუარში გროვდება. შესაბამისად, სკოლას ყოველდღიურად, საკმარისი რაოდენობით მიეწოდება წყალი, რომელიც გამოიყენება როგორც სასმელად და ხელების დასაბანად, ასევე სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის. სკოლაში არსებული წყალი გამოყენების მიზნით მიჩნეულია უსაფრთხოდ (დადასტურებულია ლაბორატორიულად). მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც სკოლაში არსებული წყლის ასავსებადაც იყენებენ. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. სასმელი მოწყობილობების მხოლოდ ნაწილია ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ 10 საპირფარეშოა: 4 – გოგონებისათვის, 4 – ვაჟებისათვის და 2 - მასწავლებლებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). შეფასების მომენტში საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დარღვეული. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებლობას დირექტორი დამლაგებლებთან ერთად ინაწილებს. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოსთან მოწყობილია ერთი ხელსაბანი და კიდევ ერთი – სანიტარიული კვანძიდან მოშორებით, სკოლის ტერიტორიაზე. შეფასების მომენტში ორივე ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იდო საპონი, მაგრამ ხელსახოცი - არა. მოსწავლეების ჰიგიენურ ქცევაზე დაკვირვება ვერ მოხერხდა.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო წლებში სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ.

სკოლიდან ყოველდღიურად გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელიც გროვდება მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. სისტემა გამართულად მუშაობს და სკოლას მუდმივად უზრუნველყოფს უსაფრთხო სასმელი წყლით. სანიტარიული სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ვიზიტის დღეს ამ მხრივ გარკვეული დარღვევები დაფიქსირდა. საჭიროა ჰიგიენის სწავლების არსებითად

გაუმჯობესება - ამჟამად სკოლაში ნაკლები ყურადღება ეთმობა ამ საკითხს,რაც უარყოფითად აისახება მოსწავლეთა ქცევაზე.

სოფელ ორსანტიას სკოლა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორსანტიას სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 221 მოსწავლე (97 გოგონა და 124 ვაჟი), რომელთაგან ერთი გოგონა არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 24–ს (2 მამაკაცი და 22 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენასთან დაკავშირებულ საკითხებზე აქტიურობით არ გამოირჩევა. სკოლის დირექცია სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების გეგმას, რომელსაც წლის ბოლოს აჯამებს და აფასებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა მარაგდება ჭაბურღილის წყლით, რომელიც სათანადოდ დახურულ და მოვლილ რეზერვუარში გროვდება. შესაბამისად, სკოლას ყოველდღიურად მიეწოდება საკმარისი რაოდენობით წყალი, რომელიც გამოიყენება როგორც სასმელად, ხელების დასაბანად და შენობის გასათბობად, ასევე სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის. პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში არსებული წყალი გამოყენების მიზნით უსაფრთხოა (ეს ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს მოსწავლეები საზიარო ჭურჭლის გამოყენებით სვამენ. სასმელი წყლის მოწყობილობათა მხოლოდ ნაწილია ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება.

სკოლის შენობასა და ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - „ჩასარეცხი“ და გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ 9 საპირფარეშოა: 4 – გოგონებისათვის, 4 – ვაჟებისათვის და 1 - მასწავლებლებისათვის (საერთო სარგებლობისა – ქალებისა და მამაკაცებისათვის). შეფასების მომენტში საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დარღვეული. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებლობა დამლაგებლებს აკისრიათ. სანიტარიული კვანძი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოსთან მოწყობილია 4

ხელსაბანი. შეფასების მომენტში ხელსაბანების მხოლოდ ნაწილში მოდიოდა წყალი, თუმცა არ იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეები ხელებს არ (თუ ვერ) იბანენ საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო წლებში სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ.

სკოლიდან ყოველდღიურად გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელიც გროვდება მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. სისტემა სათანადოდ არ ფუნქციონირებს, რაც მის ცუდ პროექტირებას უკავშირდება. დირექცია სკოლას აკისრებს სანიტარიული სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივაც გარკვეული დარღვევები დაფიქსირდა. WaSH-ის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების არსებითად გაუმჯობესება - ამჟამად სკოლაში ნაკლები ყურადღება ეთმობა ამ საკითხს,რაც უარყოფითად აისახება მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე.

მარტვილის მუნიციპალიტეტი

სოფელ ბანძის საჯარო სკოლა

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბანძის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 162 მოსწავლე (72 ვაჟი და 90 გოგონა), რომელთაგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 29–ს (5 მამაკაცი და 24 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც დაინტერესებულია წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებით. სკოლის დირექცია წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმას, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს აჯამებს და აფასებს. გეგმაში WaSH-ის საკითხები უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა მარაგდება დაცული ჭის წყლით, რომელიც სათანადოდო დახურულ და მოვლილ რეზერვუარში გროვდება. შესაბამისად, სკოლას ყოველდღიურად, საკმარისი რაოდენობით მიეწოდება წყალი, რომელიც გამოიყენება როგორც სასმელად და ხელების დასაბანად, ასევე სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის. სკოლაში არსებული წყალი გამოყენების მიზნით მიჩნეულია უსაფრთხოდ (დადასტურებულია ლაბორატორიულად). მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც სკოლაში არსებული წყლის ასავსებადაც იყენებენ. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. სასმელი მოწყობილობების მხოლოდ ნაწილია ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

სკოლის ეზოში (თუმცა შენობიდან დაშორება არ შედგენს 20-100 მეტრს) ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ 8 საპირფარეშოა: 4 – გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 1 - მასწავლებლებისათვის (საერთო სარგებლობისა – ქალებისა და მამაკაცებისათვის). შეფასების მომენტში მოსწავლეთა საპირფარეშოში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დარღვეული, ხოლო პედაგოგთა საპირფარეშო სუფთა იყო. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებლობა დამლაგებლებს აკისრიათ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოსთან მოწყობილია 2 ხელსაბანი, ხოლო კიდევ 3 – სკოლის შენობაში. შეფასების მომენტში ხელსაბანებში წყალი არ მოდიოდა (წყალი გაყინული იყო), არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი. წყლის მიწოდების შეწყვეტის გამო, ვერ მოხერხდა მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე დაკვირვება, თუმცა ისინი სურვილის შემთხვვაშიც კი ვერ შეძლებდნენ ხელების სათანადოდ დაბანას (საპნის არარსებობის გამო).

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს კვირაში ორჯერ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხდ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

სკოლის პერსონალს მიაჩნია, რომ სკოლა არის პასუხისმგებელი წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე. სისტემა სათანადოდ არ ფუნქციონირებს, რაც მის ცუდ პროექტირებას და სათადარიგო ნაწილების ნაკლებობას უკავშირდება.

დირექცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აკისრებს პასუხისმგებლობას სანიტარიული სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებაზე. ვიზიტის დღეს ამ მხრივად გარკვეული დარღვევები დაფიქსირდა. WaSH-ის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების არსებითად გაუმჯობესება - საჭიროა მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

სოფელ დიდი ჭყონის N1 საჯარო სკოლა

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჭყონის N1 სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 156 მოსწავლე (86 ვაჟი და 68 გოგონა), რომელთაგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 27–ს (6 მამაკაცი და 21 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა ან რაიმე ტიპის სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია. სკოლის დირექცია წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმას, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს აჯამებს და აფასებს. გეგმაში WaSH-ის საკითხების პრიორიტეტულობაზე ზუსტი ინფორმაციის მიღება ვერ მოხერხდა.

სკოლა მარაგდება დაუცველი ჭის წყლით, რომელიც მდებარეობს სკოლის ეზოში. წყალი ყოველდღიურად და საკმარისი რაოდენობით მიეწოდება სკოლას. მიუხედვად იმისა, რომ ჭა დაუცველია, სკოლაში არსებული წყლის გაწმენდა არ ხდება (მიზეზს პერსონალი ვერ ასახელებს). სკოლაში არსებული წყალი გამოიყენება სასმელად, ხელების დასაბანად და სანიტარიული მიზნებისათვის. წყალს აგროვებენ რეზერვუარში, რომელიც არ არის სათანადოდ დახურული და მოვლილი. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც მოსწავლეები სკოლაში არსებული წყლის ასავსებადაც იყენებენ. სასმელი მოწყობილობები არ არის ადაპტირებული უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ 6 საპირფარეშოა: 3 – გოგონებისათვის და 3 - ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. შეფასების მომენტში საპირფარეშოს ყველა ერთეულში უხეშად იყო დარღვეული სანიტარიული ნორმები და მძიმე ანტისანიტარია სუფევდა. საპირფარეშო არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოსთან მოწყობილია მხოლოდ 1 ხელსაბანი. შეფასების მომენტში ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა არ იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეები ხელებს არ იბანენ საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო პერიოდში სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ.

მყარ ნარჩენებს კვირაში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ნაწილობრივ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში ამ მხრივ გარკვეული პრობლემები დაფიქსირდა.

სკოლის პერსონალი სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა ამ მხრივ მდგომარეობა კრიტიკულია - სასმელად გამოიყენება დაუცველი ჭის წყალი, რის გამოც მოსწავლეებსა და პერსონალში მავნე მიკრობების გავრცელების რისკი მაღალია. სანიტარიული სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – ვიზიტის დღეს ამ მხრივ მნიშვნელოვანი დარღვევები დაფიქსირდა. WaSH–ის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის საკითხების სწავლება - საჭიროა მასწავლებელთა გადამზადება, საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

სოფელ ლეხაინდრაოს საჯარო სკოლა

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეხაინდრაოს სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 186 მოსწავლე (87 ვაჟი და 99 გოგონა), რომელთაგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 33–ს (5 მამაკაცი და 28 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც დაინტერესებულია WaSH-ის საკითხებით. სკოლის დირექცია წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმას, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს აჯამებს და აფასებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა მარაგდება დაცული ჭის წყლით, რომელიც მდებარეობს სკოლის ეზოში. წყალი ყოველდღიურად და საკმარისი რაოდენობით მიეწოდება სკოლას. წყალი სასმელად უსაფრთხოა (არსებობს შესაბამისი ლაბორატორიული დასკვნა) და ის გამოიყენება, როგორც ხელების დასაბანად, ასევე სანიტარიული მიზნებისათვის. სკოლას არა აქვს წყლის

მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება, თუმცა აქვს სათანადოდ დახურული და მოვლილი რეზერვუარი. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც სკოლაში არსებული წყლის ასავსებადაც იყენებენ. სასმელი მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ 8 საპირფარეშოა: 3 – გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 2 - პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). საპირფარეშოს ყველა ერთეული მოპირკეთებულია, რაც შესაძლებელს ხდის სველი წესით მის სათანადო დამუშავებას. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, შეფასების მომენტში საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები მხოლოდ ნაწილობრივ იყო დაცული. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები. საპირფარეშო არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძებლობების მქონე მოსწავლეებზე. სანიტარიული კვანძიდან მოშორებით, სკოლის შენობაში მოწყობილია მხოლოდ ერთი ხელსაბანი. შეფასების მომენტში ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა არ იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ისწავლება, როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესის სპეციალური მოდელის შემადგენელი ნაწილი, თუმცა არც შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ არის ხელმისაწვდომი და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. ბოლო წლებში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ.

მყარ ნარჩენებს თითქმის ყოველდღიურად ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში ამ მხრივ პრობლემები არ დაფიქსირებულა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. გამდინარე წყლის არ არსებობის მიუხედავად, სკოლას მუდმივად მიეწოდება უსაფრთხო სასმელი წყალი. სანიტარიული სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ვიზიტის დღეს გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა. WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების ხარსხის გაუმჯობესება - საჭიროა მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

სოფელ სალხინოს საჯარო სკოლა

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს წმ. ამბროსი ხელაიას სახელობის სკოლა წარმოადგენს სრულ კერძო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 175 მოსწავლე (90 ვაჟი და 85 გოგონა), რომელთაგან არცერთი მოსწავლე არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 28–ს (7 მამაკაცი და 21 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს არც მოსწავლეთა თვითმმართველობა და არც რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. სკოლის დირექცია წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმას, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს აჯამებს და აფასებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა მარაგდება ადგილობრივი რეზერვუარის წყლით, რომელიც სკოლა ყოველდღიურად და საკმარისი რაოდენობით მიეწოდება. სკოლაში არსებული წყალი მხოლოდ ხელების დასაბანად და სანიტარიული მიზნების განსახორციელებლად გამოიყენება. სკოლაში წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს წყაროს წყალი, რომელსაც სასმელად და საკვების მოსამზადებლად იყენებენ. სკოლაში ყოველთვის ხდება წყლის ქიმიური დამუშავება (ქლორაცია), რათა ის მოხმარებისთვის უფრო უსაფრთხო გახდეს. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც მოსწავლეები სკოლაში არსებული წყლის ასავსებად იყენებენ. სასმელი მოწყობილობების მხოლოდ ნაწილია ადაპტირებული უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლის შენობაში ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - „ჩასარეცხი“ და გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ 29 საპირფარეშოა: 8 – გოგონებისათვის, 18 – ვაჟებისათვის, 2 - პედაგოგებისათვის და ერთიც – შეზღუდული შესაძლებლობების პირებზე ადაპტირებული. საპირფარეშოს ყველა ერთეული მოპირკეთებულია, რაც შესაძლებელს ხდის სველი წესით მის სათანადო დამუშავებას. შეფასების მომენტში საპირფარეშოს ყველა ერთეული სუფთა იყო. თუმცა გაურკვეველია, თუ რატომ არის ვაჟებისთვის საპირფარეშოს 10-ით მეტი ერთეული გამოყოფილი, მაშინ, როდესაც მოსწავლე გოგონებისა და ვაჟების რაოდენობა სკოლაში თითქმის თანაბარია. სანიტარიულ კვანძთან მოწყობილია 13 სველი წერტილი, კიდევ 15 ხელსაბანი საპირფარეშოებიდან მოშორებით მდებარეობს. შეფასების მომენტში ხელსაბანების უმეტეს ნაწილში მოდიოდა წყალი, იქვე იდო საპონი და ხელსახოცი. მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე დაკვირვება ვერ მოხერხდა, რადგან შეფასების მომენტში სასწავლო პროცესი დროებით შეწყვეტილი იყო მასწავლებელთა ავადმყოფობის გამო.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო წლებში სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ (წელიწადში ერთხელ).

მყარ ნარჩენებს თითქმის ყოველდღიურად ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში ამ მხრივ პრობლემები არ დაფიქსირებულა.

დირექცია საკუთარ თავზე იღებს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებლობას. გარკვეული პრობლემების მიუხედავად, სკოლას მუდმივად მიეწოდება უსაფრთხო სასმელი წყალი. სანიტარიული სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – ვიზიტის დღეს არანაირი მნიშვნელოვანი ხარვეზი არ დაფიქსირებულა. WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების ხარსხის გაუმჯობესება – მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლა

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 55 მოსწავლე (27 ვაჟი და 28 გოგონა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 27–ს (6 მამაკაცი და 21 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც მხოლოდ პერიოდულად ინტერესდება WaSH-ის საკითხებით. სკოლის დირექცია წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმას, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს აჯამებს და აფასებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს და უახლოეს წარსულში მათ შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტებიც განახორციელეს.

სკოლა მარაგდება დაცული ჭის წყლით, რომელიც სკოლას ყოველდღიურად და საკმარისი რაოდენობით მიეწოდება. სკოლაში არსებული წყალი უსაფრთხოა (არსებობს შესაბამისი ლაბორატორიული დასკვნა), ამიტომ გამოიყენება როგორც სასმელად, ასევე სანიტარიული

მიზნებისათვის და ხელების დასაბანად. სკოლაში წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს სოფლის ცენტრალური წყალმომარაგების წყალი, რომელიც მილით შედის სკოლის ეზოში, თუმცა მუდმივად არ არის ხელმისაწვდომი. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც სკოლაში არსებული წყლის ასავსებადაც იყენებენ. სასმელი მოწყობილობები არ არის ადაპტირებული უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეეზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ 7 საპირფარეშოა: 3 – გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 1 - საერთო სარგებლობისა – პედაგოგებისათვის. საპირფარეშოს ყველა ერთეული მოპირკეთებულია, რაც შესაძლებელს ხდის სველი წესით მის სათანადო დამუშავებას. შეფასების მომენტში საპირფარეშოს ყველა ერთეული სუფთა იყო. საპირფარეშპ არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოსთან არის 4 ხელსაბანი, კიდევ 3 საკლასო ოთახებშია მოწყობილი, ხოლო 1 – სკოლის ეზოში. შეფასების მომენტში ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი, იყო საპონი და უმეტეს ნაწილში - ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ისწავლება, როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესის სპეციალური მოდელის შემადგენელი ნაწილი, თუმცა არც საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ არის ხელმისაწვდომი და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. ბოლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს კვირაში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში ამ მხრივ პრობლემები არ დაფიქსირებულა.

სკოლის პერსონალი რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას გამდინარე წყალი შეზღუდულად მიეწოდება, უსაფრთხო სასმელი წყალი მაინც მუდმივად არის ხელმისაწვდომი. სანიტარიული სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – ვიზიტის დღეს არანაირი მნიშვნელოვანი ხარვეზი არ დაფიქსირებულა. WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების ხარსხის გაუმჯობესება – მასწავლებელთა გადამზადება, საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

სენაკის მუნიციპალიტეტი

ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა

ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 239885095). სკოლაში არის 272 მოსწავლე (137 გოგონა და 135 ვაჟი), მათ შორის არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, თუმცა 2 ვაჟი და 5 გოგონა სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სიაშია. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 45–ს (8 მამაკაცი და 37 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა, რომელიც ამზადებს საინფარმაციო მასალებს წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებზე. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების ერთწლიან და სტრატეგიულ გეგმებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმების მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს - სკოლის ბიუჯეტიდან უკვე გამოყოფილია გარკვეული რაოდენობის თანხა სველი წერტილებისა და საპირფარეშოების მოსაწესრიგებლად.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას ქალაქის ცენტრალური წყალგაყვანილობის სისტემიდან თითქმის შეუფერხებლად მიეწოდება. თუმცა, აღნიშნულის მოუხედავად, ვიზიტის მომენტში წყალი არ იყო. სკოლაში წყლის ქიმიური დამუშავება არ ხდება, რადგან სკოლის ადმინისტრაცია დარწმუნებულია სკოლაში არსებული წყლის უსაფრთხოებაში. სკოლას არა აქვს სასმელი წყლის სხვა ალტერნატიული საშუალება. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელიც მხოლოდ ერთჯერადი მოხმარებისათვის არის რეკომენდებული. სასმელი წყლის მოწყობილობა არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეები საკუთარ ჭურჭელს (პლასტმასის ბოთლებს) იყენებენ წყლის დასალევად.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის, 1 - პედაგოგებისათვის და ერთიც – საერთო სარგებლობისა - ყველასათვის. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები მხოლოდ ნაწილობრივ იყო დაცული. სკოლაში ფუნქციონირებს 5 ხელსაბანი, მათ შორის მხოლოდ 1 მდებარეობს საპირფარეშოსთან ახლოს, ხოლო დანარჩენი საკლასო ოთახებშია მოწყობილი. ვიზიტის დღეს ხელსაბანების მხოლოდ მცირე ნაწილში იყო საპონი, ხოლო ხელსახოცი -

არსად. შესაბამისად, მოსწავლეები ვერ ახერხებენ ხელების დაბანას საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ისწავლება, როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესის სპეციალური მოდელის შემადგენელი ნაწილი. დირექციის განცხადების მიხედვით, მათთვის ხელმისაწვდომია ამ თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, თუმცა არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. ბოლო წლებში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულს მოსწავლეებს სათანადო მკურნალობაც დაენიშნათ.

მყარი ნარჩენები ყოველდღიურად გააქვთ სკოლის ტერიტორიასთან ახლოს და იქვე წვავენ. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში ამ მხრივ პრობლემები არ დაფიქსირებულა.

დირექციას შესაბამისი მუნიციპალური სამსახური მიაჩნია სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა ამ მხრივ გარკვეული შეფერხებებია - წყალი შეფასების დღესაც კი არ მიეწოდებოდა სკოლას. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – ვიზიტის დღეს ამ მხრივაც დაფიქსირდა გარკვეული ხარვეზები. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის საკითხების სწავლება - საჭიროა პედაგოგების გადამზადება.

სოფელ ეკის სკოლა

სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკში ფუნქციონირებს არასრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა მხოლოდ 26 მოსწავლე (17 ვაჟი და 9 გოგონა), რომელთაგან ერთი გოგონა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 13–ს (3 მამაკაცი და 10 ქალი). დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა (თუმცა სანიტარია-ჰიგიენასთან დაკავშირებით არავითარი საქმიანობა არ განუხორციელებიათ). სკოლის დირექცია წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმას, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს აჯამებს და აფასებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა მარაგდება დაცული ჭის წყლით, რომელიც სკოლას ყოველდღიურად და საკმარისი რაოდენობით მიეწოდება, თუმცა, რადგან წყალი სასმელად უვარგისია (არსებობს შესაბამისი ლაბორატორიული დასკვნა), მას მხოლოდ ხელების დასაბანად და სანიტარიული მიზნებისათვის იყენებენ. სასმელად კი სხვა ჭიდან მოტანილი წყალი გამოიყენება, რომელსაც ყოველდღიურად სპეციალური ჭურჭლით ეზიდებიან სკოლაში და დისპანსერში ათავსებენ.

მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც სკოლაში არსებული წყლის ასავსებადაც იყენებენ. სასმელი მოწყობილობები ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლის შენობაში ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 4 საპირფარეშო: 1 – გოგონებისათვის, 1 – ვაჟებისათვის, 1 – პედაგოგებისათვის და ერთიც – საერთო სარგებლობის. საპირფარეშოს ყველა ერთეული მოპირკეთებულია, რაც შესაძლებელს ხდის სველი წესით მის სათანადო დამუშავებას. შეფასების მომენტში ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. საპირფარეშო ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოსთან მოწყობილია ორი ხელსაბანი. შეფასების მომენტში ორივე ხელსაბანში მოდიოდა წყალი, იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების უმეტესობა უბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ისწავლება, როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესის სპეციალური მოდელის შემადგენელი ნაწილი. დირექციის განცხადების მიხედვით, მათთვის ხელმისაწვდომია ამ თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, თუმცა არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. ბოლო წლებში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობაც დაენიშნათ.

მყარი ნარჩენები ყოველდღიურად გააქვთ სკოლის ტერიტორიასთან ახლოს და იქვე წვავენ. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში ამ მხრივ პრობლემები არ დაფიქსირებულა.

სკოლის პერსონალი სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში გამდინარე სასმელი წყალი არ არსებობს, დირექციის მცდელობის შედეგად, სკოლას მუდმივად მიეწოდება უსაფრთხო სასმელი წყალი. სანიტარიული სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივ ვიზიტის დღეს რაიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი არ დაფიქსირებულა. საჭიროა მასწავლებელთა გადამზადება და ჰიგიენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

სოფელ ნოქალაქევის სკოლა

სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 87 მოსწავლე (43 ვაჟი და 44 გოგონა),

რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 25–ს (2 მამაკაცი და 23 ქალი). დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც დაინტერესებულია WaSH-ის საკითხებით. სკოლის დირექცია წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმას, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს აჯამებს და აფასებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის პრიორიტეტებს მიეკუთვნება და სკოლის ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობს სკოლაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სკოლა მარაგდება ჭაბურღილის წყლით, რომელიც სკოლას ყოველდღიურად და საკმარისი რაოდენობით მიეწოდება, თუმცა, რადგან წყალი სასმელად უვარგისია (არსებობს შესაბამისი ლაბორატორიული დასკვნა), მას მხოლოდ ხელების დასაბანად და სანიტარიული მიზნებისათვის იყენებენ. სასმელად სხვა ჭიდან მოტანილი წყალი გამოიყენება, რომელსაც ყოველდღიურად სპეციალური ჭურჭლით ეზიდებიან სკოლაში და დისპანსერში ათავსებენ. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც მოსწავლეები სკოლაში არსებული წყლის ასავსებადაც იყენებენ. სასმელი მოწყობილობები ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

სკოლის შენობაში ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 16 საპირფარეშო: 7 – გოგონებისათვის, 7 – ვაჟებისათვის და 2 - საერთო სარგებლობის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. საპირფარეშოს ყველა ერთეული მოპირკეთებულია, რაც შესაძლებელს ხდის სველი წესით მის სათანადო დამუშავებას. შეფასების მომენტში ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. საპირფარეშო ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოსთან მოწყობილია 16 ხელსაბანი. შეფასების მომენტში ხელსაბანების უმეტეს ნაწილში მოდიოდა წყალი, იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების უმეტესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ისწავლება, როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესის სპეციალური მოდელის შემადგენელი ნაწილი. დირექციის განცხადების მიხედვით, მათთვის ხელმისაწვდომია ამ თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, თუმცა არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებთში. ბოლო წლებში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობაც დაენიშნათ.

მყარ ნარჩენებს ერთ კვირაზე ნაკლები სიხშირით ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია

უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის დღეს ამ მხრივ პრობლემები არ დაფიქსირებულა.

სკოლის პერსონალი სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში გამდინარე სასმელი წყალი არ არსებობს, დირექციის მცდელობის შედეგად, სკოლას მუდმივად მიეწოდება უსაფრთხო სასმელი წყალი. სანიტარიული სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – ვიზიტის დღეს არანაირი მნიშვნელოვანი ხარვეზი არ დაფიქსირებულა. WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების ხარსხის გაუმჯობესება - საჭიროა მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი

სოფელ ახუთის სკოლა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ახუთის სკოლა წარმოადგენს არასრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 46 მოსწავლე (23 ვაჟი და 23 გოგონა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 14–ს (4 მამაკაცი და 10 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად არის ჩართული წყლისა და სანიტარია - ჰიგიენასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. სკოლის დირექცია წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმას, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს აჯამებს და აფასებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლაში წყლის მიწოდების ძირთად საშუალებას წარმოადგენს დაუცველი ჭის წყალი, რომელიც სათანადოდ დახურულ და მოვლილ რეზერვუარში გროვდება და სკოლას ყოველდღიურად, საკმარისი რაოდენობით მიეწოდება. უსაფრთხოების მიზნით მოხმარებამდე წყალს ქიმიურად ამუშავებენ. წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს რეზინის მილით სკოლის ეზოში შემოყვანილი წყალი. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც სკოლაში არსებული

წყლის ასავსებლადაც იყენებენ. სასმელი მოწყობილობების ნაწილი ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლის ეზოში ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 6 საპირფარეშო: 3 – გოგონებისათვის (კარს შიდა საკეტი არა აქვს), 2 - ვაჟებისათვის და 1 – პედაგოგებისთვის (საერთო ქალებისა და მამაკაცებისთვის). შეფასების მომენტში საპირფარეშოს ყველა ერთეულში დაცული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებლები. საპირფარეშო არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. საპირფარეშოსთან მოწყობილია 3 ხელსაბანი. შეფასების მომენტში ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი, უმეტეს ნაწილში იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ისწავლება, როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესის სპეციალური მოდელის შემადგენელი ნაწილი, თუმცა არც საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ არის ხელმისაწვდომი და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. ბოლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან თითქმის ყოველდღიურად გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც სკოლის ტერიტორიაზევე წვავენ, შესაბამისად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხო არ არის. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით არ იყო გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიაზე გამოყენებული წყლები გროვდება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად – შეფასების პროცესში არანაირი მნიშვნელოვანი შეფერხება არ დაფიქსირებულა. სანიტარიული სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას და ამ მხრივ სკოლაში დაცუდი იყო სანიტარიული ნორმები. WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ჰიგიენის სწავლება - საჭიროა მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

სოფელ მუხურის სკოლა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 288 მოსწავლე (138 ვაჟი და 150 გოგონა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 52–ს (8 მამაკაცი და 44 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა

თვითმმართველობა, რომელიც ჩართულია წყლისა და სანიტარია-ჰიგიენასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. სკოლის დირექცია წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმას, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს აჯამებს და აფასებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის პრიორიტეტებს მიეკუთვნება.

სკოლის შენობაში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას განუწყვეტლივ მიექოდება ცენტრალური წყალგაყვანილობის სისტემიდან. სკოლაში არსებულ წყალს ქიმიურად არ ამუშავებენ, რადგან მისი უსაფრთხოება ლაბორატორიულად არის დადასტურებული. სკოლაში არის ჭა, რომელიც სასმელი წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს. მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ. სკოლაში სასმელი წყლის მოწყობილობათა ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. უმცროსი ასაკის მოსწავლეებსაც დამოუკიდებლად (სხვისი დახმარების გარეშე) შეუძლიათ წყლის მიღება. მოსწავლეები წყლის დასალევად საზაირო ჭურჭელს იყენებენ.

სკოლის ეზოში ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ 6 საპირფარეშოა: 2 – გოგონებისათვის, 2 - ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისთვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისთვის). მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე სკოლაში არ არის საკმარისი რაოდენობის საპირფარეშო. შეფასების მომენტში საპირფარეშოს ყველა ერთეულში დაცული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოსთან მოწყობილია ერთი ხელსაბანი და კიდევ 4 – სკოლის შენობასა და ტერიტორიაზე სანიტარიული კვანძიდან მოშორებით. შეფასების მომენტში ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი, იყო საპონი და ხელსახოცი. თუმცა დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა ხელებს არ იბანს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო წლებში სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ.

სკოლიდან ყოველ ორ დღეში ერთხელ გააქვთ მყარი ნარჩენები სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ყუთში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. შესაბამისად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექცია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად – შეფასების პროცესში არანაირი მნიშვნელოვანი დარღვევა არ დაფიქსირებულა. ანალოგიურად, სანიტარიული სისტემების სრულყოფილ ფუნქციონირებაზე დირექცია მუნიციპალურ სამსახურს აკისრებს პასუხისმგებლობას – შეფასების მომენტში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დაცული. WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის საკითხების სწავლება - საჭიროა მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

სოფელ მუჟავის სკოლა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუჟავაის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 76 მოსწავლე (41 ვაჟი და 35 გოგონა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 20–ს (3 მამაკაცი და 17 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ჩართულია წყლისა და სანიტარია-ჰიგიენასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. სკოლაში არ ხდება წლიური თვითშეფასება და არ არსებობს სკოლის განვითარების გეგმა.

სკოლის შენობას წყლის მილით ყოველდღიურად მიეწოდება წყალი, რომელიც სათანადოდ დახურულ და მოვლილ რეზერვუარში გროვდება. დირექცია მიიჩნევს, რომ სკოლაში არსებული წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საკვების მოსამზადებლად, საპირფარეშოს ჩასარეცხად). წყლის გაწმენდა მოხმარებამდე არ ხდება, რადგან პერსონალის სუბიექტური აზრით, წყალი გამოყენების მიზნით უსაფრთხოა (თუმცა ეს ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული წყარო. მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს პირდაპირ ონკანიდან სვამენ. სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. უმცროსი ასაკის მოსწავლეებს კი სხვისი დახმარების გარეშეც შეუძლიათ წყლის მიღება.

სკოლის შენობაში ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - ჩასარეცხი და გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ 6 საპირფარეშოა: 3 – გოგონებისათვის და 3 - ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ, თუმცა საპირფარეშო ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების მომენტში საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები უხეშად იყო

დარღვეული. საპირფარეშოსთან მოწყობილია 4 ხელსაბანი და კიდევ 4 – სკოლის ტერიტორიაზე სანიტარიული კვანძიდან მოშორებით. შეფასების მომენტში ხელსაბანების მხოლოდ მცირე ნაწილში მოდიოდა წყალი, თუმცა არსად არ იყო საპონი და ხელსახოცი. შესაბამისად, მოსწავლეები ვერ ახერხებენ ხელების სათანადოდ დაბანას საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან ყოველ ორ დღეში ერთხელ გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც სკოლის ტერიტორიასთან ახლოს წვავენ, შესაბამისად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა შეფასების პროცესში გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა. სანიტარიული სისტემების სრულყოფილ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა. WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის საკითხების სწავლება - საჭიროა მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

სოფელ ფახულანის N2 სკოლა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფახულანის თემის N2 სკოლა მდებარეობს აფხაზეთის კონფლიქტის გამყოფ ხაზთან და წარმოადგენს არასრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 88 მოსწავლე (45 ვაჟი და 43 გოგონა), რომელთაგან ერთი ვაჟი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 16–ს (2 მამაკაცი და 14 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ჩართულია წყლისა და სანიტარია-ჰიგიენასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. სკოლის დირექცია წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმას, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს აჯამებს და აფასებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტებს მიეკუთვნება.

სკოლა მარაგდება დაცული ჭის წყლით, რომელიც სკოლას ყოველდღიურად, თუმცა შეზღუდული რაოდენობით მიეწოდება. წყალსაქაჩის არარსებობის გამო ჭიდან წყალი

სათლით ამოაქვთ. წყალს იყენებენ სასმელად, ხელების დასაბანად და სანიტარიული მიზნებისათვის. წყალს არ წმენდენ, რადგან არა აქვთ ფილტრები და გამწმენდი საშუალებები. წყლის მიწოდების ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს სოფლის ცენტრალური წყალმომარაგების სისტემიდან სკოლის ეზოში მილით შემოსული წყალი. თუმცა ამ გზით სკოლისათვის წყლის მიწოდება ძალიან შეზღუდულია - კვირაში მხოლოდ 2 დღე მოდის და ხშირად ეს პერიოდი არასამუშაო დღეებს ემთხვევა, ამიტომ ჭის წყალი წყლის მიწოდების ძირითად წყაროს წარმოადგენს. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც სკოლაში არსებული წყლის ასავსებადაც იყენებენ. სასმელი მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლის ეზოში ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ 4 საპირფარეშოა: 2 – გოგონებისათვის და 2 - ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. შეფასების მომენტში საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დაცული. საპირფარეშო არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოსთან მოწყობილია მხოლოდ ერთი ხელსაბანი და კიდევ ერთი – სკოლის ტერიტორიაზე სანიტარიული კვანძიდან მოშორებით. შეფასების მომენტში არცერთ ხელსაბანში არ მოდიოდა წყალი, არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი. შესაბამისად, მოსწავლეები ვერ ახერხებენ ხელების დაბანას საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. ბოლო პერიოდში სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ.

სკოლიდან ყოველ ორ დღეში ერთხელ გააქვთ მყარი ნარჩენები სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ყუთში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. შესაბამისად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

სკოლიდან თითქმის ყოველდღიურად გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც იქვე, სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მარხავენ. შესაბამისად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხო არ არის. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიაზე გამოყენებული წყლები გროვდება.

სკოლის პერსონალს შესაბამისი მუნიციპალური სამსახური მიაჩნია წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. ხელის დასაბანი ნიჟარები შეერთებულია ცენტრალური წყალმომარაგების სისტემასთან, რომელიც იშვიათად ფუნქციონირებს. ამასთანავე, წყლის საქაჩი მოწყობილობის არქონის გამო, სკოლას ჭის წყალზე ხელმისაწვდომობაც ძალზე შეზღუდული აქვს. სანიტარიული სისტემების სრულყოფილ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას და ამ მხრივაც გარკვეული ხარვეზები ფიქსირდება. WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის საკითხების სწავლება - საჭიროა მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

ქალაქ ჯვარის N4 სკოლა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის N4 სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 58 მოსწავლე (37 ვაჟი და 21 გოგონა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 22–ს (5 მამაკაცი და 17 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ჩართულია წყლისა და სანიტარია - ჰიგიენასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. სკოლის დირექცია წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმას, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს აჯამებს და აფასებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის შენობაში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას ცენტრალური წყალგაყვანილობის სისტემიდან ყოველდღიურად მიეწოდება. სკოლაში არსებულ წყალს ქიმიურად არ ამუშავებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ ცენტრალური წყალმომარაგების პირობებში წყლის ხარისხი ისედაც კონტროლდება შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ. სკოლაში არის ჭა, რომელიც წარმოადგენს სასმელი წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს. სკოლაში სასმელი წყლის მოწყობილობათა მხოლოდ ნაწილია ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. უმცროსი ასაკის მოსწავლეებსაც დამოუკიდებლად (სხვისი დახმარების გარეშე) შეუძლიათ წყლის მიღება. მოსწავლეები საკუთარ ჭურჭელს (პლასტმასის ბოთლებს) იყენებენ წყლის დასალევად.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) ფუნქციონირებს სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ 2 საპირფარეშოა: 1 საერთო სარგებლობისა – გოგონებისათვის და ვაჟებისათვის და ერთიც - პედაგოგებისათვის. შეფასების მომენტში მოსწავლეთა საპირფარეშოში

სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დაცული, ხოლო პედაგოგთა საპირფარეშო სუფთა იყო. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. საპირფარეშო არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. საპირფარეშოსთან მოწყობილია ერთი ხელსაბანი და კიდევ ორი ხელსაბანი – სკოლის ტერიტორიაზე სანიტარიული კვანძიდან მოშორებით. შეფასების მომენტში ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა მხოლოდ ორ ხელსაბანთან იყო საპონი და ერთ წერტილში - ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეები არ იბანენ ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა არ ისწავლება - არც საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ არის ხელმისაწვდომი და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. ბოლო წლებში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ.

სკოლიდან ორ დღეში ერთხელ ცლიან მყარ ნარჩენებს დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის სანაგვე კონტენინერში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული, შესაბამისად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

სკოლის პერსონალი წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად მიიჩნევს სკოლას - სისტემა მოწესრიგებულია და სათანადო დონეზე ფუნქციონირებს. სანიტარიული სისტემების სრულყოფილ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა შეფასების პროცესში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დარღვეული. WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის საკითხების სწავლება - საჭიროა მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

ხობის მუნიციპალიტეტი

სოფელ გურიფულის სკოლა

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიფულში ფუნქციონირებს არასრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 24 მოსწავლე (12 ვაჟი და 12 გოგონა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 15–ს (2 მამაკაცი და 13 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო და მოსწავლეთა თვითმმართველობა (თუმცა სანიტარია-ჰიგიენასთან დაკავშირებით არანაირი საქმიანობა არ განუხორციელებიათ). სკოლის დირექცია წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმას, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს აჯამებს და

აფასებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის პრიორიტეტებს მიეკუთვნება.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას ყოველდღიურად მიეწოდება სოფლის ცენტრალური წყალგაყვანილობის სისტემიდან. სკოლაში არსებულ წყალს ქიმიურად არ ამუშავებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ ცენტრალური წყალმომარაგების პირობებში წყლის ხარისხი ისედაც კონტროლდება შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ. სკოლაში მოწყობილია ჭაბურღილი, რომელიც წარმოადგენს სასმელი წყლის ალტერნატიულ საშუალებას. არცერთ მოსწავლეს არ მოაქვს წყალი სახლიდან. სასმელი წყლის მოწყობილობა არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, ხოლო უმცროსი ასაკის მოსწავლეებს დამოუკიდებლად (სხვისი დახმარების გარეშე) შეუძლიათ წყლის მიღება. მოსწავლეები საკუთარ ჭურჭელს (პლასტმასის ბოთლებს) იყენებენ წყლის დასალევად.

სკოლის ეზოში ფუნქციონირებს გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 5 საპირფარეშო: 2 – გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა - მასწავლებლებისათვის. საპირფარეშოს ყველა ერთეული მოპირკეთებულია, რაც შესაძლებელს ხდის სველი წესით მის სათანადო დამუშავებას. შეფასების მომენტში ყველა საპირფარეშო სუფთა იყო, თუმცა გოგონების საპირფარეშოს შიგნიდან საკეტი არ ჰქონდა. აღნიშნული საპირფარეშო არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოსთან მოწყობილია 2 ხელსაბანი და კიდევ ერთი ხელსაბანი სკოლის შენობაშია. შეფასების მომენტში ხელსაბანების მხოლოდ ნაწილში იყო საპონი და ქაღალდი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების უმეტესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ისწავლება ჰიგიენა, როგორც ჯანსაღი ცხოვრების სწავლების სპეციალური მოდულის შემადგენელი ნაწილი. სკოლაში ხელმისაწვდომია ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, თუმცა არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური გადამზადება ჰიგიენის საკითხებში.

სკოლიდან დაახლოებით 2 კვირაში ერთხელ გააქვთ მყარი ნარჩენები და სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე აგროვებენ. შესაბამისად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხო არ არის. შეფასების მომენტში ყველა სანიტარიული ობიექტი ნარჩენებით გადავსებული იყო. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის დღეს ამ მხრივ პრობლემები არ დაფიქსირებულა.

სკოლის პერსონალს მიაჩნია, რომ შესაბამისი მუნიციპალური სამსახური არის პასუხისმგებელი წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე. სისტემა გამართულად მუშაობს, ამიტომ სკოლას მუდმივად მიეწოდება უსაფრთხო წყალი. სანიტარიული სისტემების სრულყოფილ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას და მნიშვნელოვანი ხარვეზები არც ამ მხრივ არ დაფიქსირებულა. ძირითადი პრობლემა უკავშირდება მყარი ნარჩენების უტილიზაციას, რომელიც არ ატარებს უსაფრთხო ხასიათს. სკოლაში გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლების ხარისხი.

სოფელ ნოჯიხევის N1 საჯარო სკოლა

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევში ფუნქციონირებს არასრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 30 მოსწავლე (20 ვაჟი და 10 გოგონა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 13–ს (ყველა ქალია). სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო და მოსწავლეთა თვითმმართველობა (თუმცა სანიტარია-ჰიგიენასთან დაკავშირებით არანაირი საქმიანობა არ განუხორციელებიათ). სკოლის დირექცია წლის დასაწყისში ადგენს სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმას, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს აფასებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმაში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას ყოველდღიურად მიეწოდება სოფლის ცენტრალური წყალგაყვანილობის სისტემიდან. სკოლაში არსებულ წყალს ქიმიურად არ ამუშავებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ ცენტრალური წყალმომარაგების პირობებში წყლის ხარისხი ისედაც კონტროლდება შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ. სკოლაში მოწყობილია ჭაბურღილი, რომელიც წარმოადგენს სასმელი წყლის ალტერნატიულ საშუალებას. მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილს მოაქვს წყალი სახლიდან. სასმელი წყლის მოწყობილობა არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, ხოლო უმცროსი ასაკის მოსწავლეებს დამოუკიდებლად (სხვისი დახმარების გარეშე) შეუძლიათ წყლის მიღება. მოსწავლეები საკუთარ მრავალჯერადი გამოყენების ჭურჭელს (მაგრამ არა პლასტმასის ბოთლებს) იყენებენ წყლის დასალევად.

სკოლის ეზოში ფუნქციონირებს გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ 4 საპირფარეშოა: 2 – გოგონებისათვის და 2 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. საპირფარეშოს ყველა ერთეული მოპირკეთებულია, რაც შესაძლებელს ხდის სველი წესით მის სათანადო დამუშავებას. შეფასების მომენტში ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. გოგონების საპირფარეშოს შიგნიდან საკეტი არ ჰქონდა. საპირფარეშო არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. საპირფარეშოებში მოწყობილია 4

ხელსაბანი და კიდევ 2 ხელსაბანი – სკოლის შენობაში. შეფასების მომენტში ყველა ხელსაბანთან იყო საპონი და ქაღალდი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ. გასულ სასწავლო წელს სოფლის ამბულატორიაში ჩატარდა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე. საჭიროების შემთხვევაში მშობლებს მიეწოდათ სათანადო ინფორმაცია და გადაეცათ შესაბამისი მედიკამენტები.

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ისწავლება ჰიგიენა, როგორც ჯანსაღი ცხოვრების სწავლების სპეციალური მოდულის შემადგენელი ნაწილი. თუმცა სკოლას არ მოეპოვება WaSH–ის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური გადამზადება ჰიგიენის საკითხებში.

სკოლიდან ყოველდღიურად გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც სკოლის ტერიტორიაზე წვავენ, შესაბამისად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. შეფასების მომენტში არცერთი სანიტარიული ობიექტი არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის დღეს ამ მხრივ პრობლემები არ დაფიქსირებულა.

სკოლის პერსონალს მიაჩნია, რომ შესაბამისი მუნიციპალური სამსახური არის პასუხისმგებელი წყლის სისტემის ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე. სისტემა გამართულად მუშაობს, ამიტომ სკოლას მუდმივად მიეწყოდება უსაფრთხო წყალი. სანიტარიული სისტემების სათანადო ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას და ამ მხრივაც მხოლოდ მცირეოდენი ხარვეზები დაფიქსირდა. ძირითადი პრობლემა უკავშირდება მყარი ნარჩენების უტილიზაციას, რომელიც უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლების ხარისხი.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

ადიგენის მუნიციპალიტეტი

ბენარის საჯარო სკოლა

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 86 მოსწავლე (46 ვაჟი და 40 გოგონა), რომელთაგან 2 (1 გოგონა და 1 ვაჟი) შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 21–ს (1 მამაკაცი და 20 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც მონაწილეობს WASH–ის მხარდაჭერაში და აქტიურად ახდენს

სხვადასხვა სახის აქტივობებს. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას და ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის გავნითარების გეგმის პრიორიტეტებს მიეკუთვნება.

სკოლა მარაგდება დაცული ჭის წყლით, რომელიც სკოლას უწყვეტად და საკმარისი რაოდენობით მიეწოდება. წყალს იყენებენ როგორც სასმელად და ხელების დასაბანად, ასევე საპირფარეშოების ჩასარეცხად. სკოლაში მილით შემოდის წყალი, რომელიც რეზერვუარში გროვდება. ვიზიტის დღეს წყლის მილები გაყინული დაგვხვდა, ამიტომ წყლის მიღება მხოლოდ ჭიდან იყო შესაძლებელი. რეზერვუარი არ არის სათანადოდ არც დახურული და არც მოვლილი, რადგან არავინ არ ზრუნავს მის დასუფთავებაზე. სკოლის დირექცია ამის მიზეზად ფილტრების და წყლის გამწმენდი საშუალებების არქონას ასახელებს. მოსწავლეები ერთჯერად ჭურჭელს იყენებენ წყლის დასალევად და იშვიათად მოაქვთ წყალი სახლიდან. სკოლაში არ არსებობს შეზღუდული შესაძებლობების მქონე მოსწავლეებზე ადაპტირებული წყლის მოწყობილობა.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრ რადიუსში) მოწყობილია „ჩასარეცხი“ და გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის 3 საპირფარეშო - გოგონების, ვაჟებისა და შეზღუდული შესაძებლობების მქონე პირებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. საპირაფრეშოს ყველა ერთეული მოპირკეთებულია, რაც შესაძლებელს ხდის სველი წესით მის სათანადო დამუშავებას.შეფასების მომენტში ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. გოგონების საპირფარეშო განცალკევებულია ბიჭების საპირფარეშოსგან და კარს შიგნიდან აქვს საკეტი. სკოლაში ფუნქციონირებს 4 ხელსაბანი, მათ შორის 3 სანიტარიულ კვანძშია მოწყობილი. ხელსაბანიც ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძებლობების მქონე მოსწავლეებზე. ვიზიტის დღეს ყველა ხელსაბანთან იყო საპონი, ხოლო ხელსახოცი - მხოლოდ მცირე ნაწილში (50%-ზე ნაკლებში). დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ ბავშვების უმეტესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.



სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება WaSH–ის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში ჩატარდა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სამკურანლო საშუალებები დაურიგდათ.

მყარ ნარჩენებს ყოველდღიურად ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ყუთში. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია, ძირითადად, უსაფრთხოდ ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის დღეს ამ მხრივ პრობლემები არ დაფიქსირებულა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა ამ პროცესის სათანადო დონეზე უზრუნველყოფა ვერ ხერხდება, რაც სკოლის შეზღუდულ ფინანსურ შესაძებლობებთან არის დაკავშირებული. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ მხრივაც გარკვეული პრობელემები ფიქსირდება, თუმცა ვიზიტის დღეს მნიშვნელოვანი ხარვეზები არ გამოვლენიდა. სკოლაში WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე ძირითადი პრობლემა უკავშირდება მოსწავლეთა ცნობიერების დაბალ დონეს ჰიგიენის საკითხებთან მიმართებაში - ამ მხრივ მნიშვნელოვანია გაძლიერდეს სწავლება და სკოლას მიეწოდოს სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები.

ბოლაჯურის საჯარო სკოლა

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 85 მოსწავლე (36 ვაჟი და 49 გოგონა), რომელთაგან 1 გოგონა არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 24–ს (5 მამაკაცი და 19 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა WASH-ის მხარდაჭერაში აქტიურად არ არის ჩართული. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას და ადგენს შესაბამის გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები მათთვის პრიორიტეტულია, თუმცა ამ მიმართულებით ამჟამად ინვესტიციებს არ ახორციელებენ, რადგან სკოლის ახალი შენობის აშენებას ელოდებიან. შესაბამისად, სკოლის დირექციას მიზანშეუწონლად მიაჩნია წყლისა და სანიტარიის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე გარკვეული ხარჯების გაწევა.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას მნიშვნელოვანი შეფერხებებით მიეწოდება და ეს მდგომარეობა უკვე თვეებია რაც გრძელდება. ბუნებრივია,

არსებული წყლის რესურსი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოების ჩასარეცხად და ა.შ.), მაგრამ სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. წყლის ხელმისაწვდომობის შეთხვევებშიც კი არ ხდება წყლის გაწმენდა, ფილტრებისა და გამწმენდი საშუალებების დეფიციტის გამო. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. უმცროსი ასაკის მოსწავლეებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ წყლის დალევა. დირექცია აცხადებს, რომ არცერთ მოსწავლეს არ მოაქვს წყალი სახლიდან (რაც არ უნდა ასახავდეს რეალურ ვითარებას, სკოლაში არსებული სასმელი წყლის დეფიციტის პირობებში).

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის, 1 – ვაჟებისათვის და 1 საერთო - პედაგოგებისათვის. სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს მოსწავლეთა საპირფარეშოებში მძიმე ანტისანიტარიული ვითარება დაგვხვდა. სანიტარიული მდგომარეობა არც პედაგოგთა საპირფარეშოში არ იყო დამაკმაყოფილებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 3 ხელსაბანი, რომელიც საპირფარეშოსთანაა მოწყობილი. აღნიშნული 3 ხელსაბანიდან წყალი (მცირე ზომის კედელზე დაკიდებული ბაკი) და საპონი მხოლოდ ერთ წერტილში იყო. ხელსაბანი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, ამ თემაზე მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ესაუბრება მოსწავლეებს კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი. სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში არცერთ პედაგოგს არ გაუვლია და არც სკოლას არ მოეპოვება ამ თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. მიმდინარე და გასულ სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეები ხელებს არ იბანენ საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

მყარ ნარჩენებს კვირაში ორჯერ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ყუთში. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უმთავრესად უსაფრთხოდ ხდება, თუმცა შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. სკოლაში ნაწილობრივ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა.

სკოლის დირექციას წყალმომარაგების მუნიციპალური სამსახური მიაჩნია სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. ამ პროცესის სათანადო დონეზე უზრუნველყოფა ვერ ხერხდება, მაგალითად, ზამთარში წყდება წყლის მიწოდება, რადგან წყალი ხშირად იყინება. შესაბამისად, არსებული წყლის რესურსი არ არის საკმარისი

სკოლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე ანისანიტარია დაფიქსირდა. სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, ამიტომ დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე, რაც შეფასების მომენტში დადასტურდა.

ლელოვანის საჯარო სკოლა

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელოვანში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 140 მოსწავლე (80 ვაჟი და 60 გოგონა), რომელთაგან 1 ვაჟი არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 28–ს (4 მამაკაცი და 24 ქალი). სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობასთან ერთად ფუნქციონირებს ეკოკლუბი, რომელიც ჩართულია WASH-ის მხარდაჭერაში. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას და ადგენს შესაბამის გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები მათთვის პრიორიტეტულია და სკოლის ადმინისტრაციას დიდი სურვილი აქვს, მონაწილეობა მიიღოს ამ კუთხით განხორციელებულ ყველა აქტივობასა და პოტენციურ პროექტში.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას შეზღუდული რაოდენობით მიეწოდება. შეფასების დღეს წყლის მილი არ ფუნქციონირებდა. წყლის რესურსი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად). სკოლაში წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს ტრანსპორტით მოტანილი წყალი. სკოლაში წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან შემომავალი თუ მოტანილი წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (პერსონალის პირადი აზრით), თუმცა ეს ფაქტი ლაბორატორიულად დამოწმებული არ არის. სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. უმცროსი ასაკის ბავშვებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ წყლის დალევა. დირექცია აცხადებს, რომ მოსწავლეთა ნაწილს სახლიდან მოაქვს წყალი პლასტმასის (PET) ბოთლებით.

სკოლის ეზოში (თუმცა არა 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში, რაც არსებული სტანდარტის დარღვევას წარმოადგენს) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის, 1 – ვაჟებისათვის და 2 - პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის) და კიდევ ერთი – ადაპტირებულია შეზღუდული შესაძებლობების მქონე მოსწავლეებზე. შეფასების დღეს საპირფარეშო ოთახებში სანიტარიული მდგომარეობა არ იყო დამაკმაყოფილებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 2 ხელსაბანი, რომელთაგან ერთი საპირფარეშოშია მოწყობილი. ამ ორი ხელსაბანიდან წყალი და საპონი მხოლოდ ერთ წერტილში იყო. დაკვირვების შედეგად

დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა ხელებს არ იბანს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

დაკვირვებისა და მენეჯერთან საუბრის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა. სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში არცერთ პედაგოგს არ გაუვლია და არც ამ თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს საჭირო მედიკამენტები დაურიგდათ.

მყარ ნარჩენებს კვირაში ორჯერ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ყუთში. შეფასების დღეს სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია ნაწილობრივ უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ნაწილობრივ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის დღეს დაფიქსირდა გარკვეული ხარვეზები.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, წყალმომარაგების მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, წყლის სისტემის გამართული ფუნქციონირება ვერ ხერხდება, მაგალითად, ზამთარში წყლის გაყინვის გამო წყალმომარაგება წყდება. შესაბამისად, არსებული წყლის რესურსი სკოლის საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებს, ამიტომ რეგულარულად უხდებათ სასმელი წყლის ტრანსპორტირება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ ამოცანას მხოლოდ ნაწილობრივ ართმევს თავს - ვიზიტის დღეს საპირფარეშო ოთახებში სანიტარიული მდგომარეობა არ იყო დამაკმაყოფილებელი. საპირფარეშოების განლაგება არ შეესაბამისებოდა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა და WaSH–ის საკითხებთან მიმართებაში დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე, რაც შეფასების მომენტშიც დადასტურდა.

ასპინძის მუნიციპალიტეტი

აპინძის საჯარო სკოლა

ასპინძის მუნიციპალიტეტის დაბა ასპინძის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 493 მოსწავლე (მათ შორის გოგონებისა და ვაჟების ზუსტ რაოდენობაზე ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა). არცერთი მოსწავლე არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 41–ს (8 მამაკაცი და 33 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა

WASH–ის მხარდაჭერაში ჩართული არ არის. სკოლის დირექცია ყოველწლიურად სასწავლო წლის ბოლოს ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს მომავალი წლის გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები გეგმის პრიორიტეტებს მიეკუთვნება.

სკოლის შენობაში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც გამოიყენება ხელების დასაბანად და საპირფარეშოს ჩასარეცხად, მაგრამ ეს წყალი სასმელად უვარგისია. ვინაიდან სკოლის ადმინისტრაცია უძლურია, სკოლაში მომდინარე წყალი სასმელად ვარგისიანი გახადოს, ის ყოველდღიურად სოფლიდან ტრანსპორტით ეზიდება სასმელ წყალს. ტრანსპორტირებული წყალი სკოლის შენობაში არსებულ დისპენსერში თავსდება. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, მოსწავლეების უმეტესობას წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით. სასმელი წყლის მოწყობილობა (დისპანსერი) ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე და უმცროსი ასაკის მოსწავლეებსაც სხვისი დახმარების გარეშე შეუძლიათ წყლის მიღება.

სკოლის შენობაში განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის და 1 – ვაჟებისათვის. შეფასების დღეს ორივე საპირფარეშო სუფთა იყო. პედაგოგებს არა აქვთ ცალკე საპირფარეშო ოთახი. სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. სკოლაში ფუნქციონირებს 2 ხელსაბანი, რომელიც მოწყობილია სკოლის შენობაში არსებულ სანიტარიულ კვანძში. ხელსაბანები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. მართალია, ვიზიტის დღეს ხელსაბანებთან იყო საპონი, თუმცა დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეები ხელებს არ იბანენ საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ ესაუბრება კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს. სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში არცერთ პედაგოგს არ გაუვლია და არც საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. მიმდინარე და გასულ სასწავლო წლებში სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს საჭირო მედიკამენტები დაურიგდათ.

მყარი ნარჩენები კვირაში ორჯერ გააქვთ სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე, ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში პრობლემები არ დაფიქსირებულა.

დირექციას წყალმომარაგების მუნიციპალური სამსახური მიაჩნია სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა ამ პროცესის სათანადო დონეზე უზრუნველყოფა ვერ ხერხდება, რაც თავიდანვე სისტემის ცუდი დაგეგმარებით არის განპირობებული. არსებული წყლის რესურსი სკოლის საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებს ყოველდღიურად უხდებათ სასმელი წყლის ტრანსპორტირება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – ამ მხრივ განსაკუთრებით მწვავედ დგას პედაგოგთა საპირფარეშოების მოწყობის საკითხი. სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა და WaSH –ის საკითხებთან მიმართებაში დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე, რაც შეფასების მომენტშიც დადასტურდა.

ნაქალაქევის საჯარო სკოლა

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 140 მოსწავლე (73 ვაჟი და 67 გოგონა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 36–ს (8 მამაკაცი და 28 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა WASH–ის მხარდაჭერაში ჩართული არ არის. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს მომავალი წლის გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები გეგმის პრიორიტეტებს მიეკუთვნება.

სკოლის შენობაში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას ყოველდღიურად და შეზღუდული რაოდენობით მიეწოდება. დირექცია მიიჩნევს, რომ წყალი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). წყლის გაწმენდა სასმელად მოხმარებამდე არ ხდება, რადგან პერსონალის სუბიექტური აზრით, წყალი უსაფრთხოა(ეს ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად შემოწმებული). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული წყარო. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით. სასმელი წყლის მოწყობილობა არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის მოსწავლეებს კი სხვისი დახმარების გარეშე შეუძლიათ წყლის მიღება.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, რომელიც ამორტიზებულია და შეფასების დღეს მძიმე ანტისანიტარიულ მდგომარეობაში (განსაკუთრებით – მოსწავლეთა საპირფარეშო) იყო. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის, 1 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძის

არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. სკოლაში ფუნქციონირებს 2 ხელსაბანი, რომელთაგან არცერთი არ არის მოწყობილი საპირფარეშოსთან ახლოს და არც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე არ არის ადაპტირებული. ვიზიტის დღეს ხელსაბანებთან იყო საპონი, თუმცა დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეები ხელებს არ იბანენ საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ, რადგან ხელსაბანი საკმაოდ მოშორებულია საპირფარეშოდან.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ გაესაუბრება კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს. სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში არცერთ პედაგოგს არ გაუვლია და არც სკოლას არ მოეპოვება შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. მიმდინარე და გასულ სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთ შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

ნარჩენებს კვირაში სამჯერ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ყუთში, ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში პრობლემები არ დაფიქსირებულა.

სკოლის დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა ამ პროცესის სათანადო დონეზე უზრუნველყოფა ვერ ხერხდება და არსებული წყლის რესურსი სკოლის საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებს. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა. სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა და მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH–ის საკითხებთან მიმართებაში საკმაოდ დაბალია, რაც შეფასების მომენტშიც დადასტურდა.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

აზავრეთის საჯარო სკოლა

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ აზავრეთის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 187 მოსწავლე (102 ვაჟი და 85 გოგონა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 29–ს (5 მამაკაცი და 24 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა არ მონაწილეობს WaSH-ის მხარდაჭერაში. დირექციისაგან ვერ

მივიღეთ ინფორმაცია სკოლის განვითარების გეგმის შესახებ. სკოლის ადმინინისტრაციის განცხადების მიხედვით, სკოლის შენობის აღდენა და შენარჩუნება უფრო პრიორიტეტულია მათთვის, ვიდრე WaSH-ის საკითხები.

სკოლის ეზოში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის წყალი (ერთადერთი ონკანით). არსებული წყლის რესურსი აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). შეფასების მომენტში წყლის მიწოდების წყარო ფუნქციონირებდა. წყლის გაწმენდა მის მოხმარებამდე არ ხდება, რადგან სკოლაში არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (ეს ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება ან რეზერვუარი არ არსებობს. დირექციის განცხადების მიხედვით, არცერთ მოსწავლეს არ მოაქვს წყალი სახლიდან, სკოლაში არსებულ წყალს კი მოსწავლეები პირდაპირ ონკანიდან სვამენ. წყლის სასმელი მოწყობილობა არ არის ადაპტირებული უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის ამორტიზებული საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ არის საერთო სარგებლობის 4 საპირფარეშო. საპირფარეშო არ არის ადაპტირებული უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოში სანიტარიული ნორმები უხეშად იყო დარღვეული. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე არავინ არის პასუხისმგებელი. სკოლაში არსებობს მხოლოდ 1 ხელსაბანი, რომელიც მოწყობილია სანიტარიული კვანძიდან მოშორებით. ვიზიტის დღეს ხელსაბანებთან არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი. შესაბამისად, მოსწავლეების უმეტესობა ხელებს არ იბანს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ გაესაუბრება კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს. სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში არცერთ პედაგოგს არ გაუვლია და არც სკოლას არ მოეპოვება შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. მიმდინარე და გასულ სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთ შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარი ნარჩენები ორ კვირაში ერთხელ გააქვთ და იქვე, სკოლის ტერიტორიასთან ახლოს წვავენ.ვიზიტის დღეს სანიტარიული ობიექტების უმეტესობა ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა ამ ფუნქციის სათანადო დონეზე უზრუნველყოფა ვერ ხერხდება, რაც

სისტემის ცუდ პროექტირებასა და ამორტიზებას უკავშირდება. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - სკოლის დირექცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიიჩნევს მის გამართულობასა და შენარჩუნებაზე პასუხისმგებლ უწყებად – ამ მხრივ სკოლაში მძიმე ანტისანიტარიული მდგომარეობაა. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, რაც საკმაოდ უარყოფითად აისახება მოსწავლეთა ცნობიერების დონეზე და ჰიგიენურ ქცევაზე.

არაგვას საჯარო სკოლა

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ არაგვას სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 102 მოსწავლე (49 ვაჟი და 53 გოგონა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 20–ს (4 მამაკაცი და 16 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა არ მონაწილეობს WaSH-ის მხარდაჭერაში. დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს მომავალი წლის სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის პრიორიტეტებს მიეკუთვნება.

სკოლის ეზოში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის წყალი, რომელიც სკოლას შეზღუდული რაოდენობით მიეწოდება. არსებული წყლის რესურსი ვერ აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). შეფასების მომენტში სკოლაში წყალი მოდიოდა. წყლის გაწმენდა მის მოხმარებამდე არ ხდება, რადგან სკოლაში არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (ეს ვარაუდი არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების არც სხვა ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი. დირექციის განცხადების მიხედვით, არცერთ მოსწავლეს არ მოაქვს წყალი სახლიდან, სკოლაში არსებულ წყალს კი მოსწავლეების პირდაპირ ონკანიდან სვამენ. წყლის სასმელი მოწყობილობა არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების პირებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. თავის დროზე სანიტარიული კვანძი სკოლის შენობაში იყო გათვალისწინებული, თუმცა ამჟამად გაუქმებულია და საკუჭნაოდ გამოიყენება. სკოლის ეზოში სულ არის საპირფარეშოს 3 ერთეული გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 1 - პედაგოგებისათვის. საპირფარეშო ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, თუმცა ამჟამად დაკეტილია (დირექციის განმარტების მიხედვით, სკოლაში არ ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები და საპირფარეშოს ამიტომ კეტავენ). შეფასების დღეს

მოსწავლეთა საპირფარეშოში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დაცული, ხოლო პედაგოგთა საპირფარეშო სუფთა იყო. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე დამლაგებელი არის პასუხისმგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 3 ხელსაბანი - ყველა სანიტარიულ კვანძთან ახლოს არის მოწყობილი. ხელსაბანი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. ვიზიტის დღეს ხელსაბანებთან არ იყო არც წყალი, არც საპონი და არც ხელსახოცი. დირექციის განმარტების მიხედვით, ძლიერი ყინვების გამო წყლის მიწოდების სისტემა გადაკეტილი აქვთ, შესაბამისად, მოსწავლეები ვერ იბანენ ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ გაესაუბრება კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს. სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში არცერთ პედაგოგს არ გაუვლია და არც სკოლას არ მოეპოვება შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. მიმდინარე და გასულ სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთ შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარი ნარჩენები კვირაში ერთხელ გააქვთ და იქვე სკოლის ტერიტორიასთან ახლოს წვავენ. ვიზიტის დღეს სანიტარიული ობიექტების უმეტესობა ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში მხოლოდ ნაწილობრივ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა ამ ფუნქციის სათანადო დონეზე უზრუნველყოფა ვერ ხერხდება, რაც სისტემის სისტემის შენარჩუნებისა და ოპერირების მწირ პრაქტიკასა და მის ცუდ პროექტირებას უკავშირდება. სანიტარიული სისტემის გამართულობასა და შენარჩუნებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, მაგრამ მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი არც საპირფარეშოებში სანიტარიულ–ჰიგიენური ნორმების დაცვის და არც ნარჩენების უტილიზაციის თვალსაზრისით. სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, ამიტომ დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე.

ბარალეთის N2 საჯარო სკოლა

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარალეთის N2 სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა მხოლოდ 27 მოსწავლე (16 ვაჟი და 11 გოგონა), რომელთაგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 8–ს (5 მამაკაცი და 3 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა

თვითმმართველობა, თუმცა არ მონაწილეობს WaSH-ის მხარდაჭერაში. დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს მომავალი წლის სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის პრიორიტეტებს მიეკუთვნება.

სკოლის ეზოში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის წყალი. არსებული წყლის რესურსი აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). შეფასების მომენტში წყლის მიწოდების წყარო ფუნქციონირებდა. წყლის გაწმენდა მის მოხმარებამდე არ ხდება, რადგან სკოლაში არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (თუმცა არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების არც სხვა ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი. დირექციის განცხადების მიხედვით, არცერთ მოსწავლეს არ მოაქვს წყალი სახლიდან, სკოლაში არსებულ წყალს კი მოსწავლეები პირდაპირ ონკანიდან სვამენ. წყლის სასმელი მოწყობილობა არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან არ არის 20-100 მეტრის რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სულ არის საპირფარეშოს 1 ერთეული გოგონებისათვის, 1 – ვაჟებისათვის და 1 - პედაგოგებისათვის. თუმცა ძლიერი ყინვების გამო მხოლოდ ერთი ერთეული გამოიყენება საერთო დანიშნულებით. მილების დაზიანების თავიდან არიდების მიზნით, წყლის მიწოდების სისტემა გადაკეტილია, ამიტომ წყალს ეზოდან სათლით ეზიდებიან. საპირფარეშო არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დაცული. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე დამლაგებელი არის პასუხისმგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 2 ხელსაბანი, მათგან ერთი სანიტარიულ კვანძთან ახლოს არის მოწყობილი. ხელსაბანი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს მხოლოდ ერთ ხელსაბანთან იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეები ხელებს არ იბანენ საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ გაესაუბრება კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს. სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში არცერთ პედაგოგს არ გაუვლია და არც სკოლას არ მოეპოვება შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. მიმდინარე და გასულ სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთ შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ყოველდღე ცლიან მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე ყუთში. ვიზიტის დღეს სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული.

ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ნაწილობრივ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიაზე გამოყენებული წყლები გროვდება (ხდება დაგუბება).

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. თუმცა ამ პროცესის სათანადო დონეზე უზრუნველყოფა ნაწილობრივ ხერხდება, რაც სისტემის ცუდ პროექტირებას უკავშირდება. სანიტარიული სისტემის გამართულობასა და შენარჩუნებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – ამ მხრივ მდგომარეობა ნაწილობრივ აკმაყოფილებს სანიტარიულ ნორმებს. ძირითად პრობლემას ჰიგიენის საკითხებთან მიმართებაში მოსწავლეთა ცნობიერების დაბალი დონე წარმოადგენს, ამიტომ მნიშვნელოვანია ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება და სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

კარტიკამის საჯარო სკოლა

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კარტიკამის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 240 მოსწავლე (128 ვაჟი და 112 გოგონა), რომელთაგან 2 ვაჟი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 42–ს (5 მამაკაცი და 37 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა არ მონაწილეობს WaSH-ის მხარდაჭერაში. დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს მომავალი წლის სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის პრიორიტეტებს მიეკუთვნება.

კარტიკამის საჯარო სკოლის შენობა ახლად რეაბილიტირებულია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ, ამერიკელი ხალხის დაფინანსებით. შესაბამისად, სკოლის შენობაში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც გამოიყენება სასმელად, ხელების დასაბანად და საპირფარეშოს ჩასარეცხად. წყალი ყოველდღიურად საკმარისი რაოდენობით მიეწოდება სკოლას. წყლის გაწმენდა სკოლაში არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, შემომავალი წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ. წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს სკოლასთან ახლოს მდებარე წყაროს წყალი. სასმელი წყლის წერტილები ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის. არცერთ მოსწავლეს არ მოაქვს წყალი სახლიდან და პირდაპირ ონკანიდან სვამს (მხოლოდ უმცროსი ასაკის მოსწავლეებს აქვთ საკუთარი ჭიქები და ბოთლები).

სანიტარიული კვანძი მოწყობილია სკოლის შენობაში - „ჩასარეცხი“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 15 ერთეული გოგონებისათვის, 15 – ვაჟებისათვის და 1

საერთო – პედაგოგებისათვის. სანიტარიული კვანძი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე და ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკის მოსაწავლეებისათვის. შეფასების დღეს ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. სკოლაში მოწყობილია 28 ხელსაბანი - ყველა საპირფარეშოში ფუნქციონირებს. ვიზიტის დღეს ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იდო საპონი, ხელსახოცი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ გაესაუბრება კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს. სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში არცერთ პედაგოგს არ გაუვლია და არც სკოლას არ მოეპოვება შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. მიმდინარე და გასულ სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთ შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ყოველდღე ცლიან მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე ყუთში. ვიზიტის დღეს სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში გამართულად ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა.

სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად, თუმცა ეს პროცესი სათანადო დონეზე არის უზრუნველყოფილი. დირექცია სკოლას მიიჩნევს სანიტარიული სისტემის გამართულობასა და შენარჩუნებაზე პასუხისმგებელ უწყებად – სკოლაში არსებული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ძირითად პრობლემას ჰიგიენის საკითხებთან მიმართებაში მოსწავლეთა ცნობიერების დაბალი დონე წარმოადგენს, ამიტომ მნიშვნელოვანია ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება და სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

კოთელიას საჯარო სკოლა

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კოთელიას სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 73 მოსწავლე (39 ვაჟი და 34 გოგონა). მათგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 22–ს (6 მამაკაცი და 16 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა არ მონაწილეობს WaSH-ის მხარდაჭერაში. დირექცია

ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს მომავალი წლის სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის პრიორიტეტებს მიეკუთვნება.

სკოლის ეზოში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის წყალი. არსებული წყლის რესურსი აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). შეფასების მომენტში წყლის მიწოდების წყარო ფუნქციონირებდა. წყლის გაწმენდა მის მოხმარებამდე არ ხდება, რადგან სკოლაში არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (თუმცა არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების არც სხვა ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი. დირექციის განცხადების მიხედვით, არცერთ მოსწავლეს არ მოაქვს წყალი სახლიდან, სკოლაში არსებულ წყალს კი მოსწავლეები პირდაპირ ონკანიდან სვამენ. წყლის სასმელი მოწყობილობა არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სულ არის საპირფარეშოს 3 ერთეული გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა - პედაგოგებისათვის. საპირფარეშო არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძებლობების მქონე მოსწავლეებზე. შეფასების დღეს მოსწავლეთა და პედაგოგთა საპირფარეშოებში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დაცული. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე დამლაგებელია პასუხისმგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 2 ხელსაბანი, რომელთაგან ერთი სანიტარიულ კვანძთან ახლოს არის მოწყობილი. ხელსაბანი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს ხელსაბანთან არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ გაესაუბრება კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს. სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში არცერთ პედაგოგს არ გაუვლია და არც სკოლას არ მოეპოვება შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. მიმდინარე და გასულ სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთ შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ყოველდღე ცლიან მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე ყუთში. ვიზიტის დღეს სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ნაწილობრივ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად მიაჩნია. ამ პროცესის სათანადო

დონეზე უზრუნველყოფა ვერ ხერხდება, რაც სისტემის შენარჩუნებისა და ოპერირების მწირ პრაქტიკასა და სათადარიგო ნაწილების დეფიციტს უკავშირდება. სანიტარიული სისტემის გამართულობასა და შენარჩუნებაზეც სკოლას ეკისრება პასუხისმგებლობა – ამ მხრივ მდგომარეობა ნაწილობრივ აკმაყოფილებს სანიტარიულ ნორმებს. სკოლაში WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე ძირითადი პრობლემა უკავშირდება მოსწავლეთა ცნობიერების დაბალ დონეს ჰიგიენის საკითხებთან მიმართებაში - ამ მხრივ მნიშვნელოვანია გაძლიერდეს სწავლება და სკოლას მიეწოდოს სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები.

კორხის საჯარო სკოლა

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კორხის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 63 მოსწავლე (30 ვაჟი და 33 გოგონა). მათგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 20–ს (2 მამაკაცი და 18 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა არ მონაწილეობს WaSH-ის მხარდაჭერაში. დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს მომავალი წლის სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის პრიორიტეტებს მიეკუთვნება.

სკოლის ეზოში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის წყალი. არსებული წყლის რესურსი აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). შეფასების მომენტში წყლის მიწოდების წყარო ფუნქციონირებდა. წყლის გაწმენდა მის მოხმარებამდე არ ხდება, რადგან სკოლაში არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების არც სხვა ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი. დირექციის განცხადების მიხედვით, მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, სკოლაში არსებულ წყალს კი მოსწავლეები პირდაპირ ონკანიდან სვამენ. წყლის სასმელი მოწყობილობა არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სულ არის საპირფარეშების 3 ერთეული გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა - პედაგოგებისათვის. საპირფარეშოს კიდევ ერთი ერთეული ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. შეფასების დღეს მოსწავლეთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საპირფარეშოებში მძიმე ანტისანიტარია დაგვხვდა, ხოლო პედაგოგთა საპირფარეშოში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დაცული. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე დამლაგებელი არის პასუხისმგებელი. ხელსაბანები ყველა საპირფარეშოთან არის მოწყობილი, თუმცა ძლიერი

ყინვის გამო არცერთი არ ფუნქციონირებს. ამჟამად მოქმედია მხოლოდ 1 ხელსაბანი, რომელიც მოწყობილია სანიტარიულ კვანძთან ახლოს. ხელსაბანი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს ხელსაბანთან იყო საპონი, ხელსახოცი კი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა დაახლოებით ნახევარი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ გაესაუბრება კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს. სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში არცერთ პედაგოგს არ გაუვლია და არც სკოლას არ მოეპოვება შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. მიმდინარე და გასულ სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთ შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარი ნარჩენები კვირაში ერთხელ გააქვთ და იქვე, სკოლის ტერიტორიასთან ახლოს წვავენ. ვიზიტის დღეს სანიტარიული ობიექტების უმეტესობა ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის დღეს პრობლემები არ დაფიქსირებულა.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად მიაჩნია. ამ პროცესის სათანადო დონეზე უზრუნველყოფა ვერ ხერხდება, რაც სისტემის შენარჩუნებისა და ოპერირების მწირ პრაქტიკასა და სათადარიგო ნაწილების დეფიციტს უკავშირდება. სანიტარიული სისტემის გამართულობასა და შენარჩუნებაზეც სკოლას ეკისრება პასუხისმგებლობა – მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი არც საპირფარეშოებში სანიტარიულ–ჰიგიენური ნორმების დაცვის და არც ნარჩენების უტილიზაციის თვალსაზრისით. სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, ამიტომ დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე.

მაჭატიას საჯარო სკოლა

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ მაჭატიას სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 72 მოსწავლე (42 ვაჟი და 30 გოგონა). მათგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 11–ს (9 მამაკაცი და 2 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა არ მონაწილეობს WaSH-ის მხარდაჭერაში. დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს მომავალი წლის სკოლის განვითარების გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის პრიორიტეტებს მიეკუთვნება.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას ყოველდღიურად და შეზღუდული რაოდენობით მიეწოდება. არსებული წყლის რესურსი ვერ აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). შეფასების მომენტში წყლის მიწოდების წყარო ფუნქციონირებდა. წყლის გაწმენდა მის მოხმარებამდე არ ხდება, რადგან სკოლაში არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების არც სხვა ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი. დირექციის განცხადების მიხედვით, მოსწავლეებს არ მოაქვთ წყალი სახლიდან და პირდაპირ შადრევნიდან სვამენ. შადრევანი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სულ არის საპირფარეშოს 4 ერთეული გოგონებისათვის და 4 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო არა აქვთ. (მართალია, მათთვის ცალკე არის გამოყოფილი სანიტარიული კვანძი, მაგრამ ამჟამად დაკეტილია და საკუჭნაოდ გამოიყენება). მოქმედი საპირფარეშო არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოში მძიმე ანტისანიტარია იყო. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ 1 ხელსაბანი, რომელიც სანიტარიული კვანძიდან მოშორებით არის მოწყობილი. ხელსაბანი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. ვიზიტის დღეს ხელსაბანთან არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ თითქმის არცერთი მოსწავლე არ იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ გაესაუბრება კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს. სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში არცერთ პედაგოგს არ გაუვლია და არც სკოლას არ მოეპოვება შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. მიმდინარე და გასულ სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთ შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარი ნარჩენები კვირაში ერთხელ გააქვთ და იქვე, სკოლის ტერიტორიასთან ახლოს წვავენ. ვიზიტის დღეს სანიტარიული ობიექტების უმეტესობა ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის დღეს პრობლემები არ დაფიქსირებულა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. ამ პროცესის სათანადო დონეზე უზრუნველყოფა ვერ ხერხდება, რაც სისტემის შენარჩუნებისა და ოპერირების მწირ პრაქტიკასთან ერთად, მის ცუდ პროექტირებასა დაამორტიზებას უკავშირდება. დირექცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

მიიჩნევს სანიტარიული სისტემის გამართულობასა და შენარჩუნებაზე პასუხისმგებელ უწყებად, მაგრამ ამ მხრივ არსებული მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი არც საპირფარეშოებში სანიტარიულ–ჰიგიენური ნორმების დაცვის და არც ნარჩენების უტილიზაციის თვალსაზრისით. სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, ამიტომ დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე.

მოდეგამის საჯარო სკოლა

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ მოდეგამის სკოლა წარმოადგენს არასრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა მხოლოდ 13 მოსწავლე (9 ვაჟი და 4 გოგონა). მათგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა ოდნავ ჩამორჩება მოსწავლეთა რიცხვს და შეადგენს 11–ს (9 მამაკაცი და 2 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და არ არსებობს სკოლის განვითარების გეგმა. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლის ადმინისტრაცია შეძლებისდაგვარად, მათ ხელთ არსებული რესურსებიდან გამომდინარე, ზრუნავენ WaSH-ის საკითხების მოგვარებაზე.

სკოლაში ყოველდღიურად მიედინება შეზღუდული რაოდენობით დაცული წყაროს წყალი. არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების არც სხვა ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან არსებული წყაროს წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეებს არ მოაქვთ წყალი სახლიდან და პირდაპირ ონკანიდან სვამენ.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური, რომელიც მხოლოდ 1 ერთეულისაგან შედგება და საერთო სარგებლობისათვის არის განკუთვნილი. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოებში მძიმე ანტისანიტარია იყო. აღსანიშნავია, რომ სკოლის ტერიტორია არ არის შემოღობილი და სკოლაში არსებული საპირფარეშო ოთახით სოფლის მოსახლეობაც სარგებლობს. სკოლაში ფუნქციონირებს 1 ხელსაბანი, რომელიც მოწყობილია სანიტარიულ კვანძთან. ამ შემთხვევაშიც, სოფლის მოსახლეობა ონკანს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებს. ხელსაბანი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს ხელსაბანთან არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ გაესაუბრება კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს. სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში არცერთ პედაგოგს არ გაუვლია და არც სკოლას არ მოეპოვება შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. მიმდინარე და გასულ სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთ შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარი ნარჩენები კვირაში ერთხელ გააქვთ და იქვე, სკოლის ტერიტორიასთან ახლოს წვავენ. ვიზიტის დღეს სანიტარიული ობიექტების შეფასება შეუძლებელი იყო. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში ნაწილობრივ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის დღეს გარკვეული პრობლემები დაფიქსირდა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. ამ პროცესის სათანადო დონეზე უზრუნველყოფა ვერ ხერხდება, რაც გაურკვეველ პასუხისმგებლობასთან ერთად, სისტემის ცუდ პროექტირებასა და სათადარიგო ნაწილების დეფიციტსაც უკავშირდება. სანიტარიული სისტემის გამართულობასა და შენარჩუნებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. ასეთი სავალალო მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია ის არის, რომ სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, ამიტომ დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე.

ახალციხის მუნიციპალიტეტი

ვალეს N3 საჯარო სკოლა

ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეს N3 სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა მხოლოდ 30 მოსწავლე (17 ვაჟი და 13 გოგონა). მათგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 22–ს (3 მამაკაცი და 19 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებით არ არის დაინტერესებულა. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს მომავალი წლის გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც შესაბამისად აისახება სამოქმედო გეგმაში.

სკოლის შენობაში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც რეზრევრუარში გროვდება და შეზღუდულად შეზღუდულად მიეწოდება სკოლას. არსებული წყლის რესურსი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს

ჩასარეცხად და ა.შ.). წყლის გაწმენდა მის მოხმარებამდე არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, არსებული წყალი უსაფრთხოა სასმელად (თუმცა ლაბორატორიულად შემოწმებული არ არის). დირექციის განცხადების მიხედვით, მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს და სასმელად პლასტმასის (PET) ბოთლებს იყენებენ.

სკოლის შენობაში მოწყობილია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სულ არის საპირფარეშოს 1 ერთეული გოგონებისათვის და 1 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. სკოლაში ფუნქციონირებს 2 ხელსაბანი, რომელთაგან ერთ-ერთი საპირფარეშოსთან ახლოს არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ყველა ხელსაბანთან იყო როგორც წყალი და საპონი, ასევე – ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების უმეტესი ნაწილი არ იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ გაესაუბრება კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს. სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში არცერთ პედაგოგს არ გაუვლია და არც სკოლას არ მოეპოვება შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. მიმდინარე და გასულ სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთ შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს კვირაში ორჯერ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ყუთში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ნაწილობრივ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში გარკვეული პრობლემები დაფიქსირდა.

სკოლის დირექცია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. ამ პროცესის სათანადო დონეზე უზრუნველყოფა ვერ ხერხდება, რაც შეფასების მომენტშიც დადასტურა. მუნიციპალური სამსახური მიიჩნევა სანიტარიული სისტემის გამართულობასა და შენარჩუნებაზე პასუხისმგებელ უწყებად – ამ ფუნქციის შესრულება ნაწილობრივ ხერხდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, ამიტომ დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე.

ზიკილიის საჯარო სკოლა

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ზიკილიაში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 106 მოსწავლე (50 ვაჟი და 56 გოგონა). მათგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 18–ს (6 მამაკაცი და 12 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც სხვა თემებთან ერთად წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებზეც მუშაობს. სკოლის ადმინისტრაციისაგან ვერ მივიღეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად ახდენს სკოლის დირექცია თვითშეაფასებას და რამდენად ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. თუმცა დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას შეზღუდულად მიეწოდება. არსებული წყლის რესურსი ვერ აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). შეფასების მომენტში სკოლაშო წყლის მიწოდების წყარო ფუნქციონირებდა. სკოლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ადმინისტრაცია იყენებს წყლის დისპენსერებს, რომელიც დადგმულია სკოლის შენობაში. წყლის გაწმენდა მის მოხმარებამდე არ ხდება, რადგან სკოლაში არ არის არც ფილტრები და არც გამწმენდი ქიმიური საშუალებები. დირექციის განცხადების მიხედვით, მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და სასმელად ერთჯერადი მოხმარების ჭურჭელს იყენებენ.

სკოლის ეზოში (თუმცა არ მდებარეობს შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო. სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის, 1 – ვაჟებისათვის და 1 საერთო - პედაგოგებისათვის. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. სკოლაში ფუნქციონირებს 4 ხელსაბანი, რომელთაგან სამი საპირფარეშოებთან ახლოს არის მოწყობილი. ვიზიტის დღეს ხელსაბანებთან იყო როგორც წყალი და საპონი, ასევე – ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების უმეტესი ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ გაესაუბრება კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს. სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში არცერთ პედაგოგს არ გაუვლია და არც სკოლას არ მოეპოვება შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. მიმდინარე და გასულ სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთ შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს ყოველდღიურად ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ყუთში, თუმცა შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია, ძირითადად, უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ნაწილობრივ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის დღეს გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა ამ პროცესის სათანადო დონეზე უზრუნველყოფა მხოლოდ ნაწილობრივ არის შესაძლებელი. სანიტარიული სისტემის გამართულობასა და შენარჩუნებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – ამ ფუნქციის შესრულებას სკოლა მეტ-ნაკლებად წარმატებით ართმევს თავს. მთავარი პრობლემა უკავშირდება იმ ფაქტს, რომ სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა და შედარებით დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH–ის საკითხებთან მიმართებაში.

საყუნეთის საჯარო სკოლა

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ საყუნეთში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 62 მოსწავლე (32 ვაჟი და 30 გოგონა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 19–ს (6 მამაკაცი და 13 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი, რომელიც გარკვეულწილად მონაწილეობს WaSH–ის მხარდაჭერაში. მოქმედია მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებით არ ინტერესდება. სკოლის დირექცია ყოველწლიურად სასწავლო წლის ბოლოს ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს მომავალი წლის გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლისათვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც შესაბამისად აისახება სამოქმედო გეგმაში.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას შეზღუდულად მიეწოდება, თუმცა შეფასების მომენტში სკოლაში წყალი არ მოდიოდა. არსებული წყლის რესურსი ვერ აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.), ამიტომ სკოლის ადმინისტრაცია იყენებს წყლის დისპენსერებს, რომელიც სკოლის შენობაშია მოწყობილი. წყლის გაწმენდა მის მოხმარებამდე არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, არსებული წყალი უსაფრთხოა სასმელად (თუმცა არ არის ლაბორატორიულად შემოწმებული). დირექციის განცხადების მიხედვით, მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და სასმელად ერთჯერადი მოხმარების ჭურჭელს იყენებენ.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო. სულ არის საპირფარეშოს 1 ერთეული გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 1 საერთო - პედაგოგებისათვის. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. შეფასების დღეს ყველა საპირფარეშოში ანტისანიტარიული მდგომარეობა იყო. განსაკუთრებით მძიმე ანტისანიტარია მოსწავლეთა საპირფარეშოებში დაგვხვდა. სკოლაში ფუნქციონირებს 2 ხელსაბანი, მათგან არცერთი არ არის მოწყობილი საპირფარეშოსთან ან მასთან ახლოს. ვიზიტის დღეს ხელსაბანებთან არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების უმეტესი ნაწილი არ იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ გაესაუბრება კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს. სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში არცერთ პედაგოგს არ გაუვლია და არც სკოლას არ მოეპოვება შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს შესაბამისი მედიკამენტებიც დაურიგდათ.

მყარ ნარჩენებს ყოველდღიურად ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ყუთში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ნაწილობრივ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში გარკვეული პრობლემები დაფიქსირდა.

სკოლის დირექცია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა ამ პროცესის სათანადო დონეზე უზრუნველყოფა ვერ ხერხდება, რაც შეფასების მომენტშიც დადასტურა. ანალოგიურად, მუნიციპალური სამსახური მიიჩნევა სანიტარიული სისტემის გამართულობასა და შენარჩუნებაზე პასუხისმგებელ უწყებად. ამ ფუნქციის შესრულებაც ნაწილობრივ ხერხდება, რაც, ძირითადად, სკოლაში არსებულ დაბალ სანიტარიულ კულტურას უკავშირდება. სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, ამიტომ დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH–ის საკითხებთან მიმართებთან მიმართებაში.

ღრელის საჯარო სკოლა

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა მხოლოდ 26 მოსწავლე (19 ვაჟი და 7 გოგონა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების

რაოდენობა შეადგენს 14–ს (3 მამაკაცი და 11 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს არც მოსწავლეთა თვითმმართველობა და არც რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. სკოლის დირექცია ყოველწლიურად სასწავლო წლის ბოლოს ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს მომავალი წლის გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები მათთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს და CENN-თან აქტიური თანამშრომლობის სურვილი აქვთ.

სკოლის შენობაში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას შეზღუდული რაოდენობით მიეწოდება. შეფასების მომენტში სკოლაში წყალი არ მოდიოდა. შესაბამისად, არსებული წყლის რესურსი ვერ აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). მართალია, სკოლაში დამონტაჟებულია რეზერვუარი, მაგრამ ის არ არის სათანადოდ დახურული, ამავე დროს, ნაწილობრივ დაზიანებულია და წყალს აპარებს. წყლის გაწმენდა მის მოხმარებამდე არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, გამოყენების მიზნით სკოლაში არსებული წყალი უსაფრთხოა (თუმცა ლაბორატორიულად შემოწმებული არ არის). სკოლას აქვს წყლის დისპენსერი, რომელიც შენობის შესასვლელში დგას. მოსწავლეების ნაწილს წყალი მაინც მოაქვს სახლიდან პლასტმასის ბოთლებით.

სკოლის ეზოში (თუმცა არა 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 2 ერთეული გოგონებისათვის და 2 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ, თუმცა სანიტარიული კვანძის ერთი ერთეული ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე (სავარაუდოდ, პედაგოგები სარგებლობენ, რადგან შშმ მოსწავლე სკოლაში არ ჰყავთ). შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეული სუფთა იყო. სკოლაში მოწყობილია 5 ხელსაბანი, თუმცა მათგან მხოლოდ 1 ფუნქციონირებს. ვიზიტის დღეს ხელსაბანებთან იყო საპონი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების უმეტესი ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ გაესაუბრება კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს. სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში არცერთ პედაგოგს არ გაუვლია და არც სკოლას არ მოეპოვება შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. მიმდინარე და გასულ სასწავლო წლებში სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს შესაბამისი მედიკამენტებიც დაურიგდათ.

მყარ ნარჩენებს ყოველდღიურად ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელში, ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. შეფასების

მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში პრობლემები არ დაფიქსირებულა.

სკოლის დირექცია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა ამ პროცესის სათანადო დონეზე უზრუნველყოფა ვერ ხერხდება, რადგან ზუსტად არ არის განსაზღვრული პასუხისმგებლობები და სკოლაში წყლის სისტემის ოპერირებისა და შენარჩუნების საკმაოდ მწირი პრაქტიკა არსებობს. შესაბამისად, არსებული წყლის რესურსი სკოლის საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებს. ანალოგიურად, მუნიციპალური სამსახური მიიჩნევა სანიტარიული სისტემის გამართულობასა და შენარჩუნებაზე პასუხისმგებელ უწყებად – ამ ფუნქციის შესრულებაც ნაწილობრივ ხერხდება. სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, ამიტომ დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH–ის საკითხებთან მიმართებაში, რაც შეფასების მომენტშიც დადასტურდა.

წყალთბილას საჯარო სკოლა

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალთბილაში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 106 მოსწავლე (ვაჟებისა და გოგონების რიცხვის ზუსტად დადგენა ვერ მოხერხდა). მათგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 26–ს (8 მამაკაცი და 18 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა WaSH-ის მხარდაჭერაში არ მონაწილეობს. სკოლის დირექცია ყოველწლიურად სასწავლო წლის ბოლოს ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს მომავალი წლის გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები მათთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის შენობაში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის წყალი, რომელიც სკოლას შეზღუდული რაოდენობით მიეწოდება და არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლაში დამონტაჟებულია რეზერვუარი და დგას წყლის დისპენსერები. წყლის გაწმენდა მის მოხმარებამდე არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში არსებული წყალი გამოყენების მიზნით უსაფრთხოა (არ არის ლაბორატორიულად შემოწმებული). მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს (პლასტმასის ბოთლებით), ნაწილი კი პირდაპირ ონკანიდან სვამს.

სანიტარიული კვანძი მოწყობილია სკოლის შენობაში - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით და ჩასარეცხი საპირფარეშო. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 2 ერთეული გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 1 საერთო – პედაგოგებისათვის. სანიტარიული კვანძი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე და ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკის მოსაწავლეებისათვის. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეული სუფთა იყო. სკოლაში მოწყობილია 4 ხელსაბანი, რომელთაგან 2 საპირფარეშოში ფუნქციონირებს. ვიზიტის დღეს ხელსაბანების მხოლოდ ნაწილში იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების დაახლოებით ნახევარი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

დაკვირვებისა და მენეჯერთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, არცერთ პედაგოგს არა აქვს გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ არის ხელმისაწვდომი. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს მედიკამენტები დაურიგდათ.

მყარ ნარჩენებს ყოველდღიურად ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ყუთში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია, ძირითადად, უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, რაც იწვევს სკოლის შენობაში წყლის დაგროვებას.

სკოლის დირექციას წყალმომარაგების მუნიციპალური სამსახური მიაჩნია წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად – ეს პროცესი სათანადო დონეზე არის უზრუნველყოფილი. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე შესაბამისი მუნიციპალური სამსახური მიიჩნევა პასუხისმგებელ უწყებად – სკოლაში არსებული მდგომარეობა მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელია. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის საკითხების სწავლება. მოსწავლეთა ცნობიერების დონე WaSH–ის საკითხებთან მიმართებაში არ არის დამაკმაყოფილებელი, რაც შეფასების მომენტში მათ ქცევაზე დაკვირვებისას ნათლად გამოჩნდა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი

დვირის საჯარო სკოლა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დვირის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 70 მოსწავლე (34 გოგონა და 36 ვაჟი), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 21–ს (1 მამაკაცი და 20 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ჩართულია WASH–ის მხარდაჭერაში. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს მომავალი წლის გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები გეგმის პრიორიტეტებს მიეკუთვნება.

სკოლის შენობაში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის წყალი, რომელიც სკოლას საკმარისი რაოდენობით მიეწოდება და გამოიყენება როგორც სასმელად, ასევე ხელების დასაბანად და საპირფარეშოს ჩასარეცხად. წყლის გაწმენდა სკოლაში არ ხდება, რადგან შემომავალი წყალი გამოყენების მიზნით უსაფრთხოდ არის მიჩნეული (პერსონალის სუბიექტური აზრით). სკოლაში შემომავალი წყალი სათანადოდ დახურულ და მოვლილ რეზერვუარში გროვდება. სასმელი წყლის წერტილები ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკის მოსწავლეებისათვის და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. არცერთ მოსწავლეს არ მოაქვს წყალი სახლიდან, ხოლო სკოლაში ერთჯერადი მოხმარების ჭურჭელს იყენებს.

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ჩასარეცხი“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 2 ერთეული გოგონებისათვის და 2 – ვაჟებისათვის. შეფასების დღეს ორივე საპირფარეშო სუფთა იყო. პედაგოგებისათვის ცალკე საპირფარეშო არ ფუნქციონირებს. გოგონებისა და ვაჟების საპირფარეშოების თითო-თითო ერთეული ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. სკოლაში ფუნქციონირებს 4 ხელსაბანი, მათგან 2 მოწყობილია სანიტარიულ კვანძში. ხელსაბანების ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს ხელსაბანებთან იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების მხოლოდ ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ გაესაუბრება კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს. სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში არცერთ პედაგოგს არ გაუვლია და არც სკოლას არ მოეპოვება შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. მიმდინარე და გასულ სასწავლო წლებში სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს შესაბამისი მედიკამენტებიც დაურიგდათ.

მყარ ნარჩენებს კვირაში ორჯერ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ყუთში. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია,

ძირითადად, უსაფრთხოდ ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში პრობლემები არ დაფიქსირებულა.

სკოლის დირექცია წყალმომარაგების მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად და, ითვლება, რომ სკოლაში ეს პროცესი სათანადო დონეზე არის უზრუნველყოფილი. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც შესაბამისი მუნიციპალური სამსახური მიიჩნევა პასუხისმგებელ უწყებად. რეკომენდებულია პედაგოგებისათვის ცალკე საპირფარეშო ოთახის მოწყობა. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სკოლაში ჰიგიენის საკითხების სწავლება, რადგან მოსწავლეთა ცნობიერების დონე აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში არ არის დამაკმაყოფილებელი, რაც შეფასების მომენტშიც დადასტურდა.

ყვიბისის საჯარო სკოლა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვიბისში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 156 მოსწავლე (გოგონებისა და ვაჟების რაოდენობის დაზუსტება ვერ მოხერხდა). მათგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 22–ს (2 მამაკაცი და 20 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არ არის ჩართული WASH–ის მხარდაჭერაში. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს მომავალი წლის გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები გეგმის პრიორიტეტებს მიეკუთვნება და სკოლის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს სანიტარიულ-ჰიგიენური სტანდარტების სათანადო დონეზე შესანარჩუნებლად.

სკოლის შენობაში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის წყალი, რომელიც სკოლას საკმარისი რაოდენობით მიეწოდება და გამოიყენება როგორც სასმელად, ასევე ხელების დასაბანად და საპირფარეშოს ჩასარეცხად. წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან სკოლაში არა აქვთ არც ფილტრები და არც გამწმენდი საშუალებები. საგანგებო შემთხვევების დროს (მაგალითად, როდესაც მილებში წყალი იყინება) წყალს სოფლიდან ეზიდებიან. სკოლაში არ არის სასმელი წყლის რეზერვუარი. წყლის წერტილები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით.

სკოლის შენობაში განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 2 ერთეული

გოგონებისათვის და 1 – ვაჟებისათვის. შეფასების დღეს ორივე საპირფარეშო სუფთა იყო. პედაგოგებისათვის ცალკე საპირფარეშო არ ფუნქციონირებს. საპირფარეშოს არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. სკოლაში ფუნქციონირებს 4 ხელსაბანი, მათგან 3 სანიტარიულ კვანძშია მოწყობილი. ხელსაბანები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იდო საპონი, მაგრამ ხელსახოცი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების მხოლოდ ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ გაესაუბრება კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს. სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში არცერთ პედაგოგს არ გაუვლია და არც სკოლას არ მოეპოვება შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. მიმდინარე და გასულ სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს კვირაში ორჯერ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ყუთში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია, ძირითადად, უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში პრობლემები არ დაფიქსირებულა.

სკოლის დირექცია წყალმომარაგების მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად და, ითვლება, რომ სკოლაში ეს პროცესი სათანადო დონეზე არის უზრუნველყოფილი. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლაში სამეურნეო საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირი მიიჩნევა. ამ მხრივ, რეკომენდებულია პედაგოგებისათვის ცალკე საპირფარეშო ოთახის მოწყობა. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სკოლაში ჰიგიენის საკითხების სწავლება, რადგან მოსწავლეთა ცნობიერების დონე აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში არ არის დამაკმაყოფილებელი, რაც შეფასების მომენტშიც დადასტურდა.

ციხისჯვარის საჯარო სკოლა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისჯვარში ფუნქციონირებს არასრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა მხოლოდ 31 მოსწავლე (12 გოგონა და 19

ვაჟი). მათგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 12–ს (2 მამაკაცი და 10 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არ არის ჩართული WASH–ის მხარდაჭერაში. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს მომავალი წლის გეგმას. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის უპირველესი პრიორიტეტია.

სკოლის შენობაში წყლის მიწოდების ძირითად საშუალებას წარმოადგენს ადგილობრივი რეზერვუარის წყალი, რომელიც გამოიყენება სასმელად, ხელების დასაბანად და საპირფარეშოს ჩასარეცხად. სკოლას წყალი ყოველდღიურად და საკმარისი რაოდენობით მიეწოდება. წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან სკოლაში არსებული წყალი, პერსონალის სუბიექტური აზრით, მიჩნეულია უსაფრთხოდ. წყლის წერტილები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტამსის (PET) ბოთლებით.

სკოლის შენობაში განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშების 3 ერთეული გოგონებისათვის და 3 – ვაჟებისათვის. შეფასების დღეს ყველა საპირფარეშო სუფთა იყო. პედაგოგებისათვის ცალკე საპირფარეშო არ ფუნქციონირებს. საპირფარეშოს არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. სკოლაში ფუნქციონირებს 12 ხელსაბანი, რომელთაგან 2 სანიტარიულ კვანძშია მოწყობილი. აღსანიშნავია, რომ ყველა საკლასო ოთახს საკუთარი ხელსაბანი აქვს. ხელსაბანების ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს ყველა ხელსაბანთან იყო როგორც წყალი, ასევე საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების უმეტესი ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა, ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ გაესაუბრება კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს. სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში არცერთ პედაგოგს არ გაუვლია და არც სკოლას არ მოეპოვება შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. მიმდინარე და გასულ სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს კვირაში ორჯერ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ყუთში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია, ძირითადად, უსაფრთხოდ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში პრობლემები არ დაფიქსირებულა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად – ითვლება, რომ ეს პროცესი სათანადო დონეზე არ არის უზრუნველყოფილი. მთავარ პრობლემას ზამთრის განმავლობაში წყლის მილების გაყინვა წარმოადგენს. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. აღსანიშნავია, რომ დამლაგებლებთან ერთად მოსწავლეები იზიარებენ პასუხისმგებლობას სანიტარიული კვანძების სისუფთავეზე, რაც საქართველოს სკოლებში დიდ იშვიათობას წარმოადგენს. WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლება, ამიტომ მნიშვნელოვანია მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი

გორელოვკას N1 საჯარო სკოლა

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკას N1 სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 39 მოსწავლე (17 ვაჟი და 22 გოგონა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 17–ს (3 მამაკაცი და 14 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა ის არ მონაწილეობს WaSH-ის მხარდაჭერაში. დირექციას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გეგმა და ახდენს ყოველწლიურ თვითშეფასებას. დირექტორის განცხადების მიხედვით, წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლას მილსადენის მეშვეობით ყოველდღიურად მიეწოდება საკმარისი რაოდენობის წყალი (სასმელად და სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის). წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში არსებული წყალი უსაფრთხოა (თუმცა ლაბორატორიულად შემოწმებული არ არის). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების არც სხვა ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით. სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 3 ერთეული გოგონებისათვის და 3 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები

უხეშად იყო დარღვეული. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ 1 ხელსაბანი და ისიც დაშორებულია სანიტარიულ კვანძს. ვიზიტის დღეს ხელსაბანში მოდიოდა წყალი, იქვე იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება, ამიტომ იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და არც სათანადო საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვებათ. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან კვირაში ერთხელ გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც პირდაპირ სკოლის ტერიტორიაზე მოწყობილ ნაგავსაყრელზე ყრიან. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში ნაწილობრივ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიაზე გამოყენებული წყლები გროვდება.

დირექცია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. ეს პროცესი არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი, რადგან მთავარ პრობლემას დაძველებული სისტემა წარმოადგენს. დირექცია სკოლას მიიჩნევს სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანი დარღვევები დაფიქსირდა: საპირფარეშოში უხეშად არის დარღვეული სანიტარიული ნორმები და მყარი ნარჩენების უტილიზაციაც არ ხდება უსაფრთხოდ. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდა გამომიდნარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საერთოდ უგულვებელყოფილია ჰიგიენის საკითხების სკოლაში სწავლება, რაც მოსწავლეთა ქცევაზე საკმაოდ უარყოფითად აისახება. აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

დიდი ხანჩალის საჯარო სკოლა

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ხანჩალში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 167 მოსწავლე (100 ვაჟი და 67 გოგონა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 35–ს (5 მამაკაცი და 30 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა ის არ მონაწილეობს WaSH-ის მხარდაჭერაში. დირექციას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გეგმა და ახდენს ყოველწლიურ თვითშეფასებას.

დირექტორის განცხადების მიხედვით, წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლას მილსადენის მეშვეობით ყოველდღიურად მიეწოდება საკმარისი რაოდენობის წყალი (სასმელად და სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის). წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში არსებული წყალი უსაფრთხოა (თუმცა ლაბორატორიულად შემოწმებული არ არის). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების არც სხვა ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი. მოსწავლეებს არ მოაქვთ წყალი სახლიდან და სკოლაში არსებულ წყალს პირდაპირ ონკანიდან სვამენ. სასმელი წყლის მოწყობილობები ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) მოსწავლეებისათვის მოწყობილია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის საპირფარეშების 1 ერთეული გოგონებისათვის და 1 – ვაჟებისათვის. პედაგოგების საპირფარეშოს 2 ერთეული სკოლის შენობაშია მოწყობილი (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს მოსწავლეთა საპირფარეშების ყველა ერთეულში უხეშად იყო დარღვეული სანიტარიული ნორმები, მძიმე ანტისანიტარია დაგვხვდა, პედაგოგების საპირფარეშო კი სუფთა იყო. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ 2 ხელსაბანი, რომელთაგან ერთი პედაგოგების საპირფარეშოშია მოწყობილი და, შესაბამისად, მოსწავლეები ვერ სარგებლობენ. მეორე კი დაშორებულია მოსწავლეთა სანიტარიულ კვანძს. ვიზიტის დღეს ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იდო საპონი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების მხოლოდ ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, არ მოეპოვებათ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური გადამზადება აღნიშნულ საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლაში მყარი ნარჩენების უტილიზაციის პროცესი მნიშვნელოვან დარღვევებთან არის დაკავშირებული. სკოლის ეზო არ არის შემოღობილი, რის გამოც სანიტარიული კვანძის მიმდებარე ტერიტორია ნაგავსაყრელადაა გადაქცეული, სადაც მყარ ნარჩენებს სკოლის გარდა, მეზობლად მცხოვრები მოსახლეობაც ყრის. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში ნაწილობრივ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიაზე გამოყენებული წყლები გროვდება.

დირექცია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. ეს პროცესი არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი, რადგან მთავარ პრობლემას სისტემის ცუდი პროექტირება წარმოადგენს. მუნიციპალური სამსახური მიიჩნევა სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა ვიზიტის დღეს მნიშვნელოვანი დარღვევები დაფიქსირდა: მაგალითად, მოსწავლეთა საპირფარეშოში უხეშად იყო დარღვეული სანიტარიული ნორმები და სკოლის ტერიტორიაზე ღია ნაგავსაყრელი იყო მოწყობილი. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საერთოდ უგულვებელყოფილია სკოლაში ჰიგიენის საკითხების სწავლება, რაც მოსწავლეთა ქცევაზე საკმაოდ უარყოფითად აისახება. აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისთვის მიწოდება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანი დარღვევები დაფიქსირდა: საპირფარეშოში უხეშად არის დარღვეული სანიტარიული ნორმები და მყარი ნარჩენების უტილიზაციაც არ ხდება უსაფრთხოდ. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდა გამომიდნარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საერთოდ უგულვებელყოფილია ჰიგიენის საკითხების სკოლაში სწავლება, რაც მოსწავლეთა ქცევაზე საკმაოდ უარყოფითად აისახება. აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება, საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

მამწვარას საჯარო სკოლა

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ მამწვარაში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 65 მოსწავლე (31 ვაჟი და 34 გოგონა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 24–ს (4 მამაკაცი და 20 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა ის არ მონაწილეობს WaSH-ის მხარდაჭერაში. დირექციას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გეგმა და ახდენს ყოველწლიურ თვითშეფასებას. დირექტორის განცხადების მიხედვით, წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის შენობას მილსადენის მეშვეობით წყალი ყოველდღიურად, თუმცა შეზღუდული რაოდენობით მიეწოდება. წყლის არსებული რესურსი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად და სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის). წყლის

გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, ის უსაფრთხოა სასმელად (არ არის ლაბორატორიულად შემოწმებული). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. შენობაში განთავსებულია 3 მცირე ზომის რეზერვუარი, საიდანაც გამოყენებული წყლები მათ ქვემოთ მოთავსებულ სათლებში გროვდება. რეზერვუარის წყალი გამოიყენება როგორც სასმელად, ასევე ხელების დასაბანად. არცერთი რეზერვუარი არ არის სათანადოდ დახურული და მოვლილი (შესაბამისად, არსებობს სხვადასხვა ინფექციის გავრცელების საფრთხე). მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით. სკოლაში სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 3 ერთეული გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 4 ხელსაბანი – სანიტარიული კვანძისგან მოშორებით. ვიზიტის დღეს ხელსაბანების უმეტეს ნაწილში იყო წყალი და საპონი, ხოლო ხელსახოცი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების მხოლოდ მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, არ მოეპოვებათ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური გადამზადება აღნიშნულ საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან კვირაში ერთხელ გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც პირდაპირ სკოლის ტერიტორიაზე წვავენ. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არასრულად ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიაზე გამოყენებული წყლები გროვდება.

დირექცია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. ეს პროცესი არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი, რადგან მთავარ პრობლემას წარმოადგენს გაურკვეველი პასუხისმგებლობები, მოძველებული სისტემა და სათადარიგო ნაწილების დეფიციტი. შესაბამისად, არსებობს სკოლაში არსებული წყლის დაბინძურების მაღალი საფრთხე. მუნიციპალური სამსახური მიიჩნევა სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანი დარღვევები

დაფიქსირდა: მაგალითად, საპირფარეშოში უხეშად არის დარღვეული სანიტარიული ნორმები და მყარი ნარჩენების უტილიზაციაც არ ხდება უსაფრთხოდ. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდა გამომიდნარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საერთოდ უგულვებელყოფილია ჰიგიენის საკითხების სკოლაში სწავლება, რაც მოსწავლეთა ქცევაზე საკმაოდ უარყოფითად აისახება. აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

ფოკის საჯარო სკოლა

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოკაში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 261 მოსწავლე (174 ვაჟი და 87 გოგონა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 30–ს (4 მამაკაცი და 26 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა ის არ მონაწილეობს WaSH-ის მხარდაჭერაში. დირექციას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გეგმა და ახდენს ყოველწლიურ თვითშეფასებას. დირექტორის განცხადების მიხედვით, წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლას მილსადენის მეშვეობით ყოველდღიურად მიეწოდება საკმარისი რაოდენობის წყალი (სასმელად და სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის). წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში არსებული წყალი უსაფრთხოა (თუმცა ლაბორატორიულად შემოწმებული არ არის). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების არც სხვა ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი. მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და სკოლაში არსებულ წყალს სვამენ საზიარო ჭურჭლით (ჭიქებით). სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 3 ერთეული გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 1 – პედაგოგებისათვის (საერთო – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში უხეშად იყო დარღვეული სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ 2 ხელსაბანი, რომელიც დაშორებულია სანიტარიულ კვანძს. ვიზიტის დღეს ხელსაბანთან იყო როგორც წყალი, ასევე საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეები არ იბანენ ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, არ მოეპოვებათ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური გადამზადება აღნიშნულ საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან კვირაში ერთხელ გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც პირდაპირ სკოლის ტერიტორიაზე წვავენ. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით არ იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია სრულიად უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ გამოყენებული წყლები არ გროვდება სკოლის ტერიტორიაზე.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. ითვლება, რომ ეს პროცესი არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი, რადგან მთავარ პრობლემას მოძველებული სისტემა და ცუდი პროექტირება განაპირობებს. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად მუნიციპალური სამსახური მიიჩნევა, თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანი დარღვევები დაფიქსირდა: მაგალითად, საპირფარეშოში უხეშად არის დარღვეული სანიტარიული ნორმები. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდა გამომიდნარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საერთოდ უგულვებელყოფილია ჰიგიენის საკითხების სკოლაში სწავლება, რაც მოსწავლეთა ქცევაზე საკმაოდ უარყოფითად აისახება.

ჯიგარაშენის საჯარო სკოლა

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიგარაშენში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 107 მოსწავლე (54 ვაჟი და 53 გოგონა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 34–ს (4 მამაკაცი და 30 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არ მონაწილეობს WaSH-ის მხარდაჭერაში. დირექციას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გეგმა და ახდენს ყოველწლიურ თვითშეფასებას. დირექტორის განცხადების მიხედვით, წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლას მილსადენის მეშვეობით ყოველდღიურად მიეწოდება საკმარისი რაოდენობის წყალი (სასმელად და სანიტარიულ-ჰიგიენური მიზნებისათვის). წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში არსებული წყალი გამოყენების მიზნით უსაფრთხოა (თუმცა ლაბორატორიულად შემოწმებული არ არის). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და

სკოლაში არსებულ წყალს სვამენ საზიარო ჭურჭლით (ჭიქებით). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

სკოლის შენობაში განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 2 ერთეული გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 1 – პედაგოგებისათვის (საერთო – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები უხეშად იყო დარღვეული. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ 1 ხელსაბანი და ისიც დაშორებულია სანიტარიულ კვანძს. ვიზიტის დღეს ხელსაბანთან იყო როგორც წყალი, ასევე საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეები ხელებს არ იბანენ საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, არ მოეპოვებათ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური გადამზადება აღნიშნულ საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან კვირაში ერთხელ გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც პირდაპირ სკოლის ტერიტორიაზე წვავენ. შეფასების მომენტში ზუსტად ვერ გაირკვა, თუ რამდენად იყო სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ გამოყენებული წყლები არ გროვდება სკოლის ტერიტორიაზე.

დირექცია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. ეს პროცესი არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი, რადგან მთავარ პრობლემას მოძველებული სისტემა წარმოადგენს. მუნიციპალური სამსახური მიიჩნევა სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანი დარღვევები დაფიქსირდა: მაგალითად, საპირფარეშოში უხეშად არის დარღვეული სანიტარიული ნორმები და მყარი ნარჩენების უტილიზაციაც არ ხდება უსაფრთხოდ. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდა გამომიდნარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საერთოდ უგულვებელყოფილია ჰიგიენის საკითხების სკოლაში სწავლება, რაც მოსწავლეთა ქცევაზე საკმაოდ უარყოფითად აისახება. აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება, საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

ქვემო ქართლის რეგიონი

მარნეულის მუნიციპალიტეტი

ბაითალოს საჯარო სკოლა

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაითალოში ფუნქციონირებს არასრული საჯარო სკოლა (ID 234223113). შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 43 მოსწავლე (18 ვაჟი და 25 გოგონა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 20–ს (12 მამაკაცი და 8 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს არც მოსწავლეთა თვითმმართველობა და არც რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. დირექციას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გეგმა და ახდენს ყოველწლიურ თვითშეფასებას. დირექტორის განცხადების მიხედვით, წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლას მიეწოდება დაუცველი წყაროს წყალი, თუმცა საკმაოდ შეზღუდული რაოდენობით. შეფასების მომენტში წყლის მიწოდების წყარო არ ფუნქციონირებდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მდგომარეობა თითქმის ერთი თვეა, რაც გრძელდება, შესაბამისად, არსებული წყლის რესურსი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და .აშ.). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული წყარო. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, ფილტრებისა და გამწმენდი საშუალებების დეფიციტის გამო. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და პირდაპირ ონკანიდან სვამენ.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში)განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ არის 1 საპირაფრეშო გოგონებისათვის და 1 – ვაჟებისათვის (ორივე ნაწილობრივ ფუნქციონირებს). პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშს ყველა ერთეულში მძიმე ანტისანიტარია იყო. სკოლაში ფუნქციონირებს 1 ხელსაბანი, რომელიც მოწყობილია სანიტარიულ კვანძთან, თუმცა იქ ხელებს არავინ არ იბანს. ხელსაბანი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძებლობების მქონე მოსწავლეებზე. ვიზიტის დღეს ხელსაბანთან არ იყო არც წყალი, არც საპონი და არც ხელსახოცი.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, არ მოეპოვებათ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი

სპეციალური გადამზადება აღნიშნულ საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან თვეში ერთხელ ან ორჯერ გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც პირდაპირ სკოლის ტერიტორიასთან მოწყობილ ნაგავსაყრელზე ყრიან. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ გამოყენებული წყლები სკოლის ტერიტორიაზე გროვდება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. ეს პროცესი სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი, რადგან მთავარ პრობლემას ქმნის მოძველებული სისტემა წარმოადგენს. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა: საპირფარეშოში ვერ ხერხდება სანიტარიული ნორმების დაცვა და არც მყარი ნარჩენების უტილიზაცია არ ხდება უსაფრთხოდ. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდა გამომიდნარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საერთოდ უგულვებელყოფილია ჰიგიენის საკითხების სკოლაში სწავლება, რაც მოსწავლეთა ქცევაზე საკმაოდ უარყოფითად აისახება. აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

ცოფის საჯარო სკოლა

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოფში ფუნქციონირებს არასრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 75 მოსწავლე (47 ვაჟი და 28 გოგონა), რომელთაგან ერთი ვაჟი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 27–ს (4 მამაკაცი და 23 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. გამოკითხული პედაგოგის განცხადების მიხედვით, ზუსტად არ იციან, ტარდება თუ არა სკოლაში ყოველწლიური თვითშეფასება ან, საერთოდ, აქვს თუ არა დირექციას სკოლას განვითარების გეგმა.

სკოლის ეზოში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის შეზღუდული რაოდენობით წყალი, რომელიც სკოლას განსაზღვრული გრაფიკით მიეწოდება. შესაბამისად, არსებული წყლის რესურსი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშს ჩასარეცხად და .აშ.). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული წყარო. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, ფილტრებისა და გამწმენდი საშუალებების დეფიციტის გამო. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით, სკოლაში კი პირდაპირ ონკანიდან სვამენ.

სკოლის ეზოში (თუმცა შენობიდან არ არის დაშორებული 20-დან 100 მეტრამდე რადიუსით) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშოს ამორტიზებული ჯიხური. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის და 1 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში მძიმე ანტისანიტარია იყო. სკოლაში ფუნქციონირებს 1 ხელსაბანი, რომელიც მოშორებულია სანიტარიული კვანძიდან და იქ ხელებს არავინ არ იბანს. ხელსაბანი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს ხელსაბანთან არ იყო არც წყალი, არც საპონი და არც ხელსახოცი.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, არ მოეპოვებათ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური გადამზადება აღნიშნულ საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან თვეში ერთხელ ან ორჯერ გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც პირდაპირ სკოლის ტერიტორიასთან მოწყობილ ნაგავსაყრელზე ყრიან. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ გამოყენებული წყლები სკოლის ტერიტორიაზე გროვდება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. ეს პროცესი სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი, რადგან მთავარ პრობლემას მოძველებული სისტემა წარმოადგენს. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა: საპირფარეშო ამორტიზებულია, ამიტომ მასში ვერ ხერხდება სანიტარიული ნორმების დაცვა და არც მყარი ნარჩენების უტილიზაცია არ ხდება უსაფრთხოდ. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდა გამომიდნარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საერთოდ უგულვებელყოფილია ჰიგიენის საკითხების სკოლაში სწავლება, რაც მოსწავლეთა ქცევაზე საკმაოდ უარყოფითად აისახება. აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება, საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

ხოჯორნის საჯარო სკოლა

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოჯორნში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 70 მოსწავლე (29 ვაჟი და 41 გოგონა),

რომელთაგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 23–ს (5 მამაკაცი და 18 ქალი). სკოლაში ძალზე პასიურია მოსწავლეთა თვითმმართველობა, შესაბამისად, სანიტარია-ჰიგიენასთან დაკავშირებით არავითარი სახის საქმიანობა არ განუხორციელებიათ. დირექციას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გეგმა და ახდენს თვითშეფასებას. სკოლის განვითარების გეგმა არ ითვალისწინებს წყლისა და სანიტარიის საკითხებს.

სკოლის ეზოში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის შეზღუდული რაოდენობით წყალი, რომელიც სკოლას განსაზღვრული გრაფიკით მიეწოდება. ზოგადად, სოფელში არის წყლის მიწოდების პრობლემა, რაც სკოლის წყალმომარაგებაზეც შესაბამისად აისახება. ამდენად, არსებული წყლის რესურსი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და .აშ.). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული წყარო. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, ფილტრებისა და გამწმენდი საშუალებების დეფიციტის გამო. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის მოსწავლეებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ წყლის დალევა. მოსწავლეთა ნაწილს სახლიდან მოაქვს წყალი და პლასტმასის ბოთლებით სვამს.

სკოლის ეზოში (თუმცა შენობიდან არ არის დაშორებული 20-დან 100 მეტრამდე რადიუსით) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის, 1 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს ყველა საპირფარეშო ნაწილობრივ სუფთა იყო. სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ 1 ხელსაბანი, რომელიც მოწყობილია სანიტარიულ კვანძში (კედელზე ჩამოკიდებულია მცირე ზომის წყლის ავზი). ხელსაბანი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს არც ერთ ხელსაბანთან არ იყო არც წყალი, არც საპონი და არც ხელსახოცი.

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ისწავლება ჰიგიენა, როგორც ჯანსაღი ცხოვრების სწავლების სპეციალური მოდულის შემადგენელი ნაწილი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური გადამზადება ჰიგიენის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან ერთ კვირაზე ნაკლები სიხშირით გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც პირდაპირ სკოლის ტერიტორიასთან მოწყობილ ნაგავსაყრელზე ყრიან. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი

ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიაზე გამოყენებული წყლები გროვდება.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. თუმცა ეს პროცესი სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი, რადგან მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს თავიდანვე ცუდად მოწყობილი სისტემა და სოფელში სასმელი წყლის დეფიციტი. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა. საპირფარეშოში ვერ ხერხდება სანიტარიული ნორმების დაცვა და არც მყარი ნარჩენების უტილიზაცია არ ხდება უსაფრთხოდ. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდა გამომიდნარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საერთოდ უგულვებელყოფილია ჰიგიენის საკითხების სკოლაში სწავლება, რაც მოსწავლეთა ქცევაზე საკმაოდ უარყოფითად აისახება. აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

ხულდარის საჯარო სკოლა

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხულდარში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 130 მოსწავლე (ვაჟებისა და გოგონების რაოდენობის ზუსტი იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 22–ს (6 მამაკაცი და 16 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლის ადმინისტრაცია ახდენს ყოველწლიურ თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც დგება მომდევნო სასწავლო წლის განვითარების გეგმა. წყლისა და სანიტარიის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის შეზღუდული რაოდენობით წყალი, რომელიც სკოლას განსაზღვრული გრაფიკით მიეწოდება. შესაბამისად, არსებული წყლის რესურსი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშს ჩასარეცხად და .აშ.). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული წყარო. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში შემომავალი წყალი უსაფრთხოა (ლაბორატირულად არ არის დადასტურებული). სურვილის შემთხვევაშიც კი ვერ მოახდენდნენ წყლის გაწმენდას ფილტრებისა და გამწმენდი საშუალებების დეფიციტის გამო. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და პირდაპირ ონკანიდან სვამენ.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის და 1 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს ყველა საპირფარეშოში ანტისანიტარია იყო. სკოლაში ფუნქციონირებს 4 ხელსაბანი, რომელიც სანიტარიულ კვანძშია მოწყობილი. ხელსაბანი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს ხელსაბანების უმეტეს ნაწილში არ იყო წყალი და საპონი, ხოლო ხელსახოცი არსად არ იყო.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, არ მოეპოვებათ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური გადამზადება აღნიშნულ საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან ერთ კვირაზე ნაკლები სიხშირით გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც პირდაპირ სკოლის ტერიტორიასთან მოწყობილ ნაგავსაყრელზე ყრიან. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია სავსებით უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიაზე გამოყენებული წყლები გროვდება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. ეს პროცესი სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი, რადგან მთავარ პრობლემას მოძველებული სისტემა წარმოადგენს. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად დირექცი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიიჩნევს, თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანი დარღვევები დაფიქსირდა: საპირფარეშოში ვერ ხერხდება სანიტარიული ნორმების დაცვა და არც მყარი ნარჩენების უტილიზაცია არ ხდება უსაფრთხოდ. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდა გამომიდნარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საერთოდ უგულვებელყოფილია ჰიგიენის საკითხების სკოლაში სწავლება, რაც მოსწავლეთა ქცევაზე საკმაოდ უარყოფითად აისახება. აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება, საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტი

კიანეთის საჯარო სკოლა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ კიანეთში ფუნქციონირებს არასრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა მხოლოდ 18 მოსწავლე (8 ვაჟი და 10 გოგონა), რომელთაგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 8–ს (2 მამაკაცი და 6 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს არც მოსწავლეთა თვითმმართველობა და არც რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. დირექციას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გეგმა და ახდენს ყოველწლიურ თვითშეფასებას. დირექტორის განცხადების მიხედვით, წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის შეზღუდული რაოდენობით წყალი, რომელიც სკოლას განსაზღვრული გრაფიკით მიეწოდება. შესაბამისად, არსებული წყლის რესურსი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშს ჩასარეცხად და .აშ.). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული წყარო. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში შემომავალი წყალი უსაფრთხოა (ლაბორატირულად არ არის დადასტურებული). სურვილის შემთხვევაშიც კი ვერ მოახდენდნენ წყლის გაწმენდას ფილტრებისა და გამწმენდი საშუალებების დეფიციტის გამო. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით, სკოლაში არსებულ წყალს კი მოსწავლეები პირდაპირ ონკანიდან სვამენ.

სკოლის ეზოში (თუმცა შენობიდან არ არის დაშორებული 20-დან 100 მეტრამდე რადიუსით) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშოს ამორტიზებული ჯიხური. სკოლაში სულ არის საპირფარეშების 1 ერთეული გოგონებისათვის და 1 – ვაჟებისათვის, თუმცა მათი გამოყენება სერიოზულ საფრთხეს წარმაოდგენს მოსწავლეების თუ პერსონალის ჯანმრთელობისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში მძიმე ანტისანიტარია იყო. სკოლაში ფუნქციონირებს 1 ხელსაბანი, რომელიც მოწყობილია სანიტარიული კვანძიდან მოშორებით, ამიტომ იქ ხელებს არავინ არ იბანს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ. ხელსაბანი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს ხელსაბანთან არ იყო არც წყალი, არც საპონი და არც ხელსახოცი.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, არ მოეპოვებათ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური გადამზადება აღნიშნულ საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან ერთ კვირაზე ნაკლები სიხშირით გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც პირდაპირ სკოლის ტერიტორიასთან მოწყობილ ნაგავსაყრელზე ყრიან. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია სავსებით უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიაზე გამოყენებული წყლები გროვდება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. ეს პროცესი სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი, რადგან მთავარ პრობლემას სისტემის თავიდანვე ცუდი მოწყობა სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა. საპირფარეშო ამორტიზებულია, ამიტომ მასში ვერ ხერხდება სანიტარიული ნორმების დაცვა და არც მყარი ნარჩენების უტილიზაცია არ ხდება უსაფრთხოდ. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდა გამომიდნარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საერთოდ უგულვებელყოფილია ჰიგიენის საკითხების სკოლაში სწავლება, რაც მოსწავლეთა ქცევაზე საკმაოდ უარყოფითად აისახება. აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება, საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

მუხრანას საჯარო სკოლა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანაში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 180 მოსწავლე (108 ვაჟი და 72 გოგონა),

რომელთაგან 7 ვაჟი და 1 გოგონა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 29–ს (9 მამაკაცი და 20 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში წარმოებს ყოველწლიური თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც დგება მომდევნო სასწავლო წლის განვითარების გეგმა. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებს სკოლის განვითარების გეგმა არ ითვალისწინებს.

სკოლის ეზოში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის შეზღუდული რაოდენობით წყალი, რომელიც სკოლას განსაზღვრული გრაფიკით მიეწოდება. შესაბამისად, არსებული წყლის რესურსი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშს ჩასარეცხად და .აშ.). წყლის მიწოდების ალტერნატიული საშუალებას წარმოადგენს სკოლის სიახლოვეს მდებარე წყაროს წყალი. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული წყარო. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში შემომავალი წყალი უსაფრთხოა (ლაბორატირულად არ არის დადასტურებული). სურვილის შემთხვევაშიც კი ვერ მოახდენდნენ წყლის გაწმენდას ფილტრებისა და გამწმენდი საშუალებების დეფიციტის გამო. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ, პირდაპირ ონკანიდან სვამენ.

სკოლის ეზოში (თუმცა შენობიდან არ არის დაშორებული 20-დან 100 მეტრამდე რადიუსით) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - ცალ-ცალკე მდგომი „ორმოს: ტიპის საპირფარეშოს ხის ამორტიზებული 2 ჯიხური. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის და 1 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ორივე ერთეულში მძიმე ანტისანიტარია იყო. სკოლაში არსებობს მხოლოდ 1 ხელსაბანი, რომელიც მოწყობილია სანიტარიული კვანძიდან მოშორებით და იქ ხელებს არავინ არ იბანს. ხელსაბანი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.ვიზიტის დღეს ხელსაბანში არ მოდიოდა წყალი, არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, არ მოეპოვებათ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური გადამზადება აღნიშნულ საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან ერთ კვირაზე ნაკლები სიხშირით გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც პირდაპირ სკოლის ტერიტორიასთან მოწყობილ ნაგავსაყრელზე ყრიან. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების

უტილიზაცია სავსებით უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიაზე გამოყენებული წყლები გროვდება.

წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად სკოლის დირექცია მიიჩნევს სკოლას, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან ერთად. ითვლება, რომ ეს პროცესი სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი, რადგან წყლის მიწოდების სისტემა თავიდანვე არასწორად იყო მოწყობილი და დროთა განმავლობაში კიდევ უფრო მოიშალა. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე დირექცია კერძო კომპანიას - შპს „დეზინფექტს“ აკისრებს პასუხისმგებლობას – შეფასების პროცესში მნიშვნელოვანი დარღვევები დაფიქსირდა. საპირფარეშოები ამორტიზებულია, ამიტომ მასში ვერ ხერხდება სანიტარიული ნორმების დაცვა და არც მყარი ნარჩენების უტილიზაცია არ ხდება უსაფრთხოდ. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდა გამომიდნარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საერთოდ უგულვებელყოფილია ჰიგიენის საკითხების სკოლაში სწავლება, რაც მოსწავლეთა ქცევაზე საკმაოდ უარყოფითად აისახება. აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

ფარიზის საჯარო სკოლა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარიზში ფუნქციონირებს არასრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 121 მოსწავლე (73 ვაჟი და 48 გოგონა), რომელთაგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 22–ს (7 მამაკაცი და 15 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს არც მოსწავლეთა თვითმმართველობა და არც რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. დირექციის განცხადების მიხედვით, მათ შემუშავებული აქვთ სკოლის განვითარების გეგმა და ახდენენ ყოველწლიურ თვითშეფასებას, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებს სკოლის განვითარების აღნიშნული გეგმა არ ითვალისწინებს.

სკოლაში წყლის მიწოდების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს დაუცველი წყაროს წყალი, რომელიც მუდმივად არ მოდის და საკმაოდ შეზღუდული რაოდენობით მიეწოდება. (შეფასების მომენტში წყლის მიწოდების წყარო არ ფუნქციონირებდა). შესაბამისად, არსებული წყლის რესურსი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და .აშ.). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა ფილტრებისა და გამწმენდი საშუალებების დეფიციტის გამო. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის

ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. სკოლაში არსებული წყლის მწვავე დეფიციტის გამო მოსწავლეების უმეტეს ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით.

სკოლის ეზოში (თუმცა შენობიდან არ არის დაშორებული 20-დან 100 მეტრამდე რადიუსით) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშოს ამორტიზებული ჯიხური. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის, 1 – ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა – პედაგოგებისათვის. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში მძიმე ანტისანიტარია იყო. სკოლაში მხოლოდ 1 ხელსაბანია (კედელზე ჩამოკიდებული მცირე ზომის წყლის ავზი), რომელიც მოწყობილია სანიტარიულ კვანძში. ხელსაბანი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს ხელსაბანში არ იყო წყალი, თუმცა თხევადი საპონი იქვე იდო. შესაბამისად, მოსწავლეები და პერსონალი ხელებს ვერ იბანდნენ საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, არ მოეპოვებათ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური გადამზადება აღნიშნულ საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან თვეში ერთხელ ან ორჯერ გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც სკოლიდან მოშორებით, სოფლის საერთო ნაგავსაყრელზე ყრიან. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია სავსებით უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიაზე გამოყენებული წყლები გროვდება.

სკოლის დირექცია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა ეს პროცესი სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი და სკოლა სასმელი წყლის მწვავე დეფიციტს განიცდის. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – ამ მხრივ მნიშვნელოვანი დარღვევები დაფიქსირდა. საპირფარეშო ამორტიზებულია მასში ვერ ხერხდება მასში ვერ ხერხდება სანიტარიული ნორმების დაცვა და არც მყარი ნარჩენების უტილიზაცია არ ხდება უსაფრთხოდ. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდა გამომიდნარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საერთოდ უგულვებელყოფილია ჰიგიენის საკითხების სკოლაში სწავლება, რაც მოსწავლეთა ქცევაზე საკმაოდ უარყოფითად აისახება. აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება, საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

ქვემო არქევანის საჯარო სკოლა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო არქევანში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა (ID: 225589157I). შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 142 მოსწავლე (65 ვაჟი და 77 გოგონა), რომელთაგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 45–ს (22 მამაკაცი და 23 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს არც მოსწავლეთა თვითმმართველობა და არც რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. დირექციის განცხადების მიხედვით, მათ შემუშავებული აქვთ სკოლის განვითარების გეგმა, თუმცა დირექტორი არ ფლობს ქართულ ენას და ზუსტად არ იცის თუ რა საკითხებს ითვალისწინებს სკოლის განვითარების გეგმა (ანუ გეგმას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს და არც არავის არ აინტერესებს გეგმის არსებობა).

სკოლის ეზოში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის წყალი. პერსონალის განცხადების მიხედვით, არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და .აშ.). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, შემომავალი წყალი სასმელად უსაფრთხოა (ლაბორატორიულადარ არის დადასტურებული). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. მოსწავლეებს წყალი სახლიდან არ მოაქვთ და სასმელად საზიარო ჭურჭელს (მინის ჭიქებს) იყენებენ.

სკოლის ეზოში (თუმცა შენობიდან არ არის დაშორებული 20-დან 100 მეტრამდე რადიუსით) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშოს ამორტიზებული ჯიხური. სკოლაში სულ არის საპირფარეშების 1 ერთეული გოგონებისათვის და 1 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში მძიმე ანტისანიტარია იყო. სანიტარიულ კვანძთან მხოლოდ 1 ხელსაბანია (კედელზე ჩამოკიდებული მცირე ზომის წყლის ავზი). ხელსაბანი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. ვიზიტის დღეს ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იდო საპონი, ხელსახოცი - არა.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, არ მოეპოვებათ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური გადამზადება აღნიშნულ საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან ერთ კვირაზე ნაკლები სიხშირით გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც იქვე, სკოლის ტერიტორიაზე წვავენ. შეფასების მომენტში ყველა სანიტარიული ობიექტი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიაზე გამოყენებული წყლები გროვდება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. ეს პროცესი მეტ-ნაკლებად არის უზრუნველყოფილი და შეფასების მომენტში ამ მხრივ მნიშვნელოვანი პრობლემები არ დაფიქისრებულა. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ვერ ახერეხებს მისი სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფას. საპირფარეშო ამორტიზებულია და მასში ვერ ხერხდება სანიტარიული ნორმების დაცვა და არც მყარი ნარჩენების უტილიზაცია არ ხდება უსაფრთხოდ. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდა გამომიდნარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საერთოდ უგულვებელყოფილია ჰიგიენის საკითხების სკოლაში სწავლება, რაც მოსწავლეთა ქცევაზე საკმაოდ უარყოფითად აისახება. აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება, საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

გარდაბნის მუნიციპალიტეტი

აღთაქლას საჯარო სკოლა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ აღთაქლაში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 134 მოსწავლე (ვაჟებისა და გოგონების რაოდენობის ზუსტი იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 36–ს (აქაც შეუძლებელი იყო მამაკაც და ქალ მასწავლებელთა ზუსტი რაოდენობების გარკვევა). სკოლაში არ ფუნქციონირებს არც მოსწავლეთა თვითმმართველობა და არც რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. დირექციამ ზუსტად არ იცის, აქვთ თუ არა სკოლის განვითარების გეგმა და არც WaSH-ის პრიორიტეტულობაზე არა აქვს ინფორმაცია.

სკოლის ეზოში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის შეზღუდული რაოდენობით წყალი, რომელიც სკოლას განსაზღვრული გრაფიკით მიეწოდება. შესაბამისად, არსებული წყლის რესურსი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშს ჩასარეცხად და .აშ.). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული წყარო. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, სკოლაში შემომავალი წყალი უსაფრთხოა (ლაბორატირულად არ არის დადასტურებული).

სურვილის შემთხვევაშიც კი ვერ მოახდენდნენ წყლის გაწმენდას ფილტრებისა და გამწმენდი საშუალებების დეფიციტის გამო. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. მოსწავლეებს ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით. სკოლაში არსებულ წყალს მოსწავლეები პირდაპირ ონკანიდან ან ერთჯერადი ჭურჭლის გამოყენებით სვამენ.

სკოლის ეზოში (თუმცა შენობიდან არ არის დაშორებული 20-დან 100 მეტრამდე რადიუსით) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 5 ერთეული გოგონებისათვის, 5 – ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა - პედაგოგებისათვის. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს ყველა საპირფარეშო ნაწილობრივ სუფთა იყო. სკოლაში ფუნქციონირებს 3 ხელსაბანი, რომელიც მოწყობილია სანიტარიულ კვანძში. ხელსაბანი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს მხოლოდ ერთ ხელსაბანში მოდიოდა წყალი, იქვე იყო საპონიც და ხელსახოციც.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, არ მოეპოვებათ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური გადამზადება აღნიშნულ საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან თითქმის ყოველდღიურად გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც სკოლის ტერიტორიაზე მოწყობილ სპეციალურ ორმოში მარხავენ. შეფასების მომენტში ვერ მოხერხდა სანიტარიულ ობიექტებში არსებული მდგომარეობის ზუსტი შეფასება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიაზე გამოყენებული წყლები გროვდება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. ეს პროცესი არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი, რადგან მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სისტემის თავიდანვე ცუდი პროექტირება, რასაც მისი ოპერირებისა და შენარჩუნების მწირი პრაქტიკა ემატება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – შეფასების პროცესში გარკვეული დარღვევები გამოვლინდა. საპირფარეშოში ვერ ხერხდება სანიტარიული ნორმების დაცვა და არც მყარი ნარჩენების უტილიზაცია არ ხდება უსაფრთხოდ. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდა გამომიდნარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საერთოდ უგულვებელყოფილია ჰიგიენის საკითხების სკოლაში სწავლება, რაც მოსწავლეთა ქცევაზე საკმაოდ უარყოფითად აისახება. აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

მუხროვანის საჯარო სკოლა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხროვანში ფუნქციონირებს არასრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა მხოლოდ 31 მოსწავლე (ვაჟებისა და გოგონების რაოდენობის ზუსტი იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა), რომელთაგან არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 11–ს (1 მამაკაცი და 10 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც პერიოდულად ახდენს სკოლის ტერიტორიის დასუფთავებას. დირექციის განცხადების მიხედვით, მათ შემუშავებული აქვთ სკოლის განვითარების გეგმა და ახდენენ ყოველწლიურ თვითშეფასებას. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით ყოველდღიურად, თუმცა შეზღუდული რაოდენობით და განსაზღვრული გრაფიკით შემოდის წყალი, რომელიც რეზერვუარში გროვდება. არსებული წყლის რესურსი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და .აშ.). წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს წყლის დისპენსერი. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან სკოლას არა აქვს ფილტრები და გამწმენდი საშუალებები. სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით. სკოლაში არსებულ წყალს მოსწავლეები ერთჯერადი მოხმარების ჭურჭლის გამოყენებით სვამენ.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშოს ჯიხური. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის და 1 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში მძიმე ანტისანიტარია იყო. სკოლაში მხოლოდ 1 ხელსაბანია (კედელზე ჩამოკიდებული მცირე ზომის წყლის ავზი), რომელიც სანიტარიული კვანძიდან მოშორებით არის მოწყობილი. საპირფარეშოს მსგავსად არც ხელსაბანი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს ხელსაბანში არ იყო წყალი, საპონი და ხელსახოცი კი იქვე იდო. შესაბამისად, მოსწავლეები და პერსონალი ხელებს ვერ იბანდნენ საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, არ მოეპოვებათ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური გადამზადება აღნიშნულ საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან თითქმის ყოველდღიურად გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც სკოლის ტერიტორიის მახლობლად არსებულ ნაგავსაყრელზე ყრიან. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების შეფასება ვერ მოხერხდა. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია სავსებით უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა და სკოლის ტერიტორიაზე გამოყენებული წყლები გროვდება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. ეს პროცესი მეტ-ნაკლებად სათანადო დონეზე არის შენარჩუნებული, თუმცა მნიშვნელოვანია სკოლაში არსებული სასმელი წყლის ხარისხის ზუსტი დადგენა. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – ამ მხრივ მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა. საპირფარეშოში ვერ ხერხდება სანიტარიული ნორმების დაცვა და არც მყარი ნარჩენების უტილიზაცია არ ხდება უსაფრთხოდ. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდა გამომიდნარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საერთოდ უგულვებელყოფილია ჰიგიენის საკითხების სკოლაში სწავლება, რაც მოსწავლეთა ქცევაზე საკმაოდ უარყოფითად აისახება. აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

ნაზარლოს საჯარო სკოლა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაზარლოში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 560 მოსწავლე (ვაჟებისა და გოგონების რაოდენობის დაზუსტება ვერ მოხერხდა), რომელთაგან 2 ვაჟი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 53–ს (აქაც ვერ მოხერხდა მამაკაცი და ქალი პედაგოგების ზუსტი იდენტიფიცირება). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა ნაკლებად არის აქტიური WaSH-ის საკითხებში. დირექციის განცხადების მიხედვით, მათ შემუშავებული აქვთ სკოლის განვითარების გეგმა და ახდენენ ყოველწლიურ თვითშეფასებას. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები აღნიშნული გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს არ წარმოადგენს.

სკოლა ყოველდღიურად მარაგდება საკმარისი რაოდენობის წყლით (სასმელად, სანიტარიული მიზნებისათვის). ჭაბურღილიდან წყალი რეზერვუარში გროვდება, რომელიც მიიჩნევა წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებად. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან ჭაბურღილის წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (ლაბორატორიულად

დადასტურებულია). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით, სკოლაში არსებულ წყალს კი მოსწავლეები საზიარო ჭურჭლის გამოყენებით სვამენ.

სკოლის შენობაში განთავსებულია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 5 ერთეული, რომლიდანაც 2 არ ფუნქციონირებს. მოქმედია 1 საპირფარეშო გოგონებისათვის და 1 – ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ, ამიტომ საერთო სარგებლობის საპირფარეშო ოთახით სარგებლობენ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში მძიმე ანტისანიტარია იყო. სკოლაში არ ფუნქციონირებს ხელსაბანი.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, არ მოეპოვებათ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური გადამზადება აღნიშნულ საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან კვირაში დაახლოებით ერთხელ გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც სკოლის ტერიტორიაზე მოწყობილ ორმოში მარხავენ. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების შეფასება ვერ მოხერხდა. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია სავსებით უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიაზე გამოყენებული წყლები გროვდება.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. ეს პროცესი სათანადო დონეზე არ არის უზრუნველყოფილი - შეფასების მომენტში ჭაბურღილის გარშემო დაფიქსირდა სანიტარიული ნორმების მძიმე დარღვევა. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა მნიშვნელოვანი დარღვევები დაფიქსირდა. საპირფარეშოს ნაწილი საერთოდ არ ფუნქციონირებს, ვერ ხერხდება სანიტარიული ნორმების დაცვა და არც მყარი ნარჩენების უტილიზაცია არ ხდება უსაფრთხოდ. სკოლაში WaSH–ის მიზნებიდა გამომიდნარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საერთოდ უგულვებელყოფილია ჰიგიენის საკითხების სკოლაში სწავლება, რაც მოსწავლეთა ქცევაზე საკმაოდ უარყოფითად აისახება. აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება, საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება

ნორიოს საჯარო სკოლა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 510 მოსწავლე (ვაჟებისა და გოგონების რაოდენობის დაზუსტება ვერ მოხერხდა), რომელთაგან 5 ვაჟი და 1 გოგონა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 50–ს (4 მამაკაცი და 46 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა WaSH-ის საკითხებით დაინტერესებული არ არის. დირექციის განცხადების მიხედვით, მათ შემუშავებული აქვთ სკოლის განვითარების გეგმა და ახდენენ ყოველწლიურ თვითშეფასებას. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები აღნიშნული გეგმის პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლას კვირაში საშუალოდ 2–4 დღე, განსაზღვრული გრაფიკით წყლის მილით მიეწოდება წყალი, ამიტომ არსებული წყლის რესურსი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და .აშ.). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული წყარო. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან სკოლის პერსონალს არაფერი არ სმენია ამ პროცესის შესაზებ. თუმცა სურვილისა და შესაბამისი უნარების არსებობის შემთხვევაშიც კი ვერ შეძლებდნენ წყლის გაწმენდას, რადგან სკოლას არა აქვს ფილტრები და გამწმენდი საშუალებები. სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით, სკოლაში არსებულ წყალს კი მოსწავლეები პირდაპირ ონკანიდან ან ერთჯერადი მოხმარების ჭურჭლის გამოყენებით სვამენ.

სკოლის ეზოში მოწყლობილია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშოს 2 ჯიხური. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 6 ერთეული გოგონებისათვის და 6 – ვაჟებისათვის. პედაგოგებისათვის გამოყოფილია ცალკე საერთო სარგებლობის საპირფარეშო. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს ყველა ერთეულში ანტისანიტარია იყო. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე დამლაგებლები არიან პასუხისმგებლები. ხელსაბანი არ არის მოწყობილი სანიტარიულ კვანძებთან. 560 მოსწავლისა და პერსონალის მქონე საჯარო სკოლაში მხოლოდ ორი ხელსაბანი ფუნქციონირებს. უფრო მეტიც, შეფასების დღეს წყალი, საპონი და ხელსახოცი მხოლოდ ერთ ხელსაბანთან დაგვხვდა. არსებულ ვითარებაში, ცხადია, რომ მოსწავლეები ხელებს არ იბანენ საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენის საკითხები, არ მოეპოვებათ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური გადამზადება აღნიშნულ საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან თითქმის ყოველდღიურად გააქვთ მყარი ნარჩენები, რომელსაც სკოლის ტერიტორიაზე მოწყობილ ორმოში მარხავენ. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტების შეფასება ვერ მოხერხდა. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, ამიტომ სკოლის ტერიტორიაზე გამოყენებული წყლები გროვდება.

დირექცია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. ეს პროცესი სათანადო დონეზე არ არის უზრუნველყოფილი. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზეც შესაბამისი მუნიციპალური სამსახური იღებს პასუხისმგებლობას – ამ მხრივ მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა. საპირფარეშოებში ვერ ხერხდება სანიტარიული ნორმების დაცვა და არც მყარი ნარჩენების უტილიზაცია არ ხდება უსაფრთხოდ. მხოლოდ ერთი ხელსაბანი ფუნქციონირებს იმ სკოლაში, სადაც 510 მოსწავლე სწავლობს (– ისიც სანიტარიული კვანძიდან მოშორებით). სკოლაში WaSH–ის მიზნებიდა გამომიდნარე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საერთოდ უგულვებელყოფილია ჰიგიენის საკითხების სკოლაში სწავლება, რაც მოსწავლეთა ქცევაზე საკმაოდ უარყოფითად აისახება. აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება

რუსთავის მუნიციპალიტეტი

რუსთავის N10 საჯარო სკოლა

ქალაქ რუსთავის N10 საჯარო სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 449 მოსწავლე (207 გოგონა და 242 ვაჟი). სკოლაში არ ჰყავთ არც შეზღუდული შესაძლებლობების და არც სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეები. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 34-ს (2 მამაკაცი და 32 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა სათათბირო და მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც WASH-ის საკითხებით არ არის დაინტერესებული. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც მიიღება მომავალი წლის განვითარების გეგმა. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა სარგებლობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით. წყალსადენი მილები შენობის შიგნით არის შეყვანილი და სკოლას ყოველდღიურად ამარაგებს წყლით. სკოლაში

არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ, ამიტომ გამოიყენება როგორც დასალევად, ასევე ტექნიკური მოხმარებისათვის. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული წყარო ან რეზერვუარი, არ არის არც ფილტრები და არც ქიმიური გამწმენდი საშუალებები. შენობაში სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის. სკოლაში მოსწავლეები საკუთარი მრავალჯერადი გამოყენების ჭურჭელსაც (მაგრამ არა (PET) პლასტმასის ბოთლებს) მოიხმარენ.

სკოლის შენობაში განთავსებულია ჩასარეცხი საპირფარეშოს (პისუარები არა აქვთ) 8 ერთეული: 3 – გოგონებისათვის, 3 – ბიჭებისათვის, 1 – მხოლოდ ქალი პედაგოგებისა და სკოლის თანამშრომლებისათვის და 1 – მხოლოდ მამაკაცი პედაგოგებისა და სკოლის თანამშრომლებისათვის. ბიჭების კაბინაში მოწყობილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე ადაპტირებული 1 საპირფარეშო. ვიზიტის დღეს ყველა სანიტარიული კვანძის ყველა ერთეული სუფთა და ყოველმხრივ მოწესრიგებული იყო.

სკოლაში ისწავლება ჰიგიენის საკითხები, როგორც ჯანსაღი ცხოვრების სწავლების სპეციალური მოდულის შემადგენელი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰყავს ჰიგიენის საკითხებში სპეციალურად გადამზადებული მასწავლებელი (ამ ფაქტს დირექტორიც ადასტურებს) და არ მოეპოვება ჰიგიენის თემაზე არსებული საგანმანათლებლო მასალები. სკოლაში მოქმედებს უფროსი კლასის გოგონებისათვის უსაფრთხო და პირადი მენსტრუალური ჰიგიენის ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული პროგრამა. დათვალიერების დროს ხელსაბანის ყველა ერთეული (სულ 14, აქედან 13 საპირფარეშოში მოწყობილი და 1 სასადილო ოთახში) მომარაგებული იყო საპნით, ხელსახოცითა და სადეზინფექციო საშუალებებით. სკოლაში ფუნქციონირებს აგრეთვე უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე ადაპტირებული რამდენიმე ხელსაბანი.

მყარი ნარჩენების (ნაგვის) შეგროვება და გატანა ხდება ორგანიზებულად (დღეში, სულ მცირე, ერთხელ), შესაბამისი დასუფთავების სამსახურის მიერ. სკოლის ტერიტორიასთან ახლოს დგას სანაგვე ურნა. ნარჩენების გატანა ხდება უსაფრთხოდ. ვიზიტის დროს არცერთი სანიტარიული ობიექტი არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა.

სკოლის დირექცია წყლის მიწოდების სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად მუნიციპალურ სამსახურს - რუსთავწყალს – მიიჩნევს. ამ მხრივ სისტემა სათანადო დონეზე არის უზრუნველყოფილი. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას – შეფასების მომენტში სანიტარიული ნორმების დარღვევა არ დაფიქსირებულა. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის საკითხების

სწავლება - აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

რუსთავის N16 საჯარო სკოლა

ქალაქ რუსთავის N16 საჯარო სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 557 მოსწავლე (გოგონებისა და ვაჟების რაოდენობის დაზუსტება ვერ მოხერხდა), რომელთაგან 1 ვაჟი და 1 გოგონა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 52 (მამაკაცი და ქალი პედაგოგების რაოდენობის დაზუსტება ვერ მოხერხდა). სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა საბჭო და მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად არის ჩართული WASH-ის საკითხების მოგვარებაში. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც დგება მომავალი წლის განვითარების გეგმა. წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა სარგებლობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით, რომელიც სკოლის შენობას ყოველდღიური თუმცა შეზღუდული რაოდენობის წყლით ამარაგებს. წყალსადენი მილები შენობის შიგნით არის შეყვანილი. სკოლაში არსებული წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, ის მიჩნეულია უსაფრთხოდ (არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სკოლას არა აქვს არც ფილტრები და არც ქიმიური გამწმენდი საშუალებები. შენობაში სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს მრავალჯერადი გამოყენების ბოთლებით. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების არც სხვა ალტერნატიული წყარო და არც რეზერვუარი.

სკოლის შენობაში განთავსებულია ჩასარეცხი საპირფარეშოს (პისუარები არა აქვთ) 6 ერთეული: 2 – გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 2 – პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი ადაპტირებულია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. ვიზიტის დღეს სანიტარიული კვანძის ყველა ერთეული ნაწილობრივ სუფთა იყო. საპირფარეშოებში ფუნქციონირებს 11 ხელსაბანი. შეფასების დღეს ხელსაბანების უმეტეს ნაწილში იყო როგორც წყალი, ასევე საპონი და ხელსახოცი.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება. სკოლას ჰიგიენის საკითხებში სპეციალურად გადამზადებული არცერთი მასწავლებელი არ ჰყავს და არც ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვება. სკოლას აქვს უფროსი კლასის გოგონებისათვის უსაფრთხო და პირადი მენსტრუალური ჰიგიენის ხელშეწყობის

მიზნით შემუშავებული პროგრამა. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს (ნაგვს) აგროვებენ და, კვირაში დაახლოებით ერთხელ, შესაბამისი დასუფთავების სამსახურის სანაგვე ურნაში ცლიან. ნარჩენების უტილიზაცია არ ხდება სრულიად უსაფრთხოდ. ვიზიტის დროს არცერთი სანიტარიული ობიექტი არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა.

სკოლის დირექცია წყლის მიწოდების სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად მუნიციპალურ სამსახურს - რუსთავწყალს – მიიჩნევს. ამ მხრივ სკოლაში გარკვეული ხარვეზები გამოვლინდა. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. შეფასების მომენტში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დარღვეული. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის საკითხების სწავლება - აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

რუსთავის კერძო სკოლა „ლაზარე“

ქალაქ რუსთავის სკოლა „ლაზარე“ წარმოადგენს სრულ კერძო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 124 მოსწავლე (50 გოგონა და 74 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 30-ს (4 მამაკაცი და 26 ქალი). სკოლაში მოქმედებს მშობელთა სათათბირო და ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც პერიოდულად ახორციელებს WASH-თან დაკავშირებულ აქტივობებს. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ყოველწლიურად ხდება თვითშეფასება, რომლის საფუძველზეც ადგენენ მომავალი წლის განვითარების გეგმას. მართალია, წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები პრიორიტეტულია, მაგრამ მათი განხილვა, უმთავრესად, ინფრასტრუქტურულ ჭრილში ხდება.

სკოლა სარგებლობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით, რომელიც სკოლის შენობას ყოველდღიური თუმცა შეზღუდული რაოდენობის წყლით ამარაგებს. წყალსადენი მილები შენობის შიგნით არის შეყვანილი. სკოლაში არსებული წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, ის მიჩნეულია უსაფრთხოდ (არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული). სკოლას არა აქვს არც ფილტრები და არც ქიმიური გამწმენდი საშუალებები. შენობაში სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის.

მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს მრავალჯერადი გამოყენების ბოთლებით. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების არც სხვა ალტერნატიული წყარო და არც რეზერვუარი.

სკოლის შენობაში განთავსებულია ჩასარეცხი საპირფარეშოს (პისუარები არა აქვთ) 3 ერთეული: 1 – გოგონებისათვის, 1 – ვაჟებისათვის და 1 – პედაგოგებისათვის (საერთო სარგებლობისა – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. ვიზიტის დღეს სანიტარიული კვანძის ყველა ერთეული ნაწილობრივ სუფთა იყო. საპირფარეშოებში ფუნქციონირებს 2 ხელსაბანი. შეფასების დღეს ორივე ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა საპონი და ხელსახოცი მხოლოდ ერთ ხელსაბანთან იყო.

სკოლაში ჰიგიენა ისწავლება, როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესის სპეციალური მოდულის შემადგენელი ნაწილი, თუმცა სკოლას ჰიგიენის საკითხებში სპეციალურად გადამზადებული არცერთი მასწავლებელი არ ჰყავს და არც ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ მოეპოვება. სკოლას აქვს უფროსი კლასის გოგონებისათვის უსაფრთხო და პირადი მენსტრუალური ჰიგიენის ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული პროგრამა. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს (ნაგვს) კვირაში დაახლოებით ორჯერ აგროვებენ და შესაბამისი დასუფთავების სამსახურის სანაგვე ურნაში ცლიან. დირექციას არა აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად უსაფრთხოდ ხდება მყარი ნარჩენების უტილიზაცია. ვიზიტის დროს არცერთი სანიტარიული ობიექტი არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა.

სკოლის დირექცია წყლის მიწოდების სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად მუნიციპალურ სამსახურს - რუსთავწყალს – მიიჩნევს. ამ მხრივ სკოლაში გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას - მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. შეფასების მომენტში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დარღვეული. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის საკითხების სწავლება - აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის მიწოდება.

შიდა ქართლის რეგიონი

გორის მუნიციპალიტეტი

ატენის საჯარო სკოლა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა (ID: 218048404). სკოლაში არის 274 მოსწავლე (136 გოგონა და 138 ვაჟი), მათ შორის ერთი ვაჟია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 32–ს (4 მამაკაცი და 28 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო და დისციპლინური საბჭოები. მოსწავლეთა თვითმმართველობა, მართალია, არსებობს, მაგრამ WaSH–ის საკითხებით ნაკლებად არის დაინტერესებული. დირექტორის განცხადების მიხედვით, ყოველწლიურად ხდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც წყლისა და სანიტარიის საკითხები ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა მარაგდება ჭაბურღილის წყლით, რომელსაც იყენებენ როგორც სასმელად, ასევე ხელების დასაბანად და საპირფარეშოების ჩასარეცხად. ჭაბურღილის წყალი სკოლას კვირაში 2-4 დღის განმავლობაში მიეწოდება. სკოლას აგრეთვე აქვს 700 ლიტრი ტევადობის მქონე რეზერვუარი, რომელშიც წყალს აგროვებენ და საჭიროების შემთხვევაში იყენებენ. ტექნიკური პერსონალის განცხადების მიხედვით, იმისათვის, რომ წყალი უსაფრთხო იყოს სასმელად, მინიმუმ, თვეში ორჯერ ხდება წყლის გაუვნებლება, ხოლო 6 თვეში ერთხელ – რეზერვუარის გაწმენდა. მოსწავლეების უმეტესი ნაწილი წყალს პირდაპირ ონკანიდან სვამს, ხოლო მეორე ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს ბოთლებით. წყალი აგრეთვე ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკის მოსწავლეებისთვის.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) დგას „ორმოს“ ტიპის საპირფარეშოს ჯიხური, რომელსაც აქვს 2 ერთეული გოგონებისათვის და 2 - ვაჟებისათვის. პედაგოგების საპირფარეშო ოთახი სკოლის შენობაშია განთავსებული. აღსანიშნავია, რომ ასეთი მოწყობით დარღვეულია WaSH-ის პროგრამის მიხედვით განსაზღვრული სანიტარიული სტანდარტები. კერძოდ, სკოლაში ბიჭებისა და გოგონების თანაბარი რაოდენობის პირობებში, გოგონებისათვის საპირფარეშო ჯიხურების რაოდენობა ოდნავ უნდა აღემატებოდეს ბიჭებისას. გოგონების საპირფარეშოების კარებს აქვს შიდა საკეტები. ვიზიტს დღეს საპირფარეშოებში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დაცული. საპირფარეშო ოთახის დასუფთავებაზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. საპირფარეშოსთან არის ხელის დაბანის შესაძლებლობაც, კერძოდ, მოწყობილია 3 ხელსაბანი, თუმცა არ არის არც საპონი და არც ხელსახოცი. ხელსაბანები და საპირფარეშოები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის მოსწავლეებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ სანიტარიული კვანძით სარგებლობა.

გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში ჩატარდა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს საჭირო მედიკამენტებიც დაურიგდათ. ჰიგიენის საკითხების სწავლებას რაც შეეხება - სკოლაში ეს პროცესი, ძირითადად, ეპიზოდურად და სტიქიურად ხდება – მაგალითად, კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი შესაძლოა, გაესაუბროს მოსწავლეებს ჰიგიენისა და სანიტარიის საკითხებზე. სკოლას არა აქვს შესაბამისი საინფორმაციო–საგანმანათლებლო მასალები, თუმცა, სკოლაში აღნიშნავენ, რომ მათ ჰყავთ პედაგოგები, რომელთაც გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება აღნიშნულ საკითხებში.

მყარ ნარჩენებს ყოველ ორ დღეში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის ნაგვის ურნაში. მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება - ვიზიტის დღეს სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში პრობლემები არ დაფიქსირებულა.

სკოლის დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლა არის პასუხისმგებელი წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. სკოლის ადმინისტრაციას მიაჩნია, რომ აღნიშნული სისტემა სკოლაში გამართულად ფუნქციონირებს. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე დირექცია იღებს პასუხისმგებლობას და აცხადებს, რომ საკუთარი ძალებით, შესაძლებლობების ფარგლებში ახერხებს მის შეკეთებას, დაზიანებების აღმოფხვრას და სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შენარჩუნებას. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, შეფასების პროცესში გამოვლენილი სიტუაცია ცხადყოფს, რომ სკოლაში არსებული მდგომარეობა გამოსასწორებელია. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე

ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება - საჭიროა საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

აძვის საჯარო სკოლა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ აძვის საჯარო სკოლა (ID: 218047469) წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში არის 145 მოსწავლე (70 გოგონა და 75 ვაჟი), მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 26–ს (2 მამაკაცი და 24 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს არც მშობელთა კომიტეტი და არც რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი გაერთიანება/ორგანიზაცია. მოსწავლეთა თვითმმართველობა, მართალია, არსებობს, მაგრამ WaSH–ის საკითხებით არის დაინტერესებული. დირექტორის განცხადების მიხედვით, ყოველწლიურად ხდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებულია წყლისა და სანიტარიის საკითხები.

სკოლის შენობას მილსადენით ყოველღიურად საკმარისი რაოდენობით (სასმელად და სანიტარიული მიზნებისათვის) წყალი მიეწოდება. წყალი ვარგისიანობაზე შემოწმებული არ არის. სკოლას აქვს აგრეთვე წყლის მიწოდების ალტერნატიული საშუალება - 1 ტონის ტევადობის მქონე რეზერვუარი. რეზერვუარში წყალი ქიმიურად არ მუშავდება (არ ხდება დაქლორვა), რადგან სკოლაში არავინ არ იცის, როგორ უნდა მოხდეს ამ პროცესის უზრუნველყოფა. სკოლას არა აქვს არც ფილტრები და არც გამწმენდი ქიმიური საშუალებები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში წყალი უწყვეტად, საკმარისი რაოდენობით მოედინება, მოსწავლეებს მაინც მოაქვთ სახლიდან პლასტმასის (PET) ბოთლებით, რაც, სავარაუდოდ, სკოლაში არსებული წყლის დაბალი ხარისხით არის განპირობებული.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) დგას „ორმოს“ ტიპის საპირფარეშოს ჯიხური, რომელსაც აქვს 2 ერთეული გოგონებისათის, 3 - ვაჟებისათვის და 1 – პედაგოგებისათვის. აღსანიშნავია, რომ ასეთი მოწყობით დარღვეულია WaSH-ის პროგრამის მიხედვით განსაზღვრული სანიტარიული სტანდარტები. კერძოდ, სკოლაში ბიჭებისა და გოგონების თანაბარი რაოდენობის პირობებში, გოგონებისათვის საპირფარეშო ჯიხურების რაოდენობა ოდნავ უნდა აღემატებოდეს ბიჭებისას. გოგონების საპირფარეშოების კარებს არა აქვს საკეტი შიდა მხრიდან. ვიზიტს დღეს საპირფარეშოებში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახის დასუფთავებაზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. საპირფარეშოსთან მოწყობილია ხელსაბანი, თუმცა არ არის არც საპონი და არც ხელსახოცი. საპონი დაგვხვდა სკოლის შენობაში არსებულ მეორე ხელსაბანთან, რომელიც სანიტარიული კვანძიდან მოშორებით მდებარეობს.

სკოლას არ ჰყავს ექიმი. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

ჰიგიენის სწავლება სკოლაში ეპიზოდურად და სტიქიურად ხდება - მაგალითად, კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი შესაძლოა, გაესაუბროს მოსწავლეებს ჰიგიენისა და სანიტარიის საკითხებზე. სკოლას არა აქვს ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო–საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არ გაუვლიათ სპეციალური მომზადება ამ საკითხებში.

მყარი ნარჩენები ყოველდღიურად გააქვთ სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე ან წვავენ სკოლის ტერიტორიაზე. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში გარკვეული პრობლემები დაფიქსირდა.

სკოლის დირექციამ ზუსტად არ იცის, თუ ვინ არის პასუხისმგებელი წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე, თუმცა სკოლის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ აღნიშნული სისტემა სკოლაში გამართულად ფუნქციონირებს (რაც არ დასტურდება - შეფასების დროს გამოიკვეთა ხარვეზები, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი). სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე დირექცია იღებს პასუხისმგებლობას და აცხადებს, რომ საკუთარი ძალებით, შესაძლებლობების ფარგლებში ახერხებს მის შეკეთებას, დაზიანებების აღმოფხვრას და სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შენარჩუნებას. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, შეფასების პროცესში გამოვლენილი სიტუაცია ცხადყოფს, რომ სკოლაში არსებული მდგომარეობა გამოსასწორებელია. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება - საჭიროა საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

ბერშუეთის საჯარო სკოლა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერშუეთში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 140 მოსწავლე (72 ვაჟი და 58 გოგონა), რომელთა შორის არავინ არ იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 26–ს (25 ქალი და 1 მამაკაცი). სკოლაში არის პედაგოგთა და სადისციპლინო საბჭოები. ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა WaSH–ის საკითხებით დაინტერესებული არ არის. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლის განვითარების გეგმა არათუ ითვალისწინებს წყლისა და სანიტარიის საკითხებს, არამედ პირველი რიგის პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში მილსადენის მეშვეობით ყოველდღიურად საკმარისი რაოდენობით (სასმელად და სანიტარიული მიზნებისათვის) წყალი მიედინება. წყალი ვარგისიანობაზე შემოწმებული არ არის. ფილტრებისა და გამწმენდი ქიმიური საშუალებების დეფიციტის გამო, წყლის ქიმიურად დამუშავება (დაქლორვა) არასდროს არ ჩატარებულა, ამასთანავე, არავინ არ იცის თუ როგორ უნდა გაწმინდოს წყალი. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს მოსწავლეები პირდაპირ ონკანიდან სვამენ.

სკოლის ეზოში განთავსებულია სანიტარიული კვანძი (შენობიდან 20–100 მეტრის რადიუსში) – „ორმოს“ ტიპის საპირფარეშოს ჯიხური. სკოლაში სულ არის საპირფარეშების 4 ერთეული გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა – პედაგოგებისათვის. გოგონების საპირფარეშოს კარი შიგნიდან იკეტება. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს სანიტარიული კვანძის ყველა ერთეულში მძიმე ანტისანიტარია იყო. საპირფარეშო ოთახის დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები. საპირფარეშოებში მოწყობილია 3 ხელსაბანი, რომელთანაც შეფასების მომენტში იყო წყალი და საპონი, ხელსახოცი კი – არა. სკოლაში არის კიდევ 2 ხელსაბანი, თუმცა მათთან საპონი და ხელსახოცი არ იდო. შეფასების მომენტში შეუძლებელი იყო იმის ზუსტად დადგენა, იბანენ თუ არა მოსწავლეები ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად ისწავლება და იშვიათად ხდება ამ საკითხებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება, თუმცა დირექციის განცხადების მიხედვით, პედაგოგებს გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში და სკოლაში ხელმისაწვდომია შესაბამისი საგანმანათლებლო მასალები. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლიდან ორგანიზებულად ხდება მყარი ნარჩენების გატანა, კერძოდ, საშუალოდ კვირაში ორჯერ ცლიან მყარ ნარჩენებს მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნებში, რომელსაც რეგულარულად ცლის დასუფთავების მუნიციპალური სამსახური. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები ნარჩენებით იყო გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლების სადრენაჟო სისტემა, ამის გამო სკოლის ტერიტორიის ნაწილი იტბორება.

სკოლის დირექცია წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს. ამ მხრივ სისტემის მდგომარეობა მეტ–ნაკლებად დამაკმაყოფილებელია, თუმცა გასაუმჯობესებელია წყლის ხარისხის კონტროლი (სკოლაში ზუსტად არავინ არ იცის, თუ რამდენად უსაფრთხოა სასმელი წყალი). რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას – მის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივ მდგომარეობა მეტად კრიტიკულია – სანიტარიულ კვანძებში მძიმე ანტისანიტარიაა. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ჰიგიენის საკითხების სწავლებას.

ვარიანის საჯარო სკოლა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანის საჯარო სკოლა (ID: 218049145) წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში არის 187 მოსწავლე (81 გოგონა და 107 ვაჟი), მათ შორის ერთი ვაჟი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 27–ს (1 მამაკაცი და 26 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს არც მშობელთა კომიტეტი და არც რაიმე სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. მოსწავლეთა თვითმმართველობა, მართალია, არსებობს, თუმცა WaSH–ის საკითხებით ნაკლებად არის დაინტერესებული. დირექტორის განცხადების მიხედვით, სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს წყლისა და სანიტარიის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და მონიტორინგის საკითხებს.

სკოლა მარაგდება დაცული ჭის წყლით, რომელიც სკოლის ეზოში მდებარეობს. წყლის ლაბორატორიული შემოწმება არ ჩატარებულა, თუმცა პერსონალი მას უსაფრთხოდ მიიჩნევს. წყალი გროვდება 2 რეზერვუარში და უწყვეტად, საკმარისი რაოდენობით მიეწოდება სკოლას. წყლის წერტილი არის სკოლის ეზოში, სადაც უწყვეტად მოედინება წყალი. პერიოდულად ხდება წყლის რეზერვუარის ქიმიურად დამუშავება (ქლორაცია). მოსწავლეები სკოლაში არსებულ წყალს იყენებენ სასმელად (პლასტმასის ბოთლებით), ამიტომ წყალი იშვიათად მოაქვთ სახლიდან. სკოლაში მომდინარე წყალი ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის.

სკოლის შენობაში არის ჩასარეცხი საპირფარეშოს 5 ერთეული: 2 ერთეული გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 1 – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზეა ორიენტირებული. ვიზიტის დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეული სუფთა იყო. გოგონების საპირფარეშოები განცალკავებულია ბიჭების საპირფარეშოებისაგან და მათ კარებს აქვს შიდა საკეტები. სანიტარიულ კვანძებში მოწყობილია 5 ხელსაბანი. ვიზიტის მომენტში ხელსაბანების უმეტეს ნაწილში იყო საპონი და ქაღალდი.



ბოლო სასწავლო წელს ჩატარდა მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს სათანადო მკურნალობა დაენიშნათ. ჰიგიენის საკითხები სკოლაში უიშვიათესად და არამიზანმიმართულად ისწავლება (სტიქიურად და შემთხვევით), მაგალითად, კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი ეპიზოდურად ესაუბრება მოსწავლეებს ჰიგიენისა და სანიტარიის საკითხებზე. სკოლაში არ არის ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არ გაუვლიათ სპეციალური მომზადება ამ საკითხებში.

მყარ ნარჩენებს ყოველდღიურად ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის ნაგვის ურნაში. მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება - ვიზიტის დღეს სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში პრობლემები არ დაფიქსირებულა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლისა და სანიტარიული სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. აღნიშნული სისტემები მეტ-ნაკლებად გამართულად ფუნქციონირებს და ამ მხრივ მნიშვნელოვანი ხარვეზები არ ფიქსირდება, თუმცა, პერიოდულად, მიზანშეწონილია სასმელი წყლის ხარისხის ლაბორატორიულად

შემოწმება, რაც სკოლაში არასდროს არ ჩატარებულა. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით სკოლის მომარაგება.

მეჯვრისხევის საჯარო სკოლა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 218049083). სკოლაში არის 408 მოსწავლე (218 გოგონა და 190 ვაჟი), მათ შორის 1 ვაჟი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 41–ს (3 მამაკაცი და 38 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა ჰიგიენის საკითხებით ნაკლებად ინტერესდება. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმას. WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია.

სკოლის ეზოში წყლის მილით მუდმივად შემოდის საკმარისი რაოდენობით წყალი. წყლის ხარისხს ლაბორატორიულად ამოწმებენ, ამდენად მისი უსაფრთხოება დადასტურებულია. წყალს იყენებენ როგორც სასმელად, ასევე სკოლის სხვა საჭიროებებისათვის. მოსწავლეები წყალს პირდაპირ ონკანიდან სვამენ, რომელიც არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. სკოლას აქვს აგრეთვე წყლის მიწოდების ალტერნატიული საშუალება - 5 ტონის ტევადობის რეზერვუარი,

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 4 ერთეული გოგონებისათვის, 3 – ვაჟებისათვის და 1 - პედაგოგებისათვის. არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს სანიტარიული კვანძების ყველა ერთეული სუფთა იყო. სკოლაში ფუნქციონირებს 2 ხელსაბანი, თუმცა არცერთი არ არის საპირფარეშოსთან ახლოს. საპირფარეშოს მსგავსად ხელსაბანებიც არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს ორივე ხელსაბანთან იყო თხევადი საპონი, ხელსახოცები - არა.

დირექციის განცხადების მიხედვით, დაწყებითი კლასებისა და ბუნებისმცოდნეობის მასწავლებლები მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ესაუბრებიან მოსწავლეებს ჰიგიენის საკითხებზე. სკოლაში არ არის ჰიგიენის თემებზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მოსწავლეების ცნობიერების დონის ასამაღლებლად (ისევე, როგორც ჰიგიენის საკითხებში სათანადოდ მომზადებული პედაგოგები). სკოლაში ტარდება მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს ენიშნებათ საჭირო მედიკამენტები.

მყარ ნარჩენებს რეგულარულად აგროვებენ და სკოლის ახლოს მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე ყუთში ცლიან. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სადრენაჟო სისტემა გამართულად ფუნქციონირებს, ამიტომ გამოყენებული წყლები არხით გაედინება სკოლის ტერიტორიიდან (სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი).

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. დირექტორის გადმოცემის მიხედვით, წყლის მიწოდების სისტემა გამართულად ფუნქციონირებს და ამ მხრივ მნიშვნელოვანი ხარვეზები არ ფიქსირდება. ანალოგიურად, სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას და თუ საქმე სკოლის ტერიტორიის შიგნით სისტემის მოწესრიგებას ეხება, საკუთარი ძალებითაც ახერხებენ პრობლემების მოგვარებას. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და სკოლის მომარაგება საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით.

სვენეთის საჯარო სკოლა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სვენეთის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 218049172). სკოლაში არის 196 მოსწავლე (107 გოგონა და 89 ვაჟი), მათ შორის 1 გოგონა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 26–ს (2 მამაკაცი და 24 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა ჰიგიენის საკითხებით ნაკლებად არის დაინტერესებული. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმებს. WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია.

სკოლა ყოველდღიურად მარაგდება ჭაბურღილის წყლით, რომელიც გამოიყენება როგორც დასალევად, ასევე ხელების დასაბანად და საპირფარეშოების ჩასარეცხად. სკოლაში აგრეთვე მოწყობილია 1 ტონა ტევადობის მქონე რეზერვუარი, რომელშიც აგროვებენ წყალს და საჭიროების შემთხვევაში იყენებენ. ტექნიკური პერსონალის განცხადების მიხედვით, წყლის გაუვნებლება იშვიათად ხდება, რადგან ის უსაფრთხოდ მიიჩნევა (ეს სუბიექტური შეფასებაა). მოსწავლეების უმეტესი ნაწილი წყლის დასალევად საკუთარ ჭურჭელს (პლასტმასის (PET) ბოთლებს) იყენებს, ნაწილს კი წყალი სახლიდან მოაქვს. წყალი აგრეთვე ხელმისაწვდომია უმცროსი ასაკის მოსწავლეებისათვის.

სკოლის ეზოში (თუმცა არა 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში, რაც არსებული სტანდარტის) დარღვევაა) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 2 ერთეული გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 2 - პედაგოგებისათვის. აღსანიშნავია, რომ ასეთი მოწყობით დარღვეულია WaSH-ის პროგრამის მიხედვით განსაზღვრული სანიტარიული სტანდარტები. კერძოდ, სკოლაში ბიჭებისა და გოგონების თანაბარი რაოდენობის პირობებში, გოგონებისათვის საპირფარეშო ჯიხურების რაოდენობა ოდნავ უნდა აღემატებოდეს ბიჭებისას. სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დაცული. სკოლაში ფუნქციონირებს 5 ხელსაბანი, მათ შორის 2 საპირფარეშოებშია მოწყობილი, ხოლო დანარჩენი 3 – სკოლის შენობაში. საპირფარეშოების მსგავსად ხელსაბანებიც არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს ყველა ხელსაბანთან იყო თხევადი საპონი, ხელსახოცები კი უმეტეს შემთხვევაში - არა.



დირექციის განცხადების მიხედვით, დაწყებითი კლასებისა და ბუნებისმცოდნეობის მასწავლებლები მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ესაუბრებიან მოსწავლეებს ჰიგიენის საკითხებზე. ვიზიტის დღეს სკოლაში ხელმისაწვდომი იყო ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, თუმცა სკოლას არ ჰყავს ამ საკითხებში სათანადოდ მომზადებული პედაგოგები. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში ჩატარდა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს რეგულარულად აგროვებენ და სკოლის ახლოს მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე ყუთში ცლიან. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სადრენაჟო სისტემა გამართულად ფუნქციონირებს, ამიტომ გამოყენებული წყლები არხით გაედინება სკოლის ტერიტორიიდან (სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი).

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლისა და სანიტარიული სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. დირექტორის გადმოცემის მიხედვით, ამ მხრივ მნიშვნელოვანი ხარვეზები არ ფიქსირდება, თუმცა ვიზიტის დღეს გამოჩნდა, რომ მაინც არსებობს გარკვეული ხარვეზები, რომელიც, ძირითადად, სანიტარია-ჰიგიენის საკითხებს უკავშირდება. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და სკოლის მომარაგება საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით.

ქვემო ხვითის საჯარო სკოლა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხვითის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 218047254). სკოლაში არის 108 მოსწავლე (65 გოგონა და 43 ვაჟი), მათ შორის 1 ვაჟი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 22–ს (3 მამაკაცი და 19 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებით არ არის დაინტერესებული. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების გეგმებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები სკოლის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით მუდმივად შემოდის საკმარისი რაოდენობით წყალი. წყლის ხარისხს ლაბორატორიულად ამოწმებენ, ამდენად მისი უსაფრთხოება დადასტურებულია. წყალს იყენებენ როგორც სასმელად, ასევე სკოლის სხვა საჭიროებებისათვის. მოსწავლეები წყალს პირდაპირ ონკანიდან სვამენ, რომელიც არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. სკოლას აქვს აგრეთვე წყლის მიწოდების ალტერნატიული საშუალება - 3 ტონის ტევადობის ორი რეზერვუარი. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში არ ხდება რეზერვუარების პერიოდული გაწმენდა (ქიმიური დამუშავება).

სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებულია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშების 1 ერთეული გოგონებისათვის და 2 – ვაჟებისათვის. გოგონების რაოდენობიდან გამომდინარე კი, პირიქით უნდა ყოფილიყო - მათი საპირფარეშოები რაოდენობით უნდა აღემატებოდეს ბიჭებისას. პედაგოგებს არა აქვთ ცალკე საპირფარეშო ოთახი. სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეული

ნაწილობრივ სუფთა იყო. სკოლაში ფუნქციონირებს 3 ხელსაბანი, მათ შორის 2 საპირფარეშოსთან ახლოს არის მოწყობილი. საპირფარეშოების მსგავსად ხელსაბანებიც არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. ვიზიტის დღეს ხელსაბანების მხოლოდ ნაწილში იყო საპონი.

დირექციის განცხადების მიხედვით, დაწყებითი კლასებისა და ბუნებისმცოდნეობის მასწავლებლები ერთეულ შემთხვევებში ესაუბრებიან მოსწავლეებს ჰიგიენის საკითხებზე. სკოლაში არ არის ჰიგიენის თემებზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მოსწავლეების ცნობიერების დონის ასამაღლებლად (ისევე, როგორც ჰიგიენის საკითხებში სათანადოდ მომზადებული პედაგოგები). სკოლაში ტარდება მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და ინფიცირებულ მოსწავლეებს ენიშნებათ საჭირო მედიკამენტები.

მყარ ნარჩენებს რეგულარულად აგროვებენ და სკოლის ახლოს მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე ყუთში ცლიან. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სადრენაჟო სისტემა გამართულად ფუნქციონირებს, ამიტომ გამოყენებული წყლები არხით გაედინება სკოლის ტერიტორიიდან (სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი).

სკოლის დირექცია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად. ერთობლივი პასუხისმგებლობის მიუხედავად, სკოლაში მაინც არის გარკვეული ხარვეზები, რაზეც ვიზიტის დღეს არსებული მდგომარეობა მიუთითებს. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და სკოლის მომარაგება საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით.

სოფელ ძევერის საჯარო სკოლა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევერის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 218047735). სკოლაში არის 179 მოსწავლე (84 გოგონა და 95 ვაჟი), მათ შორის არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 27–ს (1 მამაკაცი და 26 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა სამოქალაქო განათლების კლუბი, თუმცა წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებით არ არის დაინტერესებული. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებს. დირექციის განცხადების მიხედვით, WaSH-ის საკითხები ამ გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც სკოლას ძალზე იშვიათად – კვირაში მხოლოდ 1 დღე, ისიც 2 საათით მიეწოდება. შესაბამისად, წყალი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის. ვინაიდან სკოლას არა აქვს სასმელი წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება, ამიტომ მოსწავლეების უმეტესობას წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელიც მხოლოდ ერთჯერადი მოხმარებისათვის არის რეკომენდებული. სასმელი წყლის მოწყობილობა არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეზე. სკოლას აქვს წყლის მრავალტონიანი რეზერვუარი, თუმცა, დირექციის განცხადების მიხედვით, ის მხოლოდ ცენტრალური გათბობის სისტემის ფუნქციონირებისათვის გამოიყენება.

სკოლის შენობაში მოწყობილია 7 ერთეულის მქონე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სანიტარიული კვანძი, თუმცა წყლის სიტემასთან არცერთი არ არის შეერთებული და, შესაბამისად, არ ფუნქციონირებს. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები ძველი, სკოლის ეზოში (20-დან 100 მეტრამდე რადიუსში) განთავსებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშოთი სარგებლობენ. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 2 ერთეული გოგონებისათვის, 2 – ვაჟებისათვის და 1 – პედაგოგებისათვის. სანიტარიული კვანძის არცერთი ერთეული არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. შეფასების დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში მძიმე ანტისანიტარია იყო. სანიტარიულ კვანძებთნ არ არის მოწყობილი ხელსაბანები. სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ 1 ხელსაბანი, რომელიც საკმარისი მანძილით არის დაშორებული საპირფარეშოდან. ვიზიტის დღეს ხელსაბანში მოდიოდა წყალი (ბიდონით) და იქვე იყო საპონი.

დაწყებითი კლასებისა და ბუნებისმცოდნეობის მასწავლებლები მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ესაუბრებიან მოსწავლეებს ჰიგიენის საკითხებზე. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში აქვთ ჰიგიენის თემებზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, თუმცა შეფასების მომენტში ისინი არ წარმოადგინეს. ასევე, დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლაში ჰყავთ მასწავლებლები, რომელთაც გავლილი აქვთ სათანადო მომზადება ჰიგიენის საკითხებში. სკოლაში ტარდება მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე, ხოლო ინფიცირებულ მოსწავლეებს საჭირო მედიკამენტები მიეწოდებათ.

მყარ ნარჩენებს რეგულარულად აგროვებენ და სკოლის ახლოს მდებარე მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის სანაგვე ყუთში ცლიან. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტების შეფასება ვერ მოხერხდა. სადრენაჟო სისტემა გამართულად ფუნქციონირებს, ამიტომ გამოყენებული წყლები არხით გაედინება სკოლის ტერიტორიიდან (სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი).

სკოლის დირექცია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. სოფელში არის სასმელი წყლის ჭაბურღილი, რომელიც ხშირად გამორთულია, რადგან მოსახლეობა ვერ ახერხებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ელექტროენერგიის საფასურის გადახდას. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა აღნიშნული სისტემის გამართული ფუნქციონირება ვერ ხერხდება, რადგან სკოლაში მძიმე ანტისანიტარიაა. დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლის ტერიტორიაზე ჭაბურღილის მოწყობა და შენობის შიგნით არსებული სანიტარიული კვანძების გამართვა იგეგმება. უკვე მომზადებულია შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა, რომელიც შესათანხმებლად არის გაგზავნილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. გასაუმჯობესებელია ჰიგიენის სწავლება და სკოლის თემატური საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებით მომარაგება.

კასპის მუნიციპალიტეტი

კასპის N3 საჯარო სკოლა

კასპის მუნიციპალიტეტის ქალაქ კასპის N3 სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში სწავლობს 363 მოსწავლე (დირექციას არა აქვს ინფორმაცია გოგონებისა და ვაჟების ზუსტი რაოდენობის შესახებ), რომელთა შორის 5 ვაჟი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 29–ს (1 მამაკაცი და 28 ქალი). მოსწავლეთა თვითმმართველობა, მართალია, ფუნქციონირებს, თუმცა ნაკლები აქტიურობით გამოირჩევა. დირექტორის განცხადების მიხედვით, თვითშეფასების საფუძველზე ხდება სკოლის

განვითარების გეგმის შემუშავება, რომელშიც წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოსა და შენობაში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის შეზღუდული რაოდენობით წყალი, შესაბამისად, არსებული წყლის რესურსი სრულად ვერ აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს (სასმელად, ხელების დასაბანად და საპირფარეშოების ჩასარეცხად). სკოლაში არსებული წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, წყალი უსაფრთხოა სასმელად (ლაბორატორიულად არ არის დადასტურებული). სკოლას არა აქს სასმელი წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. აქვს მცირე ზომის რეზერვუარი, რომლის წყალსაც ხელების დასაბანად იყენებენ. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც სკოლაში არსებული წყლის ასავსებადაც იყენებენ. სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლის შენობა სამსართულიანია, ყოველ სართულზე მოწყობილია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 6 ერთეული გოგონებისათვის და 6 - ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, ხოლო გოგონების საპირფარეშოს კარი შიგნიდან არ იკეტება. ვიზიტის დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში არ იყო დაცული სანიტარიული ნორმები დაცული. საპირფარეშ ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებლობას დამლაგებლები მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორთან ერთად ინაწილებენ. სანიტარიულ კვანძთან არის ხელის დაბანის შესაძლებლობაც - კერძოდ, მოწყობილია 7 ხელსაბანი, თუმცა შეფასების მომენტში არცერთ ხელსაბანში არ მოდიოდა წყალი და არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი. შესაბამისად, მოსწავლეები ვერ ახერხებენ ხელების დაბანას.

სკოლაში ჰიგიენა არ ისწავლება, არა აქვთ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არ გაუვლიათ სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე კონტეინერში ცლიან. ვიზიტის დღეს სანიტარიული ობიექტების უმეტესი ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა.

დირექციის განცხადების მიხედვით, შესაბამისი მუნიციპალური სამსახური არის პასუხისმგებელი წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. აღნიშნული სისტემა სრულად ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს, რაც სისტემის სიძველით აიხსნება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას დირექცია თავის

თავზე იღებს, თუმცა შეფასებამ აჩვენა, რომ სანიტარიული ნორმები სათანადოდ არ არის დაცული და მდგომარეობა გამოსწორებას საჭიროებს. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ჰიგიენის სწავლება, რადგან სკოლაში ჰიგიენა საერთოდ არ ისწავლება, რაც უარყოფითად აისახება მოსწავლეთა ქცევაზე. მნიშვნელოვანია პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის გადაცემა.

ლამისყანის საჯარო სკოლა

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ლამისყანის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში სწავლობს 152 მოსწავლე (66 გოგონა და 96 ვაჟი). მათ შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 22–ს (2 მამაკაცი და 20 ქალი). მოსწავლეთა თვითმმართველობა, მართალია, ფუნქციონირებს, თუმცა ნაკლები აქტიურობით გამოირჩევა. დირექტორის განცხადების მიხედვით, თვითშეფასების საფუძველზე ხდება სკოლის განვითარების გეგმის შემუშავება, რომელშიც წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოსა და შენობაში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის შეზღუდული რაოდენობით წყალი, რომელიც სკოლას სოფლის ცენტრალური წყალმომარაგების სისტემიდან მიეწოდება. შეფასების მომენტში წყლის მიწოდების წყარო არ ფუნქციონირებდა, თუმცა დირექციას მიაჩნია, რომ არსებული წყლის რესურსი სრულად აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს (სასმელად, ხელების დასაბანად და საპირფარეშების ჩასარეცხად). სკოლაში არსებული წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, წყალი უსაფრთხოა სასმელად (ლაბორატორიულად არ არის დადასტურებული). სკოლას არა აქვს სასმელი წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება. სკოლას აქვს მცირე ზომის რეზერვუარი, რომელიც სანიტარიულ კვანძებთან არის მოწყობილი და რომლის წყალსაც ხელების დასაბანად იყენებენ. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც სკოლაში არსებული წყლის ასავსებადაც იყენებენ. მოსწავლეთა ნაწილი წყალს პირდაპირ ონკანიდან სვამს. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მოსწავლეებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) მოწყობილია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით და „ორმო“ საპირფარეშო. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 4 ერთეული გოგონებისათვის და 1 - ვაჟებისათვის, რაც აბსოლუტურად შეუსაბამოა სკოლაში მოსწავლეების გენდერულ განაწილებასთან. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშ ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, თუმცა გარედან ბოქლომით არის დაკეტილი და არ გამოიყენება. გოგონების საპირფარეშოს კარი შიგნიდან არ იკეტება. ვიზიტის დღეს საპირფარეშს ყველა ერთეულში სანიტარიული ნორმები უხეშად იყო

დარღვეული. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებლობა დამლაგებლებს აკისრიათ. სანიტარიულ კვანძთან არის ხელის დაბანის შესაძლებლობაც - კერძოდ, მოწყობილია 2 ხელსაბანი. შეფასების მომენტში ორივე ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი.

სკოლაში ჰიგიენა არ ისწავლება, არა აქვთ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არ გაუვლიათ სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

სკოლაში დაგროვილ მყარ ნარჩენებს იქვე, სკოლის ტერიტორიაზე წვავენ. ვიზიტის დღეს სანიტარიულ ობიექტების უმეტესი ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა.

დირექციია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. აღნიშნული სისტემა სრულად ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს, რაც მისი ხანდაზმულობით აიხსნება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას დირექცია თავის თავზე იღებს, თუმცა შეფასებამ აჩვენა, რომ სანიტარიული ნორმები უხეშად იყო დარღვეული. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ჰიგიენის სწავლება, რადგან სკოლაში ჰიგიენა საერთოდ არ ისწავლება, რაც უარყოფითად აისახება მოსწავლეთა ქცევაზე. მნიშვნელოვანია პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის გადაცემა.

სამთავისის საჯარო სკოლა

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სამთავისის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში სწავლობს 92 მოსწავლე (35 გოგონა და 57 ვაჟი), რომელთა შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 22–ს (2 მამაკაცი და 20 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. დირექტორის განცხადების მიხედვით, თვითშეფასების საფუძველზე ხდება სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმის შემუშავება, რომელშიც წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოსა და შენობაში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის შეზღუდული რაოდენობით წყალი, რომელიც სკოლას სოფლის ცენტრალური წყალმომარაგების სისტემიდან მიეწოდება. შეფასების მომენტში წყლის მიწოდების წყარო არ ფუნქციონირებდა,

თუმცა დირექციას მიაჩნია, რომ არსებული წყლის რესურსი სრულად აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს (სასმელად, ხელების დასაბანად და საპირფარეშების ჩასარეცხად). სკოლაში არსებული წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან არა აქვთ ფილტრები და გამწმენდი ქიმიური საშუალებები. სკოლას არა აქვს სასმელი წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება ან რეზერვუარი. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც სკოლაში არსებული წყლის ასავსებადაც იყენებენ. მოსწავლეთა ნაწილი წყალს პირდაპირ ონკანიდან სვამს. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მოსწავლეებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) მოწყობილია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშების 2 ერთეული გოგონებისათვის და 2 - ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. გოგონების საპირფარეშოს კარი შიგნიდან არ იკეტება. ვიზიტის დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებლობა დამლაგებლებს აკისრიათ. სანიტარიულ კვანძთან არის ხელის დაბანის შესაძლებლობაც - კერძოდ, მოწყობილია 2 ხელსაბანი. შეფასების მომენტში ორივე ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა მხოლოდ ერთ ხელსაბანთან იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა არ ისწავლება, არა აქვთ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არ გაუვლიათ სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე კონტეინერში ცლიან. ვიზიტის დღეს სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექციის განცხადების მიხედვით, სკოლა არის პასუხისმგებელი წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. აღნიშნული სისტემა სრულად ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს, თუმცა ამის მიზეზს დირექცია ვერ ასახელებს. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე დირექცია თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა შეფასებამ აჩვენა, რომ სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დარღვეული. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ჰიგიენის სწავლება, რადგან სკოლაში ჰიგიენა საერთოდ არ ისწავლება, რაც უარყოფითად აისახება მოსწავლეთა

ქცევაზე. მნიშვნელოვანია პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის გადაცემა.

საქადაგიანოს საჯარო სკოლა

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ საქადაგიანოს სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში სწავლობს 138 მოსწავლე (დირექციას არა აქვს ინფორმაცია გოგონებისა და ვაჟების ზუსტი რაოდენობის შესახებ), რომელთა შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 20–ს (3 მამაკაცი და 17 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. დირექტორის განცხადების მიხედვით, თვითშეფასების საფუძველზე ხდება სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმის შემუშავება, რომელშიც წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის წყალი, რომელიც სკოლას უწყვეტად მიეწოდება. შეფასების მომენტში წყლის მიწოდების წყარო ფუნქციონირებდა, შესაბამისად, არსებული წყლის რესურსი აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს (სასმელად, ხელების დასაბანად და საპირფარეშოების ჩასარეცხად). სკოლაში არსებული წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან სკოლაში არ არის ფილტრები და გამწმენდი ქიმიური საშუალებები. სკოლას არა აქვს სასმელი წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული საშუალება ან რეზერვუარი. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის (PET) ბოთლებით, რომელსაც სკოლაში არსებული წყლის ასავსებადაც იყენებენ. სასმელი წყლის მოწყობილობების ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) მოწყობილია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის და 2 - ვაჟებისათვის. პედაგოგებს არა აქვთ ცალკე საპირფარეშო ოთახი. სანიტარიული კვანძი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს საპირფარეშს ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებლობა დამლაგებლებს აკისრიათ. სანიტარიულ კვანძთან არის ხელის დაბანის შესაძლებლობაც - კერძოდ, მოწყობილია 6 ხელსაბანი. შეფასების მომენტში ხელსაბანების უმეტეს ნაწილში მოდიოდა წყალი, იქვე იყო საპონი და ხელსახოცი. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა არ ისწავლება, არა აქვთ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არ გაუვლიათ სპეციალური მომზადება

ჰიგიენის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე კონტეინერში ცლიან. ვიზიტის დღეს სანიტარიული ობიექტები მყარი ნარჩენებით არ იყო გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექციას ქსნის მინისტარის ქარხანა (შპს „წყარო“) მიაჩნია წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. აღნიშნული სისტემა სრულად აკმაყოფილებს სტანდარტის მიხედვით დადგენილ მოთხოვნებს, ამიტომ წყლის მიწოდების მხრივ სკოლას არასდროს არ შეჰქმნია პრობლემა. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას დირექცია თავის თავზე იღებს, თუმცა შეფასებამ აჩვენა, რომ სანიტარიული ნორმები ნაწილობრივ იყო დარღვეული. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ჰიგიენის სწავლება, რადგან სკოლაში ჰიგიენა საერთოდ არ ისწავლება, რაც უარყოფითად აისახება მოსწავლეთა ქცევაზე. მნიშვნელოვანია პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის გადაცემა.

ქარელის მუნიციპალიტეტი

ახალსოფლის საჯარო სკოლა

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში სწავლობს 99 მოსწავლე (43 გოგონა და 56 ვაჟი), რომელთა შორის არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 20–ს (2 მამაკაცი და 18 ქალი). მოსწავლეთა თვითმმართველობა, მართალია, ფუნქციონირებს, თუმცა ნაკლები აქტიურობით გამოირჩევა. დირექტორის განცხადების მიხედვით, თვითშეფასების საფუძველზე ხდება სკოლის განვითარების გეგმის შემუშავება, რომელშიც წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლაში წყლის მიწოდების უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს დაუცველი ჭის წყალი, რომელიც სკოლას ყოველდღიურად, თუმცა შეზღუდული რაოდენობით მიეწოდება. შესაბამისად, წყალი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოების ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიულ წყარო. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან პერსონალი არ ფლობს

შესაბამის ცოდნას და არც სკოლას არა აქვს ფილტრები და გამწმენდი ქიმიური საშუალებები. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის მოსწავლეებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ სასმელი წყლის მიღება. აღნიშნული პრობლემების გამო, მოსწავლეების უმეტეს ნაწილს სასმელი წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით.

სკოლის ეზოში მოწყობილია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშოს ჯიხური. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის და 2 - ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ვიზიტის დღეს საპირფარეშოს არცერთ ერთეულში არ იყო დაცული სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სანიტარიულ კვანძთან არის ხელის დაბანის შესაძლებლობაც - კერძოდ, მოწყობილია 2 ხელსაბანი. შეფასების მომენტში ორივე ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონი.

სკოლაში ჰიგიენა არ ისწავლება, არა აქვთ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არ გაუვლიათ სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს კვირაში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე კონტეინერში. ვიზიტის დღეს სანიტარიულ ობიექტების უმეტესი ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა.

დირექციის განცხადების მიხედვით, შესაბამისი მუნიციპალური სამსახური არის პასუხისმგებელი წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. აღნიშნული სისტემა ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს, რაც მისი სიძველით აიხსნება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას დირექცია თავის თავზე იღებს, თუმცა შეფასებამ აჩვენა, რომ სანიტარიული ნორმები სათანადოდ არ არის დაცული და მდგომარეობა გამოსწორებას საჭიროებს. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ჰიგიენის სწავლება, რადგან სკოლაში ჰიგიენა საერთოდ არ ისწავლება, რაც უარყოფითად აისახება მოსწავლეთა ქცევაზე. მნიშვნელოვანია პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისათვის გადაცემა.

ბებნისის საჯარო სკოლა

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბებნისში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში სწავლობს 188 მოსწავლე (94 გოგონა და 94 ვაჟი), რომელთა შორის 5 გოგონა და 4 ვაჟი შეზღუდული შესაძებლობების მქონეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 26–ს (2 მამაკაცი და 24 ქალი). მოსწავლეთა თვითმმართველობა, მართალია, ფუნქციონირებს, თუმცა WaSH-ის საკითხებში არ არის გათვითცნობიერებული. დირექტორის განცხადების მიხედვით, თვითშეფასების საფუძველზე ხდება სკოლის განვითარების გეგმის შემუშავება, რომელშიც წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებს მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა ახალი გარემონტებულია, ამიტომ WaSH-ის თვალსაზრისით ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სკოლის შენობაში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის წყალი, რომელიც სკოლას უწყვეტად მიეწოდება. შესაბამისად, არსებული წყლის რესურსი აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს (სასმელად, ხელების დასაბანად და საპირფარეშოების ჩასარეცხად). სკოლაში არსებული წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან არა აქვთ ფილტრები და გამწმენდი ქიმიური საშუალებები. არცერთ ბავშვს წყალი სახლიდან არ მოაქვს, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს პირდაპირ ონკანიდან სვამენ. სასმელი წყლის მოწყობილობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. სკოლას აქვს აგრეთვე წყლის რეზერვუარი, რომელსაც ტექნიკური მიზნებისათვის იყენებს.

სკოლის შენობაში მოწყობილია სანიტარიული კვანძი - „ჩასარეცხი“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 7 ერთეული გოგონებისათვის, 7 - ვაჟებისათვის და 2 - პედაგოგებისათვის (ცალ-ცალკე – ქალებისა და მამაკაცებისათვის). სანიტარიული კვანძი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. ვიზიტის დღეს საპირფარეშოს ყველა ერთეულში დაცული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სანიტარიულ კვანძთან არის ხელის დაბანის შესაძლებლობაც, კერძოდ, მოწყობილია 12 ხელსაბანი. შეფასების მომენტში ხელსაბანების უმეტეს ნაწილში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონი, ხელსახოცი - არა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

ჰიგიენის სწავლებას ეპიზოდური ხასიათი აქვს - დაწყებითი კლასებისა და ბუნებისმცოდნეობის მასწავლებლები მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ესაუბრებიან მოსწავლეებს ჰიგიენის საკითხებზე. სკოლაში არა აქვთ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არ გაუვლიათ სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებშ არ ჩატარებულა მოსწავლეების ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს კვირაში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის სანაგვე კონტეინერში. ვიზიტის დღეს სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში პრობლემები არ დაფიქსირებულა.

დირექციის განცხადების მიხედვით, შესაბამისი მუნიციპალური სამსახური არის პასუხისმგებელი წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. აღნიშნული სისტემა სკოლაში ახალი გარემონტებულია და აკმაყოფილებს სტანდარტის მიხედვით დადგენილ მოთხოვნებს. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე საპუხისმგებლობას დირექცია თავის თავზე იღებს – შეფასებამ აჩვენა, რომ ამ მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისთვის გადაცემა.

ტახტისძირის საჯარო სკოლა

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ტახტისძირში ფუნქციონირებს არასრული საჯარო სკოლა. სკოლაში სწავლობს 40 მოსწავლე (26 გოგონა და 14 ვაჟი), რომელთა შორის არავინ არ არის შეზღული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 18–ს (5 მამაკაცი და 13 ქალი). მოსწავლეთა თვითმმართველობა, მართალია, ფუნქციონირებს, თუმცა WaSH-ის საკითხებით არ არის დაინტერესებული. დირექტორის განცხადების მიხედვით, თვითშეფასების საფუძველზე ხდება სემესტრული და წლიური გეგმების შემუშავება, რომელშიც წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხები მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლის ეზოში წყლის მილით ყოველდღიურად შემოდის შეზღუდული რაოდენობით წყალი. არსებული წყლის რესურსი ვერ აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს (სასმელად, ხელების დასაბანად და საპირფარეშოს ჩასარეცხად), ამიტომ წყალს ქუჩიდან ეზიდებიან. სკოლაში არსებული წყლის გაწმენდა არ ხდება, რადგან არავინ არა აქვს ამ პროცესის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია და არ ფლობს შესაბამის უნარებს. მოსწავლეების ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს პირდაპირ ონკანიდან სვამენ. სასმელი წყლის მოწყობილობა არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. სკოლას არა აქვს წყლის რეზერვუარი.

სკოლის შენობაში მოწყობილია სანიტარიული კვანძი - „ჩასარეცხი“ ტიპის საპირფარეშო. სკოლაშ სულ არის 1 საპირფარეშო მოსწავლეებისათვის და ერთიც საერთო სარგებლობისა – პედაგოგებისათვის. ვიზიტის დღეს სანიტარიული კვანძის ორივე ერთეულში დაცული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახების დასუფთავებაზე პასუხისმგებელია

დამლაგებელი. საპირფარეშოსთან არის ხელის დაბანის შესაძლებლობაც - კერძოდ, მოწყობილია 2 ხელსაბანი. შეფასების მომენტში ორივე ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონი. სანიტარიული კვანძი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა არ ისწავლება, არა აქვთ ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არ გაუვლიათ სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს კვირაში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის ნაგვის ურნაში. ვიზიტის დღეს სანიტარიულ ობიექტებზე დაკვირვება ვერ მოხერხდა. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში პრობლემები არ დაფიქსირებულა.

დირექციის განცხადების მიხედვით, შესაბამისი მუნიციპალური სამსახური არის პასუხისმგებელი წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. აღნიშნული სისტემა მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს სტანდარტის მიხედვით დადგენილ მოთხოვნებს, რაც, ძირითადად, სოფელში არსებული წყლის მიწოდების ზოგადი პრობლემით აიხსნება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე საპუხისმგებლობას დირექცია თავის თავზე იღებს – შეფასებამ აჩვენა, რომ ამ მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისთვის გადაცემა.

ქვემო ხვედურეთის საჯარო სკოლა

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხვედურეთში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში არის 137 მოსწავლე (67 გოგონა და 70 ვაჟი), რომელთა შორის არცერთი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 24–ს (ყველა ქალია). მოსწავლეთა თვითმმართველობა, მართალია, ფუნქციონირებს, თუმცა WaSH-ის საკითხებით არ არის დაინტერესებული. დირექტორის განცხადების მიხედვით, ყოველწლიურად თვითშეფასების საფუძველზე ხდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც წყლისა და სანიტარიის საკითხები მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა ყოველდღიურად მარაგდება საკმარისი რაოდენობით დაცული ჭის წყლით, რომელსაც იყენებენ სასმელად, ხელების დასაბანად და საპირფარეშოების ჩასარეცხად.

სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, ჭის წყალი უსაფრთხოა სასმელად (ლაბორატორიულად არ არის დადასტურებული). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით, ხოლო სკოლაში საზიარო ჭურჭელს იყენებენ. წყლის მიწოდების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს სკოლის მეზობლად მდებარე ჭის წყალი.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20-100 მეტრის რადიუსში) მოწყობილია სანიტარიული კვანძი - „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო ჯიხური. სკოლაში სულ არის 1 საპირფარეშო გოგონებისათვის, 1 - ვაჟებისათვის, 1 – ქალი პედაგოგებისათვის და ერთიც საერთო სარგებლობისა - ყველასათვის. ვიზიტს დღეს სანიტარიული კვანძის ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახის დასუფთავებაზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლის შენობაში მოწყობილია ახლად გარემონტებული სანიტარიული კვანძი, თუმცა ჯერ ექსპლუტაციაში შესული არ არის. ეზოში საპირფარეშოსთან არის ხელის დაბანის შესაძლებლობაც - კერძოდ, მოწყობილია 1 ხელსაბანი. შეფასების მომენტში ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი. ხელსაბანები და საპირფარეშოები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, თუმცა უმცროსი ასაკის მოსწავლეებს შეუძლიათ სანიტარიული კვანძით სარგებლობა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ (– ისიც საპნის გარეშე).

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება – მაგალითად, კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი, შესაძლოა, გაესაუბროს მოსწავლეებს ჰიგიენისა და სანიტარიის საკითხებზე. სკოლაში არ არის ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს კვირაში ერთხელ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის ნაგვის ურნაში. ვიზიტის დღეს სანიტარიული ობიექტების ნაწილი ნარჩენებით იყო გადავსებული. ამგვარად, მყარი ნარჩენების უტილიზაცია მეტ ყურადღებას საჭიროებს. სკოლაში გამართულად არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში გარკვეული პრობლემები დაფიქსირდა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. აღნიშნული სისტემა მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს სტანდარტის მიხედვით დადგენილ მოთხოვნებს, რაც, ძირთადად, სისტემის მოძველებით აიხსნება. დირექცია შესაბამის პროფილურ სამინისტროს აკისრებს სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას. სკოლაში არსებული სიტუაცია აჩვენებს, რომ ამ

მხრივ მდგომარეობა გამოსწორებას საჭიროებს, რაც, სავარაუდოდ, სკოლის შენობაში ახლად გარემონტებული სანიტარიული კვანძის ამოქმედების შემდეგ მოხდება. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისთვის გადაცემა.

ხაშურის მუნიციპალიტეტი

ალის საჯარო სკოლა

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ალში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა (ID: 218048404). სკოლაში არის 157 მოსწავლე (69 გოგონა და 88 ვაჟი), რომელთა შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. სკოლაში მხოლოდ 2 ვაჟია სპეციალური საჭიროებების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 32–ს (6 მამაკაცი და 26 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო. მოსწავლეთა თვითმმართველობა, მართალია, არსებობს, თუმცა WaSH-ის საკითხებით არ არის დაინტერესებული. დირექტორის განცხადების მიხედვით, ყოველწლიურად თვითშეფასების საფუძველზე ხდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც წყლისა და სანიტარიის საკითხები მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა ყოველდღიურად მარაგდება საკმარისი რაოდენობით დაცული ჭის წყლით, რომელსაც იყენებენ სასმელად, ხელების დასაბანად და საპირფარეშოების ჩასარეცხად. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, ჭის წყალი უსაფრთხოა სასმელად (დადასტურებულია ლაბორატორიულად). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, ხოლო უმცროსი ასაკის მოსწავლეებს დამოუკიდებლად შეუძლიათ წყლის მიღება. მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს პლასტმასის ბოთლებით, ხოლო სკოლაში საზიარო ჭურჭელს იყენებენ. სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული წყარო.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20 მეტრამდე რადიუსში) მოწყობილია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 3 ერთეული გოგონებისათვის, 3 - ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა - პედაგოგებისათვის. გოგონების საპირფარეშოს კარს არა აქვს შიდა საკეტები. ვიზიტს დღეს სანიტარიული კვანძის ყველა ერთეული ნაწილობრივ სუფთა იყო. საპირფარეშო ოთახის დასუფთავებაზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. საპირფარეშოსთან

არის ხელის დაბანის შესაძლებლობა - კერძოდ, მოწყობილია 3 ხელსაბანი. შეფასების მომენტში ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონი, ხოლო ხელსახოცი -არა. ხელსაბანები და საპირფარეშოები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის მოსწავლეებს კი შეუძლიათ სანიტარიული კვანძით სარგებლობა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება – მაგალითად, კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი, შესაძლოა, გაესაუბროს მოსწავლეებს ჰიგიენისა და სანიტარიის საკითხებზე. სკოლაში არ არის ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს კვირაში 2-ჯერ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის ნაგვის ურნაში. მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება - ვიზიტის დღეს სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - ვიზიტის მომენტში პრობლემები არ დაფიქსირებულა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად. აღნიშნული სისტემა სკოლაში მეტ-ნაკლებად გამართულად ფუნქციონირებს. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას დირექცია თავის თავზე იღებს და აცხადებს, რომ საკუთარი ძალებით ახერხებენ მის შეკეთებას, დაზიანებების აღმოფხვრას და სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შენარჩუნებას. თუმცა სკოლაში არსებული სიტუაცია აჩვენებს, რომ ამ მხრივ მდგომარეობა ჯერ კიდევ გასაუმჯობესებელია.WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანია ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისთვის გადაცემა.

სურამის N4 საჯარო სკოლა

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის N4 სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 243893809). სკოლაში სწავლობს 427 მოსწავლე (180 გოგონა და 247 ვაჟი), რომელთა შორის არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 38–ს (3 მამაკაცი და 35 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც WaSH-ის მხარდაჭერაში არ მონაწილეობს. დირექტორის განცხადების მიხედვით, ყოველწლიურად თვითშეფასების საფუძველზე ხდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის

შემუშავება, რომელშიც წყლისა და სანიტარიის საკითხები მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

ცენტრალური წყალგაყვანილობის სისტემიდან სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც რეზერვუარში გროვდება და სკოლას ყოველდღიურად მიეწოდება. არსებული წყლის რესურსი აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). შეფასების მომენტში წყლის მიწოდების წყარო ფუნქციონირებდა. წყლის გაწმენდა მის მოხმარებამდე არ ხდება, რადგან სკოლაში არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (ლაბორატორიულად დადასტურებულია). წყლის რეზერვუარი სათანადოდ არის დახურული და მოვლილი. დირექციის განცხადების მიხედვით, მოსწავლეთა ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს, სკოლაში არსებულ წყალს კი ისინი პირდაპირ ონკანიდან სვამენ. წყლის სასმელი მოწყობილობა არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20 მეტრზე ახლოს) მოწყობილია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 3 ერთეული გოგონებისათვის, 3 - ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა - პედაგოგებისათვის. ვიზიტის დღეს სანიტარიული კვანძის მოსწავლეთა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები, ხოლო პედაგოგთა საპირფარეშო სუფთა მდგომარეობაში დაგვხვდა. საპირფარეშო ოთახის დასუფთავებაზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. საპირფარეშოსთან არის ხელის დაბანის შესაძლებლობაც - კერძოდ, მოწყობილია 4 ხელსაბანი. კიდევ ერთი ხელსაბანი ფუნქციონირებს სკოლის სასადილოში. შეფასების მომენტში ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონი, ხოლო ხელსახოცი -არა. ხელსაბანები და საპირფარეშოები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის მოსწავლეებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ სანიტარიული კვანძით სარგებლობა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა იბანს ხელებს საპირფარეშ ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება – მაგალითად, კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი, შესაძლოა, გაესაუბროს მოსწავლეებს ჰიგიენისა და სანიტარიის საკითხებზე. სკოლაში არ არის ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს კვირაში 2-ჯერ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის ნაგვის ურნაში. მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება - ვიზიტის დღეს სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექცია საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას მიიჩნევს სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად – აღნიშნული სისტემა სკოლაში გამართულად ფუნქციონირებს. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას დირექცია თავის თავზე იღებს და აცხადებს, რომ საკუთარი ძალებით ახერხებენ მის შეკეთებას, დაზიანებების აღმოფხვრას და სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შენარჩუნებას. თუმცა არსებული სიტუაცია აჩვენებს, რომ ამ მხრივ მდგომარეობა ჯერ კიდევ გასაუმჯობესებელია. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანია ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისთვის გადაცემა.

ქემფერის საჯარო სკოლა

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფერის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 243880804). სკოლაში სწავლობს 39 მოსწავლე (13 გოგონა და 26 ვაჟი), რომელთაგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 18–ს (2 მამაკაცი და 16 ქალი). სკოლაში ფორმალურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც WaSH-ის მხარდაჭერაში არ მონაწილეობს. დირექტორის განცხადების მიხედვით, ყოველწლიურად თვითშეფასების საფუძველზე ხდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც წყლისა და სანიტარიის საკითხები მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლას ოველდღიურად მიეწოდება შეზღუდული რაოდენობის დაცული წყაროს წყალი. არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების არც სხვა ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი. სკოლაში არ ხდება წყლის გაწმენდა, რადგან, პერსონალის სუბიექტური აზრით, არსებული წყაროს წყალი სასმელად უსაფრთხოა (ლაბორატორიულად არ არის დადასტურებული). სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეებს არ მოაქვთ წყალი სახლიდან, ხოლო სკოლაში არსებულ წყალს საკუთარი მრავალჯერადი მოხმარების ჭურჭლის გამოყენებით სვამენ.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20 მეტრზე ახლოს) მოწყობილია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის 2 საპირფარეშო გოგონებისათვის და 2 - ვაჟებისათვის. პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი არა აქვთ. ვიზიტის დღეს სანიტარიული კვანძის ყველა ერთეულში დაცული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშო ოთახის დასუფთავებაზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. საპირფარეშოსთან არის ხელის დაბანის შესაძლებლობაც - კერძოდ,

მოწყობილია 3 ხელსაბანი. კიდევ ერთი ხელსაბანი ფუნქციონირებს სკოლის შენობაში (დერეფანში). შეფასების მომენტში ყველა ხელსაბანში მოდიოდა წყალი და იქვე იყო საპონი, ხოლო ხელსახოცი - არა. ხელსაბანები და საპირფარეშოები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის მოსწავლეებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ სანიტარიული კვანძით სარგებლობა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ.

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება – მაგალითად, კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი, შესაძლოა, გაესაუბროს მოსწავლეებს ჰიგიენისა და სანიტარიის საკითხებზე. სკოლაში არ არის ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს კვირაში 2-ჯერ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის ნაგვის ურნაში. მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ ხდება - ვიზიტის დღეს სანიტარიული ობიექტები არ იყო ნარჩენებით გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექცია სკოლას მიიჩნევს წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. აღნიშნული სისტემა სკოლაში მეტ-ნაკლებად გამართულია, თუმცა, საჭიროა, სასმელი წყლის უსაფრთხოების ლაბორატორიულად დამტკიცება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას დირექცია თავის თავზე იღებს და აცხადებს, რომ საკუთარი ძალებით ახერხებენ მის შეკეთებას, დაზიანებების აღმოფხვრას და სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შენარჩუნებას (რაც შეფასების მომენტში დადასტურდა). WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანია ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისთვის გადაცემა.

ცხრამუხას საჯარო სკოლა

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრამუხას სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (ID: 243874848). სკოლაში სწავლობს 162 მოსწავლე (76 გოგონა და 86 ვაჟი), რომელთაგან არავინ არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 25–ს (3 მამაკაცი და 22 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც WaSH-ის მხარდაჭერაში არ მონაწილეობს. დირექტორის განცხადების მიხედვით,

ყოველწლიურად თვითშეფასების საფუძველზე ხდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც წყლისა და სანიტარიის საკითხები მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლაში წყლის მიწოდების ძირითადი და, ამავე დროს, ერთდაერთი საშუალებაა დაცული ჭის წყალი, რომელიც ყოველდღიურად და შეუზღუდავად მიეწოდება სკოლას. არსებული წყლის რესურსი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, ხელების დასაბანად, საპირფარეშოს ჩასარეცხად და ა.შ.). სკოლას არა აქვს წყლის მიწოდების არც სხვა ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი. სკოლაში პერიოდულად ხდება ჭის გაწმენდა და ქიმიურად დამუშავება (ქლორაცია), შესაბამისად, ჭის წყალი სასმელად უსაფრთხოა, რაც ლაბორატორიულადაც არის დადასტურებული. სასმელი წყლის მოწყობილობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოსწავლეების უმეტეს ნაწილს წყალი სახლიდან მოაქვს და სკოლაში არსებულ წყალსაც პლასტმასის (PET) ბოთლების გამოყენებით სვამენ.

სკოლის ეზოში (შენობიდან 20 მეტრზე ახლოს) მოწყობილია სანიტარიული კვანძი - გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით. სკოლაში სულ არის საპირფარეშოს 3 ერთეული გოგონებისათვის (საპირფარეშოს კარს შიდა საკეტი არა აქვს), 3 - ვაჟებისათვის და 1 საერთო სარგებლობისა - პედაგოგებისათვის. ვიზიტს დღეს სანიტარიული კვანძის ყველა ერთეულში დარღვეული იყო სანიტარიული ნორმები. საპირფარეშოპ ოთახის სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. საპირფარეშოსთან არის შეზღუდული რაოდენობის სველი წერტილი - კერძოდ, მოწყობილია მხოლოდ 1 ხელსაბანი, რაც, სკოლაში მოსწავლეებისა და პერსონალის რაოდენობიდან გამომდინარე, ძალზე არასაკმარისია. შეფასების მომენტში ხელსაბანში მოდიოდა წყალი, თუმცა არ იყო არც საპონი და არც ხელსახოცი. ხელსაბანი და საპირფარეშოები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, უმცროსი ასაკის მოსწავლეებს კი დამოუკიდებლად შეუძლიათ სანიტარიული კვანძით სარგებლობა. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა ნაწილი იბანს ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ (– ისიც საპნის გარეშე).

სკოლაში ჰიგიენა ეპიზოდურად და სტიქიურად ისწავლება – მაგალითად, კლასის დამრიგებელი ან ბიოლოგიის მასწავლებელი, შესაძლოა, გაესაუბროს მოსწავლეებს ჰიგიენისა და სანიტარიის საკითხებზე. სკოლაში არ არის ჰიგიენის თემაზე არსებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში. გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში არ ჩატარებულა მოსწავლეების შემოწმება ნაწლავის ჭიებზე.

მყარ ნარჩენებს კვირაში 2-ჯერ ცლიან სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მუნიციპალური სამსახურის ნაგვის ურნაში. მყარი ნარჩენების უტილიზაცია უსაფრთხოდ

ხდება, თუმცა ვიზიტის დღეს სანიტარიული ობიექტების მცირე ნაწილი მყარი ნარჩენებით იყო გადავსებული. სკოლაში არ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა.

დირექცია შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს მიიჩნევს სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ უწყებად. აღნიშნული სისტემა სკოლაში გამართულად ფუნქციონირებს. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას დირექცია თავის თავზე იღებს და აცხადებს, რომ საკუთარი ძალებით ახერხებს მის შეკეთებას, დაზიანებების აღმოფხვრას და სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შენარჩუნებას. თუმცა არსებული სიტუაცია აჩვენებს, რომ ამ მხრივ მდგომარეობა ჯერ კიდევ გასაუმჯობესებელია. WaSH-ის მიზნებიდან გამომდინარე სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანია ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება - საჭიროა პედაგოგთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების სკოლისთვის გადაცემა.

სკოლების საერთო შეფასება - წყალი, სანიტარია და ჰიგიენა

შემდგომი ინტერვენციების განსახორციელებლად (მაგ. რუკაზე დატანისას სკოლაში არსებული მდგომარეობის თვალსაჩინოების უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურული თუ საგანმანათლებლო პროექტების დაგეგმვა და ა.შ.), სკოლები 3 ძირითად კატეგორიად დაჯგუფდა - წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის - მიხედვით. კერძოდ, თითოეულ შეფასებულ ობიექტში WaSH–ის მხრივ არსებული მდგომარეობა შეფასდა როგორც: (1) ცუდი/საგანგაშო (წითელი), (2) დამაკმაყოფილებელი/საჭიროებს გამოსწორებას (ყვითელი) და (3) კარგი (მწვანე). აღნიშნული სისტემა სკოლებში არსებული სიტუაციის ერთმანეთთან შედარების საშუალებას იძლევა, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს მომავალი ინტერვენციების დაგეგმვა.

ზოგადად, აღსანიშნავია, რომ შეფასებული სკოლების უმეტეს ნაწილში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენის სწავლება. ამ მხრივ, პირველი რიგის ამოცანაა მასწავლებელთა გადამზადება და საინფორმაციო-საგანმანთლებლო მასალების სკოლებში დარიგება. ამგვარად, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამდე მიზანშეწონილია სკოლებში ცნობიერების დონის ამაღლებისა და მობილიზაციის კამპანიების ორგანიზება, რათა მომავალში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებიდან გრძელვადიანი ეფექტის მიღება იყოს შესაძლებელი (მაგ., განახლებულ საპირფარეშოში რამდენიმე თვის შემდეგ ისევ არ დაირღვეს სანიტარიული ნორმები, მოსწავლეებმა უკეთ დაიცვან ჰიგიენური წესები და ა.შ.).

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ყველა იმ სკოლას ასახავს, რომელშიც მოხდა დეტალური შეფასება:

N	დასახელება	წყალი	სანიტარია	ჰიგიენა
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა				
ბათუმის მუნიციპალიტეტი				
1	ბათუმის N22 საჯარო სკოლა			
2	ბათუმის N23 საჯარო სკოლა			
3	ბათუმის N25 საჯარო სკოლა			
4	ბათუმის N29 საჯარო სკოლა			
5	ბათუმის N31 საჯარო სკოლა			
ქედის მუნიციპალიტეტი				
6	გეგელიძეების საჯარო სკოლა			
7	ვაიოს საჯარო სკოლა			
8	მეძიბნის საჯარო სკოლა			
9	ჯალაბაშვილების საჯარო სკოლა			
ქობულეთის მუნიციპალიტეტი				
10	ბუკნარის საჯარო სკოლა			
11	კოხის საჯარო სკოლა			
12	ნაკაიძეების საჯარო სკოლა			
13	ოჩხამურის საჯარო სკოლა			
14	სკურის საჯარო სკოლა			
15	ცეცხლაურის N1 საჯარო სკოლა			
16	ციხისძირის საჯარო სკოლა			

შუახევის მუნიციპალიტეტი				
17	გომარდულის საჯარო სკოლა			
18	ნენიის საჯარო სკოლა			
19	ხაბელაშვილების საჯარო სკოლა			
20	ჯაბნიძეების საჯარო სკოლა			
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი				
21	ქედქედის საჯარო სკოლა			
22	ჩიქუნეთის საჯარო სკოლა			
23	ჩხუტუნეთის საჯარო სკოლა			
24	ჭარნალის საჯარო სკოლა			
ხულოს მუნიციპალიტეტი				
25	ბეღლეთის საჯარო სკოლა			
26	დანისპარაულის საჯარო სკოლა			
27	დიდაჭარის საჯარო სკოლა			
28	ქედლების საჯარო სკოლა			
29	ძმაგულის საჯარო სკოლა			
გურიის რეგიონი				
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი				
30	აკეთის საჯარო სკოლა			
31	მამათის საჯარო სკოლა			
32	სუფსის საჯარო სკოლა			
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი				
33	ლაითურის საჯარო სკოლა			
34	ლიხაურის საჯარო სკოლა			

35	მერიის საჯარო სკოლა			
36	ნარუჯის საჯარო სკოლა			
37	ნასაკირალის საჯარო სკოლა			
38	ქვემო ნატანების საჯარო სკოლა			
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი				
39	ბუკნარის საჯარო სკოლა			
40	ზოტის საჯარო სკოლა			
41	კოხნარის საჯარო სკოლა			
იმერეთის რეგიონი				
ქუთაისის მუნიციპალიტეტი				
42	ქუთაისის N2 საჯარო სკოლა			
43	ქუთაისის N10 საჯარო სკოლა			
44	ქუთაისის N19 საჯარო სკოლა			
45	ქუთაისის N28 საჯარო სკოლა			
46	ქუთაისის N35 საჯარო სკოლა			
47	ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა–ლიცეუმი			
ბაღდათის მუნიციპალიტეტი				
48	დიმის საჯარო სკოლა			
49	საკრაულის საჯარო სკოლა			
50	ფერსათის N2 საჯარო სკოლა			
ვანის მუნიციპალიტეტი				
51	ინაშაურის საჯარო სკოლა			
52	სალხინოს საჯარო სკოლა			

53	სულორის საჯარო სკოლა			
54	ფერეთის საჯარო სკოლა			
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი				
55	ბოსლევის საჯარო სკოლა			
56	პირველი სვირის საჯარო სკოლა			
57	ფუთის საჯარო სკოლა			
58	ცხრაწყაროს საჯარო სკოლა			
59	ძირულის საჯარო სკოლა			
თერჯოლის მუნიციპალიტეტი				
60	ალისუბნის N1 საჯარო სკოლა			
61	გოგნის საჯარო სკოლა			
62	თერჯოლის N1 საჯარო სკოლა			
სამტრედიის მუნიციპალიტეტი				
63	ნოღის საჯარო სკოლა			
64	საჯავახოს საჯარო სკოლა			
65	კორმაღლის საჯარო სკოლა			
66	ოფეთის საჯარო სკოლა			
67	ქვაყუდის საჯარო სკოლა			
საჩხერის მუნიციპალიტეტი				
68	პერევის საჯარო სკოლა			
69	სხვიტორის საჯარო სკოლა			
70	ქორეთის საჯარო სკოლა			
ტყიბულის მუნიციპალიტეტი				
71	კურსების საჯარო სკოლა			

72	ცუცხვათის საჯარო სკოლა			
73	ხრესილის საჯარო სკოლა			
ჭიათურის მუნიციპალიტეტი				
74	კაცხის საჯარო სკოლა			
75	მერევის საჯარო სკოლა			
76	სვერის საჯარო სკოლა			
77	ქვაციხის საჯარო სკოლა			
78	ცხრუკვეთის საჯარო სკოლა			
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი				
79	გუბისწყლის საჯარო სკოლა			
80	ოფშკვითის საჯარო სკოლა			
81	რიონის საჯარო სკოლა			
82	სორმონის საჯარო სკოლა			
83	ქვიტირის საჯარო სკოლა			
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი				
84	კიცხის საჯარო სკოლა			
85	ლეღვანის საჯარო სკოლა			
86	უბისის საჯარო სკოლა			
ხონის მუნიციპალიტეტი				
87	ივანდიდის საჯარო სკოლა			
88	მათხოჯის საჯარო სკოლა			
კახეთის რეგიონი				
გურჯაანის მუნიციპალიტეტი				
89	ვაჩნაძიანის საჯარო სკოლა			

90	ველისციხის საჯარო სკოლა			
91	ჭანდრის საჯარო სკოლა			
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი				
92	ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა			
93	ქვემო ქედის საჯარო სკოლა			
თელავის მუნიციპალიტეტი				
94	ქვემო ხოდაშნის საჯარო სკოლა			
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი				
95	ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლა			
96	ნინოგორის საჯარო სკოლა			
სიღნაღის მუნიციპალიტეტი				
97	საქობოს საჯარო სკოლა			
ყვარლის მუნიციპალიტეტი				
98	ჭიკაანის საჯარო სკოლა			
რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი				
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი				
99	ბოსტანის საჯარო სკოლა			
100	ნამანევის საჯარო სკოლა			
101	პატარა ონის საჯარო სკოლა			
ლენტეხის მუნიციპალიტეტი				
102	მელეს საჯარო სკოლა			
ონის მუნიციპალიტეტი				
103	ღების საჯარო სკოლა			
ცაგერის მუნიციპალიტეტი				

104	ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლა			
105	ქვედა ცაგერის საჯარო სკოლა			
106	ჩხუტელის საჯარო სკოლა			
სამეგრელოს რეგიონი				
ფოთის მუნიციპალიტეტი				
107	ქალაქ ფოთის N1 საჯარო სკოლა			
აბაშის მუნიციპალიტეტი				
108	სოფელ საგვაზავოს სკოლა			
109	სოფელ ნაესაკოვოს სკოლა			
110	სოფელ ქოლობნის სკოლა			
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი				
111	ქალაქ ზუგდიდის N7 სკოლა			
112	ქალაქ ზუგდიდის N11 სკოლა			
113	ქალაქ ზუგდიდის N12 სკოლა			
114	სოფელ ახალკახათის სკოლა			
115	სოფელ განმუხურის სკოლა			
116	სოფელ ოდიშის N2 სკოლა			
117	სოფელ ორსანტიის სკოლა			
მარტვილის მუნიციპალიტეტი				
118	სოფელ ბანძის საჯარო სკოლა			
119	სოფელ დიდი ჭყონის N1 საჯარო სკოლა			
120	სოფელ ლეხაინდრაოს საჯარო სკოლა			
121	სოფელ სალხინოს საჯარო სკოლა			

122	სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლა			
სენაკის მუნიციპალიტეტი				
123	ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა			
124	სოფელ ეკის სკოლა			
125	სოფელ ნოქალაქევის სკოლა			
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი				
126	სოფელ ახუთის სკოლა			
127	სოფელ მუხურის სკოლა			
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი				
128	სოფელ მუჟავის სკოლა			
129	სოფელ ფახულანის N2 სკოლა			
130	ქალაქ ჯვარის N4 სკოლა			
ხობის მუნიციპალიტეტი				
131	სოფელ გურიფულის სკოლა			
132	სოფელ ნოჯიხევის N1 საჯარო სკოლა			
მცხეთა-მთიანეთის რეგიონი				
დუშეთის მუნიციპალიტეტი				
133	არაგვისპირის საჯარო სკოლა			
134	ბაზალეთის საჯარო სკოლა			
135	ბარისახოს საჯარო სკოლა			
136	ფასანაურის N2 საჯარო სკოლა			
137	ხანდოს საჯარო სკოლა			
თიანეთის მუნიციპალიტეტი				

138	დაბა სიონის საჯარო სკოლა			
139	სიმონიანთხევის საჯარო სკოლა			
მცხეთის მუნიციპალიტეტი				
140	ვაზიანის საჯარო სკოლა			
141	ლისის საჯარო სკოლა			
142	მსხალდიდის საჯარო სკოლა			
143	მუხრანის N3 საჯარო სკოლა			
144	პატარა ქანდის საჯარო სკოლა			
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი				
145	სნოს საჯარო სკოლა			
სამცხე–ჯავახეთის რეგიონი				
ადიგენის მუნიციპალიტეტი				
146	ბენარის საჯარო სკოლა			
147	ბოლაჯურის საჯარო სკოლა			
148	ლელოვანის საჯარო სკოლა			
ასპინძის მუნიციპალიტეტი				
149	ასპინძის საჯარო სკოლა			
150	ნაქალაქევის საჯარო სკოლა			
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი				
151	აზავრეთის საჯარო სკოლა			
152	არაგვის საჯარო სკოლა			
153	ბარალეთის N2 საჯარო სკოლა			
154	კარტიკამის საჯარო სკოლა			
155	კოთელიის საჯარო სკოლა			

156	კორხის საჯარო სკოლა			
157	მაჭატიის საჯარო სკოლა			
158	მოდეგამის საჯარო სკოლა			
ახალციხის მუნიციპალიტეტი				
159	ვალეს N3 საჯარო სკოლა			
160	ზიკილიის საჯარო სკოლა			
161	საყუნეთის საჯარო სკოლა			
162	ღრელის საჯარო სკოლა			
163	წყალთბილის საჯარო სკოლა			
ბორჯომის მუნიციპალიტეტი				
164	დვირის საჯარო სკოლა			
165	ყვიბისის საჯარო სკოლა			
166	ციხისჯვრის საჯარო სკოლა			
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი				
167	გორელოვკის N1 საჯარო სკოლა			
168	დიდი ხანჩლის საჯარო სკოლა			
169	მამწვარის საჯარო სკოლა			
170	ფოკის საჯარო სკოლა			
171	ჯიგარაშენის საჯარო სკოლა			
ქვემო ქართლის რეგიონი				
მარნეულის მუნიციპალიტეტი				
172	ბაითალოს საჯარო სკოლა			
173	ცოფის საჯარო სკოლა			
174	ხოჯორნის საჯარო სკოლა			

175	ხულდარის საჯარო სკოლა			
ბოლნისის მუნიციპალიტეტი				
176	კიანეთის საჯარო სკოლა			
177	მუხრანის საჯარო სკოლა			
178	ფარიზის საჯარო სკოლა			
179	ქვემო არქევანის საჯარო სკოლა			
გარდაბნის მუნიციპალიტეტი				
180	აღთაქლის საჯარო სკოლა			
181	მუხროვანის საჯარო სკოლა			
182	ნაზარლოს საჯარო სკოლა			
183	ნორიოს საჯარო სკოლა			
რუსთავის მუნიციპალიტეტი				
184	რუსთავის N10 საჯარო სკოლა			
185	რუსთავის N16 საჯარო სკოლა			
186	რუსთავის კერძო სკოლა „ლაზარე“			
შიდა ქართლის რეგიონი				
გორის მუნიციპალიტეტი				
187	ატენის საჯარო სკოლა			
188	აძვის საჯარო სკოლა			
189	ბერშუეთის საჯარო სკოლა			
190	ვარიანის საჯარო სკოლა			
191	მეჯვრისხევის საჯარო სკოლა			
192	სვენეთის საჯარო სკოლა			
193	ქვემო ხვითის საჯარო სკოლა			

194	სოფელ ძევერის საჯარო სკოლა			
კასპის მუნიციპალიტეტი				
195	კასპის N3 საჯარო სკოლა			
196	ლამისყანის საჯარო სკოლა			
197	სამთავისის საჯარო სკოლა			
198	საქადაგიანოს საჯარო სკოლა			
ქარელის მუნიციპალიტეტი				
199	ახალსოფლის საჯარო სკოლა			
200	ბებნისის საჯარო სკოლა			
201	ტახტისძირის საჯარო სკოლა			
202	ქვემო ხვედურეთის საჯარო სკოლა			
ხაშურის მუნიციპალიტეტი				
203	ალის საჯარო სკოლა			
204	სურამის N4 საჯარო სკოლა			
205	ქემფერის საჯარო სკოლა			
206	ცხრამუხის საჯარო სკოლა			

ზოგადი დასკვნები და რეკომენდაციები:

წყალი

- შეფასებული სკოლების უმეტეს ნაწილში დირექციას არა აქვს ზუსტი პასუხი იმის შესაზებ, თუ როგორია მათ სკოლებში არსებული სასმელი წყლის ხარისხი, რადგან, უმეტეს შემთხვევაში, სასმელი წყალი ლაბორატორიულად არასდროს არ შემოწმებულა.

ზოგადად, საკმაოდ გავრცელებულია შემდეგი მოსაზრება: „წყლის ხარისხი კარგია, რადგან ის წყაროებიდან ან ჭაბურღილებიდან მოედინება“.

- ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლებში არსებული წყალსადენი მილების უმეტესობა მოძველებულია, ან წყლის სათავე ნაგებობები არ არის სათანადოდ დაცული, რაც წყლის ბაქტერიული დაბინძურების, ან მასში მავნე ნივთიერებების მოხვედრის ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდის. შესაბამისად, იმისათვის, რომ გამოირიცხოს წყლის მიკრობული/მავნე ნივთიერებებით დაბინძურება და წყალი გახდეს სასმელად ვარგისი, რეკომენდებულია წყლის ხარისხის პერიოდული ლაბორატორიული კონტროლი.
- შეფასებული სკოლების უმეტესობას არა აქვს წყლის მიწოდების ალტერნატიული საშუალება, ან წყლის შესანახი სათანადოდ მოვლილი და დახურული რეზერვუარი. არსებული მდგომარეობა სერიოზულ პრობლემებს ქმნის წყლის ძირითადი წყაროს დაზიანების შემთხვევაში, რის შედეგადაც, სკოლების ნაწილი არასათანადოდ, ან საერთოდ ვერ ახერხებს ფუნქციონირებას.
- საქართველოს მთიანი რეგიონების სკოლებში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს წლის ცივ პერიოდში წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნება. ხშირად, დაბალი ტემპერატურის გამო, წყალსადენი მილები იყინება და სკოლები წყლის გარეშე რჩება. ამიტომ, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ასეთი რეგიონების სკოლებში ინფრასტრუქტურული სამუშაობების წარმოებას და წყალსადენი მილების სათანადოდ დათბუნებას.

სანიტარია

- WaSH–ის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა სკოლების საპირფარეშოებში არსებულ მდგომარეობას უკავშირდება. შემთხვევათა აბსოლუტურ უმეტესობაში შეფასებული ობიექტების საპირფარეშოების სანიტარიული მდგომარეობა სრულიად არ პასუხობს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს: უმეტეს შემთხვევებში საპირფარეშები არ არის მოპირკეთებული, რაც შესაძლებელს გახდიდა მათ სათანადოდ დასუთავებას. საპირფარეშოების უმრავლესობაში არ ტარდება დეზინფექცია. ვიზიტების დროს ბევრგან დაფიქსირდა მძიმე ანტისანიტარია. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების სკოლებში დაფიქსირდა.
- შეფასებული სკოლების უმრავლესობაში სანკვანძების რაოდენობა არასაკმარისია მოსწავლეების რაოდენობასთან მიმართებაში. არსებული სტანდარტების მიხედვით, სკოლის სანიტარიული კვანძი შემდეგი გაანგარიშებით უნდა იყოს მოწყობილი: 1 უნიტაზი – ყოველ 25 გოგონაზე, ყოველ 30 ბიჭზე და ბაკანი ყოველ – 80 ბიჭზე.
- აღსანიშნავია, რომ სოფლად მდებარე სკოლების გარკვეულ ნაწილში საპირფარეშოებით სარგებლობენ არა მარტო მოსწავლეები და პედაგოგები, არამედ სოფლის მოსახლეობაც,

რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მრავალი სკოლის ტერიტორია არ არის სათანადოდ შემოღობილი.

- სკოლების აბსოლუტურ უმეტესობაში (რამდენიმე მცირეკონტინგენტიანი სოფლის სკოლის გარდა) ფუნქციონირებს ცალკე საპირფარეშო გოგონებისა და ვაჟებისათვის, თუმცა ჯიხურების რაოდენობა გოგონებისა და ვაჟებისათვის თითქმის ყველგან ერთნაირია (იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოსწავლე გოგონების რაოდენობა აღემატება ვაჟების რიცხვს). ამავე დროს, გოგონების საპირფარეშოების ნაწილს არა აქვს კარების შიდა საკეტები.
- შეფასებული სკოლების აბსოლუტურ უმრავლესობაში სანიტარიული ნორმების დაცვაზე სრულ პასუხისმგებლობას დამლაგებლებს აკისრებენ, რაც ერთმნიშვნელოვნად ამ საკითხისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებასა და ნაკლებ პრიორიტეტულობაზე მიუთითებს. მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში არიან მოსწავლეები ჩართული სკოლის დასუფთავების პროცესში და ამ დროს სანიტარიული ნორმები გაცილებით უკეთ არის დაცული.
- შეფასებულ სკოლებში არ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა საპირფარეშო ჯიხურების მოწყვლადი ჯგუფებისათვის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული საპირფარეშოები არ არის იმ სკოლებშიც კი, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები სწავლობენ. შესაძლოა, სწორედ იმიტომ არ სწავლობენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ზოგიერთ სკოლებში, რომ იქ მათ არ ხვდებათ ადაპტირებული გარემო. რიგ შემთხვევებში სკოლებში მოწყობილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ადაპტირებული საპირფარეშოები, თუმცა ისინი ან დაკეტილია, ან მხოლოდ პედაგოგებისათვის არის განკუთვნილი.

ჰიგიენა

- შეფასებული სოფლის სკოლების დაახლოებით ნახევარში სანიტარიულ კვანძებთან არ არის მოწყობილი ხელსაბანები. რიგ შემთხვევებში, წყლის პუნქტები საპირფარეშოსგან საკმაოდ დაშორებულია და თითქმის არ გამოიყენება საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ ხელების დასაბანად. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ხელსაბანებთან არ არის არც საპონი (მყარი ან თხევადი) და არც ხელსახოცები.
- ჰიგიენის სწავლება შეფასებული სკოლების უმეტეს ნაწილში ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. სკოლებში არ არის სპეციალური პროგრამები ჰიგიენის საკითხების სწავლების მიზნით. ზოგადად, ჰიგიენა, ისე როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებული სხვა საკითხები, ნაკლებად პრიორიტეტულია სკოლების უმეტესობაში, რასაც ადასტურებს როგორც სკოლების ხელმძღვანელობასთან ჩატარებული ინტერვიუები, ისე შენობის კედლებზე გამოფენილი მასალები თუ

დირექციის მიერ წარმოდგენილი სკოლების განვითარების გეგმები. გარდა ამისა, პედაგოგებს არა აქვთ გავლილი სპეციალური გადამზადება/ტრენინგი ჰიგიენის საკითხებში. ვიზიტების დროს სკოლებში ერთეულ შემთხვევებში თუ აღმოჩნდა რაიმე ბეჭდური საინფორმაციო მასალები (ლიფლეტი, წიგნაკი) აღნიშნულ თემაზე.

- სკოლების ძალზე მცირე ნაწილს ჰყავს თავის შტატში სკოლის ექიმი, რომელსაც შეუძლია ამ მიმართულებით მდგომარეობის გარკვეულწილად გაუმჯობესება. ზოგადად, სკოლის ექიმის დანიშნულება და ფუნქცია-მოვალეობები უფრო მკაფიოდ უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს მიერ.
- სასურველია, მასალა (ქართულის გარდა), დაიბეჭდოს ეთნიკური უმცირესობების ენებზე. ბეჭდურ მასალასთან ერთად, მიზანშეწონილია სანიტარია-ჰიგიენის თემებზე სატელევიზიო და რადიოგადაცემების მომზადება და აქტივობები სოციალურ ქსელებში/ინტერნეტშესაძლებლობების ფართოდ გამოყენებით (სპეციალური ვებ-გვერდი, ბლოგები, თემატური პოსტები, Q&A და სხვა...).
- საპირფარეშოებთან და სკოლის შენობებში უნდა მოეწყოს საკმარისი რაოდენობით ხელის დასაბანი პუნქტები - ერთი ხელსაბანი ნიჟარა 30 მოსწავლეზე. ამასთან, გარკვეული ნაწილი ადაპტირებული უნდა იყოს უმცროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე. ხელის დასაბან ნიჟარებთან მუდმივად უნდა იყოს საპონი (სასურველია – თხევადი).
- შეფასებულ სკოლებში სასადილო ოთახი ან საერთოდ არ ფუნქციონირებს (უმეტეს ნაწილში), ან არსებობის შემთხვევაში, არაჯანსაღი საკვები იყიდება. ეს პრობლემა სისტემურ ხასიათს ატარებს და აუცილებელია შესაბამისი უწყებების მხრიდან (პროფილური სამინისტროები, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი) საჭირო ზომების დროულად მიღება. ინტერვენციები უნდა ითვალისწინებდეს როგორც მოსწავლეთა ცნობიერების დონის ამაღლებას ჯანსაღი კვებისა და კვების ჰიგიენის საკითხებზე, ასევე მათი ჯანსაღი საკვებით უზრუნველყოფას.
- ჰიგიენური აღზრდისა და სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის ეფექტიანი იქნება მოსწავლეთა თვითშემოქმედების წახალისება – განვითარება (საბავშვო სპექტაკლების/სკეტჩების მოწყობა ჰიგიენურ თემებთან დაკავშირებული პიესების ინსცენირებით. დერეფნების კედლებსა და იატაკზე, ასევე ეზოებში და ღია სასკოლო ტერიტორიებზე, სლოგანის ტიპის თემატური წარწერებისა თუ ნახატების განთავსება და სხვა...).

ნარჩენების უტილიზაცია

- შეფასებული სკოლების ნაწილში მყარი ნარჩენების გადაყრა ან დაწვა სკოლის ტერიტორიაზე, ან მასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე ხდება. უმეტეს შემთხვევებში

სკოლის ტერიტორიასთან ახლოს არ დგას ნაგვის ურნები და არ ხდება ნაგვის გატანა შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ. ყოველივე ეს ქმნის ანტისანიტარიის მნიშვნელოვან კერებს სკოლების ტერიტორიებზე ან მათთან ახლოს, რაც სერიოზულად ზრდის სხვადასხვა ინფექციური დაავადების გავრცელების რისკებს.

- შეფასებული სკოლების საკმაოდ დიდ ნაწილში სათანადოდ არ ფუნქციონირებს გამოყენებული (ან დამდგარი) წყლების სადრენაჟო სისტემა. შედეგად, ან სკოლის შენობების სარდაფებში დაგროვება წყალი, ან სკოლის ტერიტორიების ნაწილი იტბორება, რაც ასევე ზრდის არასასურველი მწერებისა და მღრნელების გამრავლებისა და თანამდევი ინფექციების გავრცელების რისკს (განსაკუთრებით – წლის თბილ პერიოდში).

სისტემის ოპერირება და შენარჩუნება

- ყველა სკოლის დირექციას ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია აქვს წყლის მიწოდების სისტემის ფუნქციონირების შენარჩუნებასა თუ დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების შესახებ. დირექტორების ნაწილს მიაჩნია, რომ ამ საკითხებზე სკოლაა პასუხისმგებელი, მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ შესაბამისი მუნიციპალური სამსახურია ვალდებული უზრუნველყოს სისტემის გამართული მუშაობა, შედარებით მცირე ნაწილი კი პასუხისმგებლობას ცენტრალურ უწყებებს - განათლებისა და მეცნიერების ან რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებს – აკისრებს. ზოგიერთ დირექტორს საერთოდ არა აქვს წარმოდგენა იმის შესახებ, თუ ვის აკისრია პასუხისმგებლობა სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე.
- ზემოთქმული ასახავს აგრეთვე სანიტარიულ მდგომარეობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების შესახებ არსებულ ინფორმაციას. WaSH–ის სისტემების ოპერირებაზე პასუხისმგებლობების საკითხი, ზოგადად, ბუნდოვანია შეფასებული სკოლების დირექტორების უმეტესობისათვის, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კიდეც სისტემის ცუდად ფუნქციონირებას და არსებულ ხარვეზებს.
- შეფასების პროცესში ძნელი იყო იმის დადგენა, თუ რამდენად პირდაპირია კავშირი სკოლაში მოსწავლეების დასწრება/მოსწრებასა და არსებულ WaSH–ის პრობლემებს შორის. სკოლის დირექციას ამის შესახებ არ ჰქონდა ზუსტი ინფორმაცია - არც შესაბამისი მონაცემები და არც არასდროს არ დაინტერესებულა ამ საკითხით. თუმცა რიგ შემთხვევებში მოსწავლეებთან პირადი გასაუბრების საფუძველზე და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ წყალსა და სანიტარიასთან დაკავშირებული პრობლემები უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოსწავლეების ჯანმრთელობასა და, შედეგად, მათი სკოლაში დასწრებასა თუ სწავლის ხარისხზე.

დანართები

დანართი 1.სამიზნე ობიექტების წინასწარი შერჩევის კრიტერიუმები:

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა – შესაბამის თემში არსებული სიღარიბის მაღალი დონე – წყლითა და სანიტარიით თემის უზრუნველყოფის დაბალი მაჩვენებელი – წყლითა და სანიტარიით გამოწვეული იმ დაავადებების პრევალენტობა, რომელსაც აქვს ძლიერი ზემოქმედება სასკოლო ასაკის ბავშვებზე
მოთხოვნის დონე სკოლებიდან – წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხების პრიორიტეტულობა სკოლაში – სხვა პირობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებები სკოლაში – მაღალი დასწრება და აქტიური მონაწილეობა პროექტის წარდგენისა და განხორციელების საკითხებთან დაკავშირებულ შეხვედრებზე
სკოლის მენეჯმენტის შესაძლებლობები – მხარდამჭერი მასწავლებლების რაოდენობა – კონფლიქტი სკოლის თანამშრომლებს შორის, რამაც, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს პროექტის განხორციელებაზე – აქტიური მშობლების/თემის წევრების რაოდენობა – რამდენად ფუნქციონირებს ჯანდაცვის ადგილობრივი სერვისები
სკოლაში არსებული მდგომარეობა – მოსწავლეთა რაოდენობა საკმარისია იმისათვის, რომ მიზანშეწონილი იყოს ინვესტიციის განხორციელება – არსებული წყლის/სანიტარიის კერების მდგომარეობა – მოსწავლეების ცოდნა, დამოკიდებულება და უნარ–ჩვევები ჰიგიენის საკითხებში – შესაძლო კავშირები სკოლაში არსებულ სხვა ინიციატივებთან (მაგ., განათლების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ მიმართული)
სამედიცინო დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა – ამბულატორიის შენობის ზოგადი მდგომარეობა – რამდენად მოთხოვნადია ჯანდაცვის ადგილობრივი სერვისები – მიმართვების რაოდენობა საკმარისია იმისათვის, რომ მიზანშეწონილი იყოს ინვესტიციის განხორციელება – არსებული წყლის/სანიტარიის კერების მდგომარეობა – ალტერნატიული სერვისების არსებობა და მათზე ხელმისაწვდომობა - მანძილი/დაშორება სხვა სამედიცინო დაწესებულებებიდან – დაშორება რაიონული ცენტრიდან

გარე მხარდაჭერა – პოზიტიური დამოკიდებულება ადგილობრივი თვითმმართველობისა და თემის მხრიდან – მხარდამჭერი სტრუქტურების არსებობა (მაგ., მშობელთა ან სათემო ორგანიზაცია, რომელიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს წყლისა და სანიტარიული პირობების გაუმჯობესებაში) – თემში კონფლიქტის არსებობა, რამაც, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს პროექტის განხორციელებაზე

დანართი 2: WASH კვლევა, სკოლა - მენეჯმენტი

General Information/ ზოგადი ინფორმაცია:

IN1. ინტერვიუერის ს.გ. _____

IN2. გამოკითხულის ს.გ. _____

IN3.გამოკითხულის პოზიცია _____

IN4. ინტერვიუს თარიღი _____

• სკოლის სახელი _____

• სკოლის ID (თუ არსებობს) _____

• სკოლის ადგილმდებარეობა (რაიონი, ქალაქი, სოფელი)_____

• სკოლის დონე (დაწყებითი, არასრული, სრული,) _____

• სკოლის არეალი (საქალაქო, სასოფლო) _____

• სკოლის მენეჯმენტი (საჯარო, კერძო, რელიგიური) _____

• სკოლის ტიპი (დღის, საღამოს, სხვა) _____

• მოსწავლეთა რაოდენობა (ბიჭი, გოგო, სულ) _____/_____/_____

• შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა (ბიჭი, გოგო, სულ) _____/_____/_____

• პედაგოგების რაოდენობა (ქალი, კაცი, სულ) _____/_____/_____

• არის თუ არა სკოლაში მშობელთა და პედაგოგთა ორგანიზაცია _____

• არის თუ არა სკოლაში სხვა რომელიმე საზოგადოებრივი გაერთიანება _____

_____

• არის თუ არა სკოლაში მოსწავლეთა მმართველი ორგანიზაცია და თუ მონაწილეობს იგი WASH –ის მხარდაჭერაში?

_____

_____

• წარმოებს თუ არა სკოლაში წლიური თვითშეფასება და/ან არსებობს თუ არა სკოლის განვითარების გეგმა?

_____

_____

• რამდენად პრიორიტეტულია სკოლის განვითარების გეგმაში WaSH–ის საკითხები

_____

_____

_____

Water/წყალი

Question 1: ძირითადად რა სახის წყალს იყენებთ სკოლაში (*მონიშნე მოლოდ ერთი/ თუ რამდენიმეა, მაშინ მონიშნე ის, რომელიც ძირითადად გამოიყენება).*

1. წყლის მილით სკოლის შენობაში შესული წყალი;
2. წყლის მილით სკოლის ეზოში შესული წყალი;
3. საზოგადოებრივი/საერთო წყლის ონკანი;
4. ჭაბურღილის წყალი;
5. დაცული ამოთხრილი ჭის წყალი;
6. დაუცველი ამოთხრილი ჭის წყალი;
7. დაცული წყაროს წყალი;
8. დაუცველი წყაროს წყალი;
9. დაგროვილი წვიმის წყალი;
10. ბოთლებში ჩამოსხმული წყალი;
11. ადგილობრივი წყლის რეზერვუარის წყალი;
12. ტრანსპორტით მოტანილი (ავზის) წყალი;
13. ზედაპირული წყლის წყალი (მდინარე, ტბა, სარწყავი არხები და სხვ.);
14. წყალი საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი არც სკოლაში და არც სკოლის ახლოს (*გადადით მე-5 კითხვაზე*)
15. სხვა _____

Question 2: კვირაში რამდენი დღე ფუნქციონირებს წყლის მიწოდების ეს სახეობა

1. 5-7 დღე – კვირაში (საათი)
2. 2-4 დღე – კვირაში
3. 2 დღეზე ნაკლები – კვირაში

Question 3: წყლის მიწოდების წყაროს ფუნქციონირების შემთხვევაში, მიეწოდება თუ არა სკოლას საკმარისი რაოდენობით წყალი – საკმარისი სასმელად, ხელების დასაბანად და საჭმლის მოსამზადებლად

1. დიახ
2. არა
3. წყლის მიწოდების წყარო არ ფუნქციონირებს

Question 4: ახდენთ თუ არა სკოლაში არსებული წყლის რაიმე საშუალებით დამუშავებას (გაუვნებლებას), იმისათვის, რომ წყალი სასმელად უსაფრთხო გახადოთ (ადუღება, გაფილტვრა, ქლორაცია და სხვ...)

1. ყოველთვის
2. ზოგჯერ
3. არასდროს

Question 5: მოაქვთ მოსწავლეებს წყალი სახლიდან?

1. მოსწავლეების უმეტესობას წყალი სახლიდან მოაქვს
2. ზოგიერთ მოსწავლეს მოაქვს წყალი სახლიდან
3. არც ერთ მოსწავლეს არ მოაქვს წყალი სახლიდან

Question 6: სასმელი წყალი ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის?

1. დიახ
2. არა

Question 7: შეუძლიათ უმცროსი ასაკის მოსწავლეებს დამოუკიდებლად (სხვის დაუხმარებლად) სკოლაში წყლის დალევა?

1. დიახ
2. არა

Sanitation/სანიტარია

Question 1: აქვს თუ არა სკოლას საპირფარეშოები

1. **დიახ**
2. **არა**

თუ „არა“ გადადი მე-6 შეკითხვაზე

Question 2: რამდენი საპირფარეშოა სკოლაში?

1. **ფუნქციონირებადი ____**
2. **არ ფუნქციონირებს _____**
3. **მხოლოდ გოგონებისათვის _____**
4. **მხოლოდ ბიჭებისათვის _____**
5. **საერთო ორივესათვის (რომელიც გამოიყენებს) _____**

Question 3: აქვთ თუ არა პედაგოგებს ცალკე საპირფარეშო ოთახი

1. **დიახ**
2. **არა**

Question 4: არის თუ არა სკოლაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის განკუთვნილი (ადაპტირებული) საპირფარეშოები

1. **დიახ**
2. **არა**

Question 5: არის თუ არა სკოლაში უმცროსი ასაკის მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი საპირფარეშო (დიზაინი)

1. **დიახ**
2. **არა**

Question 6: აქვთ თუ არა სკოლაში პისუარები

1. **დიახ**
2. **არა**

Hygiene/ჰიგიენა

HG1: არის თუ არა სკოლაში ხელის დაბანის შესაძლებლობები (ხელსაბანები)

1. დიახ
2. არა

თუ „არა“ გადადი მე-3 შეკითხვაზე

HG2: რამდენი ხელსაბანია სკოლაში (ჩაწერე რაოდენობა)

1. ფუნქციონირებს _____
2. არ ფუნქციონირებს _____
3. მხოლოდ გოგონებისათვის _____
4. მხოლოდ ბიჭებისათვის _____
5. საერთო გოგონებისა და ბიჭებისათვის (ვისაც სურს, გამოიყენებს) _____

HG3: არის თუ არა საკმარისი რაოდენობის საპონი

1. ყოველთვის
2. ზოგჯერ
3. არასდროს
4. არ ვიყენებთ საპონს

HG4: არის თუ არა სკოლის საპირფარეშოებში საკმარისი რაოდენობის ქაღალდი, ხელსახოცი (ან პირსახოცი)

1. ყოველთვის
2. ზოგჯერ
3. არასდროს

HG5: ისწავლება თუ არა სკოლაში ჰიგიენა

1. დიახ
2. არა

HG6: როგორ ისწავლება სკოლაში ჰიგიენა (*მონიშნე ყველა სწორი პასუხი)*

1. **როგორც ერთ-ერთი სასწავლო საგანი**
2. **როგორც ჯანსაღი ცხოვრების სწავლების სპეციალური მოდულის შემადგენელი ნაწილი**
3. **როგორც ცალკე (მხოლოდ) ჰიგიენის მოდული**
4. **როგორც სკოლის მიერ დაფინანსებული ექსტრაკურიკულური პროგრამა (მაგ., სანიტარიული კლუბი)**
5. **მხოლოდ ერთეულად, შემთხვევით**

HG7. არის თუ არა სკოლაში ერთი ისეთი მასწავლებელი მაინც, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება ჰიგიენის სწავლების საკითხებში

1. **დიახ**
2. **არა**
3. **არ ვიცი**

HG8. არსებობს თუ არა სკოლაში სანიტარია-ჰიგიენის შესახებ რაიმე სახის საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები (ბროშურა, წიგნაკი, აფიშა, სახელმძღვანელო)

1. **დიახ**
2. **არა**

HG9: არის თუ არა სკოლაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი (ადაპტირებული) ხელსაბანები

1. **დიახ, ყველა ხელმისაწვდომია**
2. **ზოგიერთი არის**
3. **არცერთი არ არის**

HG10: არის თუ არა სკოლაში უმცროსი ასაკის მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი ხელსაბანები

1. **დიახ, ყველა ხელმისაწვდომია**
2. **ზოგიერთი არის**
3. **არცერთი არ არის**

HG11. აქვს თუ არა სკოლას ჰიგიენური საშუალებების (საპონი, ხელსახოცი, სადეზინფექციო საშუალებები და ა.შ.) მარაგი?

1. **დიახ**
2. **არა**

3. ვიზიტის დროს შეუძლებელი იყო დაზუსტება

Waste Disposal and Drainage/გადანაყრების (ნარჩენების) გატანა (მართვა) და დრენაჟი

WD1: ხდება თუ არა სკოლიდან მყარი ნარჩენების ყოველკვირეულად (კვირაში ერთხელ) ან უფრო ხშირად გატანა

1. დიახ
2. არა

WD2: ხდება თუ არა საპირფარეშოების ინტენსიურად დაცლა და გაწმენდა (სანამ სულ გაივსება)

1. დიახ
2. არა

WD3. არსებობს თუ არა სკოლაში სანიტარიული ობიექტების დაცლის (დასუთავების) გრაფიკი

1. დიახ
2. არა
3. არ ვიცი

Operation and Maintenance/სისტემის ოპერირება და შენარჩუნება

OM1. რომელი ორგანიზაცია არის პასუხისმგებელი სკოლაში წყლის მიწოდების სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე

1. პროფილური სამინისტრო
2. მუნიციპალური სამსახური
3. განათლების სამინისტრო
4. სკოლა თავად
5. სხვა სამსახური _____
6. არ იცის სკოლის ხელმძღვანელობამ

OM2. თქვენი აზრით, არის თუ არა წყლის მიწოდების სისტემის ფუნქციონირება დროულად და სათანადო დონეზე შენარჩუნებული (საჭიროების შემთხვევაში – შეკეთებული)

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
4. არ ვიცი

OM3. რომელი ორგანიზაცია არის პასუხისმგებელი სკოლაში წყლის მიწოდების სისტემის ფუნქციონირებაზე (*მონიშნე მხოლოდ ერთი)*

1. პროფილური სამინისტრო
2. მუნიციპალური სამსახური
3. განათლების სამინისტრო
4. სკოლა თავად
5. სხვა სამსახური _____
6. არ იცის სკოლის ხელმძღვანელობამ

OM4. აღმოჩნდა თუ არა დაკვირვების (ვიზიტის) შედეგად, რომ სისტემა არ ფუნქციონირებს ან ნაწილობრივ ფუნქციონირებს და, თუ აღმოჩნდა, რა არის ამის მიზეზი? (*მონიშნე ყველა სწორი პასუხი*)

1. გაურკვეველი პასუხისმგებლობა სისტემის შენარჩუნებასა და შეკეთებაზე
2. სისტემის შენარჩუნების და ოპერირების მწირი პრაქტიკა
3. სათადარიგო ნაწილების ნაკლებობა
4. სისტემის ოპერირებისათვის საჭირო ენერგომატარებლების ნაკლებობა (საწვავი, ელექტროენერგია)
5. სისტემის თავიდანვე არასწორი დიზაინი
6. სისტემის ხანდაზმულობა
7. სხვა _____
8. არ ვიცი

OM5.რომელი ორგანიზაცია არის პასუხისმგებელი სკოლაში <u>სანიტარიული</u> სისტემის შენარჩუნებასა და დაზიანებების აღმოფხვრაზე? (*მონიშნე მხოლოდ ერთი)*

1. პროფილური სამინისტრო
2. მუნიციპალური სამსახური
3. განათლების სამინისტრო

4. სკოლა თავად
5. სხვა სამსახური _____
6. არ იცის სკოლის ხელმძღვანელობამ

OM6. თქვენი აზრით, არის თუ არა <u>**სანიტარიული**</u> სისტემის ფუნქციონირება დრულად და სათანადო დონეზე შენარჩუნებული (საჭიროების შემთხვევაში – შეკეთებული)

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
4. არ ვიცი

OM7. ვინ არის სკოლაში საპირფარეშოების სისუფთავეზე პასუხისმგებელი*(მონიშნე ყველა სწორი პასუხი)*

1. დამლაგებელი
2. პედაგოგები
3. მოსწავლეები
4. სხვა _____
5. არ ვიცი

OM8. (ვთქვათ, წინა კითხვის პასუხია 3) თუ საპირფარეშოების დასუფთავების პასუხისმგებლობა აქვთ მოსწავლეებს, როგორ ნაწილდება ის ბიჭებსა და გოგონებს შორის (*მონიშნე ყველა სწორი პასუხი*):

1. გოგონები, ჩვეულებრივ, ასუფთავებენ თავიანთ საპირფარეშოებს
2. ბიჭები, ჩვეულებრივ, ასუფთავებენ თავიანთ საპირფარეშოებს
3. გოგონები, ჩვეულებრივ, ასუფთავებენ ბიჭების საპირფარეშოებს
4. ბიჭები, ჩვეულებრივ, ასუფთავებენ გოგონების საპირფარეშოებს
5. გოგონები, ჩვეულებრივ, ასუფთავებენ პედაგოგების საპირფარეშოებს
6. ბიჭები, ჩვეულებრივ, ასუფთავებენ პედაგოგების საპირფარეშოებს
7. სხვა _____

OM9. საპირფარეშოების დასუთავების ვალდებულება ხომ არ არის განსაზღვრული მოსწავლეთათვის, როგორც დასჯის მეთოდი არასწორი მოქცევის ან ცუდი სწავლისათვის?

1. დიახ
2. არა
3. ზოგჯერ

4. არ ვიცი

დამატებითი კომენტარი (მიუთითეთ ნებისმიერი სხვა საინტერესო მიგნება, რომელიც დაკვირვების პროცესში აღმოაჩინეთ)

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

დანართი 3: WASH კვლევა, სკოლა - ობსერვაცია

General Information/ ზოგადი ინფორმაცია :

IN1ინტერვიუერის ს.გ. _____

IN2დაკვირვების თარიღი _____

• სკოლის სახელი _____

• სკოლის საიდენტიფიკაციო კოდი (თუ არსებობს) _____

• სკოლის ადგილმდებარეობა (რაიონი, ქალაქი,სოფელი)_____

• სკოლის დონე (დაწყებითი, არასრული, სრული) _____

• სკოლის არეალი (საქალაქო, სასოფლო) _____

• სკოლის მენეჯმენტი (საჯარო, კერძო, რელიგიური) _____

• სკოლის ტიპი (დღის, სხვა) _____

ადგილზე ნახვის დროს გამოკითხული პერსონალი (თუ ამას ჰქონდა ადგილი):

1. _____/პოზიცია _____
2. _____/პოზიცია _____
3. _____/პოზიცია _____
4. _____/პოზიცია _____
5. _____/პოზიცია _____

Water/წყალი

WW1. ძირითადად რა სახის წყალს იყენებენ სკოლაში (*მონიშნე მხოლოდ ერთი /თუ რამდენიმეა, მაშინ მონიშნე ის, რომელიც ძირითადად გამოიყენება)*

1. წყლის მილით სკოლის შენობაში შესული წყალი
2. წყლის მილით სკოლის ეზოში შესული წყალი
3. საზოგადოებრივი/საერთო წყლის ონკანი
4. ჭაბურღილის წყალი
5. დაცული ამოთხრილი ჭის წყალი
6. დაუცველი ამოთხრილი ჭის წყალი
7. დაცული წყაროს წყალი
8. დაუცველი წყაროს წყალი
9. დაგროვილი წვიმის წყალი
10. ბოთლებში ჩამოსხმული წყალი
11. ადგილობრივი წყლის რეზერვუარის წყალი
12. ტრანსპორტით მოტანილი (ავზის) წყალი
13. ზედაპირული წყლის წყალი (მდინარე, ტბა, სარწყავი არხები და სხვ.)
14. წყალი საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი არც სკოლაში და არც სკოლის ახლოს (*გადადით მე-5 კითხვაზე*)
15. სხვა_____

WW2. რისთვის გამოიყენება სკოლაში არსებული წყალი(*მონიშნე ყველა სწორი პასუხი)*

1. სასმელად
2. ხელის დასაბანად
3. დეფეკაციის შემდგომი ჩაბანვისათვის
4. საპირფარეშოს ჩარეცხვისათვის
5. საკვების მომზადებისათვის
6. სხვა მიზნისათვის _____

WW3. ახლა თუ ფუნქციონირებს სკოლაში წყლის მიწოდების წყარო

1. **დიახ**
2. **არა**
3. **ნაწილობრივ**
4. *თუ „კი“, გადადი WW6-ზე*

WW4. რამდენი ხანია, რაც წყლის ძირითადი წყარო არ ფუნქციონირებს, ან ნაწილობრივ ფუნქციონირებს (რამდენი ხანია, რაც ეს მდგომარეობა გრძელდება)

1. **წყალი გრაფიკით (საათობრივად) მიეწოდებათ**
2. **ერთ დღეზე ნაკლებია, რაც წყალი არ მიეწოდებათ**
3. **ერთ დღეზე მეტი და ერთ კვირაზე ნაკლებია, რაც წყალი არ მიეწოდებათ**
4. **ერთ კვირაზე მეტი და ერთ თვეზე ნაკლებია, რაც წყალი არ მიეწოდებათ**
5. **ერთ თვეზე მეტია, რაც წყალი არ მიეწოდებათ**

WW5. წყლის წყაროს ფუნქციონირების შემთხვევაში, უზრუნველყოფს თუ არა სკოლას სასმელად და ხელის დასაბანად საკმარისი წყლით? (*გააკეთე უხეში გათვლა და განსაზღვრე, რამდენად შეესაბამება წყლის რაოდენობა WHO/UNICEF - ის სტანდარტებს - 5 ლიტრი წყალი ერთ პერსონაზე/მოსწავლზე, სკოლის თანამშრომელზე, თუ ეს შეუძლებელია, მონიშნე „არ ვიცი“).*

1. **დიახ**
2. **არა**
3. **არ ვიცი**

WW6. როცა ძირითადი წყარო არ ფუნქციონირებს, არის თუ არა სკოლაში წყლის სხვა ალტერნატიული საშუალება *(მონიშნე „კი“ ,თუ ალტერნატიული საშუალება უზრუნველყოფს სასმელი და ხელის დასაბანი წყლის რაოდენობას. თუ ეს საშუალება არის სახლიდან მოტანილი ბოთლის წყალი, მაშინ არ ჩაითვლება ალტერნატივად და მონიშნე „არა“)*

1. **დიახ (მიუთითეთ რომელი)**_____
2. **არა**

WW7. უსაფრთხოების მიზნით ხდება თუ არა სკოლაში არსებული წყლის რაიმე საშუალებით გაწმენდა?

1. **ყოველთვის**
2. **ზოგჯერ**
3. **არასდროს**
4. **არ ვიცი**

თუ „ყოველთვის“, გადადი WW9-ზე

WW8. თუ სკოლაში არსებული წყალი ინტენსიურად არ იწმინდება, მაშინ რა არის ამის მიზეზი *(მონიშნე ყველა სწორი პასუხი)*

1. იმიტომ, რომ სკოლაში არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (აქვთ შესაბამისი ლაბორატორიული ანალიზის პასუხები)
2. იმიტომ, რომ სკოლაში არსებული წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ (პერსონალის სუბიექტური აზრით)
3. იმიტომ, რომ სკოლას არა აქვს ფილტრები ან გამწმენდი ქიმიური საშუალებები
4. იმიტომ, რომ სკოლაში არავინ არ იცის როგორ უნდა გაიწმინდოს წყალი
5. იმიტომ, რომ თანამშრომლებს არა აქვთ დრო წყლის გასაწმენდად
6. იმიტომ, რომ მოსწავლეები სვამენ სახლიდან მოტანილ ბოთლის წყალს
7. სხვა მიზეზი _____

WW10. ხდება თუ არა დალევის წინ სკოლაში არსებული წყლის გაწმენდა და, თუ ხდება, მაშინ როგორ*(მონიშნე მხოლოდ ერთი)*

1. ადუღება
2. ქლორაცია
3. ქსოვილში გატარება
4. წყლის ფილტრის გამოყენება
5. მზის სხივებით დეზინფექცია
6. წყლის დაყოვნება და დალექვა
7. სხვა _____

WW11. არის თუ არა წყლის შენახვის კონტეინერი (რეზერვუარი) სათანადოდ დახურული და მოვლილი (ხუფი მჭიდროდ არის მორგებული, რეგულარულად ხდება რეზერვუარის გამორეცხვა)

1. დიახ
2. არა
3. რეზერვუარი არ არსებობს

WW12. წყლის დასალევად ძირითადად რომელ ჭურჭელს იყენებენ მოსწავლეები (ფინჯანი, ჭიქა და სხვ.)? *(მონიშნე ერთი)*

1. მათი საკუთარი ჭურჭელი (პლასტმასის ბოთლი PET)
2. მათი საკუთარი ჭურჭელი (მრავალჯერადი გამოყენების, მაგრამ არა (PET) პლასტმასის ბოთლი)
3. ერთჯერადი მოხმარების ჭურჭელი
4. საზიარო ჭურჭელი

5. სვამენ პირდაპირ ონკანიდან
6. სხვა _____

WW13 არის თუ არა სკოლაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი ხელსაბანები

1. ყველა
2. ზოგიერთი
3. არცერთი

WW14. შეუძლიათ თუ არა უმცროსი ასაკის მოსწავლეებს დასალევი წყლის დამოუკიდებლად (სხვისი დახმარების გარეშე) მიღება

1. დიახ
2. არა

Sanitation/სანიტარია

SS1. არის თუ არა სკოლაში რაიმე ტიპის საპირფარეშო?

1. დიახ (სკოლის შენობაში)
2. სკოლის შენობის გარეთ 20-დან 100 მეტრამდე რადიუსში
3. სკოლის შენობის გარეთ, თუმცა შენობიდან 20 მეტრზე ახლოს, ან 100 მეტრზე მეტი დაშორებით
4. არა

თუ „არა“ გადადი **SS10-ზე**

SS2. რამდენი საპირფარეშოა სკოლაში? *ჩაწერე რაოდენობა:*

	ფუნქციონირებს	ფუნქციონირებს ნაწილობრივ	არ ფუნქციონირებს
მხოლოდ გოგონებისათვის			
მხოლოდ ბიჭებისათვის			
საერთო მოსწავლეებისათვის			
მხოლოდ ქალი პედაგოგებისა და სკოლის თანამშრომლებისათვის			
მხოლოდ მამაკაცი პედაგოგებისა და სკოლის თანამშრომლებისათვის			
საერთო – პედაგოგებისა და სკოლის თანამშრომლებისათვის			
საერთო ყველასათვის			

SS3. OBSERVE/ნახე: ზოგადად, რამდენად სუფთაა საპირფარეშო ოთახი?

	სუფთა	ნაწილობრივ სუფთა	არ არის სუფთა
მოსწავლეთა საპირფარეშო			
პედაგოგთა საპირფარეშო			
საერთო საპირფარეშო ყველასათვის			

SS4. არის თუ არა გოგონების საპირფარეშო განცალკევებული ბიჭების საპირფარეშო ოთახისგან?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

SS5. აქვს თუ არა გოგონების საპირფარეშოს კარებს შიგნიდან საკეტი

1. დიახ
2. არა
3. ზოგიერთს

SS6. არსებობს თუ არა სკოლაში რაიმე სახის პროგრამა უფროსი ასაკის გოგონებისათვის უსაფრთხო და პირადი მენსტრუალური ჰიგიენის ხელშეწყობის თვალსაზრისით? (მონიშნე ყველა სწორი პასუხი)

1. მენსტრუალური განათლება გოგონებისათვის
2. გამოყენებული საფენების „სანიტარიული“ გადაყრის/დაწვის პირადი შესაძლებლობები
3. საფენების დარიგების რომელიმე პროგრამა
4. სხვა _____
5. არ არის
6. არ ვიცი

SS7. არის თუ არა სკოლაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი საპირფარეშოები

1. დიახ
2. არა
3. ზოგიერთი

SS8. არის თუ არა სკოლაში უმცროსი ასაკის მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი საპირფარეშოები (დიზაინი)

1. დიახ
2. არა

SS9. რა ტიპის საპირფარეშო არსებობს სკოლაში *(მონიშნე ყველა არსებული)*

1. ჩასარეცხი საპირფარეშო
2. „ორმო“ საპირფარეშო
3. გაუმჯობესებული „ორმოს“ ტიპის საპირფარეშო, მოპირკეთებული ფილებით
4. „კომპოსტირების“ საპირფარეშო
5. “კალათა/სათლი“
6. „დაკიდებული“ საპირფარეშო
7. არ არის საპირფარეშო/ მინდორი, ბუჩქები
8. სხვა _____

SS10. არის თუ არა სკოლაში პისუარები

1. დიახ
2. არა
3. თუ „არა“, გადადი **SS13** -ზე

SS11. არის თუ არა სკოლაში ინდივიდუალური პისუარები და თუ არის, რამდენია? *(ჩაწერეთ რაოდენობა)*

1. ბიჭებისათვის _____
2. მამაკაცი პედაგოგებისათვის _____

SS12. თუ არის პისუარის არხის უწყვეტი კედელი, რამდენი მეტრია სიგრძეში

1. ბიჭები _____ (მეტრი)
2. გოგონები _____ (მეტრი)
3. არ არის

SS13. იყო თუ არა სკოლაში ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო პროგრამა მიმდინარე და წინა სასწავლო წლებში?

1. დიახ
2. არა
3. „არა“ -ს შემთხვევაში გამოტოვე შემდეგი შეკითხვა

SS14. თუ არსებობდა ასეთი (ჭიების საწინააღმდეგო) პროგრამა, რა სიხშირით ტარდებოდა? (*მონიშნე ერთი*)

1. მოსწავლეები იღებდნენ ჭიების საწინააღმდეგო პრეპარატებს 2- ჯერ ან მეტჯერ წლის განმავლობაში
2. მოსწავლეები იღებდნენ ჭიების საწინააღმდეგო პრეპარატებს მხოლოდ ერთხელ მთელი წლის განმავლობაში
3. სხვა _____
4. არ ვიცი

Hygiene/ჰიგიენა

HH1. თუ ისწავლება სკოლაში ჰიგიენის საკითხები

1. დიახ
2. არა
3. თუ „არა“, გადადი HH8 შეკითხვაზე.

HH2. როგორ ისწავლება სკოლაში ჰიგიენის საკითხები (*მონიშნე ყველა სწორი პასუხი)*

6. როგორც ერთ-ერთი სასწავლო საგანი
7. როგორც ჯანსაღი ცხოვრების სწავლების სპეციალური მოდულის შემადგენელი ნაწილი
8. როგორც ცალკე (მხოლოდ) ჰიგიენის მოდული
9. როგორც სკოლის მიერ დაფინანსებული ექსტრაკურიკულური პროგრამა (მაგ., სანიტარიული კლუბი)
10. მხოლოდ ერთეულად, შემთხვევით (მაგ., დამრიგებლის ან ბიოლოგიის მასწავლებლის მონდომებით და კეთილი ნებით).

HH3. არის თუ არა სკოლაში ერთი მასწავლებელი მაინც, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება ჰიგიენის სწავლების საკითხებში?

4. დიახ
5. არა
6. არ ვიცი

HH4. იყო თუ არა ვიზიტის დროს ხელმისაწვდომი სკოლაში სანიტარია-ჰიგიენის შესახებ არსებული რაიმე სახის საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები (ბროშურა, აფიშა, სახელმძღვანელო)

3. დიახ
4. არა

HH5. თუ კეთდება საპნის მნიშვნელობაზე აქცენტი ჰიგიენის სასწავლო მოდულში

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
4. არ ვიცი

HH6. არის თუ არა კრიტიკულ დროებში (უშუალოდ დეფეკაციის შემდეგ და ჭამის წინ) საპნის გამოყენების მნიშვნელობა ხაზგასმული ჰიგიენის საგანმანათლებლო მასალებში

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
4. არ ვიცი
5. სკოლაში არ გვაქვს საგანმანათლებლო მასალები ჰიგიენის შესახებ

HH7. ეძლევათ თუ არა მოსწავლეებს განსაზღვრული დრო ჭამის წინ ხელების დასაბანად

1. დიახ
2. არა
3. არ ვიცი

HH8. არის თუ არა სკოლაში ხელის დაბანის შესაძლებლობები

1. დიახ
2. არა
3. თუ „არა“, გადადი შემდეგ თავზე

HH9 ხელის დაბანის რა შესაძლებლობები არის სკოლაში *(მონიშნე მხოლოდ ერთი)*

1. გამდინარე წყალი მილსადენიდან ან ბაკიდან
2. ხელით გადმოსხმული წყალი (მაგ., სათლიდან)
3. წყალი ავზში ან სათლში (წყალი არაა გამდინარე)
4. სხვა _____

HH10. რამდენი ხელსაბანია სკოლაში *(ჩაწერე რაოდენობა)*

1. საპირფარეშოს შიგნით ან საპირფარეშოსთან ძალიან ახლოს _____

2. საკლასო ოთახში _____
3. სკოლის ტერიტორიაზე, მაგრამ საპირფარეშოსგან მოშორებით _____
4. სხვა _____

HH11. ვიზიტის დროს მოდიოდა თუ არა წყალი ხელსაბანში

1. დიახ, ყველა ერთეულში
2. დიახ, 50% –ზე მეტ ერთეულში
3. დიახ, ოღონდ 50% ან ნაკლებ ერთეულში
4. არცერთ ერთეულში არ იყო

HH12. იყო თუ არა ვიზიტის დროს ხელსაბანთან საპონი

1. დიახ, ყველა ერთეულში
2. დიახ, 50% –ზე მეტ ერთეულში
3. დიახ, ოღონდ 50% ან ნაკლებ ერთეულში
4. არცერთ ერთეულში არ იყო

HH13. ვიზიტის დროს იყო თუ არა ხელსაბანთან პირსახოცი ან ხელსახოცი

1. დიახ, ყველა ერთეულში
2. დიახ, 50%– ზე მეტ ერთეულში
3. დიახ, ოღონდ 50% ან ნაკლებ ერთეულში
4. არცერთ ერთეულში არ იყო

HH14. არის თუ არა სკოლაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი ხელსაბანები

1. დიახ, ყველა ხელმისაწვდომია
2. ზოგიერთი არის
3. არცერთი არ არის

HH15. არის თუ არა სკოლაში უმცროსი ასაკის მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი ხელსაბანები

1. კი, ყველა ხელმისაწვდომია
2. ზოგიერთი არის
3. არცერთი არ არის

HH16.OBSERVE/დააკვირდი: იბანენ თუ არა მოსწავლეები ხელებს საპირფარეშო ოთახით სარგებლობის შემდეგ

1. დიახ

2. არა
3. უმეტესობა იბანს
4. დაახლოებით ნახევარი იბანს
5. მხოლოდ ზოგიერთი იბანს
6. შეუძლებელი იყო დაკვირვება

HH17. აქვს თუ არა სკოლას ჰიგიენური საშუალებების (საპონი, ხელსახოცი, სადეზინფექციო საშუალებები და ა.შ.) მარაგი

4. დიახ
5. არა
6. ვიზიტის დროს შეუძლებელი იყო ზუსტად დადგენა

Waste Disposal and Drainage/ (ნარჩენების) გატანა (მართვა) და დრენაჟი

WD1. როგორ ხდება მყარი ნარჩენების (ნაგვის) გატანა? *(მონიშნე მხოლოდ ერთი)*

1. გადაყრა ნაგავსაყრელზე, სკოლის ტერიტორიაზე ან მასთან ახლოს
2. ჩამარხვა სკოლის ტერიტორიაზე ან მასთან ახლოს
3. დაწვა სკოლის ტერიტორიაზე ან მასთან ახლოს
4. შეგროვება და გატანა ნაგვის სამსახურის მიერ
5. სხვა_____
6. არ ვიცი

WD2. რამდენად ხშირად ხდება მყარი ნარჩენების (ნაგვის) შეგროვება ან გატანა *(მონიშნე მხოლოდ ერთი)*

1. დღეში, სულ მცირე, ერთხელ
2. ორ დღეში ერთხელ ან კვირაში ერთხელ
3. ნაკლები სიხშირით, ვიდრე კვირაში ერთხელ
4. სხვა _____
5. არ ვიცი

WD3. თუ არსებობს სანიტარიული ობიექტების დაცლის (დასუთავების) გრაფიკი

4. დიახ
5. არა
6. არ ვიცი

WD4. ხდება თუ არა ნარჩენების უსაფრთხოდ გატანა

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
4. არ ვიცი

WD5. ვიზიტის დროს იყო თუ არა სანიტარიული ობიექტები გადავსებული *(მონიშნე ერთი)*

1. კი, ყველა ერთეულში
2. კი, 50% –ზე მეტ ერთეულში
3. კი, ოღონდ 50%–ი ან ნაკლებ ერთეულში
4. არცერთში
5. შეუძლებელია ნახვა

WD6. აქვს თუ არა სკოლას დამდგარი (და/ან გამოყენებული) წყლის სადრენაჟო სისტემა

1. დიახ
2. არა
3. კი, მაგრამ ნაწილობრივი ან არასრული სისტემა

WD7. ვიზიტის დღეს ფუნქციონირებს თუ არა სადრენაჟო სისტემა

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

დამატებითი კომენტარი (მიუთითეთ ნებისმიერი სხვა საინტერესო მიგნება, რომელიც დაკვირვების პროცესში აღმოაჩინეთ)

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____